ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ ხოხუმის ფილიალი

ბექან ხორავა

ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა

XV-XVIII სს.

შპს "კერა-XXI"
თბილისი
1996

63.3 (2 Г)
947. 922
ხ 75
აფხაზური ურთიერთობანი
3) აფხაზეთი 4) საქართველოს ისტორია ჯ-15-ჯ

ქართველთა და აფხაზთა ურთიერთობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მნიშვნელოვანი ნაწილია ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში, რაც დღეს მრავალმხრივ ინტერესს იწვევს.

წინამდებარე ნაშრომში, რომელიც შესრულებულია ქართული და უცხოური წყაროების, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული და ტოპონიმიკური მასალის, სათანადო საისტორიო ლიტერატურის გათვალისწინებით, გაშუქებულია XV-XVIII სს. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობის საკვანძო საკითხები; მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა აფხაზთა ეთნიკური ვინაობის გარკვევას; დაზუსტებულია დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიის ზოგიერთი საკითხი.

წიგნი განკუთვნილია ისტორიკოსებისა და საქართველოს ისტორიით დაინტერესებული მკითხველისათვის.

რედაქტორი თ. ბერაძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტები: ზ. პაპასქირი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
ა. კილასონია, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი

© ბ. ხორავა, 1996

შესავალი

"ჩვენ ერთი ცის ქვეშ, ერთ მიწაზე გეიშენებია ჩვენი კულტურა, ერთად დაგეცავს ჩვენი ეროვნული რაობა და ჩვენი მიწა-წყალი. ცოტაა, ვთქვათ, რომ მოძმე ერები ვართ. ჩვენ ერთი ფსიქიკის, ერთი ადათის, ერთი წესის, ერთი ფსიქოლოგიის ხალხი ვართ. არა მგონია, ქართველებს აყვედეთ უფრო ახლობელი ძმა, ვიდრე აფხაზებია, აფხაზებსაც ასე მიაჩნიათ ქართველები და ჩვენ ამ ძმობამ შეგვინახა, ვინც ამ ძმობას შლის, რუსთაველის სიტყვებით რომ ვთქვათ, "იგი თავისა მტერია".

დიმიტრი გულია

K 9213.5774
3

ოდიში და აფხაზეთი ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულებია, - ოდითგანვე საქართველოს ორგანული ნაწილი. აფხაზები და ოდიშარნი მუხლჩაუხრელად მონაწილეობდნენ საქართველოს სახელმწიფოებრივი და კულტურული აღმშენებლობის პროცესში.

ანტიკური წყაროების ცნობებით, დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორია ჯერ კოლხეთის, ხოლო შემდეგ ლაზიკის სამეფოს შემადგენლობაში შედის. ამ დასავლურქართულ სახელმწიფოებს ქართული წყაროები ეგრისს უწოდებენ. მოგვიანებით, VIII საუკუნეში, აფხაზეთის მთავრებმა ეგრისის ნანგრევებზე "აფხაზთა"-(ეგრის-აფხაზეთის) დასავლურქართულ სამეფოს ჩაუყარეს საფუძველი.

"აფხაზთა" სამეფოს ლომის წილი უდევს ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებაში. ამის გამოხატულებაა ის, რომ ერთიანი საქართველოს მეფე ("მეფე აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა...") პირველ რიგში აფხაზთა მეფედ მოიხსენიება. ამ პერიოდის უცხოურ წერილობით წყაროებში "აფხაზეთი" და "აფხაზი", როგორც წესი, ზოგადად "საქართველოს" და ქართველს" აღნიშნავს. საერთოდ კი, ტერმინში "აფხაზეთი" სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა ტერიტორიული ერთეული იგულისხმება.

როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა, აფხაზები საქართველოს ფეოდალური სამყაროს ისეთსავე ორგანულ ნაწილს შეადგენდნენ, როგორც დასავლურქართული ტომები. აფხაზთა და ქართველთა ასეთი ერთიანობა იყო შედეგი არა ურთიერთდაპყრობისა, არამედ აფხაზთა თანდათანობითი მშვიდობიანი შემოსვლისა ქართულ კულტურულ სამყაროში. "როგორც ფეოდალური ქვეყანა, აფხაზეთი ისეთივე საქართველო იყო, და აფხაზი ისეთივე ქართველი იყო, როგორც ეგრისი და მეგრელი, როგორც ჰერეთი და ჰერი, როგორც ქართლი და ქართლელი..."[1]. აფხაზები, როგორც ისტორიულად, ისე ეთნოგრაფიულად და კულტურულად განსაკუთრებით ახლოს იყვნენ მეგრელებთან. ოდიში, "სამეგრელო, როგორც თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ისე ამ ორი ტომის ეთნოგრაფიული სიახლოვის წყალობით, ხანგრძლივი ისტორიული თანაცხოვრების ნიადაგზე, წარმოადგენდა მთავარ არტერიას, რომლის საშუალებითაც ხდებოდა კულტურული ენერგიის მიმოქცევა აფხაზეთსა და საქართველოს ცენტრალურ პროვინციებს შორის" [2].

საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ გაძლიერდა ფეოდალური განკერძოების პროცესი. ამას დაერთო გარეშე მტერთა შემოსევები, მათ შორის — მთის ჩამოწოლა — კავკასიის მთის მოსახლეობის: აბაზურ-ადიღეური, ოსური, დაღესტნური ტომების ჩამოსახლების პროცესი საქართველოში. ამ ძნელბედობის ხანაში აფხაზეთთან ჩვეული ორგანული და ინტენსიური ერთობა შესუსტდა.

აფხაზეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა მთის ჩამოწოლამ. დას. კავკასიიდან აფხაზთა მონათესავე, სოციალურად დაბალი დონის აბაზური ტომების ჩამოსახლებას ადრეც ჰქონია ადგილი. XIII ს.-დან ამ პროცესის ახალი ეტაპი იწყება, რაც დაკავშირებულია ჩრდ. კავკასიაში მონღოლ-თათართა გამანადგურებელ შემოსევებთან, რამაც იქ მცხოვრები ხალხების ამოძრაკება გამოიწვია. ამ პერიოდში, ყუბანისპირეთიდან ადიღეური ტომების მოწოლით, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, აფხაზების ჩრდილო-დასავლეთით მცხოვრები აბაზების ერთი ნაწილი ჩრდ. კავკასიაში გადადის (XIVს.), ნაწილი სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მოიწევს და აფხაზეთში იწყებს ჩამოსახლებას. იმავდროულად მიმდინარეობს აბაზების ადიღეელებთან და აფხაზების აბაზებთან შერწყმის პროცესი. აბაზურ-ადიღეური ტომების შავიზღვისპირეთში ექსპანსიის შედეგად, XV-XVI სს. საქართველო კარგავს განაპირა საერისთავოს, აფხაზეთის, მიწა-წყლის ერთ ნაწილს (ტერიტორია მდ. ნიკოფსიასა და მდ. ბზიფს

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990, გვ. 608.

[2] ს. ჯანაშია, გიორგი შარვაშიძე. კულტურულ-ისტორიული ნარკვევი, — შრომები, VI, თბ., 1988, გვ. 35.

შორის). იმავდროულად აფხაზები აფართოებენ თავიანთ მიწა-წყალს სამხრეთ-აღმოსავლეთით, რისი შედეგიც იყო XVI-XVII სს. ოდიშის სამთავროს ჩრდლო-დასავლეთ ნაწილის — მდ. ფსირცხასა და მდ. ღალიძგას შორის მდებარე მიწების მიტაცება. ამ პერიოდში, როცა აბაზურ-ადიღეური ტომების ჩამოსახლებამ უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო აფხაზეთში, აქ რადიკალური ეთნო-ფსიქოლოგიური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-პოლიტიკური ცვლილებები ხდება, რამაც ქართულ სამყაროში აფხაზთა "გაუცხოება" გამოიწვია. ჩამოსახლებულ მთიელთა და აბორიგენთა შერწყმის შედეგად ყალიბდება თანამედროვე აფხაზური (აფსუა) ეთნოსი. აღსანიშნავია, რომ აფხაზთა თვითსახელწოდება "აფსუა" ეთნონიმ "აბაზას" ფონეტიკური სახეცვლილებაა; ენათმეცნიერებაში აღიარებულია, რომ აფხაზური (აფსუა) ენა აბაზურ ენასთან ერთად ქმნის ერთ ენობრივ ერთეულს და მათ შორის მხოლოდ დიალექტური განსხვავებაა. ამასთან, საგულისხმოა შემდეგი ფაქტი — აფხაზები (აფსუა) ქართულ ანთროპოლოგიურ ტიპს (წინაკავკასიური რასის შავიზღვისპირული ანთროპოლოგიური ტიპი) ეკუთვნიან და, ამდენად, უპირისპირდებიან ენობრივად მათ მონათესავე ადიღეურ ჯგუფებს, რომელნიც, თავის მხრივ, შედიან პონტური რასის ადიღეური ნაირსახეობების შემადგენლობაში*. ამრიგად, ჩამოსახლებულ ტომთა ადგილობრივ მოსახლეობასთან შერწყმის შედეგად გაიმარჯვა ადგილობრივმა ფიზიკურმა ტიპმა, მაგრამ მოსული ტომების ენამ.

მიუხედავად ოდიშსა და აფხაზეთს შორის გვიან შუასაუკუნეებში არსებული დაპირისპირებისა და ურთიერთბრძოლისა, მაინც არ შეწყვეტილა ოდიშისა და აფხაზეთის სამთავრო სახლებს შორის მოყვრობა; მიუხედავად მწვავე პოლიტიკური გათიშულობისა, აფხაზეთი ეკლესიურად დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსოში შედიოდა; აფხაზეთში ქართული ენა რჩებოდა საეკლესიო და კულტურის ენად, ამ ენაზე მუშაობდა მთავრის კანცელარია.

XIX ს. რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს მიწა-წყლის ანექსიის დასრულების შემდეგ, დავიწყებას მიეცა ეთნო-პოლიტიკური ტერმინები: "საქართველო", "სამეგრელო", "აუხაზეთი"..., მათ ნაცვლად ახალი ტერმინები — "თბილისის გუბერნია" და "ქუთაისის გუბერნია" დამკვიდრდა[3]. ცარიზმის მიზანი იყო დაპყრობილი მხარის კოლონიზაცია

---

* М.Г. Абдушелишвили. Антропология древнего и современного населения Грузии. Тб., 1961; И.П. Ладария. К изучению дерматоглифики населения Западного Кавказа. - СЭ., 1975. №4.

[3] 1857 წ. გაუქმდა სამეგრელოს, ხოლო 1864 წ. აფხაზეთის სამთავრო და რუსეთის უშუალო მმართველობა დამყარდა. სამეგრელო შეერწყა ქუთაისის გუბერნიას, ხოლო აფხაზეთის სამთავროს სოხუმის სამხედრო განყოფილება ეწოდა, რომელიც 1883 წლიდან სოხუმის ოლქის სახელწოდებით ქუთაისის გუბერნატორს დაუქვემდებარდა.

და ასიმილაცია. კოლონიზატორულ ღონისძიებათა განხორციელებაში მას მხარში ედგა რუსული მართლმადიდებლური ეკლესია. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების (1811 წ.) შემდეგ, როგორც საერთოდ საქართველოში, აფხაზეთის ეკლესიებში იყო ღვთისმსახურების ქართულიდან სლავურზე გადაყვანის მცდელობა, რაც ამ მხარის რუსიფიკაციას ისახავდა მიზნად. რუსეთის იმპერიის მიერ "აფხაზური წინააღმდეგობის" ჩახშობასა და კავკასიური ომების დამთავრებას აფხაზეთის ეთნიკური წმენდა მოჰყვა. XIX ს. 20-70-იან წლებში მრავალი ათასი აფხაზი იძულებული გახდა თურქეთში გადასახლებულიყო (მუჰაჯირობა). ქართველი საზოგადოებრიობა დიდი თანაგრძნობით შეხვდა აფხაზი ხალხის ტრაგედიას და მხარში ედგა მას ამ მძიმე დროს[4]. ცარიზმი ცდილობდა სოხუმ-გაგრის რაიონის რუსულ ახალშენებად გადაქცევას, ამიტომ დაცარიელებულ მიწებზე ასახლებდა რუსებს, ესტონელებს, სომხებს, ბერძნებს..., ყველას, გარდა აფხაზებისა და ქართველებისა. დაუნდობელი ბრძოლა გამოეცხადა ქართველ-აფხაზთა კულტურულ-ისტორიულ ერთობასა და ამ ერთობის საფუძველს — ქართულ ენას. ამ მიზანს ემსახურებოდა რუსული ანბანის საფუძველზე აფხაზური დამწერლობის შექმნაც. აფხაზთა შორის ხელოვნურად ნერგავდნენ ანტიქართულ განწყობილებას. ცარიზმი ასეთი ხერხებით ცდილობდა აფხაზთა ქართველებისაგან ჩამოცილებასა და ე. წ. "რუსული აფხაზეთის" შექმნის იდეის განხორციელებას.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, 1919 წ. ოფიციალურად აღადგინეს ტერმინი "აფხაზეთი". 1919 წლის 20 მარტს აფხაზეთის სახალხო საბჭომ მიიღო "აქტი ავტონომიის შესახებ", რომლის ძალითაც აფხაზეთი, ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობის უფლებით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში შევიდა[5], რაც, მოგვიანებით, დაადასტურა 1921 წლის საქართველოს კონსტიტუციამ (მუხლი 107) [6].

1921 წელს ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის შემდეგ კვლავ აღორძინდა გამთიშველი პოლიტიკა. ბოლშევიკურმა იმპერიულმა წრეებმა აფხაზი ინტელიგენციის ერთი ნაწილი დასაყრდენად გაიხადეს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში. კვლავ თავი იჩინა ე. წ. "აფხაზეთის საკითხმ", რომელიც ცარიზმის დროიდან არსებობს. მიმდინარე საუკუნის 70-80-იან წლებში საქართველოს აღმავალ ეროვნულ-გან-

---

[4] Г.А.Дзидзария, Махаджирство и проблеми истории Абхазии XIX столетия,2-е дополненное издание. Сухуми,1982, გვ. 356-416.

[5] აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 339.

[6] საქართველოს კონსტიტუცია მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის თებერვლის 21, თბ., 1990.

მათავისუფლებელ მოძრაობას, რომლის მთავარი მიზანიც იყო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, იმპერიულმა წრეებმა აფხაზური სეპარატიზმი დაუპირისპირეს.

აფხაზური სეპარატიზმის იდეოლოგიური მომზადება ისტორიის გაყალბებით დაიწყო[7]. XIX ს. მკვლევართა ერთი ჯგუფის შედარებით ობიექტური ტონი რადიკალურად შეიცვალა XX ს. დამდეგს. სწორედ მაშინ გამოჩნდა ვინმე ნ. ვორონოვის ბროშურა საკმაოდ გამომწვევი სათაურით: "Абхазия - не Грузия" (М.,1907), რომელიც შეიცავდა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების აშკარა დამახინჯებასა და ცილისმწამებლურ თავდასხმებს ქართველი ხალხის მიმართ. ასეთ არაობიექტურ მკვლევართა მონოგრაფიებსა თუ პუბლიცისტურ წერილებში[8], უარყოფილია აფხაზეთში ქართული ეთნიკური თუ კულტურული ელემენტების ისტორიული არსებობა და მისი როლი; ტენდენციურადაა განხილული შუა საუკუნეების აფხაზეთის ადგილი საქართველოს ისტორიაში. მათი მიზანია, მეცნიერული საფუძველი შეუქმნან აფხაზეთის საქართველოსაგან დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ არსებობას. მიმდინარე საუკუნის 60-70-იან წლებში, თანდათანობით აფხაზური პრობლემატიკის ობიექტური კვლევა ქართველ მკვლევართათვის აკრძალულ სფეროდ გადაიქცა. ქართველი და აფხაზი ხალხების ისტორიული ურთიერთობის ცალსახა, ტენდენციური გაშუქება ობიექტურად ასაზრდოებდა სეპარატისტულ მოძრაობას. აფხაზეთის გაყალბებული ისტორია აფხაზი ახალგაზრდობის ანტიქართული სულისკვეთებით აღზრდის ერთ-ერთ მძლავრ იარაღად იქცა და ქართველების მიმართ უნდობლობისა და

---

[7] აფხაზური სეპარატისტული ისტორიოგრაფიის ფორმირების ეტაპებზე იხ. ზ. პაპასკირი, საქართველო-აფხაზეთის ისტორიული წარსული აფხაზურ "ისტორიოგრაფიაში", – ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის ქართველოლოგიური სამეცნიერო სიმპოზიუმის ბიულეტენი №2, თბ., 1994, გვ. 85-95.

[8] К.Мачавариани, Описательный путеводитель по городу Сухуму и Сухумскому округу с историко-этнографическим очерком Абхазии, Сухум, 1913; П.Воробьев, О неосновательности притязаний грузин на Сухумский округ (Абхазию), Ростов-на-Дону, 1919; С.Басария, Абхазия в географическом, этнографическом и экономическом отношении, Сухум-Кале, 1923; მისივე, Самурзаканцы или Мурзаканцы, იხ. წგნ.: Материалы по истории Абхазии, Сухуми, 1990; С.Ашхацава, Пути развития абхазской истории, Сухум, 1925; В.Пачулиа, Абхазия, Сухуми, 1968; მისივე, В краю золотого руна, М., 1968; Ш.Д.Инал-Ипа, Вопросы этно-культурной истории абхазов, Сухуми, 1976; მისივე, О моем народе, его истории и Отечестве,-"Советская Абхазия",1989, 16 сентября; Б. Сагария, Как заселяли Абхазию переселенцами,-"Республика Абхазия", 1991, 22,23 ноября; Ю.Н. Воронов, В мире архитектурных памятников Абхазии, М., 1978; მისივე, Ядовитые уроки госпожи Мариам. К выходу брошюры "Абхазы и Абхазия",- "Абхазия", №28, 1991, 16 июля; მისივე, Абхазы - кто они?- экспресс-очерк, Гагра, 1993; С. Лакоба, Очерки политической истории Абхазии, Сухуми, 1990 და სხვა.

სიძულვილის გრძნობა გააღვივა. ფაქტობრივად, ამ პუბლიკაციებმა შეამზადა იდეოლოგიურად 1989 წლის ივლისის კონფლიქტი და 1992-1993 წწ. ომი აფხაზეთში.

წინამდებარე ნაშრომში, რომელიც შესრულებულია წერილობითი საისტორიო წყაროების, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული და ტოპონიმიკური მასალის, სათანადო საისტორიო ლიტერატურის გათვალისწინებით, გაშუქებულია XV-XVIII სს. ოდიშ-აფხაზეთის ისტორიის საკვანძო საკითხები: ოდიშისა და აფხაზეთის სამთავროთა წარმოშობა, მათი ურთიერთობები, ამ პოლიტიკურ ერთეულთა საზღვრები და მათი ცვლილებები. აქვე განხილულია ის სოციალურ-პოლიტიკური, ეთნოკულტურული და ტოპონიმიკური ცვლილებები, რასაც ადგილი ჰქონდა მთის ჩამოწოლის შედეგად, გვიანი შუასაუკუნეების აფხაზეთში; მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა აფხაზთა ეთნიკური ვინაობის გარკვევას. ნაშრომში დაზუსტებულია შუა საუკუნეების დას. საქართველოს პოლიტიკური ისტორიის ზოგიერთი საკითხი.

ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობის საკითხები თავიდან ბოლომდე მონოგრაფიულად შესწავლილი არ ყოფილა, მითუმეტეს ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით. მართალია, შუა საუკუნეების ოდიშისა და აფხაზეთის პოლიტიკური ისტორიის საკითხებსა და მათი ურთიერთობების შესახებ არაერთ ისტორიკოსს უმსჯელია, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ეს პრობლემა ამოწურული არაა და დამატებით კვლევაძიებას მოითხოვს, განსაკუთრებით ახლა, როდესაც პოლიტიკურმა სიტუაციამ ერთიორად გაზარდა ინტერესი ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მიმართ. მითუმეტეს, რომ დღევანდელი აფხაზეთისა და, შესაბამისად, საქართველოს მტკივნეულ პრობლემებს, საფუძველი ჩაეყარა სწორედ XV-XVIII საუკუნეებში. ამ გარემოებებმა განაპირობეს აღნიშნული თემის შერჩევა. ამასთან, საისტორიო მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპმა და წყაროებზე მუშაობამ საშუალება მოგვცა ახლებურად შეგვეხედა ამ პრობლემებისათვის. რაც შეეხება ნაშრომის ქრონოლოგიურ ჩარჩოებს, ეს არ არის შემთხვევითი. XV ს. საქართველოს ფეოდალური მონარქია საბოლოოდ იშლება სამეფო-სამთავროებად. ამ დროიდან ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობები ახალ ხასიათს იძენს, ვიდრე ეს იყო საქართველოს ერთიანობის ხანაში. ასე გრძელდება XIXს. დასაწყისამდე, როცა ორივე სამთავრო რუსეთის იმპერიის შემადგენელ ნაწილად იქცა.

XV-XVIII სს. ოდიშისა და აფხაზეთის ისტორიის შესახებ არსებობს წერილობითი დოკუმენტური და ნარატიული (ქართული, აღმოსავლური, ევროპული) წყაროები.

ჩვენთვის საინტერესო ქართული დოკუმენტური მასალების მნიშვნელოვანი ნაწილი დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის

აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტისა და სკი არქივის ფონდებში. ამათგან ზოგი წყარო პირველად შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში[9]. ნაწილზე კიდევ, ხელახლა გავამახვილეთ ყურადღება ზოგიერთი საკითხის დასაზუსტებლად[10].

ჩვენს მიერ გამოყენებული ქართული დოკუმენტური წყაროებია, ძირითადად, დას. საქართველოში შედგენილი საეკლესიო და საერო საბუთები, წარწერები და ანდერძ-მინაწერები, ქრონიკებისა და კინკლოსების ცნობები, რომლებიც გამოქვეყნებულია დ. ბაქრაძის, ნ. კონდაკოვის, მ. ბროსეს, ე. თაყაიშვილის, თ. ჟორდანიას, ს. კაკაბაძის, კ. გრიგოლიას, შ. ბურჯანაძის, ი. დოლიძის, ჯ. ოდიშელისა და სხვ. მიერ.[11] აღსანიშნავია აგრეთვე XVII-XVIII სს. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ამსახველი მასალები, რომლებშიც ასახულია ამ პერიოდის ოდიშ-აფხაზეთის ისტორია. ისინი გამოაქვეყნეს მ. ბროსემ, ა. ცაგარელმა, ს. ბელოკუროვმა, გ. პაიჭაძემ, თ. ტივაძემ და სხვ[12]. XVIII-XIX სს. მაგნის ოდიშისა და აფხაზეთის ისტორიის შესახებ საბუთების ნაწილი გამოაქვეყნა

---

[9] ხელნაწერთა ინსტიტუტი: A-187 (ბელის გულანი, XVI ს.); Ad-2252 (დადიანთა საბუთები);Q - 285 (დ. დადიანი, რუსის ომი);Q - 587 (ა.ჩელაია, ბეჟიის ტაძარი); H-2120 (ბიჭვინტის სახარება, XII ს.); H - 607 ("ზერეკნთ საფლობელო, რომელსაცა წყალ'ზედ ანუ ხეობაზედ ლგანან").

[10] სკია, ფ. 4, ს. 384; ფ. 3412.

[11] Дм.Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурии и Адчаре, Спб.,1878; Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии, составленная П.Кондаковым, грузинские надписи прочтены и истолкованы Дм.Бакрадзе, спб.,1890; M. Brosset, Rapports sur un voyage archeologique dans la Georgie et Armenie, execute en 1847-1848, St.P., 1851; ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, –კრ. "ძველი საქართველო", ტ. III, ტფ., 1913-1914; მისივე, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, – კრ."დაბრუნება", ქართული ეპიგრაფიკული ლიტერატურა, ტ. II, თბ., 1991; საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედ., ტფ., ტ.I, 1920; ტ.II, 1909; ტ.III, 1910; ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, წ.II, ტფ., 1897; წ.III გამოსაცემად მოამზადეს გ.ალორდანიამ და შ.ხანთაძემ, თბ., 1967; ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ.I, ტფ., 1920, წ.II, ტფ., 1921; კ.გრიგოლია, ილორის წმ.გიორგის ხატის წარწერა, ენიმკის მოამბე, XIII, თბ., 1942; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა (1466-1770 წწ.), შ. ბურჯანაძის რედაქციით, თბ., 1959; ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძებნელები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., ტ.II, 1965; ტ.III, 1970; ტ.VI, 1974; მცირე ქრონიკები (კინკლოსების ისტორიული მანაწერები), ტექსტები გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ჯ. ოდიშელმა, თბ., 1968.

[12] M. Brosse, Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государями от 1639 по 1770 гг., СПб., 1861; Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, под ред. А. А. Цагарели, т.I, СПб., 1891; Посольство дьяка Федота Ельчина и священника Павла Захарьева в Далиапскую землю (1639-1640гг.), в кн.: С.Белокуров, Материалы для русской истории, М., 1888; გ. პაიჭაძე, მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1660-1685წწ.), – "საისტორიო მოამბე", №23-24, თბ., 1970; თ. ტივაძე, ერთი ეპიზოდი XVII საუკუნის 60-ანი წლების რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, –კრ.: ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, I, თბ., 1970.

კავკასიის არქეოგრაფიულმა კომისიამ ა. ბერჟეს რედაქციით[13].

გვიანი შუასაუკუნეების ოდიშისა და აფხაზეთის ისტორიის მკვლევარი დიდ სიძნელეებს აწყდება ამ პერიოდის ნარატიული წყაროების სიმცირის გამო, რაც განპირობებულია იმ უდიდესი ნგრევითა და განადგურებით, რასაც საქართველო მაშინ განიცდის. საქართველოს მაშინდელი მდგომარეობის განხილვისას ივ. ჯავახიშვილი გულისტკივილით აღნიშნავდა: "... რა საკვირველია, რომ ასეთ პირობებში ამ საერთო კულტურული დაქვეითების წყალობით ქართული მხატვრული და საისტორიო მწერლობაც დადუმებული იყო. ეს კი არ არის საკვირველი, არამედ უფრო ის გარემოება, რომ, ამ ჯოჯოხეთური პირობებისდა მიუხედავად ქართველი ხალხი არ დაიღუპა..."[14]. გვიანფეოდალური ხანის ქართული ნარატიული წყაროებიდან აღსანიშნავია ბერი ეგნატაშვილის მეთაურობით "სწავლულ კაცთა" კომისიის მიერ შედგენილი XIV-XVII სს. საქართველოს ისტორია და მისი გადამუშავებული გაგრძელება; XVIIIს. ანონიმური ქრონიკა "ცხოვრება საქართველოჲსა" (პარიზის ქრონიკა), რომელშიც 1373-1683 წწ. მოვლენებია გადმოცემული[15], XVIIIს. მეორე ნახევრის პოლიტიკური ცხოვრების სურათი შესანიშნავად აქვს გადმოცემული ფ. გორგიჯანიძეს, რომელიც მის მიერ აღწერილი მრავალი ისტორიული მოვლენის თვითმხილველი და მონაწილე იყო[16]. ამავე პერიოდის ოდიშ-აფხაზეთის ისტორიის თავისებურ წყაროს წარმოადგენს ე.წ. "გალექსილი ისტორიები", ისტორიული პოემები: ფეშანგი ხითარიშვილის "შაჰნავაზიანი" და არჩილ მეფის "გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა"[17], რომლებიც უხვ ცნობებს შეიცავენ ამ პერიოდის პოლიტიკურ სინამდვილეზე. XVIII ს. დას. საქართველოს მეფე-მთავრების თურქ-ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ზოგიერთი ცნობა დაცულია სეხნია ჩხეიძისა და პაპუნა ორბელიანის თხზულებებში[18].

---

[13] Акты собранные Кавказской археографической комиссией под ред. Ал. Берже, Тифлис. т.I, 1866 : т.II, 1868; т.III, 1869; т.IV, 1870; т.V, 1873; т.VI,ч.II,1875; т.VII, 1878; т.VIII, 1881; т.IX.1884; т.X, 1885.

[14] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. III, – თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ.III, თბ., 1982, გვ. 464.

[15] ბერი ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება. პირველი ტექსტი, –"ქართლის ცხოვრება", ტ.II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959; ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, იქვე: ცხოვრება საქართველოჲსა (პარიზის ქრონიკა). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და სიტყვანი დაურთო გ. ალასანიამ; თბ., 1980.

[16] ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, –"საისტორიო მოამბე", წ. II, ტფ., 1925.

[17] ფეშანგი. შაჰნავაზიანი. გორგი. ლეონიძის და სოლ. იორდანიშვილის რედაქციით, თბ., 1935; არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, – არჩილიანი, ტ. II, თბ., 1937.

[18] ს. ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება, წგნ. "საქართველოს ცხოვრება", ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, ტფ., 1913; პ. ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დადგენილი, შესავალი, ლექსიკონი და სიტყვანი დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1981.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, ფეოდალური ხანის უდიდესი ქართველი ისტორიკოსის ვახუშტი ბაგრატიონის (1676-1755) თხზულება "აღწერა სამეფოსა საქართველოსა"[19], სადაც მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ოდიშისა და აფხაზეთის შუა საუკუნეების ისტორიას. მიუხედავად იმისა, რომ ეს ნაშრომი ხარვეზებსაც შეიცავს, ვახუშტი ბატონიშვილმა მეცნიერულ-კრიტიკული მეთოდის გამოყენებით წინამორბედ ისტორიკოსთა მრავალი შეცდომა გაასწორა და მრავალი ისტორიული ფაქტი მართებულად დაადგინა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ თხზულებაში პოლიტიკური ისტორიის გვერდით დიდი ადგილი აქვს დათმობილი ბუნებრივი გარემოს აღწერას, ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვას. ვახუშტი ბატონიშვილი არა მარტო დიდი ისტორიკოსი, არამედ დიდი კარტოგრაფიც იყო. იგი ავტორია ქართულ ენაზე შედგენილი საქართველოს ისტორიული რუკების ორი ატლასისა. ერთ-ერთ მათგანზე, საქართველოს სამეფო-სამთავროების, მათ შორის, ოდიშისა და აფხაზეთის გერბებია გამოსახული[20]. XVIII ს. საქართველოს ისტორიის თავისებურ წყაროს წარმოადგენს აგრეთვე, ტიმოთე გაბაშვილის მიერ 1737 წ. შედგენილი დასავლეთ საქართველოს რუკა[21].

ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობის შესასწავლად უაღრესად მნიშვნელოვანი წყაროა ნიკო დადიანის (1765-1834) "ქართველთ ცხოვრება" [22]. თხზულების ერთი ნაწილი — უძველესი დროიდან 1740 წლამდე, წინამორბედი ავტორების, საერთოდ "ქართლის ცხოვრების" ნაშრომთა შემოკლებული გადმოცემაა. უფრო მნიშვნელოვანია ნაშრომის ის ნაწილი, რომელშიც 1740-1823 წლების დას. საქართველოს ისტორიაა გადმოცემული. ავტორი, ოდიშის სამთავროს ერთ-ერთი თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწე, აღწერილი ამბების თანამედროვე, ზოგჯერ მრავალი მოვლენის თვითმხილველი და უშუალო მონაწილე იყო. ამასთან იგი მჭიდრო კავშირში იყო სამეგრელოსა (ოდიშის) და აფხაზეთის სამთავრო სახლებთან და ხვლი მიუწვდებოდა მრავალმხრივ ინფორმაციაზე, რაც უდავოდ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მის ნაშრომს.

---

[19] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა.— "ქართლის ცხოვრება". ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.

[20] იხ. წვნ. ი. მათურელი, ვახუშტი ბაგრატიონის კარტოგრაფიული მემკვიდრეობა. თბ., 1990.

ოდიშის გერბი — ლია ყაციოფერი, სარჩული მუქი ყაციოფერი. გამოსახულია ტახი დროშით. დროშაზე გამოსახულია ჩიტი, კუთხეებში განლაგებულია ოთხი ვარსკვლავი. ტახი ნაყოფიერების სიმბოლოა, ჩიტი — ციური მაცნე, ვარსკვლავები — მზის ნიშნებია; აფხაზეთის გერბი — ბაცი მწვანე, სარჩული ვარდისფერი. გამოსახულია თხა, რომელსაც ტოტემის მნიშვნელობა აქვს. მის ზევით სამი ყვითელი ნიშანი, რომელთა მნიშვნელობაც გამოუცნობია (იხ. მ. ვადბოლსკი, საქართველოს პერაღლიკური სიმბოლიკა, თბ., 1980).

[21] შ. ბურჯანაძე, ლიხთ-იმერეთის 1737 წ. რუკა, როგორც საქართველოს ისტორიის პირველწყარო, — ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, თბ., 1959.

[22] ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები დაურთო შ. ბურჯანაძემ, თბ., 1962.

ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობის ერთი ეპიზოდის — რუხის ბრძოლის შესახებ საინტერესოა ბესარიონ გაბაშვილის (1750-1791), გრიგოლ დადიანის (1814-1902) და დავით დადიანის (1831-1906) პოემები[23]. XVIII ს. მიწურულისა და XIX ს. დასაწყისის ოდიშ-აფხაზეთის ისტორიის შესახებ ზოგიერთი ცნობა დაცულია დავით, ბაგრატ და თეიმურაზ ბატონიშვილების ისტორიებში[24].

ოდიშისა და აფხაზეთის შუა საუკუნეების ისტორიის შესახებ ქართული წყაროების სიმცირეს ნაწილობრივ მაინც ავსებს და მრავალმხრივ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის უცხოური — . აღმოსავლური (არაბული, სპარსული, თურქული) და ევროპული წერილობითი წყაროები.

XIII-XV სს. არაბი ავტორებიდან აღსანიშნავია: აბულ-ფიდა (1273-1331), ალ-მუჰიბბი (გარდ. 1384წ.), ალ-კალკაშანდი (1355-1418)[25]. XVII ს. 50-60-იანი წლების ოდიშის შესახებ საინტერესო ცნობები აქვს დაცული სეფიანთა ეპოქის ირანელ ისტორიკოსს მოჰამედ თაჰერე ვაჰიდის[26]. გვიანი შუასაუკუნეების ოდიშისა და აფხაზეთის ისტორიის შესახებ საკმაოდ ბევრი მასალაა თავმოყრილი თურქულ წყაროებში. ჩვენთვის საინტერესო ოსმალური დოკუმენტები შეისწავლეს და გამოაქვეყნეს ს. ჯიქიამ, ნ. შენგელიამ, ც. აბულაძემ და სხვ[27]. XVII-XVIII სს. თურქული ნარატიული წყაროებიდან აღსანიშნავია ევლია

---

[23] ბესიკი, რუხის ბრძოლა, — ბესიკი, თხზულებანი. თხზულებათა სრული კრებული. ტექსტი, შენიშვნები, ლექსიკონი. ალ. ბარამიძის და ვ. თოფურიას რედაქციით, თბ., 1962; [გრ. დადიანი], რუხის ბრძოლა არუ ცხოურება დიდის მეფის სოლომონისა თქმული იოანე გეგეჭკორისაგან, თფილისი, 1895; დ. დადიანი, რუხის ომი (1892), — ხელნაწერთა ინსტიტუტი, Q - 285.

[24] დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია. ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა; გამოც. თ. ლომოურისა, თბ., 1941; მასალები საქართველოს ისტორიისათვის, შეკრებილი ბატონიშვილს დავით გიორგის ძისა დ. მისი ძმებისა 1744-1840 წწ., ტფ., 1905; თ. ბაგრატიონი, ახალი ისტორია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ლ. მიქაშვილმა, თბ., 1983.

[25] Georgraphie d'Aboulfeda. traduite de l'arabe par St. Guyard, t. II, Paris, 1883; XIV - XV სს. არაბი ისტორიკოსების ცნობები საქართველოს შესახებ (ალ-უმარი, ალ-მუსიბბი, ალ-კალკაშანდი), არაბულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო დ. გონელეიშვილმა, თბ., 1988.

[26] ვ. ფუთურიძე, მოსაშენ თაჰერის ცნობები საქართველოს შესახებ, მსკ, ნაკ. 30, თბ., 1954.

[27] ს. ჯიქია, ეპიზოდი ოდიშის პოლიტიკური ისტორიიდან, — კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966; ნ. შენგელია, XV-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები, თბ., 1974; ოსმალური დოკუმენტური წყაროები ანკლიისა და რუხის ციხეების შესახებ (XVII-XVIIIსს.), თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, ტერმინოლოგიური ლექსიკონით, უკანძილეებითა და საძიებლებით გამოსაცემად მოამზადა ნ. შენგელიამ, თბ., 1982; Н.Н. Шенгелия, Османские арзы 30- х гг. XVIII в. о крепостях Сухуми и Анакопия,- წგნ.: Вопросы истории народов Кавказа (Сборник статей, посвященных памяти З. В. Анчабадзе), Тб., 1988; თურქული წყაროები XVI ს. I მეოთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის, თურქული დოკუმენტები ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და შენიშვნებით გამოსცა ც. აბულაძემ, თბ., 1983.

ჩელების (XVII ს. შუახანები), ქათიბ ჩელების (1609-1657), ჰასან-აღა ნამის (XVII ს. II ნახ.), ფუნდუკლულუ მეჰმედ აღას (1658-1724), მეჰმედ რაშიდის (XVIII ს. დასაწყ.) თხზულებები[28].

XVII ს. მეორე ნახევრის ოდიშისა და აფხაზეთის ისტორიის შესახებ მრავალმხრივ საყურადღებო ცნობებია დაცული იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსის (1669-1707), ანტიოქიის პატრიარქის მაკარის (1636-1672) და მთავარდიაკვან პავლე ალეპოელის (დაახლ. 1627-1669 წწ.) თხზულებებში[29]. დოსითეოსი პირველად საქართველოში 1658-1659 წწ. იყო იერუსალიმის პატრიარქ პაისიოსთან ერთად. მეორედ იგი საქართველოში ჩამოვიდა 1681 წ., უკვე იერუსალიმის პატრიარქი; მაკარი ანტიოქიელი და მისი ვაჟი პავლე ალეპოელი საქართველოში იმყოფებოდნენ 1664-1666 და 1669 წლებში. ისინი მათ მიერ აღწერილი მრავალი ფაქტის უშუალო მომსწრე და თვითმხილველები იყვნენ, რაც უდავოდ დიდ ღირსებას ანიჭებს მათ ცნობებს.

ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ოდიშსა და აფხაზეთზე მდიდარი, მრავალმხრივი ცნობები მოეპოვებათ ევროპელ მოგზაურებს, დიპლომატებს, კათოლიკე მისიონერებს, ელჩებსა და სხვ. ევროპის ქვეყნების არქივებსა და წიგნსაცავებში საქართველოს ცალკეული კუთხეების, მათ შორის, სამეგრელოსა და აფხაზეთზე ცნობები ქართულ ისტორიოგრაფიაში შემოიტანა მ. თამარაშვილმა[30]. ამ საქმეს დღეს წარმატებით აგრძელებს ი. ტაბაღუა[31].

---

[28] ევლია ჩელების "მოგზაურობის წიგნი", თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფეთურიძემ. ნაკ. I, თბ., 1971, ნაკ. II, თბ., 1973; ქათიბ ჩელები. "ჯიჰან ნუმა"; მისივე. ისტორიულ მოვლენათა კალენდარი. – ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და სახელების დაურთო გ. ალასანიამ, თბ., 1978; ჰასან-აღა ნამი, "საქართველოს ლაპარაკობის წიგნი",– ც. აბულაძე, ნ. შენგელია, ნამის "საქართველოს ლაპარაკობის წიგნი",– ქართული წყაროთმცოდნეობა, VII, თბ., 1987; ფუნდუკლულუ მეჰმედ აღა, "გამარჯვების წიგნი", წ. I,– ნ. ჯაველიძე, ოსმალო ისტორიკოსი ფუნდუკლულუ მეჰმედ აღა ლასაველი საქართველოს შესახებ,– თსუ შრომები, ტ.250, აღმოსავლეთმცოდნეობა, თბ., 1985; მეჰმედ რაშიდი, "ისტორია", ტ.II.– მეჰმედ რაშიდის ცნობები საქართველოსა და ზოგიერთი მეზობელი ქვეყნის შესახებ. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსცა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო ე. ნოზაძემ, თბ., 1976.

[29] Путешествие патриарха Досифея с религиозным и политическим состоянием Грузии до XVII века,- М. Селезнев, Руководство к познанию Кавказа, кн.I,СПб.,1847; მაკარი ანტიოქელი, ცნობები საქართველოს შესახებ, არაბულიდან თარგმნა თ. მარგველაშვილმა, – კრ.: "არმაღანი", III, თბ., 1982; მახალები მე-17 საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის (საქართველოს აღწერილობა შედგენილი პავლე ალეპოელის მიერ), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ნ. ასათიანმა, თბ., 1973.

[30] მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნაძღვილის საუფლის შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდგან ვიდრე XIX საუკუნემდე. ტფ., 1902.

[31] ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, თბ., I, 1984; II, 1986; III, 1987.

მრავალმხრივ საინტერესოა სებასტოპოლის (სოხუმი) კათოლიკე ეპისკოპოსის ინგლისელი პეტრე გერალდის წერილი კენტერბერის არქიეპისკოპოსისადმი (1330 წ.); გერმანელი ჯეროსანი რაინდის შილტბერგერის (1380-XV ს. I ნახ.), ვენეციელი დესპანების: ი. ბარბაროს და ა. კონტარინის ცნობები[32]. XVI ს. ევროპელი ავტორებიდან აღსანიშნავია უნგრელი დიპლომატი ა. ვერანჩიჩი[33]. XIV-XVI სს. საქართველოს შავიზღვისპირეთის ისტორიისათვის თავისებური წყაროა იტალიური და კატალონიური საზღვაო რუკები[34]. XVII ს. ოდიშსა და აფხაზეთზე მნიშვნელოვანი ცნობები აქვთ დაცული იტალიელ მისიონერებს: ჯოვანი ლუკას, არქანჯელო ლამბერტის, ჯუზეპე ჯუდიჩეს, კრისტოფორო კასტელის, ანდრეა ბორომეოს, ჟოზე მარია ძამპის, გაეტანო რასპონის, გაეტანო ტურკოს, ჯუზეპე ტორინელის და სხვ[35].

ა. ლამბერტი ოცი წელი (1630-1649) ცხოვრობდა ოდიშში. იგი დაწვრილებით აღწერს ოდიშის (სამეგრელო) სამთავროს მაშინდელ ვითარებას, ურთიერთობას მეზობელ აფხაზეთის სამთავროსთან, ოდიშისა და აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ მდგომარეობას, აფხაზთა და მეგრელთა ყოფასა და ტრადიციებს. XVII ს. I ნახევრის ოდიშისა და აფხაზეთის ურთიერთობების შესასწავლად მნიშვნელოვანი წყაროა კასტელის წერილობითი ცნობები და ჩანახატები (ისტორიულ პირთა პორტრეტები, ეკლესია-მონასტრების, სამეურნეო და საყოფაცხოვრებო ნაგებობათა გრაფიკული სურათები, სურათების მთელი წყება ოდიშისა და აფხაზეთის ცხოვრებიდან). მრავალ საინტერესო ცნობას შეიცავს ამ სურათების მინაწერებიც.

XVII ს. II ნახევარში ოდიშში შექმნილი უაღრესად რთული ვითარება: სამთავრო ტახტისათვის ბრძოლა, ფეოდალური შინააშლილობა, აფხაზთა შემოსევები და ოდიშის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის მიტა-

---

[32] სებასტოპოლის ეპისკოპოსის პეტრეს წერილი ინგლისის არქიეპისკოპოსებისა და ეპისკოპოსებისადმი, — ვ. კიკნაძე, ლათინური წყარო XIV ს. საქართველოს შესახებ, — თსუ შრომები, ტ. 243, თბ, 1983; Путешествие Иоана Шильтбергера по Европе, Азии и Африке с 1394 года по 1427 года. Перевод с немецкого и снабдил примечаниями Ф. Брун, - ЗИИУ, год первый, т.I, Одесса, 1867; ე. მაჩაბელიშვილი, საქართველო ბანს შილტბერგერის "მოგზაურობის წიგნში", —"მაცნე", ისტორიის... სერია, №1, 1980, №2, XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ, იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და სასიტყვაო დაურთო ე. მაჩაბელიშვილმა, თბ., 1981.

[33] იხ. წგნ.: ლ. ტარხი, უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI საუკუნეში, თბ., 1980.

[34] იხ. წგნ.: Ф. Брун, Черноморье, ч.II, Одесса, 1880.

[35] დომინიკანელი მისიონერი ჯოვანი და ლუკას ცნობები აფხაზეთსა და სამეგრელოზე, — ი. ტაბაღუა, საქართველო..., III; ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თარგმანი იტალიურიდან ალ. ჭყონია, მე-2 გამოც., ლ. ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1938; დონ ჯუზეპე ჯუდიჩ მილანელი, წერილები საქართველოზე. XVII საუკუნე. იტალიური ტექსტი თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბ. გიორგაძემ, თბ., 1964; ა. ბორომეოს რელაცია, იხ. იქვე; დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, ტექსტი გამოიცა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბ. გიორგაძემ, თბ., 1976.

ცება მათ მიერ, აღწერილია ბორბონების, ძამების, რასპინის, ტერკის, ტორინელის და სხვ. რელაციებში.

ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ოდიშისა (სამეგრელო) და აფხაზეთის შესახებ მნიშვნელოვანი ცნობები აქვთ დაცული ფრანგ ავტორებს: ჟ. შარდენს (1643-1713), რომელიც 1672 წ. იმყოფებოდა ოდიშში; კომერსანტსა და დიპლომატს მ. პეისონელს (XVIII ს. II ნახ.), ჟ.-ფ. გამბასა (1763-1833) და ფ. დიუბუა დე მონპერეს (1798-1850), რომლებმაც XIX ს. 20-30-იან წლებში იმოგზაურეს კავკასიაში[36]. XVIII ს. II ნახევრის აფხაზეთისა და ოდიშის სამთავროების შესახებ საინტერესოა რუსეთის სამსახურში მყოფი გერმანელი ავტორების ი. რეინეგსის (1744-1793) და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის ი. გიულდენშტედტის (1745-1781) ცნობები[37]. XVIII ს. მიწურულისა და XIX ს. დასაწყისის აფხაზეთის სამთავროს საშინაო-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარების შესასწავლად უაღრესად მნიშვნელოვანია აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მახვილ შარვაშიძის (1823-1864) ქონების განმსაზღვრელი სპეციალური კომისიის წევრის ა. ნერეპოვის, დიმიტრი ჰასანბეის ძისა და მისი ვაჟის გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძეების მამულების მმართველის ა. პახომოვის ცნობები[38]. XIX ს. I ნახევრის ავტორთაგან აღსანიშნავია: პ. ზუბოვი, მ. სელეზნიოვი, ს. ბრონევსკი, ფ. ტორნაუ და სხვ[39].

საქართველოს ისტორიის შესწავლაში დიდი წვლილი მიუძღვის მ. ბროსეს (1802-1880). საქართველოს ისტორიის ფონზე შუა საუკუნეების ოდიშისა და აფხაზეთის ისტორიის საკითხები გაშუქებულია მის

---

[36] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის ქვეყნებში, ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა, თბ. 1975; M. Пейсонель, Исследование торговли на Черкесско-Абхазском берегу Черного моря в 1750-1762 гг., Краснодар, 1927; ეს ფრანსუა გამბა, მოგზაურობა ამერკავკასიაში, ტ. I, ფრანგულიდან თარგმნა, კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა, თბ., 1987; Ф. Дюбуа де Монперэ, Путешествие вокруг Кавказа, т.I, перевод с французского И.А Данкевич-Пушиной, Сухуми, 1937.

[37] Reinegs J. Allgemaine historisch - topograpaische Reschelbuang des Kaukasus. II. SPb., 1797; გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ.I, თბ., 1962; ტ.II, თბ., 1964.

[38] А.П. Черепов, Краткие заметки о сословиях и взаимных отношениях жителей Бзыбского округа Абхазии,- И.Г. Ангелава, Г.А. Дзидзария, А.А. Олощенкий, Из Истории крестьянской реформы в Абхазии, "Исторический архив",V,М.-Л.,1950; А.Пахомов, Записка об имениях князя Георгия Шервашидзе, - ი. ანთელავა, გ. ძიძარია, მასალები აფხაზეთის სამთავროს ისტორიისთვის, – "საისტორიო მოამბე", 7, თბ, 1953.

[39] П.Зубов, Картина Кавказского края, ч.II, СПб., 1835; М. Селезнев, Руководство к познанию Кавказа, кн.I, кн.II, СПб., 1847; С. Брошевский, Новейшие географические и исторические известия о Кавказе, ч.I, М., 1823; Ф.Ф. Торнау, Воспоминания кавказского офицера, ч.I,М.,1864; მასვე, Горские племена, живущие за Кубанью,-газ. "Кавказ", 1850, № 91; Г.А. Дзидзария, Ф.Ф.Торнау и его Кавказские материалы XIX века, М., 1976.

ნაშრომში "საქართველოს ისტორია"[40], რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. XIX ს. II ნახევრიდან აფხაზეთის სამთავროს ეთნო-კულტურული და სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხები რუსი მკვლევარების: ლ. ლიულიეს, ა. ბერჟეს, პ. კრაევსკის, პ. უსლარის, პ. უვაროვას და სხვ. შესწავლის ობიექტი ხდება[41]. განსაკუთრებით აღსანიშნავია ა. ნ. დიაჩკოვ-ტარასოვი, რომელიც იმ დროისათვის ცნობილ მასალებზე დაყრდნობით შედარებით ობიექტურად იკვლევს აფხაზეთის ისტორიას[42].

XX ს. 10-30-იან წლებში, აფხაზეთის ისტორიის შესახებ გამოქვეყნდა კ. მაჭავარიანის, ს. ბასარიას, კ. კუდრიავცევის, ა. ფადეევის მონოგრაფიები, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ჩვენთვის საინტერესო პერიოდის აფხაზეთის ისტორიას[43]. ოდიშისა და აფხაზეთის ისტორიის ცალკეულ საკითხებს, ამავე ხანებში, ეხებიან ივ. ჯავახიშვილი და ს. კაკაბაძე[44]. იმ დროისათვის ცნობილ მასალებზე, ქართულ და უცხოურ წყაროებზე დაყრდნობით სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია მონოგრაფიულად შეისწავლა ს. მაკალათიამ[45].

შუა საუკუნეების აფხაზეთის ისტორიის საკითხებს საგანგებო გამოკვლევები უძღვნეს ირ. ანთელავამ და ზ. ანჩაბაძემ, რომელთაც ამ ხანის ოდიშისა და აფხაზეთის ისტორიის ვერცერთი მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის. ირ. ანთელავა თავის გამოკვლევებში ეხება აფხაზეთის სამთავროს სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ისტორიას[46]. სამეგრელოსა და აფხაზეთის სამთავროების პოლიტიკურ ისტორიასა და მათ ურთიერთო-

---

[40] მ. ბროსე, საქართველოს ისტორია, ნათარგმნი და განმარტებული ს. ლოლობერიძის მიერ, ტფ., წ. I, 1895, წ. II, 1900.

[41] Л. Люлье, Общий взгляд на страны, занимаемые горскими народами, называемыми: Черкесами (Адиге), Абхазами (Азега) и другими смежными с ним,- ЗКОИРГО, кн. IV, Тифлис, 1857; А. Берже, Краткий обзор горских племен на Кавказе, Абхазское племя (Азега),- "Кавказский календар на 1858 г."; П. Д. Краевич, Очерк устройства общественно-политического быта Абхазии и Самурзакани,-ССКГ, вып.III, Тифлис, 1870; П К. Услар, Этнорафия Кавказа. Языкознание, I. Абхазкий язык, Тифлис, 1887; Пр. Уварова, Абхазия,- МАК, т.IV, М.,1891

[42] А.Н. Дьячков-Тарасов, Гагры и их окрестности, - ЗКОИРГО, XXIV, вып. I, Тифлис, 1903; მისივე, Библеская Абхазия,- ЗКОИРГО, XVIII, Тифлис, 1905.

[43] К. Мачавариани, Описательный путеволитель...; С. Басария, Абхазия: К. Кулрявцев, Сборник материалов по истории Абхазии, Сухум, 1922; А. Фадеев, Краткий очерк истории Абхазии, ч.I, Сухум, 1934.

[44] ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, წ. III,—თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, თბ., 1982; ს. კაკაბაძე, საქართველოს ისტორია. ახალი საუკუნეების ეპოქა. 1500–1810 წწ., ტფ., 1922.

[45] ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941.

[46] И.Г. Анчелава, К вопросу о феодальных отношениях в Абхазии в XVII-XVIII веках, - Труды АГМ, вып. I, Сухуми, 1947; მისივე, Очерки по истории Абхазии XVII-XVIII веков, 2-е изд. Сухуми, 1951.

ბებს XVII საუკუნეში. ეხება ზ. ანჩაბაძის საკანდიდატო დისერტაცია. მოგვიანებით, მანვე მონოგრაფიულად შეისწავლა აფხაზეთის შუა საუკუნეების ისტორია და აფხაზთა ეთნიკური ისტორია[47]. ეთნოკულტურულ და სოციალურ-პოლიტიკურ ცვლილებებს ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში, მათი დაწყების დროსა და გამომწვევ მიზეზებს ეხებიან თავიანთ ნაშრომებში პ. ინგოროყვა, კ. გრიგოლია, ნ. ბერძენიშვილი[48]. გვიანი შუასაუკუნეების ოდიშისა და აფხაზეთის ისტორიის ცალკეული საკითხები განხილულია: დ. გვრიტიშვილის, შ. ბურჯანაძის, ბ. ლომინაძის, ო. სოსელიას, მ. ლორთქიფანიძის, ილ. ანთელავას, ი. ვორონოვის, ე. მამისთვალიშვილის, მ. რეხვიაშვილის, ა. ტულუშისა და სხვ. ნაშრომებში[49]. ოდიშისა და აფხაზეთის პოლიტიკური ისტორიისა და ისტორიული გეოგრაფიის საკითხები შესწავლილი აქვს თ. ბერაძეს[50]. ოდიშ-აფხა-

---

[47] З.В. Анчабадзе, Метрелия и Абхазия в XVII веке, Тб., 1947, საკანდიდატო დისერტაცია. ხელნაწერი ინახება თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში; მისივე, Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв.), Сухуми, 1959; მისივე, Очерк этнической истории абхазского народа, Сухуми, 1976.

[48] პ. ინგოროყვა, გიორგი ჭერნული. ქართული მწერალი მეათე საუკუნისა, თბ., 1954; კ. გრიგოლია, ზოგიერთი მოსაზრება პაულე ინგოროყვას ნაშრომის. — "გიორგი მერჩულის" გ.ოო, — "ენათმცოდნეობა", 1990, №3; ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის, მეორე გამოცემა, — საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990.

[49] დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, II (XV-XVII სს.), თბ., 1965; შ. ბურჯანაძე, სოლომონ I-ის მეფობის პირველი პერიოდი (1752-1768), — თსუ შრომები, ტ.41, 1950; მისივე, იმერეთის სამეფოს პოლიტიკური ისტორიისათვის 1784-1789 წწ., — ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, II, თბ., 1960; მისივე, იმერეთის სამეფო 1768-1784 წლებში, — ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, III, თბ., 1961; მისივე, იმერეთის სამეფოს საშინაო პოლიტიკა 1789-1802 წლებში, — ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, IV, თბ., 1962; ბ. ლომინაძე, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან (სენიორიები), I, თბ., 1966; ო. სოსელია, სამეგრელოს სამთავროს წარმოშობის საკითხისათვის, — საქ. სსრ მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მიმომხილველი, II, თბ., 1966; მისივე, ფეოდალური ხანის დასაელეთ საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1966; მისივე, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათაადოები), თბ., II, 1981, III, 1990; მ. ლორთქიფანიძე, აფხაზები და აფხაზეთი, თბ., 1990; ილ. ანთელავა, ოდიშის სამთავროს პოლიტიკური ურთიერთობანი XVII საუკუნის I ნახევარში. საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1974, ხელნაწერი ინახება თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში; მისივე, ოდიშის სამთავროს პოლიტიკური ისტორიიდან, —"საისტორიო კრებული", V, თბ., 1976; მისივე, ლევან II დადიანი, თბ., 1990; Ю.Н. Воронов, Келасурская стена,-СА., 1973, №2; მისივე, В мире архитектурных памятников Абхазии, М., 1978; მისივე, Диоскуриада-Себастополис-Цхум, М., 1980; ე. მამისთვალიშვილი, საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XV საუკუნის მეორე ნახევარსა და XVI საუკუნეში (ევროპული წყაროების მიხედვით), თბ., 1981; მისივე, ოდიშის ისტორიიდან, — თსუ შრომები, 310, ისტორია..., თბ., 1981; მ. რეხვიაშვილი, დასავლეთი საქართველო XVII საუკუნეში, თბ., 1978; მისივე, იმერეთი XVIII საუკუნეში, თბ., 1982; მისივე, იმერეთის სამეფო 1462-1810 წწ., თბ., 1989; ა. ტულუში, თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ ქართველთა და აფხაზთა ბრძოლების ისტორიიდან, — "რიწა", სოხუმი, 1987, №2; მისივე, აფხაზეთის სამთავროს წარმოშობის საკითხისათვის,-გაზ. "საქართველო", 1993 წ. № 19,20,21,22.

[50] ო. ბერაძე, ოდიშის ისტორიული გეოგრაფიიდან. საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1967, ხელნაწერი ინახება თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში; მისივე, ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან, —

ზეთის ოსმალეთთან ურთიერთობა XV-XVIII სს. ჩვენს მიერ გაშუქებულია ქ. ჩხატარაიშვილის, მ. სვანიძის, ვ. ჩოჩიევისა და სხვ. ნაშრომების მიხედვით[51]. აფხაზეთის ეთნოგრაფიის, ეთნო-კულტურული ისტორიის, დას. კავკასიის ხალხებთან აფხაზთა ურთიერთობის საკითხები გვიან შუასაუკუნეებში, შესწავლილი აქვთ ს. ზვანბას, ნ. ჯანაშიას, დ. გულიას, გ. ჩურჩინს, ი. აჯინჯალს, შ. ინალ-იფას, ლ. ლავროვს გ. ანჩაბაძესა და სხვ[52].

XVIII ს. მიწურულისა და XIX ს. დასაწყისის ოდიშისა (სამეგრელო) და აფხაზეთის სამთავროების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორია გაშუქებულია ნ. ბერძენიშვილის, მ. დუმბაძის, გ. ძიძარიას გამოკვლევებში[53]. ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ოდიშისა და აფხაზეთის ისტორიის საკითხები განხილულია "საქართველოს ისტორიის ნარკვევების" (ტ. IV), შესაბამის თავებსა და პარაგრაფებში, რომელთა ავტორები არიან: ვ. გუჩუა, მ. სვანიძე, გ. ჯამბურია, ქ. ჩხატარაიშვილი; შუა საუკუნეების აფხაზეთის ისტორიის საკითხები განხილულია ავტორთა კოლექტივის მიერ შედგენილ განმაზოგადებელ ნაშრომებში: "აფხაზეთის ასსრ ისტორიის ნარკვევები", ნაწ. I და "აფხაზეთის ისტორია"[54].

სიგგ. III, თბ., 1967; მისივე, ოდიშის სამთავროს რუკა არქანჯელო ლამბერტის მიხედვით,—"მაცნე", ისტორიის... სერია, 1971, №3; მისივე, ვახუშტი ბაგრატიონი და ოდიშის ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, — სიგგ, IV, თბ., 1971; თ. ბერაძე, გ. ცქიტიშვილი, იმერეთის სამეფოს პოლიტიკური სახლვრები, — სიგგ, IV; თ. ბერაძე, "ბაგარი" და "ულალი" განმარტებისათვის,—"მაცნე", ისტორიის... სერია, 1973, №1; მისივე, XVII საუკუნის პირველი ნახევრის ოდიშის რუკა,—"ძველის მეგობარი", 1970, №21; მისივე, დასავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან,—"მაცნე", ისტორიის... სერია, 1982, №1; მისივე, Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, Тб., 1989.

[51] ქ. ჩხატარაიშვილი, საქართველოს საგარეო ურთიერთობათა ისტორიიდან (XVIII ს. პირველი მეოთხედი), — კრ.: საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, ტ.2, თბ., 1972; მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII სს., თბ., 1971; მისივე, საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები (XIV-XVIII სს.), თბ., 1990; ვ. ჩოჩიევი, იმერეთის სამეფოს და ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVII საუკუნის მეორე ნახევარში, — თსუ შრომები, 250, აღმოსავლეთმცოდნეობა, თბ., 1985.

[52] С. Т. Званба, Этнографические этюды, Сухуми, 1955; მისივე, Абхазские этнографические этюды, Сухуми, 1982; Н. Джанашия, Статьи по этнографии Абхазии, Сухуми, 1960; Д. Гулия, История Абхазии, - Собрание сочинений, т.6, Сухуми, 1986; Г. Ф. Чурсин, Материалы по этнографии Абхазии, Сухуми, 1957; И.Аджиджал, Из этнографии Абхазии, Сухуми, 1969; Ш. Д. Инал-Ипа, Абхазы. Историко-этнографические очерки, Сухуми, 1965; მისივე, Страницы исторической этнографии абхазов, Сухуми, 1971; მისივე, Вопросы этно-культурной истории абхазов, Сухуми, 1976; მისივე, Абхазо-кабардинские этнографические параллели,-Вопросы кавказской филологии и истории, Нальчик, 1982; Л.Н. Лавров, Историко-этнографические очерки Кавказа, Л., 1978; მისივე, Этнография Кавказа, Л., 1982; გ. ანჩაბაძე, ეკლესია ჩვენების ცნობები აფხაზური და ამბური ტომების შესახებ, — "ისტორია ,რებული", VI, თბ. 1976.

[53] ნ. ბერძენიშვილი, საქართველო XVIII საუკუნეში, — საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. II, თბ., 1965; მისივე, საქართველო XIX ს. პირველ მეოთხედში, იქვე; მ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველი ნახევარში, თბ., 1957; Г.А. Дзидзария, Народное хозяйство и социальный строй дореформенной Абхазии, -Труды, I, Сухуми, 1988; მისივე, Присоединение Абхазии к России, იქვე.

[54] Очерки истории Абхазской АССР, ч. I, Сухуми,1960; З.В. Анчабадзе, Г.А. Дзидзария, А.Э. Куправа, История Абхазии, Сухуми, 1986.

თავი I

ოლიში და აფხაზეთი XII-XV საუკუნეებში

საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქია საერისთავოებად იყო დაყოფილი. XII ს. 80-იან წლებში საქართველოს შავიზღვისპირეთში არსებობდა ოდიშის, ცხუმის, აფხაზეთის საერისთავოები, რასაც მოწმობს თანადროული წერილობითი წყაროები. საისტორიო თხზულებაში "ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", დაცულია თამარ მეფის დროინდელი ერისთავების სია, თუმცა თხზულების ეს ადგილი საკმაოდ დაზიანებულია და ტექსტის აღდგენა ჭირს: "და ეთევნი მის ჟამისანი ესენი იყუნეს ბარამ ვარდანის ძე სვიანთა თავი კახთა თავად ეოთლოდ შარვაშეს ძე ცხუმის ეთვად ამონის ძე დოდიბის ერისთავად ბედიანი"[1].

"ქართლის ცხოვრების" ვახტანგ მეფისეულ რედაქციაშიც თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულების ამ ადგილის წაკითხვა ბოლომდე გარკვეული არ არის: "და ერისთავნი მის ჟამისანი ესენი იყუნეს. ბარამ ვარდანის ძე სვანთა ერისთავი, კახაბერი კახაბერის ძე, რაჭის ერისთავი. დოთალოს შარვაშის ძე, ცხუმის ერისთავად. ამუნელისა ძე. და ოდიშის ერისთავად, ბედიანი..."[2]. ვახუშტი ბატონიშვილს, ამ თხზულების ალბათ დღემდე ვერმოღწეული ნუსხის მიხედვით, ეს ადგილი ასე აქვს მოცემული: "და ერისთავნი [illegible]ესენი: ბარამ ვარდანისძე სუანთა; კახაბერი კახაბერისძე რაჭისა; დოღალო შარვაშისძე აფხაზთა, ამუნელისძე ცხუმისა; ბედიელი ოდიშისა"[3]. მ. ბროსე თხზულების ამ ადგილს ვახუშტის მიხედვით აღადგენს, მხოლოდ ბედიელის ნაცვლად ბედიანის ხმარობს[4]. განსხვავებულად აღადგინა დაზიანებული ტექსტი კ. კეკელიძემ[5], რაც შემდეგ "ქართლის ცხოვრების" გამოცემისას გაითვალა ს. ყაუხჩიშვილმა: "და ერისთავნი მის ჟამისანი ესენი იყუნეს: ბარამ ვარდანის-ძე — სუანთა ერისთავი, კახაბერი [illegible]ბერის-ძე — რაჭისა და თაკვერის ერისთავად, და ოთალო შარვაშის-ძე ცხუმის ერისთავად, ამანელის-ძე — არგუეთის ერისთავად, და ოდიშის ერისთავად ბედიანი"[6].

---

[1] ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, ე. თაყაიშვილის რედაქციით, ტფ., 1906, გვ. 410-411.

[2] ქართლის ცხოვრება დასაბამითგან მეთოცხრამეტე საუკუნემდის, ნაწ. I, ძველი მოთხრობა, 1469 წლამდის ქრისტეს აქეთ, სანკტპეტერბურღს, 1849, გვ. 283.

[3] ვახუშტი, აღწერა..., გვ. 172.

[4] მ. ბროსე, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, გვ. 163.

[5] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი (ცდა ტექსტის აღდგენისა), აკად. კორნ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1941, გვ. 79.

[6] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, — "ქართლის ცხოვრება", ტ. II, გვ. 33-34.

ტექსტის აღდგენის ეს ვარიანტი გაიზიარა ზ. ანჩაბაძემაც და მიიჩნია, რომ ცხუმის საერისთავოში გაერთიანდა "აფხაზთა" სამეფოს (ეგრის-აფხაზეთის სამეფო, VIII-X სს.) ორი საერისთავო — აფხაზეთისა და ცხუმის საერისთავოები. მკვლევარის აზრით, აფხაზეთის საერისთავო გაუქმდა და მისი ტერიტორია მიუერთდა ცხუმის საერისთავოს ეთნიკური პრინციპის გათვალისწინებით, რამდენადაც ორივე საერისთავო ძირითადად აფხაზებით იყო დასახლებული. ზ. ანჩაბაძის აზრით, ამის ერთ-ერთ არაპირდაპირ დადასტურებად შეიძლება ჩაითვალოს ის გარემოება, რომ თამარის მეფობის დროს ცხუმის საერისთავოს სათავეში იდგა შარვაშიძეთა საგვარეულო, რომელიც, როგორც ცნობილია, მოგვიანებით სათავეში ედგა აფხაზეთის სამთავროს[7].

"ისტორიანი და აზმანის" აღნიშნული ადგილის კ. კეკელიძისეული წაკითხვა არაფერით დასტურდება. აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ის, თუ რომელი საერისთავოს ერისთავია ამანელისძე. კ. კეკელიძემ ამანელისძე არგვეთის ერისთავად მიიჩნია გამორიცხვის წესით, მაგრამ ამ დროს არგვეთის საერისთავო საერთოდ არ არსებობდა[8].

თამარის პირველი ისტორიკოსი კიდევ ერთხელ იხსენიებს გვარსახელ ამანელისძეს. გიორგი III-ის (1156-1184) გარდაცვალების შემდეგ თამარის მეფედ კურთხევაზე იგი წერს: "სრულ ყვეს მოკელეთა სჯანთა და დიდებულთა ვარდანის-ძეთა, საღირის-ძეთა და ამანელის-ძეთა მოღება და დადება ქრმლისა[9].

ამანელისძენი, როგორც ჩანს, დას. საქართველოს დიდებულები იყვნენ. XIII ს. იხსენიება თამარ დედოფალი ემენელას ძის ასული, რომელიც დას. საქართველოს მეფის დავით ნარინის მეუღლე იყო[10]. ივ. ჯავახიშვილის აზრით, თამარ ემენელას ძის ასული "ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანში" მოხსენიებული ამანელისძეების გვარიდან უნდა იყოს[11].

XV ს. ერთ დოკუმენტში, თოფურიძეთა სასისხლო სიგელში, რომელიც 1428-1430 წწ. თარიღდება, მოიხსენიება გვარი "ამუნასკირი". სხვა პირებთან ერთად სიგელში დასახელებულნი არიან: "ულაშარ ამუნასკირი, არლუსაი შარვაშიძე, ალთუმიშარ ამჩაბაძე..."[12]. ნიშანდობლივია, ამუნასკირის შარვაშიძისა და ამჩაბაძის (ანჩაბაძე) გვერდით დასახელება. აკად. ნ. ბერძენიშვილი ამუნასკირს ამანელისძედ (ამანელაჲსძედ)

---

[7] История Абхазии, გვ. 50-51; З. В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии, გვ. 210; მისივე, Очерк этнической истории..., გვ. 54, 57.

[8] თ. ბერაძე, დასავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, გვ. 114.

[9] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 26-27.

[10] შეწირულების დაწერილი დავით ნარინის მეულლის თამარ დედოფლისა გელათისადმი (1260-1293 წწ.). — ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 75-76.

[11] ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, ტ. III, თბ., 1965, გვ. 52.

[12] ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ. II, გვ. 37.

მიიჩნევდა[13]. როგორც ჩანს, გვარის მაწარმოებელი ქართული "ძე" აქ მისი მეგრული შესატყვისით – "სკირით" არის შეცვლილი. ის ფაქტი, რომ გვარი ამანელისძე მეგრული ფორმით არის მოცემული, კიდევ ერთხელ ადასტურებს, თუნდაც არაპირდაპირ, რომ ის არგვეთის ერისთავი ვერ იქნებოდა, რადგან ცალკეულ კუთხეთა – საერისთავოთა მმართველებად ამ კუთხის წარმომადგენლები ინიშნებოდნენ, ხოლო შარვაშიძისა და ანჩაბაძის გვერდით მისი დასახელება ამ საგვარეულოს ცხუმ-აფხაზეთთან კავშირზე მეტყველებს.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ილ. ანთელავა ამანელისძეს ცხუმის ერისთავად მიიჩნევს და "ისტორიანი და აზმანის" სადავო ადგილს შემდეგნაირად აღადგენს: "და ერისთავნი მის ჟამისანი ესენი იყვნეს: ბარამ ვარდანის-ძე სუანთა ერისთავი; კახაბერი კახაბერის-ძე რაჭისა და თაკუერის ერისთავად; და აფხაზთა ერისთავად ოთაღო შარვაშის-ძე; ცხუმის ერისთავად ამანელის-ძე; და ოდიშის ერისთავად ბედიანი"[14].

თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულების ამგვარ გააზრებას და ცხუმის საერისთაოს აფხაზეთის საერისთაოსაგან დამოუკიდებლად არსებობას ადასტურებს ჟამთააღმწერლის თხზულების ერთი ადგილიც. ლაშა-გიორგის მეფობის პერიოდზე საუბრისას ჟამთააღმწერელი ერთგან წერს: გიორგი ლაშა "ნადირობდის ცხუმს და აფხაზეთს, და განაგნის საქმენი მანდაურნი"[15]. ამ ცნობის მიხედვით, ცხუმი და აფხაზეთი ცალ-ცალკე პოლიტიკური ერთეულები ჩანს. უფრო მოგვიანებითაც, ცხუმისა და აფხაზეთის საერისთაოები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად და ერთმანეთის გვერდით არსებობენ, ვიდრე ცხუმის საერისთაო ოდიშის საერისთავოს არ შეუერთდა XIV ს. 20-იან წლებში. ცხუმისა და აფხაზეთის საერისთავოთა ცალ-ცალკე არსებობა აშკარად მოწმობს, რომ ამ ორი საერისთავოს მოსახლეობა ეთნო-ტომობრივად ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩოები გვიანი შუასაუკუნეებითაა შემოსაზღვრული, აუცილებლად მიგვაჩნია, მოკლედ შევეხოთ აფხაზთა ეთნიკური ვინაობისა და შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მათი განსახლების საკითხს.

•

---

[13] ნ. ბერძენიშვილი, მასალები..., გვ. 363.

[14] ი. ანთელავა, "ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" ერთი ადგილის შესახებ. – "საისტორიო კრებული", VI, თბ., 1996, გვ. 27. ტექსტის ამგვარ წაკითხვას იზიარებს თ. ბერაძეც (იხ. თ. ბერაძე, დასავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, გვ. 114).

[15] ჟამთააღმწერელი. – "ქართლის ცხოვრება", ტ. II, გვ. 156.

ანტიკური წყაროების მონაცემების საფუძველზე აშკარაა, რომ ძვ. წ. VI-I სს. თანამედროვე აფხაზეთის მიწა-წყალი მოსახლეობა-ულია კოლხეთის სამეფოს შემადგენლობაში და ქართული მოდგმის ტომებითაა დასახლებული. ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ეთნიკური ვინაობის დასადგენად საინტერესოა ის ფაქტი, რომ ახ. წ. II ს. ავტორები ფლავიუს არიანე და კლავდიოს პტოლემაიოსი ნიკოფსიასთან (თანამედროვე ქ. ტუაფსეს მახლობლად) ასახელებენ გეოგრაფიულ პუნქტს — ლაზიკას. საგულისხმოა, რომ არიანე ამ პუნქტს "ძველ ლაზიკას" უწოდებს, რაც აქ უძველესი დროიდან კოლხურ-ლაზური მოსახლეობის არსებობის უტყუარი მოწმობაა[16]. ქართული საისტორიო ტრადიციით, ლიხის მთიდან მდინარემდე "მცირისა ხაზარეთისა, სადა წარსწუთების წუერი კავკასიისა", ე.ი. კავკასიონის ქედის უკიდურეს დასავლეთ კალთებამდე, რომლებიც სწორედ ძველ ნიკოფსიასთან ეშეებიან, ეგრისის წილია[17], რაც ყრუ გამოძახილი უნდა იყოს იმ ფაქტისა, რომ გარკვეულ ხანამდე ძველი ეგრისის (ბერძნ. წყაროების კოლხეთი) სამფლობელო შორს ვრცელდებოდა ჩრდილო-დასავლეთით.

მიჩნეულია, რომ დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე აფსახეთა განსახლებას წინ უსწრებდა ქართველური მოსახლეობის არსებობა სვანებისა და მეგრელ-ჭანების სახით[18]. ქართველური ტომების ჩრდილო-დასავლეთით, წყაროებით დასტურდება ადიღეური (ჩერქეზული) ტომების განსახლება. ეჭვბრივი მონაცემებიც ადასტურებენ სვანურ-მეგრული და ადიღეური ტომების მეზობლობას და ინტენსიურ კონტაქტებს ადრეულ ხანაში[19].

ახ. წ. პირველი საუკუნეებიდან შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს ამ სექტორში არსებული ეთნო-პოლიტიკური ვითარება იცვლება. I-II სს. ანტიკურ წყაროებში (პლინიუს სეკუნდი, ფლავიუს

---

[16] იხ. ა. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე. გვ. 131 და შემდეგ; Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959; ბასიეგ, Колхида в VI-IV вв. до н. э. - Очерки истории Грузии, т. I, Тб., 1989; მ. ინაძე, ანტიკური ხანის შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობის საკითხისათვის, — საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სახ. მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 2, 1960, გვ. 145-162; მისივე, ძველი აფხაზეთის ეთნო-პოლიტიკური ისტორიის საკითხები, — "მაცნე", ისტორიის... სერია, 1992, №2, გვ. 46; დ. მუსხელიშვილი საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბ, 1977, გვ. 46; შდრ. Ш. Д. Инал-Ипа, Абхазы, გვ. 90-92; З. В. Анчабадзе, Очерк этнической истории..., გვ. 26-33.

[17] ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, — "ქართლის ცხოვრება", ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 5.

[18] სვანასა, თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი, - შრომები, III, თბ., 1959, გვ. 15.

[19] მ. ინაძე, ძველი აფხაზეთის..., - "მაცნე", №1, გვ. 15.

არიანე) დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე პირველად იხსენიებიან "აფსილები" და "აბაზგები", რომლებიც აფხაზთა წინაპრებად არიან მიჩნეული, და ქვეყნები "აფსილია" და "აბაზგია"[20]. ბერძნული წყაროების "აფსილია" და "აბაზგია" სახელების ქართულ შუასაუკუნოვან წყაროებში ("ქართლის ცხოვრება", ჯუანშერი) "აფშილეთი" და "აფხაზეთი" შეესატყვისება. მკვლევართა ნაწილი მათ აფხაზურ-ადიღეურ ტომებად მიიჩნევს, ნაწილი კი მათ ქართველურ ტომებად თვლის. რამდენადაც "აფსილები" და "აბაზგები" ანტიკურ წყაროებში ერთიმეორის გვერდიგვერდ იხსენიებიან, საფიქრებელია, რომ ისინი განსხვავებულ ეთნოენობრივ ერთეულებს წარმოდგენდნენ[21].

I-II სს. დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე აფსილთა და აბაზგთა სამთავროების წარმოშობის წინა ხანებში ჩრდ. კავკასიის ველებზე, ვრცელ ტერიტორიაზე შავი და აზოვის ზღვებიდან კასპიის ზღვამდე, ცხოვრობდნენ მრავალრიცხოვანი ტომები, რომელთაც ძველი ბერძენი და რომაელი მწერლები "სკვითებსა" და "სარმატებს" ეძახდნენ. "სკვითი" და "სარმატი" არ აღნიშნავს ტომობრივად ერთგვაროვან მოსახლეობას. ძვ. წ. I ათასწლეულში ჩრდ. კავკასიაში მცხოვრებ სკვითსარმატებში, გარდა ირანულენოვანი ტომებისა, კავკასიურ ენებზე მოლაპარაკე აფხაზურ-ადიღეური (დასავლეთით), ბაცბურ-ქისტური (ცენტრალურ ნაწილში) და დაღესტნური (აღმოსავლეთით) ტომებიც იგულისხმება[22]. სკვითურ-სარმატული ტომები შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროდან, ე.წ. მეოტიდა-კოლხეთის გზით, კასპიის ზღვის დასავლეთი სანაპიროდან და კავკასიონის მთავარი ქედის უღელტეხილებით დროდადრო იჭრებოდნენ ამიერკავკასიასა და წინა აზიაში. მათ ლაშქრობებში ადგილობრივი, კავკასიური ტომებიც მონაწილეობდნენ[23].

კოლხეთის ადგილობრივი სახელმწიფოებრიობის დაცემის (ძვ. წ. I ს.) შემდეგ იქმნება მეტად არამყარი სიტუაცია. ადგილი აქვს მოიელთა ბარზე მოწოლის ინტენსიურ პროცესს. კოლხეთის დაბლობ ნაწილში და შავიზღვისპირეთში იჭრებიან მთის ტომები, ჩრდ. კავკასიის ველებიდან

---

[20] Гай Плиний Секунд, Естественная история, VI, 12, 178-179, იხ. В.В. Латышев, Известия древных писателей о Скифии и Кавказе, ч.II, ВДИ, 1949, N2, გვ. 290-291; ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, ქართული თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნათელა კეჭაღმაძისა, თბ., 1961, გვ. 42-45.

[21] თ. გამყრელიძე, ძველი კოლხეთის სატომო სახელთა ისტორიიდან, კრ. საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ., 1993, გვ. 582; შდრ. История Абхазии, გვ. 36-38.

[22] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950, გვ. 248-250; Г. А. Меликишвили, Скифо-киммерийские вторжения. Разгром южно-колхидского царства,-Очерки истории Грузии, т. I, გვ. 210.

[23] Г.А. Меликишвили, იქვე, გვ. 211; მისივე, Колхида в VI-IV вв. до н.э., გვ. 337.

შავიზღვისპირეთში იჭრებიან ახალი მასები, რაც თავის მხრივ იწვევდა აქ მცხოვრებ ტომთა გადაადგილებებს. ძვ. წ. I ს. შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე, მდ. აქეუნტსა (შახე) და მდ. ნიკოფსიას (ნეჩეფსუხო) შორის მკვიდრდებიან ჯიქები, რომლებიც ადრე ჩრდ. კავკასიაში მოსახლეობდნენ[24]. ჯიქები რომ არ არიან შავიზღვისპირეთის მკვიდრნი, არამედ შემდეგ გადმოსულან აქ, ირკვევა არა მხოლოდ ანტიკური წყაროების მიხედვით, არამედ ქართული წყაროებითაც. "ქართლის ცხოვრებაში" დაცულია ცნობა მათი შავიზღვისპირეთში ჩამოსახლების შესახებ, რაც რომელიღაც თურქული ტომის მოწოლით მომხდარა: "... შემდგომად ჟამთა მრავალთა იოტნეს პაჭანიკნი და ჯიქნი თურქთაგან, და წარვიდეს პაჭანიკნი დასავლით-კერძო, ხოლო ჯიქნი დამკჳდრნეს ბოლოსა აფხაზეთისასა"[25].

ჯიქები ერთ-ერთი აბაზური ტომია[26], მაგრამ ძველი ქართული წყაროები ამ სახელწოდებით იცნობენ, როგორც საკუთრივ ჯიქებს, ასევე საერთოდ აბაზებს[27]. ისინი ვერ აფიქსირებენ მრავალრიცხოვან აბაზურ ტომებს და მათ ჯიქების სახელით აერთიანებენ.

კავკასოლოგიაში აბაზების წარმოშობის შესახებ ძირითადად ორი მოსაზრება არსებობს. ერთნი (ს. ბასარია, ა. გენკო, ქ. ლომთათიძე, ხ. ბლაჟა, ზ. ანჩაბაძე და სხვ.) თვლიან, რომ აბაზები წარმოადგენენ აფხაზების ნაწილს, რომლებიც შავიზღვისპირეთიდან ჩრდ. კავკასიაში გადასახლდნენ[28]; მეორე მოსაზრებით (ლ. ლავროვი) აბაზების წინაპრები აბაზგები არიან[29].

საინტერესო იქნება გავეცნოთ "აფხაზ", "აბაზგ", "აბაზა" ტერმინების ეტიმოლოგიას მათი ურთიერთმიმართების გარკვევის თვალსაზრისით[30].

აფხაზების თვითსახელწოდება არის "აფსუა", ხოლო აფხაზეთს ისინი "აფსნ"-ს უწოდებენ, რასაც ხშირად პოეტურად ხსნიან და აფხაზურ სიტყვას "აფს" (სული) უკავშირებენ. აქედან გამომდინარე, "აფსნ" ნიშნავს "სულის ქვეყანას", ხოლო "აფსუა" — "სულის ადამიანს", გულისხმიერ ადამიანს. აკად. ს. ჯანაშიამ საკვლევით სწორად შენიშნა, რომ აფსუასა და აფსნის ასეთი ეტიმოლოგია სათანადო ფუძეების შემთხვევითი

---

[24] ა. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 125; მ. ინაძე, ანტიკური ხანის..., გვ. 160; Г.А. Меликишвили, Население юго-восточного причерноморья в III-I вв. до н.э. - Очерки истории Грузии, т. I, გვ. 284.

[25] ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა,-"ქართლის ცხოვრება", ტ. I, გვ. 156-157.

[26] Абазины, историко-этнографический очерк, ред. Л. И. Лавров, Черкесск, 1989, გვ.16.

[27] Л. И. Лавров, Историко-этнографические очерки Кавказа, გვ. 41-47; მისივე, Этнография Кавказа, გვ. 69.

[28] იხ. Абазины, გვ. 10.

[29] იქვე.

[30] დაწვრილებით ამის შესახებ, იხ. კრ. საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ., 1993.

გარეგნული მსგავსების ნიადაგზეა აღმოცენებული და რეალური საფუძველი არ გააჩნია[31].

მიჩნეულია, რომ აბაზგები და აფსილები წარმოადგენენ უახლოეს მონათესავე ეთნიკურ ჯგუფებს. ეთნონიმი "აფხაზი" მომდინარეობს ბერძნული "აბაზგ" ტერმინიდან, აფხაზთა თვითსახელწოდება "აფსუა" კი "აფსილ" ეთნონიმიდან. აბაზგებისა და აფსილების ეთნიკური კონსოლიდაციის შედეგად, საშხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით უფრო ძლიერი ტომის სახელი აბაზგი (აფხაზი) გავრცელდა აფსილებზე, ხოლო კულტურულად უფრო განვითარებული ტომის, აფსილების სახელი აფხაზთა თვითსახელწოდებად იქცა "აფსუა" ფორმით[32].

"აფხაზ" ეთნონიმის ბერძნული "აბაზგ" ტერმინიდან წარმოშობა სამართლიან ეჭვს იწვევს, როგორც ლინგვისტური, ისე ისტორიული თვალსაზრისით. ძნელი წარმოსადგენია ქართველებს აფხაზების სახელი ბერძნებისაგან შეეთვისებინოთ[33]. აკად. ქ. ლომთათიძის აზრით, ბერძნ. "აბასკ" ფორმისათვის ამოსავალია "აბაზქ" სახელი; ნ. მარისა და ს. ყაუხჩიშვილის აზრით, "აბაზგ" — "აფხაზ" სახელისათვის ამოსავალია "აბაზხ" ფორმა. მსგავსი შეხედულება აქვს აღნიშნულ საკითხზე ოტ. კახაძესაც. მისი აზრით, ქართ. აბხაზის (აფხაზი) და მეგრ. აბხაზას (აფხაზა) ამოსავალი ფორმა უნდა იყოს აბაზახა, რომელსაც ადიღეურ (ჩერქ. ყაბარდ.) ენობრივ სამყაროსთან მივყავართ[34]. ს. ჯანაშიას მიხედვით, აბაძახები (აბაძეხები ანუ აბძახები) ჩერქეზული ტომი იყო. სახელწოდებებს "აბძახ" და "აბაზახა" ყაბარდოელები გამოთქვამდნენ, როგორც "აბაზახა"[35]. განსხვავებული მოსაზრება აქვს აღნიშნულ საკითხზე აკად. თ. გამყრელიძეს. მისი აზრით, ბერძნ. "აბაზგ" ფორმა მომდინარეობს ქართ. "აფხაზ" ეთნონიმიდან (აფხაზ//აბხაზ → ბერძნ. აბაზგ//აბაზღ) და მის ფონეტიკურ სახეცვლილებას წარმოადგენს. იგი არავითარ კავშირში არ არის, ერთი შეხედვით, მის მსგავს "აბაზა"

---

[31] ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალი..., გვ. 68.

[32] История Абхазии, გვ. 28; Д. Гулиа, История Абхазии, გვ. 68; Э. В. Дзачбадзе, История и культура древней Абхазии, М., 1964, გვ. 176–179; მისივე, Из истории средневековой Абхазии, გვ. 66, 69; მისივე, Очерк этнической истории..., გვ. 36; Ш. Д. Инал-Ипа, Вопросы этно-культурной истории абхазов, გვ. 252. Х. С. Бгажба, Об абхазских племенах и диалектах, გვ. 112-117.

[33] ბ. ფიფია, აფხაზეთის ტოპონიმიკის საკითხის გამო, – ვაჟ. "ახალგაზრდა ენთუზიასტი", 1940, 5 ივლისი, №27.

[34] ქ. ლომთათიძე, აფხაზური ენის ტერმინი [illegible], თბ., 1944; [illegible] Марр, История термина "Абхаз", კრ.: О языке и истории абхазов, М.,- Л., 1938; ს. ყაუხჩიშვილი, "ბიბლიო მეგრულის" გარეშე, წერილი მეორე, - "ენათმეცნ.", 1957 წ. №2, გვ. 134; ოტ. კახაძე, აფხაზ/აფხაზა -... ფუძის თანხმზე.- კრ.: საქართველოსა და ჩრდილოეთის– გვ. 551-561.

[35] ს. ჯანაშია, სარეცენზიო მასალა, - შრომები, VI, გვ. 227-228.

სახელთან, რომელიც დასაბამს აძლევს აფხაზთა თვითსახელწოდებას — "აფსუა", საკუთრივ "აფხაზ"//"აბაზგ"-ში დასავლურქართული ტომი უნდა დავინახოთ[36].

აბაზგ-აფხაზთა ქართული წარმომავლობის თვალსაზრისს გარკვეულ დაბრკოლებას უქმნის მკვლევართა მიერ არაერთგზის აღნიშნული ბერძნ. "აბაზგ" ტერმინის კავშირი აბაზა ("აბაზახა"-"აბზახა") ეთნონიმთან. ამ კრებით სახელს უწოდებდნენ ადიღეელები მათ სამხრეთით, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მთის ხეობებში მცხოვრებ მრავალრიცხოვან აბაზურ ტომებს[37]. ძველი ბერძნები აბაზებს აბაზგებს ეძახდნენ[38]. საგულისხმოა, რომ აბაზგების გამოჩენა თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ქრონოლოგიურად თანხვდება აბაზა (აბაძეხი, აბაზეხი) ტომების გააქტიურებას ჩრდ. კავკასიაში, საიდანაც ხდება მათი ეთნიკური მასების ჩამოწოლა ძველი და ახალი ერის მიჯნაზე აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში და დას. კავკასიონის სამხრეთ კალთებისა და ხეობების დაკავება[39]. ამიტომ, საფიქრებელია, რომ სწორედ აბაზურ-ადიღეური სამყაროდან ვრცელდება აბასკ-აბაზგი ბერძნ. მწერლობაში. აბზახა, აბაზახადან იქნა მიღებული მეგრ. აბხაზაც (აფხაზა), სახელწოდება "აფხაზი" კი აღმოსავლურქართულ მეტყველებაში და საისტორიო მწერლობაში, საფიქრებელია რომ ზანურიდანაა შესული[40]. მოგვიანებით, ეთნიკური სახელისაგან "აფხაზი", წარმოიშვა გეოგრაფიული სახელი "აფხაზეთი". რაც შეეხება ეთნონიმს "აფსუა", იგი "აბაზას" ფონეტიკური სახეცვლილებაა[41] და არავითარ კავშირში არ არის ერთი შეხედვით, მის მსგავს "აფსილ" (აფშილ) სახელთან, რომელშიც დასავლურქართული ტომი უნდა დავინახოთ.

---

[36] თ. გამყრელიძე, ძველი კოლხეთის ..., გვ. 584-585. "აფხაზ" ეთნონიმს ქართული ფუძიდან მომდინარედ მიიჩნევენ და მესხების ტომთან აკავშირებენ ნ. მარი (იხ. История термина "Абхаз", გვ. 44-52) და პ. ინგოროყვა (იხ. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 137-139).

[37] А.Н. Генко, Абазинский язык, М., 1955, გვ. 7.

[38] ს. ჯანაშია, გერმანული ei დიფთონგის გადმოცემის საკითხისათვის ქართულში, - შრომები, III, გვ. 300; გ. ფიფია, აფხაზეთის ტოპონიმიკის საკითხის გამო, იქვე.

[39] მ. ინაძე, ძველი აფხაზეთის..., — "მაცნე," №2, გვ. 63.

[40] ოტ. კახაძე, აფხაზ-/აფხაზა - ... ფუძის თაობაზე, გვ. 556-562; მ. ინაძე, იქვე, გვ. 65.

[41] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. II, გვ. 51-53; M. Klaproth, Voyage au mont Caucase et en Georgie, t. I, Paris, 1823, p. 201; Л. Люлье, Общий взгляд...,გვ. 184. ამ ავტორების მიხედვით, აბაზების თვითსახელწოდებაა აბსნე (აფსნე, აფსუა), თათრები და ჩერქეზები მათ აბაზას უწოდებენ, ხოლო ქართველები — აფხაზებს. მოგვიანებით, ცნობილი კავკასოლოგი პ. უსლარიც იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ეთნონიმ აბაზას ფონეტიკური სახეცვლილებებია: აბაძე, აბსნე, აბაზგ, აფხაზ, ობეზი და სხვ. იხ. П.К. Услар, Этнография Кавказа. Языкознание, 1. Абхазский язык, გვ. 78-79; Ш.Д. Инал-Ипа, Абхазы, გვ. 360. თ. გამყრელიძე და თ. გეგანცელაძე "აბაზა" და "აფსუა" ეთნონიმებს ერთი ფუძიდან მომდინარედ მიიჩნევენ, იხ. თ. გამყრელიძე, იქვე, გვ. 586-587; თ. გეგანცელაძე, კვლავ ეთნონიმ "აფხაზისა" და მასთან დაკავშირებულ ფუძეთა შესახებ, - კრ.: საქართველოსა და ქართველების..., გვ. 571-577.

წარსულში აფხაზები და აბაზები ქმნიდნენ ერთ ეთნიკურ ჯგუფს[42]. აბაზური ენა აფხაზურ ენასთან ერთად ქმნის ერთ ენობრივ ერთეულს და მათ შორის მხოლოდ დიალექტური განსხვავებაა[43]. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი ფაქტი. მ. ინაძემ ყურადღება მიაქცია პლინიუსის ცნობას, რომ ახ.წ. I ს., როცა ის შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე აბაზგებს ჯერ კიდევ არ იხსენიებს, აზოვისა და კასპიის ზღვების შორის, ამ უკანასკნელთან ახლოს, ცხოვრობდა სკვითების "აბზოე" ტომი. მანვე აღნიშნა, რომ პლინიუსის ცნობაში ზოგი გეოგრაფიული კორექტივის შეტანის (მათი უფრო დასავლეთით ლოკალიზაციის შესახებ) შემთხვევაში შეიძლება გამოითქვას ვარაუდი ამ ტერმინსა და ეთნონიმ აბაზას შორის გარკვეული კავშირის არსებობის შესახებ[44]. საგულისხმოა, რომ პლინიუსი ჩრდ. კავკასიაში ასახელებს სკვითურ ტომებს "ავხეთებს", რომლებიც აქ შემოიჭრნენ, გაანადგურეს ადგილობრივი მოსახლეობა და მდ. ყუბანის სათავეებში დამკვიდრდნენ[45]. XVIII ს. რუსი ისტორიკოსი ვ. ნ. ტატიშევი თვლის, რომ ავხეთი აფხაზეთია და პლინიუსი ცდება, როდესაც მდ. ჰიპანს (ყუბანი) იქ ათავსებს[46]. ცნობილი ანთროპოლოგი ე. შანტრიც აფხაზებს სკვითურ სამყაროსთან აკავშირებს. "აფხაზები, ყაბარდოელები და ზოგიერთი სხვა ტომი სინამდვილეში წარმოიშვნენ ძველი ავტორებისა მომთაბარე სკვითებისაგან"[47], - წერს ე. შანტრი.

საფიქრებელია, რომ იმ "სკვითური" სტიქიის შემადგენლობაში, რომელიც კავკასიის შავიზღვისპირეთში შემოიჭრა და დამკვიდრდა ძველი და ახალი ერის მიჯნაზე, აფხაზ-აბაზათა წინაპრებიც იყვნენ. რამდენადაც აბაზგები უფრო ადრინდელ წყაროებში არ იხსენიებიან, უნდა მივიჩნიოთ, რომ ისინი სწორედ I-II სს. მკვიდრდებიან დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე და მათი აქ გამოჩენა კოლხეთის ადგილობრივი სა-

---

[42] А.Н. Генко, Абазинский язык, გვ.9; Х.С. Бгажба, Об абхазских племенах и диалектах, გვ. 117-118; З.В. Анчабадзе, Очерк этнической истории..., გვ. 59-60. ტერმინი "აბაზა" XIX საუკუნემდე იხმარებოდა ჩრდილოეთ კავკასიის აბაზური ტომებისა და აფხაზთა საერთო სახელად, ხოლო XIX ს. შემდეგ იგი საკუთრივ ჩრდილოეთ კავკასიელ აბაზებს აღნიშნავს.

[43] К.В. Ломтатидзе, Абхазский язык, წგნ.: Языки народов СССР, т. 4. М., 1967, გვ.123.

[44] Плиний, Естественная история, VI, 39,-В. В. Латышев, Известия древних писателей..., ч. II, გვ. 302; მ. ინაძე, ანტიკური ხანის..., გვ. 162 (ციტ.); ბასილ ძველი აფხაზეთის... - "მაცნე", №2, გვ. 58. მ. ალექსიძე ნ. ფოფხაძე "აბზოეს" კოლხეთიდან, რომელიც "აბსუა" და მათ აფხაზთა წინაპრებად მიიჩნევს, იხ. ნ. ფოფხაძე, შავ ზღვის კოლხეთის ზღვა ერქა, - გაზ. "ახალგაზრდა ეფერული", 1990 წ. 14 ივლისი, №79; ბასილ. პლინიუსის ცნობა აბზუა ხალხის შესახებ, - გაზ. "ეროვნული ალიანსი", 1993 წ. №5.

[45] Плиний, Естественная история, IV, 88, VI, 22, -В. В. Латышев, Известия древних писателей ..., ч. II, გვ. 282-283, 296.

[46] В.Н. Татищев, История Российская, 1, М., -Л., 1962, გვ.171.

[47] A. Chantre, Recherches antropologiques dans le Caucase, t. III, Paris-Lion, 1887, p. 131.

ხელმწიფეობრივობის ღაცვის უკავშირდება[48].

ახ. წ. II ს. შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთი სანაპირო სებასტოპოლიდან (სოხუმი) მდ. აქეუსტამდე (შახე) სანიგია ეთნო-პოლიტიკური გაერთიანების სამეფლობელოს წარმოადგენს[49]. სანიგები ქართველური ტომია — ზანები (მეგრელ - ჭანები)[50]. მათ სამხრეთ-აღმოსავლეთით აფშილეთი ესაზღვრებოდა. აფშილებს I-II სს. მდ. კოდორის ხეობა ეჭირათ. ჩრდილო-აღმოსავლეთით მათ სვანური ტომები — მესიმიანები ესაზღვრებოდნენ, დასავლეთით — სანიგები. აფშილების საზღვარი სანიგებთან ცხუმ-სებასტოპოლთან, მდ. კელასურზე (კლისურა) გადიოდა. შავი ზღვის სანაპიროზე მათ ვიწრო ზოლი ეჭირათ მდ. კელასურიდან მდ. ეგრისწყლამდე. ეს უკანასკნელი, აფშილეთს ეგრისის (ლაზიკე) სამეფოსაგან ყოფდა[51]. არიანეს დროს (ახ. წ. II ს.) აბაზგები არ იყვნენ დაკავებული შავი ზღვის სანაპიროზე. ისინი ამ დროს მთაში მოსახლეობდნენ, საფიქრებელია, მაგრამ თანამოსახელე მდინარის — აბასკოსის (მზიმთა) ზეგო წელში[52].

IV ს.-დან ძლიერდება ეგრისის (ლაზიკე) სამეფო, რომელიც ბიზანტიის მხარდაჭერით აფართოებს საზღვრებს, იერთებს აფშილეთს, მესიმიანეთს, აბაზგიას, სანიგეთს და მისი საზღვარი VI ს. უკვე ჯიქეთთან გადის. ამ ეთნო-პოლიტიკურ ერთეულთა ხელისუფალნი ეგრისის მეფეს ემორჩილებოდნენ. V ს.-დან ეგრისის სამეფო თანდათან სუსტდება. ამ პერიოდში სანიგების მიწა-წყალს, შავი ზღვის სანაპირო ტერიტორიას აბასკოსიდან ამეამინდელ ახალ ათონამდე აბაზგები

---

[48] Г. А. Меликишвили, К истории..., გვ. 365; მისივე, Население исторической Колхиды в первые века н.э. Возникновение и укрепление Лазского царства, - Очерки истории Грузии, Т. 1, გვ. 326; მ. ინაძე, ანტიკური ხანის..., გვ. 162; მისივე, ძველი აფხაზეთის ..., - "მაცნე", № 2, გვ. 58.

[49] ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, გვ. 43, 52; მ. ინაძე, ძველი აფხაზეთის..., იქვე, გვ. 45.

[50] ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალი..., გვ. 9-11; ჯ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 135; მ. ინაძე, ანტიკური ხანის..., გვ. 150 და შემდ. შდრ. მისივე, ძველი აფხაზეთის..., იქვე, გვ. 46.

[51] დ. ლეთოდიანი, აფხაზეთის, აფშილეთის და სანიგეთის პოლიტიკური დამოკიდებულება ეგრისთან (ლაზიკესთან) IV-VIII სს.-ში, თბ., 1991, გვ. 189-190; მ. ინაძე, ძველი აფხაზეთის ..., იქვე, გვ. 50. ქრონიკული წყაროები: მოქცევაჲ ქართლისაჲ, ლეონტი მროველი, ჯუანშერი, — ეგრისის ჩრდილო-დასავლეთ საზღვრად დასახელებით მიუთითებენ მდ. ეგრისწყალს, რომელიც სავსებით სამართლიანადაა გაიგივებული მდ. ღალიძგასთან. ნიშანდობლივია, რომ "ღალიძგა" მეგრულად ნიშნავს ღელე კიდისა, მდინარე საზღვრისა, მიჯნის წყალს (ჯ. ინგოროყვა, იქვე, გვ. 128). საფიქრებელია, რომ ამ სასაზღვრო მდინარეს ასე ეწოდებოდა მაშინაც — "ღალიძგა", ხოლო "ეგრისწყალი" მისი ლიტერატურული ფორმა უნდა იყოს.

[52] იხ. ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, ნ. კეჭაღმაძის კომენტარი, გვ. 23, იქვე რეკა, გვ. 62; ჯ. ინგოროყვა, იქვე, გვ. 137; მ. ინაძე, ანტიკური ხანის..., გვ. 157-158; მისივე, ძველი აფხაზეთის.., იქვე, გვ. 57; დ. ლეთოდიანი, იქვე, გვ. 104.

დაეუფლნენ, რომლებიც ამ ტერიტორიის ჩრდილოეთით ცხოვრობდნენ მთებში. სანიგები Vს. მხოლოდ აბასკოსიდან აქეუნტამდე ტერიტორიაზე ჩანან. მოგვიანებით, VI ს. 40-50-იან წლებში აბაზგა სანიგეთის დანარჩენ მიწა-წყლისაც იერთებს, და ამ ტერიტორიაზე ეწოდება ტერმინი "აბაზგა"[53]. ამ დროიდან ეთნონიმი "სანიგი" ისტორიის არენიდან ქრება. როგორც ჩანს, სანიგები თანდათან შეერწყნენ აბაზგებს. მართალია, XII ს. "ისტორიანი და აზმანში" კიდევ ერთხელ იხსენიებიან სანიგები, მაგრამ, როგორც ფიქრობენ, ეს მაშინ ცოცხალი ტერმინი არ არის, მწიგნობრული ტერმინი ჩანს[54]. იმავდროულად, აფშილები იერთებენ სანიგთა მიწა-წყლს მდ. კელასურიდან აბაზგთა სასაზღვრო ციხე ანაკოფამდე (ახალი ათონი)[55].

VI ს. მეორე ნახევარში ეგრისის სამეფოს გამოეყო აბაზგია, რომელიც უშუალოდ ბიზანტიის იმპერიას დაექვემდებარა. აბაზგიის მთავრები (არქონტები) იმპერატორის ვასალები გახდნენ. მალე ბიზანტიელებმა ეგრისში მეფობაც გააუქმეს და ეგრისის მეფის ხელისუფლება ეგრისის პატრიკიოსის ხელისუფლებით შეცვალეს. ეგრისის დასუსტებასთან ერთად ძლიერდება აბაზგია. VI ს. მიწურულს აბაზგთა მთავრები თავიანთ ხელისუფლებას ავრცელებენ აღმოსავლეთით სებასტოპოლამდე, უფრო სწორად, მდ. კელასურამდე. ამ დროიდან, ტერიტორია მდ. კელასურიდან ჯიქების საზღვრამდე (მდ. აქეუნტა), და ჩრდილოეთით კავკასიონის მთებამდე, იწოდა აბაზგიად (აფხაზეთი), რომლის ადმინისტრაციული ცენტრიც გახდა ანაკოფია[56]. ქართული წყაროები ამ პოლიტიკურ ერთეულს, სრულიად გასაგები მიზეზების გამო, საბერძნეთის სახელწოდებით იხსენიებენ (უფრო ზუსტად, ამ მიწა-წყალს საბერძნეთის ტერიტორიად მიიჩნევენ), ხოლო მის ხელისუფალს "კეისრის ერისთავს" უწოდებენ [57] .

ბიზანტიის მხარდაჭერა აბაზგიისადმი ეგრისის წინააღმდეგ იყო მიმართული. ამ გზით იგი ცდილობდა, ერთი მხრივ, ეგრისის სამეფოს დასუსტებას, მეორე მხრივ კი, აბაზგიისა და აფშილეთის ტერიტორიაზე გამავალ ნრდ. კავკასიასთან დამაკავშირებელ გზებსა და უღელტეხილებზე კონტროლის დაწესებას[58].

---

[53] З. В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии, გვ. 30; ნ. ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ, 1968, გვ. 67-76; მ. ინაძე, ანტიკური ხანის..., გვ. 160; მისივე, ძველი აფხაზეთის..., - "მაცნე", №2, გვ. 58; დ. ლეთოდიანი, აფხაზეთის, აფშილეთის და სანიგეთის..., გვ. 114-116, 135-140, 149-155, 181.

[54] ს. ჯანაშია, თუალ-თაბალი..., გვ. 10-11 (შენ).

[55] მ. ინაძე, ძველი აფხაზეთის..,- "მაცნე", №2, გვ. 58-59.

[56] მ. ლორთქიფანიძე, ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა. – ხინ., ტ. II, თბ, 1973. გვ. 416-417; დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, თბ, 1980, გვ. 52-53; დ. ლეთოდიანი, იქვე. გვ. 162-163; მ. ინაძე, იქვე. გვ. 59.

[57] ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, გვ. 235; ეახუშტი, აღწერა..., გვ. 781.

[58] მ. ინაძე, იქვე. გვ. 53.

გარდა ბიზანტიის მხარდაჭერისა, აბაზგთა გაძლიერებას ხელს უწყობდა მონათესავე ეთნიკური ჯგუფების მუდმივი ინფილტრაცია ჩრდ. კავკასიიდან. ამის გამო, პოლიტიკური ძლიერების მიუხედავად, VI ს. აბაზგია სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების დონით საგრძნობლად ჩამორჩებოდა, როგორც ეგრისის სამეფოს, ისე მის მეზობელ აფშილთა სამთავროს[59].

აფშილეთი, IV ს.-დან ეგრისის სამეფოში შემავალი ეთნოპოლიტიკური ერთეულია (ადმინისტრ. ცენტრი წიბილი) — საკუთარი სატომო ხელისუფლებით. VII ს. მეორე ნახევარში აფშილეთი კვლავ ეგრისის პროვინციაა, ასევე მისიმიანეთიც. საინტერესოა, რომ ლაზიკის (ეგრისის) პატრიკიოსს თავისი ერთ-ერთი რეზიდენცია ჯიხახორაში აქვს, რომელიც მოქის მახლობლად ყოფილა და ე. ი. აფშილეთში[60] .

მურვან ყრუს დას. საქართველოში ლაშქრობის დროს (VIII ს. 30-იანი წლები), ჯუანშერის ცნობით, "კლისურა" იყო "საზღვარი საბერძნეთისა და საქართველოსა". ამ დროს აფხაზეთის სამთავრო გადაჭიმულია "კლისურითგან ვიდრე მდინარედმდე დიდად ხაზარეთად, სადა დასწუდების წუერი კავკასიისა ამის"[61]. ამ საზღვრებში ამტკიცებს აფხაზეთის მთავარს ლეონ I-ს ბიზანტიის იმპერატორი ლევ ისავრიელი (717-741) და აძლევს ამ ქვეყანას "მკუდრობით"[62].

როგორც ცნობილია, "კლისურა" მდ. კელასურია, რაც შეეხება "დიდი ხაზარეთის მდინარეს", ის აქ შეცდომითაა ნახსენები და უნდა იყოს "მდინარე მცირისა ხაზარეთისა", რომელიც დამკვიდრებული თვალსაზრისით მდ. ყუბანია[63]. მიჩნეულია, რომ აფხაზეთის სამთავროს ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი ჯუანშერს შეცდომით აქვს ნაჩვენები და იგი ამ დროს მდ. ნიკოფსიაზე უნდა გასულიყო[64]. მდ. ნიკოფსია თანამედროვე ნეჩეფსუხოა, რომელიც ქ. ტუაფსეს ჩრდილო-დასავლეთით ერთვის შავ ზღვას. მდ. ნეჩეფსუხოს შესართავთან, ზღვისპირა კონცხზე, ქ. ტუაფსეს ჩრდილოეთით ზღვით დაახლოებით 20 კმ-ზე, დღევანდელ სოფ. ნოვომიხაილოვს კოესთან მდებარეობდა ქ. ნიკოფსია[65]. ასე გავრ-

---

[59] შ. ბადრიძე, მთური კომპონენტების საკითხისათვის "აფხაზთა სამეფოს" პოლიტიკურ სტრუქტურაში, კრ.: საქართველოს მოიანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი ფეოდალიზმის ხანაში. თბ., 1983, გვ. 58-59.

[60] პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 132; დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, გვ. 53-54; დ. ლეთოლანი, აფხაზეთის, აფშილეთის და სანიკეთის...., გვ. 180-183.

[61] ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, გვ. 242.

[62] ჯუანშერი, იქვე; M. M. Гунба, Абхазия в первом тысячелетии н.э., Сухуми, 1989, გვ. 227-228.

[63] ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, წ. II. - თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, თბ., 1983, გვ. 24; პ. ინგოროყვა, იქვე, გვ. 121; З. В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии, გვ. 68.

[64] პ. ინგოროყვა, იქვე, გვ. 121; З.В. Анчабадзе, იქვე, გვ. 67-68.

[65] З.В. Анчабадзе, იქვე, გვ. 110; Л.И. Лавров, Этнография Кавказа, გვ. 168.

ცელდა აფხაზთა პოლიტიკური ბატონობა და ტერმინი "აფხაზეთი" აფშილეთის, სანიგეთის, ჯიქეთის მიწა-წყალზე მდ. კელასურიდან მდ. ნიკოფსიამდე. ამის შედეგად სახელწოდება "აფხაზი" ვიწრო ეთნიკურ ფარგლებს გასცილდა და პოლიტიკური ტერმინი გახდა. ამ დროიდან იგი აღნიშნავს არა მხოლოდ ერთი წარმომავლობის ტომს, არამედ ამ რეგიონის ქართველურ და არაქართველურ მოსახლეობას, რომელიც აფხაზთა სამთავროში გაერთიანდა[66]. დასავლურქართულ ტომებთან მჭიდრო ურთიერთობის შედეგად შეიცვალა აფხაზების ეთნიკური სახე. ამ დროიდან აფხაზეთი მკვიდრად შემოდის ქართულ სამყაროში. დას. საქართველოდან არაბთა განდევნის შემდეგ, აფხაზეთის მთავარი ლეონ I, რომელიც ბიზანტიის იმპერატორის ვასალი იყო, ქართლის ერისმთავრის არჩილის ქვეშევრდომი ხდება[67]. აფხაზეთის მთავრის არჩილისადმი ნებაყოფლობითი დაქვემდებარება ნიშნავდა, რომ აფხაზეთის მმართველი წრეების ბიზანტიისაკენ მიმართული პოლიტიკური და კულტურული ორიენტაცია იცვლება; ამიერიდან ისინი თავიანთი ქვეყნის მომავალს საერთო ქართულ პოლიტიკას, "საქართველოს" მშენებლობის საქმეს უკავშირებენ[68].

VIII ს. შუახანებში (40-იანი წლები) ლეონ I აერთიანებს მთელ დას. საქართველოს. ეგრისისა და აფხაზეთის გაერთიანება დინასტიური, ნებაყოფლობითი აქტი იყო. ჯუანშერის ცნობით, ქართლის ერისმთავარმა არჩილმა თავისი გარდაცვლილი ძმის მირის ასული გურანდუხტი ცოლად შერთო ლეონს და გადასცა ეგრისის გვირგვინი, რითაც ლეონმა მემკვიდრეობით მიიღო ეგრისი. ეს ფაქტი, გარდა ეგრის-აფხაზეთის გაერთიანებისა, იმასაც ნიშნავდა, რომ აფხაზეთი ძველი ეგრისის სამეფოს პოლიტიკურ მემკვიდრედ გამოდიოდა. მოგვიანებით, VIII ს. მიწურულს, ლეონ I-ის ძმისწული ლეონ II გათავისუფლდა ბიზანტიისადმი ვასალური დამოკიდებულებისაგან და თავი მეფედ გამოაცხადა[69]. მმართველი დინასტიის მიხედვით და ამ სამეფოს შექმნაში აფხაზეთის სამთავროს გადამწყვეტი როლის გამო სახელმწიფოს "აფხაზთა" სამეფო ეწოდა[70]. "აფხაზთა" სამეფოს დასავლეთით შავი ზღვა ეკრა; ჩრდილოეთით, მის შემადგენლობაში შედიოდა სამხრეთ ჯიქეთი ნოკოფსიითურთ; აღმოსავლეთით ის ლიხის ქედამდე აღწევდა, ხოლო სამხრეთით — მდ. ჭოროხის

---

[66] მ. ლორთქიფანიძე, ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა, გვ. 417; მ. ინაძე, ძველი აფხაზეთის..., — "მაცნე", №2, გვ. 60.

[67] ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, გვ. 242.

[68] დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, გვ. 80–81.

[69] ჯუანშერი, იქვე, გვ. 242-243; მატიანე ქართლისა, — "ქართლის ცხოვრება", ტ. I, გვ. 251; ს. ჯანაშია, О времени и условиях возникновения Абхазского царства, - შრომები, II, თბ., 1952, გვ. 322-341; З. В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии, გვ. 68-98; მ. ლორთქიფანიძე, იქვე, გვ. 417-418; შდრ. М. М. Гупба, Абхазия в первом тысячелетии н.э., გვ. 189-218.

[70] История Абхазии, გვ. 45.

ხეობამდე[71]. სამეფოს შემადგენლობაში შეიდა, როგორც აფხაზეთი და მათი მონათესავე ჯიქეთით, ისე ქართველური ტომებით: აფშილეთით, მეგრელ-ჭანეთით, სვანეთით, ქართეთით, — დასახლებული მიწები (აბაზგია, ჯიქეთი, აფშილეთი, სანიგეთი, მისიმიანეთი, ეგრისი, სვანეთი, არგვეთი...). "აფხაზთა" სამეფოს მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას ეთნიკურად ქართველური ტომები, ხოლო ტერიტორიულად საკუთრივ ქართული მიწები შეადგენდნენ. მთელ ამ ტერიტორიაზე გავრცელდა ტერმინი "აფხაზეთი". ამდენად, IX-X სს. ქართულ და უცხოურ წყაროებში აფხაზთა სამეფოსა და აფხაზების ქვეშ ჩვეულებრივ მთელი დას. საქართველო და დას. საქართველოს მცხოვრებნი იგულისხმება, ამიტომ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული ტერმინი "ეგრის-აფხაზეთის სამეფო" უკეთ გამოხატავს ამ სახელმწიფოს შინაარსს[72].

ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება "აფხაზთა" მეფეების ბერძნული (დ. ბაქრაძე, პ. უვაროვა...), ქართული (ვ. ლატიშევი, პ. ინგოროყვა), აფხაზური (ზ. ანჩაბაძე) წარმოშობის შესახებ. სამივე თვალსაზრისი მოსაზრებათა სფეროში რჩება, მაგრამ მათ წარმოშობას არცა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. "აფხაზთა" სამეფო ქართული (დასავლურქართული) სახელმწიფო იყო, რაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა მისმა ეთნიკურმა შემადგენლობამ. "აფხაზთა" მეფეები, ვინც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი ეთნიკური წარმოშობით, კულტურული კრედოს თვალსაზრისით ქართველები, ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური მოღვაწეები იყვნენ; ისინი თავიდანვე ატარებდნენ საერთოქართულ საშინაო და საგარეო პოლიტიკას, რაც უპირველეს ყოვლისა, გამოიხატა ქართული კულტურის განვითარების ხელშეწყობითა და მფარველობით; დას. საქართველოს ეკლესიის ბიზანტიისაგან გამოყოფით და მცხეთის საკათალიკოსოსადმი დაქვემდებარებით; სახელმწიფო და საეკლესიო ენად ქართული ენის გამოცხადებით; ქართული ქრისტიანობის, ქართული კულტურის ჩრდ. კავკასიაში გავრცელებითა და სხვ. ამ სახელმწიფოს ქართულმა შინაარსმა განსაზღვრა "აფხაზთა" სამეფოს დედაქალაქის ანაკოფიიდან ქუთაისში, ძირძველ ქართულ ქალაქში გადმოტანა[73]. ეს

---

[71] მ. ლორთქიფანიძე. ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა, გვ. 418.

[72] მ. ლორთქიფანიძე. იქვე. გვ. 419-421; შდრ. История Абхазии, გვ. 46-48. "აფხაზური ისტორიოგრაფია" ტენდენციურად ვანიხილავს "აფხაზთა" სამეფოს ჩამოყალიბებისა და მისი შინაარსის საკითხს. ამ მხრივ აღსანიშნავია მ. გუნბას მონოგრაფია: Абхазия в первом тысячелетии н.э. ავტორის დასკვნით, მოცემულ პერიოდში, დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ტომი აფხაზური წარმოშობისაა; VIII ს. შუაწლიდან "აფხაზთა" სამეფო, რასაკვირველია, აფხაზური სახელმწიფოა, რომელიც ქართული მიწების გაერთიანებისათვის კი არ იბრძვის, არამედ, უბრალოდ, იპყრობს მთელ საქართველოს.

[73] ამის შესახებ დაწვრილებით იხ. ს. ჯანაშია, О времени и условиях.... გვ. 322-341; З.В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии, გვ. 95-108; მ. ლორთქიფანიძე. იქვე. გვ. 420-428.

გარემოება გვაფიქრებინებს, რომ აფხაზურმა ფეოდალურმა საზოგადოებამ, რომელიც მონაწილეობს ქართული სახელმწიფოს შექმნაში, გაიზიარა ქართული ენა, ქართული მწიგნობრობა, ქართული ქრისტიანობა, საერთოდ, ქართული კულტურა, ქართული ფეოდალური საზოგადოების ნაწილი გახდა, ე. ი. გაქართველდა. მაგრამ ქართული ფეოდალური კულტურა აქ მაინც ზედაპირული იყო, რამდენადაც ის ფეოდალური წრეებისათვის იყო უფრო ხელმისაწვდომი და გაქართველებაც მას შეეხებოდა, ხოლო აფხაზთა მასები უფრო მეტად ინარჩუნებდნენ ეთნიკურ თავისთავადობას, ინარჩუნებდნენ საკუთარ ენას. დაახლოებით ასეთივე ვითარება იყო ჯიქეთშიც, სადაც ქართული კულტურა ვრცელდებოდა ქრისტიანობის სახით[74].

ამ სამეფოს შემქმნელმა ლეონ II-მ ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ქვეყანა რვა საერისთავად დაყო: "ა - დასუა აფხაზთა და მისცა აფხაზეთი, ჯიქეთი, ვიდრე ზღუამდე და ხაჩართა მდინარემდე; ბ - დასუა ცხოშს და მისცა ეგრის (-წყლის, - ბ.ხ.) იქითი ანაკოფია ალანითურთ; გ - დასუა ბედიას და მისცა ეგრისის (-წყლის, - ბ.ხ.) აღმოსავლეთი ცხენის წყლამდე..."[75].

ვახუშტის ეს ცნობა, უეჭველად, რაიმე ძველ წყაროს, ანდა რეალურ ისტორიულ ტრადიციას ემყარება, რადგან ქართულ საისტორიო წყაროებში, მართალია, მოგვიანო ხანაში, მაგრამ მაინც მოიხსენიებიან აფხაზთა, ცხუმისა და ოდიშის (ვახუშტისეული ბედიის) ერისთაკები. ქართული ფეოდალური საერისთავოები, როგორც წესი, თემობრივ-ტომობრივი პრინციპის მიხედვით იქმნებოდა. ამას მოწმობს "აფხაზთა" სამეფოს საერისთავოთა სახელწოდებებიც[76]. ვახუშტი ბატონიშვილისეული ბედიის საერისთავოს არსებობა ასეთი სახელწოდებით, არ დასტურდება. ესაა უფრო გვიანი ხანის ქართული წყაროების ოდიშის საერისთავო ეგრისწყლიდან ცხენისწყლამდე და რიონს ჩრდილოეთით სვანეთამდე, რომლის პოლიტიკური ცენტრიც თავდაპირველად ბედია უნდა ყოფილიყო[77]. ოდიშის საერისთავო პირველად თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულებაში "ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი" იხსენიება, მაგრამ, როგორც ვხედავთ, იგი ამ დროისათვის ცხუმისა და აფხაზეთის საერისთავოების გვერდით, სულ ცოტა, ოთხი საუკუნე მაინც არსებობდა.

ცხუმის საერისთავომ მოიცვა აფშილეთი, ყოფილი სანიგეთის ერთი ნაწილი (მდ. კელასურიდან ანაკოფიამდე) და მდ. კოდორის ზემო წელი — მისიმიანეთი[78]. მისიმიანთა სვანური ტომი, როგორც ჩანს, ამ

---

[74] ნ. ბერძენიშვილი, მასალები..., გვ. 602-603; მ. ინაძე, ძველი აფხაზეთის...- "მაცნე", №2, გვ. 61.

[75] ვახუშტი, აღწერა..., გვ. 796.

[76] ნ. ბერძენიშვილი, მცირე შენიშვნა დიდი საკითხის გამო, — საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. III, თბ., 1966, გვ. 278; З. В. Анчабадзе, Очерк этнической истории..., გვ. 53; დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, გვ. 141.

[77] დ. მუსხელიშვილი, იქვე, გვ. 147.

[78] იქვე, გვ. 145; დ. ღეონელიანი, აფხაზეთის, აფშილეთის და სანიგეთის..., გვ. 67, 114-116, 187.

დროს უკვე ასიმილირებულია აფშილების მიერ და ადმინისტრაციულადაც მათ შეერწყნენ[79]. მოსახლეობა მდ. ეგრისწყლიდან ანაკოფიამდე, ფაქტობრივად, ერთგვაროვანი, მეგრულ-ჭანური იყო, რამაც განაპირობა ამ მხარის ცალკე საერისთავოდ ჩამოყალიბება[80]. VIII ს. მიწურულს, ცხუმის საერისთავოს საზღვარი სამხრეთ-აღმოსავლეთით მდ. ეგრისწყალზე გადიოდა, ხოლო ჩრდილო-დასავლეთით ის ანაკოფიის იქით ვრცელდებოდა, სადაც მას მდ. ფსირცხა მიჯნავდა აფხაზეთის საერისთავოსაგან.

აფხაზეთის საერისთავო შეიქმნა ბერძნული წყაროების აბაზგიის ტერიტორიაზე. მის შემადგენლობაში მოქცეული იყო ჯიქეთის ნაწილიც. როცა ჯიქები შავიზღვისპირეთში ჩამოსახლდნენ, ისინი დამკვიდრებულან მდინარეებს — აქეუნტსა და ნიკოფსიას შორის. შემდეგ მათ თავიანთი ტერიტორია ჩრდილო-დასავლეთით გაუფართოებიათ, სადაც ისინი მდ. ყუბანამდე აღწევდნენ. VIII ს. მათი ერთი ნაწილი, რომელიც მდინარეებს — აქეუნტსა და ნიკოფსიას შორის ცხოვრობდა, ჯერ აფხაზეთის სამთავროს დაქვემდებარებაში მოექცა, ხოლო შემდეგ "აფხაზთა" სამეფოს შემადგენლობაში შევიდა[81]. აფხაზეთის საერისთავოს ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი, მდ. ნიკოფსია, — იყო "აფხაზთა" სამეფოს, ხოლო შემდეგ, საუკუნეთა განმავლობაში, საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი[82]. თუ ვავითვალისწინებთ,

---

[79] დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. II, გვ. 145

* აფშილეთი ქართული ეთნისამყარის ორგანული ნაწილს იყო, რაც ჩანს თუნდაც იქიდან, რომ ეთნონიმი "აფსილი" ქართული სუფიქსით გაფორმებული შედის I ს. ბერძნულ-ლათინურ მწერლობაში; ქართულია აფშილეთის ტოპონიმიკაც. მაგ. აფშილეთის მთავარი პოლიტიკური ცენტრის სახელწოდებას "წიბილიუსი", ჩვეულებრივ, ქართული სიტყვას — წიფელი (ალბის. ქართ. წიფელი, მეგრ. წიფური, ჭან. წიფური, წიფერი, სვან. წიფრა) უკავშირებენ (მ. ინაძე, ძველი აფხაზეთის.... - "მაცნე", №2, გვ. 52-55); ჯიხახარა, მეგრ. ციხე-დარბაზი (ჯიხა-ციხე, ხარა, ოხორე - საცხოვრებელი, დარბაზი. ს. ყაუხჩიშვილის განმარტებით "მიაკრის სახლი", იხ. ოთოლოსი ვანგრელი, — გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. IV, ნაკვ. I, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებებს დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1941, გვ. 50-52; ჯ. ინგოროყვა ვანმარტებით, მეგრ. ციხესახლი, იხ. ჯ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 132, 168) და სხვ. საგულისხმოა, რომ სატომო სახელი "აფშილი" საუკეთესოდ დაედო მეგრულ გვარსახელს აფშილავა.

[80] ნ. ბერძენიშვილი, მასალები..., გვ. 594-595; დ. ლეონიანი, აფხაზეთის, აფშილეთის და სანიგეთის..., გვ. 67; მ. ინაძე, იქვე. მიუხედავად იმისა, რომ ცხუმის საერისთავოს მოსახლეობა მეგრულ-ჭანური იყო, ის არ იქნა გაერთიანებული ერთ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულად ოდიშის (ეახუშტისეული "ბედიის") საერისთავოსთან, რაც საკმაოდ გასაგებია. მათი გაერთიანების შემთხვევაში, სამეფოს ნახევარზე მეტს ტერიტორიულად ერთი საერისთავო დაიჭერდა, და თვით ერისთავი კი ეკონომიკურად და პოლიტიკურად მეფეზე ძლიერი იქნებოდა.

[81] ჯ. ინგოროყვა, იქვე. გვ. 125; დ. ლეონიანი, იქვე. გვ. 35.

[82] ჯ. ინგოროყვა, იქვე. გვ. 121; З. В. Анчабадзе. Из истории средневековой Абхазии, გვ. 110-111; მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ., 1963, გვ. 180-186.

რომ ქართული ფეოდალური საერისთავოები ტომობრივი, თემობრივი პრინციპით იქმნებოდა, უნდა ვიფიქროთ, რომ აფხაზთა ტომი ძირითადად აფხაზეთის საერისთავოში მოსახლეობდა, რომელიც საკუთრივ აფხაზეთს გარდა ჯიქეთის ნაწილსაც მოიცავდა. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მოწმობს ჯიქ-აფხაზთა ახლომონათესაობას[83].

ამრიგად, "აფხაზთა" (ეგრის-აფხაზეთის) სამეფოს არსებობის ჟამს (VIII-X სს.) "ბედიის საერისთავო" ვრცელდებოდა ცხენისწყლიდან ეგრისწყლამდე; ცხუმის საერისთავოს ეკავა ტერიტორია ეგრისწყლიდან ანაკოფიამდე (მდ. ფსირცხა); ანაკოფიიდან მდ. ნიკოფსიამდე ტერიტორია აფხაზეთის საერისთავოს ეკუთვნოდა. საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის ჩამოყალიბების შემდეგ ამ პოლიტიკურ ერთეულთა საზღვრები უცვლელი დარჩა.

"აფხაზთა" სამეფომ დიდი წვლილი შეიტანა ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებაში, რომლის გადამწყვეტი ეტაპი X ს. 70-იან წლებში დადგა. 975 წელს, იმიერ ტაოს მეფემ დავით III კურაპალატმა (†1001) თავისი შვილობილი, ბაგრატიონთა სამეფო სახლის ("ქართველთა მეფის") მემკვიდრე, ბაგრატ გურგენის ძე, "აფხაზთა" მეფის მიერ ქართლის ერისთავად დადგენილი იოანე მარუშისძის თაოსნობით, ქართლში გააბატონა. 978 წ. ბაგრატი, რომელიც დას. საქართველოს სამეფოს ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე იყო (როგორც "აფხაზთა" მეფის დისწული), ქუთაისში "აფხაზთა" მეფედ აკურთხეს. მალე, ბაგრატმა მემკვიდრეობით "ქართველთა მეფის" ტიტულიც მიიღო, ხოლო 1010-1011 წწ. კახეთ-ჰერეთის შემოერთების შემდეგ "რანთა და კახთა მეფის" ტიტული.

საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის შექმნის შემდეგ, იმის გამო, რომ ერთიანი საქართველოს მეფეთა ტიტულატურაში — "მეფე აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა...," — პირველ ადგილზე დგას "მეფე აფხაზთა", XI-XIII სს. უცხოურ წყაროებში "აფხაზეთი" და "აფხაზები" ზოგადად საქართველოს და ქართველის მნიშვნელობით იხმარება[84].

X X X

XIII ს. 30-იან წლებში საქართველო მონღოლებმა დაიპყრეს. ამ დროიდან ფეოდალური ცენტრალიზებული სამეფო თანდათან დასუსტებასა და დაშლას იწყებს. საბოლო პირობებს, უპირველეს ყოვლისა, მონღოლური მმართველობითი სისტემა ქმნიდა; ამას ხელს უწყობდა აგრეთვე ეკონომიკის დაცემა, ცენტრალური ხელისუფლების უაღრესად დასუსტება, ქართული

---

[83] დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, გვ. 144-145.

[84] З. В. Апчабадзе, Из истории средневековой Абхазии, გვ. 171-177; ბ. ლორთქიფანიძე, აფხაზები და აფხაზეთი, გვ. 17.

სახელმწიფოებრივი წყობილების მოშლა, რაც ასევე მონღოლთა ბატონობის უშუალო შედეგი იყო. ამგვარ სიტუაციაში ქართული ფეოდალური მიწისმფლობელობის სამამულო სისტემაც ფეოდალთა პოლიტიკური განკერძოებულობის სოციალურ ფაქტორად იქცა. XIII ს. 50-60-იან წლებში საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქია დაიშალა აღმოსავლეთ საქართველოსა და დასავლეთ საქართველოს სამეფოებად და სამცხის სამთავროდ. აღმ. საქართველოში დავით ლაშა-გიორგის ძე (ულუ) გამეფდა, დას. საქართველოში – დავით რუსუდანის ძე (ნარინი); სამცხის სამთავროში ჯაყელები მთავრობდნენ.

დავით ნარინის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე მისი უფროსი ვაჟი კონსტანტინე (1293-1326) ავიდა[85]. კონსტანტინეს მეფობას წინალუდგა მისი ძმა მიქელი და ძმების შორის ბრძოლა გაჩაღდა. დას. საქართველოში შექმნილი ვითარება დეცენტრალიზაციის კარგ პირობებს ქმნიდა, რაც ერისთავებმა არ გაუშვეს ხელიდან. XIV ს. 20-იან წლებში ოდიშის ერისთავმა გიორგი I დადიანმა ისარგებლა დავით ნარინის სიკვდილის შემდეგ მის მემკვიდრეებს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოებით, "მაშინ მიიტაცა საერისთო ცხუმისაცა და დიპარა თვით სრულიად ოდიშა ანაკოფიადმდე"[86]. ამ დროიდან ცხუმის საერისთავოს ტერიტორია ოდიშის შემადგენლობაში შედის.

ო. სოსელიას დასკვნით, გიორგი I დადიანი ერთბაშად მთავრის თითქმის ყველა ნიშნით გვეკლინება: იმორჩილებს ცხუმის ერისთავს, "თავისად განიმკიდრებს" მიელს ოდიშს და "არღარა ეგდენსა მორჩილებასა შინა" არის მყოფია[87]. დადიანთან ერთად ასეთსავე მდგომარეობას აღწევენ შარვაშიძე, გურიელი და სვანთა ერისთავი, მაგრამ არც ერთი მათგანი ჯერ არ არის მთლად დამოუკიდებელი ხელისუფალი [88].

გიორგი I დადიანი XIII ს. II ნახევრის ერისთავთ-ერისთავისა და მანდატურთუხუცესის ბეჟან II დადიანისა და ქართლის ერისთავის ბეგა სურამელის ასულის – ხუაშაქის ძე იყო[89]. 1323 წ. გიორგი I დადიანი გარდაცვალა და ოდიშის ტახტზე ავიდა მისი ძე მამია I დადიანი (1323-1345), რომელიც დავით ნარინის შვილებს შორის ტახტისათვის ბრძოლის დროს ფაქტობრივად დამოუკიდებელ მთავრად გადაიქცა[90].

---

[85] ე. კიკნაძე. საქართველო XIV საუკუნეში, თბ., 1989, გვ. 100.

[86] ვახუშტი, აღწერა..., გვ. 782.

[87] ო. სოსელია, სამეგრელოს სამთავროს წარმოშობის საკითხისათვის, გვ. 175.

[88] ვახუშტი, იქვე; ო. სოსელია, იქვე.

[89] ე. ბერიძე, ხობის ტაძრის ისტორიისათვის, - "მაცნე", ისტორიის... სერია, თბ., 1973, №2, გვ. 78. დადიანების ფეოდალური საგვარეულოს ეს შტო XIII ს. შუა ხანებიდან მაინც, მემკვიდრეობით ფლობს ოდიშის ერისთავობას. მოგვიანებით, მათი დამოუკიდებელ მთავრად გახდომის შემდეგ, "დადიანი" ოდიშის მთავრის ტიტულის აღმნიშვნელ ცნებად გადაიქცა.

[90] ვახუშტი, იქვე, გვ. 801; ო. სოსელია, იქვე, გვ. 175-176.

დადიანის მიერ ცხუმის საერისთავოს მიერთების ფაქტს ზ. ანჩაბაძეც ეხება. მკვლევარის აზრით, როცა დადიანებმა შეიერთეს ცხუმის საერისთავო, ცხუმის ყოფილი ერისთავები – შარვაშიძეები, იძულებული გახდნენ დაკმაყოფილებულიყვნენ ანაკოფიის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ტერიტორიით და ეცნოთ დადიანთა სიუზერენობა. ამასთან "Шервашидзе пользовались всяким удобным случаем, чтобы восстановить свое владичество в Южной Абхазии. Это вызывало ответные карательные действия со стороны Дадиани, которые не только упорно отстаивали свое приобретение, но даже на некоторое время включили в состав своего княжества новый участок территорий вплот до р.Бзыбь. Именно этот период районы исторической Абхазии, расположенные между Галидзгой и Кодор, в их приморской и предгорных частях, стали интенсивно заселяться мегрельскими элементами"[91].

ეს მოსაზრება, რომელიც დამყარებულია თვალსაზრისზე, თითქოს აფხაზეთის საერისთავო გაუქმდა და მისი ტერიტორია მიუერთდა ცხუმის საერისთავოს, არ არის სწორი. როგორც უკვე ვნახეთ, წყაროებიდან სრულიად აშკარად ჩანს, რომ VIII ს. მიწურულიდან ვიდრე XIV ს. 20-იან წლებამდე, ჯერ "აფხაზთა" სამეფოს და, შემდეგ, ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში, ცალ-ცალკე არსებობენ აფხაზეთისა და ცხუმის საერისთავოები; თითოეულ მათგანს ჰყავს თავისი ერისთავი: აფხაზეთს შარვაშიძე, ცხუმს – ამანელისძე. წყაროებიდან არ ჩანს, რომ დადიანებმა მდ. ბზიფამდე გააფართოვეს თავიანთი სამფლობელო, შარვაშიძეები კი იძულებული გახდნენ დაკმაყოფილებულიყვნენ ანაკოფიის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ტერიტორიით და სცნეს დადიანთა სიუზერენობა; არც ის ჩანს, რომ ამის შემდეგ, შარვაშიძეები ყოველთვის ცდილობენ "თავიანთი კუთვნილი" (?!) ცხუმის საერისთავოს დაბრუნებას, რაც დადიანთა საპასუხო დამსჯელი ოპერაციებს იწვევდა აფხაზეთში. აქ ვითარება ისეა დახატული, თითქოს ცხუმის საერისთავოს სახით დადიანებმა ეთნიკურად განსხვავებული ტერიტორია დაიკავეს, ამასთან აფხაზეთის ერისთავები – შარვაშიძეები ეწევიან სამართლიან ბრძოლას ოდიშის საერისთავოს წინააღმდეგ, დაკარგული ტერიტორიის ("სამხრეთ აფხაზეთის"?!) დასაბრუნებლად და დადიანებისადმი ვასალური დამოკიდებულებისაგან გასათავისუფლებლად. ეს გაკეთებულია იმისათვის, რომ ახსნა მოეძებნოს გვიან შუასაუკუნეებში აფხაზეთში მიმდინარე პროცესებს, აფხაზების გამუდმებულ ბრძოლას ოდიშის წინააღმდეგ და ამ ბრძოლას მიენიჭოს განმათავისუფლებელი, სამართლიანი ომის ხასიათი. რაც შეეხება "მტკიცებას", თითქოს ამ პერიოდში მკვიდრდებიან მდ.

---

[91] История Абхазии, გვ. 57; З. В. Апчабадзе, Очерк этнической истории..., გვ. 65-66; შდრ. მისივე, Из истории средневековой Абхазии, გვ. 238

ღალიძგისა და მდ. კოდორის შორის ტერიტორიაზე ("ისტორიულ აფხაზეთში"?!) მეგრელები (ქართული ეთნოსი), მიუმართოთ ფაქტებს[92].

გარდა იმისა, რომ ცხუმისა და აფხაზეთის საერისთავოების ცალ-ცალკე არსებობა ნათლად მიუთითებს ამ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულებში განსხვავებული ეთნო-ტომობრივი მოსახლეობის ცხოვრებაზე, იმდროინდელი უცხოელი ავტორების ცნობებით, აღნიშნულ ხანაში, ცხუმის საერისთავოს ტერიტორია ქართული ეთნოსითაა დასახლებული. ასე მაგალითად, ფლამანდიელი დესპანი და მოგზაური გუილიომ რუბრუკვისი 1255 წ. წერდა: "გაღმა არის ჯიქეთი, რომელიც თათრებს (თათარ-მონღოლები,-ბ.ხ.) არ ემორჩილება, ხოლო აღმოსავლეთით სვანები და იბერები, რომლებიც აგრეთვე არ ემორჩილებიან თათრებს"[93]. ჯიქების მეზობლად მცხოვრებ იბერებში რუბრუკვისი დს. საქართველოში და, სახელდობრ, შავიზღვისპირეთში მცხოვრებ ქართველებს გულისხმობს, რადგან, როგორც ცნობილია, აღმ. საქართველოს იბერები მაშინ (აღმ. საქართველოში ამ დროს მეფობს დავით ულუ) ემორჩილებოდნენ თათარ-მონღოლებს. არაბი აბულ-ფიდას (1273-1331) ცნობით, სოხუმი ქურჯების (გურჯი, ქართველი,-ბ.ხ.) ქალაქია[94]. ცხუმის (სებასტოპოლი, სოხუმი) კათოლიკე ეპისკოპოსი, ინგლისელი პეტრე გერალდი კენტერბერის არქიეპისკოპოსისადმი 1330 წ. გაგზავნილ წერილში წერს, რომ ცხუმი "ქვემო საქართველოს" ("inferioris Georgianae") ქალაქია, და აქ, შეჭირვებული კათოლიკე ეპისკოპოსი "კვირაობით რომელიმე ღარიბი ქართველისაგან შეწირულებას" იღებს[95].

ამრიგად, ამ რამდენიმე მაგალითიდანაც ნათლად ჩანს, რომ თვალსაზრისი, თითქოს დადიანმა დაიკავა ეთნიკურად განსხვავებული ხალხით დასახლებული ტერიტორია — ცხუმის საერისთავო — სრულიად უსაფუძვლოა.

X X X

XIII ს. 30-იან წლებში ჩრდ. კავკასიის ხალხებს თავს დაატყდა მონღოლ-თათართა გამანადგურებელი შემოსევები, რამაც მნიშვნელოვანი

---

[92] ალრე ზ. ანჩაბაძე თავის ნაშრომებში აღნიშნავდა, რომ მდ. კოდორსა და მდ. ღალიძგას შორის ტერიტორიაზე და ღალიძგის მარცხენა ნაპირზე აფხაზური ეთნოსი XVII ს. II ნახევარში მკვიდრდება, აფხაზეთის სამთავროს მიერ ამ მიწების მიტაცების შედეგ (იხ. З.В. Анча ба́дзе. Мегрелия и Абхазия в XVII веке, გვ. 142; მისივე, Из истории средневековой Абхазии, გვ. 297).

[93] გუილიომ რუბრუკვისი, მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, თარგმანი ფრანგულიდან გ. ქიქოძისა, — მსკი, ნაკ. V, თბ., 1942, გვ. 41.

[94] Geographie D'Aboulfeda, გვ. 142. აბულ-ფიდას თხზულებაში პირველად გვხვდება სახელწოდება "სოხუმ", რომელიც მოგვიანებით თურქულ წყაროებში იხმარება ცხუმის აღმნიშვნელად. როგორც ცნობილია, აღმოსავლურ ენებში — არაბული, თურქული — "ც" ბგერა არ არსებობს, ამასთან ეს ენები ვერ იტანენ სიტყვის დასაწყისში ორ თანხმოვანს ერთად და მათ შორის აუცილებლად ხმოვანი ჯდება. ასეა მიღებული ქართული ცხუმიდან, არაბული და თურქული "სუხუმ" (Г. Н. Берадзе, Мореплавание..., გვ. 21).

[95] იხ. ე. კიკნაძე, ლათინური წყარო..., გვ. 102.

ცვლილებები შეიტანა ჩრდ. კავკასიის ეთნიკურ რუკაში.

მონღოლთა შემოსევებამდე ყუბანისპირეთში ადიღეელები ცხოვრობდნენ. მათი აღმოსავლეთი საზღვარი გადიოდა მდ. ლაბაზე, როგორც მის ზემო წელზე, ასევე ქვემო წელზე, სადაც ალანები ესაზღვრებოდნენ. ამ პერიოდში ალანებს საკმაოდ მტკიცე პოზიციები ეჭირათ ჩრდ. კავკასიაში. მთისწინა ველებში ცხოვრობდნენ ყივჩაღები. მონღოლ-თათრებმა თითქმის მთლიანად ამოჟლიტეს ყივჩაღები. გადარჩენილნი გაიქცნენ და ამჟამინდელ ყაბარდოსა და დაღესტნის მთებს და მდ. თერგისა და მდ. სულაკის ქვემო წელზე ჭაობებს შეეხიზნენ. ალანებმაც დატოვეს მთისწინა ზოლი და სხვადასხვა მიმართულებით დაიფანტნენ. მათი ნაწილი აღმოსავლეთისაკენ წავიდა და მთებს შეეხიზნა. კავკასიის მთებში შემოსულმა ალან-ოსებმა შემდეგ ქედი გადალახეს და შიდა ქართლში იწყეს ჩასახლება. ადიღეური ტომები მონღოლებისაგან ისე არ დაზარალებულან, როგორც ყივჩაღები და ალანები*. XIII ს. II ნახევრიდან, როცა ალანები იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ თავიანთი საცხოვრისი, ადიღეელების ერთი ნაწილი იკავებს დაცარიელებულ ადგილებს ცენტრალური კავკასიის მთისწინეთში — მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობისათვის საუკეთესო მიწებს მდ. ლაბასა და მდ. თერგს შორის. ადიღეელთა ამ ნაწილს, რომელიც შეინარჩუნა ცალკე ეთნოსად ჩამოყალიბდა, ყაბარდოელები ეწოდათ, ქვეყანას კი ყაბარდო[96].

მონღოლ-თათართა შემოსევების შემდეგ ჩრდ. კავკასიაში თურქული მოდგმის ტომებიც მკვიდრდებიან, მათ შორის, ყარაჩაელები და ბალყარელები (მალყანელები)**. ისინი გენეტიკურად ერთი მოდგმის ხალხია. მათი განსახლების ტერიტორიაზე, იალბუზის მთისწინეთში, მონღოლთა შემოსევებამდე ალანები ცხოვრობდნენ. მონღოლთა შემოსევის შემდეგ, ამ მოსახლეობას თურქული ელემენტი დაეფინა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მონღოლთა შემოსევებამდეც ცხოვრობდნენ ჩრდ. კავკასიაში თურქული ტომები, ყივჩაღები, რომელთაც ასევე მიიღეს მონაწილეობა ყარაჩაელთა და ბალყარელთა ეთნოსის ფორმირებაში[97]. ალანთა

---

* ეს აისახა კიდეც ადიღეელების (ყაბარდოელები) ფოლკლორში. იხ. Ш. Б. Ноймов, История адыгейского народа, составленная по преданиям кабардинцев, издание 5-е, введением, примечаниями и указателями снабдил проф. Г.А. Кокиев, Нальчик, 1947, გვ. 49-50.

[96] ზ. ანჩაბაძე, თ. ბოცვაძე, გ. თოგოშვილი, ბ. ცინცაძე, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, წ. I, თბ., 1969, გვ. 76-77, 91-92; Л. Лавров, Происхождение кабардинцев и заселение ими нынешней территории, - СЭ., М., 1956, N1, გვ. 23-26; მისივე, Этнография Кавказа, გვ. 165.

** ბალყარელთა თვითსახელწოდებაა მალყანი, თავიანთ ქვეყანას კი ისინი მალყანეთს უწოდებენ.

[97] ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, წ. I, გვ. 97-99; Л. И. Лавров, Этнография Кавказа, გვ. 69. ბალყარელთა ეთნოსის ფორმირებაში დიდ როლი შეასრულა ქართულმა ეთნიკურმა ელემენტმა, სახელდობრ, სვანებმა, რომლებიც ღღეანდელი ბალყარეთის ტერიტორიაზე იყვნენ განსახლებული ანტიკურ ხანაში და შუა საუკუნეებშიც (იხ. თ. მიბჩუანი, მეგობრობის სათავეებთან, თბ., 1986).

ყუბანისპირეთში, მთიანი ყაბარდოსა და ქლუხორის რაიონში ცხოვრების შესახებ ტრადიცია იმდენად ძლიერი იყო მეგრელებში, რომ საკმაოდ გვიანაც (XVII-XVIII სს.) ალანეთს ზემო ყუბანის მხარეში ათავსებდნენ და ყარაჩაელებს "ალანს" ეძახდნენ[98]. ალან-მეგრელთა ურთიერთობებმა ასახვა ჰპოვა მეგრული ენის ლექსიკაშიც. "ალანი", "ალან-კოჩი" მეგრულში მამაცის, ყოჩაღის, ძლიერის გამომხატველია[99]. ხალხურ მეტყველებაში დღესაც არის შემორჩენილი გამოთქმა "ალანჯგურა სქი" (ქართ. ალანივით ვაჟი), რაც ტანადს, ახოვანს აღნიშნავს.

ყარაჩაელთა გადმოცემებში, ზეპირ ისტორიულ ტრადიციაში, დეტალებში მცირედი განსხვავების მიუხედავად, ზუსტადაა ნაჩვენები მათი ჩრდ. კავკასიაში მოსვლის დრო – XIII ს. მიწურული, ან 1300-იანი წლები[100]. როგორც ჩანს, ამ დროისათვის ჩრდ. კავკასიაში დიდი ცვლილებები ხდება. საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრების უშუალო სიახლოვეს მიმდინარე ეთნო-პოლიტიკური პროცესები მალე საბედისწერო როლს შეასრულებენ პოლიტიკურად დაშლილი და დასუსტებული საქართველოს ცხოვრებაში.

X X X

1329 წ. მიქელ დავით ნარინის ძე (1326-1329) გარდაიცვალა[101]. დას. საქართველოში ახლა მიქელის მცირეწლოვან შვილს ბაგრატს უნდა ემეფა, მაგრამ მას ერისთავები არ დაემორჩილნენ. გიორგი ბრწყინვალემ, რომელიც თვალს ადევნებდა ლიხთიმერეთში მიმდინარე მოვლენებს, ვითარება ხელსაყრელად ჩათვალა და დას. საქართველოში გადავიდა. ლიხთიმერეთში გადასული გიორგი ბრწყინვალესთვის წინააღმდეგობა ფაქტობრივად არავის გაუწევია. 1330 წლისათვის უკვე მის ხელში იყო "ყოველნი ციხე-ქალაქნი იმერეთისანი". ამის მნახველი მამია დადიანი, გურიელი, შარვაშიძე და სვანთა ერისთავი მორჩილებას უცხადებენ მეფეს. გიორგი ბრწყინვალე "შთავიდა ოდიშს, მუნიდამ აფხაზეთს, განაგნა მუნებურნი და დაიპყრა ციხენი თვისად და მისცა ცხომის საერისთო ბედიელს, ვითარცა პირველ ცხომისა იყო"[102].

---

[98] ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, იქვე, გვ. 98; И. Кипшидзе. Грамматика мингрельского (имерского) языка, СПб., 1914, გვ. 193; В.И. Абаев. Осетинский язык и фольклор, 1, М., 1949, გვ. 249-309.

[99] А. Цагарели, Мингрельские этюды, вып. 1, СПб., 1880, გვ. 72.

[100] А. Н. Дьячков-Тарасов, В горах Большого и Малого Карачая, Тифлис, 1900, გვ. 42; В.М. Сысоева, Карачай,-СМОМПК, XLIII, გვ. 137.

[101] ვ. კიკნაძე, საქართველო XIV საუკუნეში, გვ. 100.

[102] ვახუშტი, აღწერა..., გვ. 257-258.

როგორც ვახუშტი ბატონიშვილის ცნობიდან ჩანს, გიორგი ბრწყინვალეს დადიანისათვის დაუკანონებია ცხუმის საერისთავო, რომელიც ოდიშის ერისთავმა დაიკავა მეფის სანქციის გარეშე. ახლა ამ ფაქტის იურიდიულ გაფორმებაზეა საუბარი. შეცდომაა ტექსტში ოდიშის ერისთავის "ბედიელის" ტიტულით მოხსენიება. იგი ასეთ ტიტულს არასოდეს ატარებდა, არამედ დადიანად იწოდებოდა[103]. გიორგი ბრწყინვალეს მამა დადიანისათვის საქართველოს ამირსპასალარის სახელოც უბოძებია[104], რაც, უეჭველად, დადიანის გავლენაზე მეტყველებს.

XIVს. 30-იან წლებში საქართველო განთავისუფლდა მონღოლთა უღლისაგან. 1329-1334 წლებში გიორგი ბრწყინვალემ აღადგინა საქართველოს სამეფოს ერთიანობა. საქართველოს სამეფოს პოლიტიკური საზღვრები ძველ ფარგლებში აღდგა — "ნიკოფსიიდან დარუბანდამდე"[105].

გიორგი ბრწყინვალესა (1314-1346) და დავით IX-ის (1346-1360) დროს დადიანად დასმის აქტი, მართალია, ფორმალურად მეფის სანქციით ხდებოდა, მაგრამ დადიანობის "წართმევა და ცვალობა" მეფეს არ შეეძლო[106]. ამიტომ, ამ დროიდან, პირობითად, ოდიშის ხელისუფალს მთავარს ეუწოდებთ, ხოლო ოდიშს — სამთავროს.

ოდიშის საერისთავოს გაძლიერება და მისი სამთავროდ ჩამოყალიბება აისახა XIV ს. არაბი ისტორიკოსების ცნობებში. ალ-მუჰიბბი წერს: "ქართველებს ჰყავთ ორი მეფე — დავით მეფე, რომელიც თბილისს განაგებს, და დადიანი — მეფე, რომელიც განაგებს სუხუმსა და აბხასს... ყოველ მათგანს ეწოდება ქართველთა მეფე"[107]. ალ-მუჰიბბის აღნიშნული ცნობა შემდეგ თავის ენციკლოპედიაში შეიტანა ალ-კალკაშანდიმ. ის წერს: "ქართველებს ჰყავთ ორი მეფე, ერთი მათგანია ზემოხსენებული თბილისის გამგებელი... მეორე სუხუმისა და აბხასის გამგებელი. ეს არის ყირიმის ზღვის სამხრეთით მდებარე ორი ქალაქი... მაშინ მის გამგებელს ეწოდებოდა დადიანი... ყოველ მათგანთან მიმოწერის წესი ნახევარ ფურცელზეა... ყოველ მათგანს ეწოდება ქართველთა მეფე"[108].

ალ-მუჰიბბის ცნობაში მოხსენიებული "დავით მეფე" არის დავით IX, ხოლო "დადიანი" — გიორგი II დადიანია (1345-1384)[109]. ალ-მუჰიბბი ადასტურებს ვახუშტის ცნობას, რომ ამ დროს დადიანები ფლობენ ქ. ცხუმს (სოხუმი) რაც შეეხება "აბხასს", დ. გოჩოლეიშვილის ვარაუდით, აქ უნდა იგულისხმებოდეს აფხაზეთის ის ტერიტორია, რომელიც დადი-

---

103 თ. ბერაძე. დასავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, გვ. 114.

104 ე. კიკნაძე. ლათინური წყარო..., გვ. 98-99.

105 ვახუშტი, აღწერა..., გვ. 259.

106 ო. სოსელია, სამეგრელოს სამთავროს წარმოშობის საკითხისათვის, გვ. 178.

107 XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსები საქართველოს შესახებ, გვ. 53.

108 იქვე, გვ. 56.

109 დ. გოჩოლეიშვილი, XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსები საქართველოს შესახებ, გვ. 45.

ანებმა დაიპყრეს; ზ. ანჩაბაძეც თვლის, რომ დადიანის მიერ "სუხუმისა" და "აბხასის" ფლობაში ორი საერისთავოს – ცხუმისა და აფხაზეთის საერისთავოების ფლობა იგულისხმება[110]. როგორც აღვნიშნეთ, წყაროებში არავითარი მინიშნება არ არსებობს იმის შესახებ, რომ ოდიშის ერისთავმა აფხაზეთის საერისთავო ან მისი რაიმე ნაწილი დაიპყრო. გიორგი I დადიანმა "მიიტაცა" ცხუმის საერისთავო, რომელიც შემდეგ გიორგი ბრწყინვალემ ოდიშის ერისთავებს დაუკანონა. არაბი ავტორების "აბხასი" უნდა იყოს შუა საუკუნეების იტალიურ რუკებზე (XIII-XVI სს.) დღევანდელ გაგრასთან, მდ. აბასკის (აბასკოსი, მზიმთა) შესართავთან მდებარე ნავსადგური Abkazia (Abcazia, Avogaxia, Avogazia)[111]. დადიანების მიერ "აბხასის" ფლობა მიუთითებს, რომ მათ აფხაზეთის საერისთავოზე გარკვეული გავლენა ჰქონდათ. ყოველ შემთხვევაში, XVს.-დან უკვე გვაქვს პირდაპირი ცნობა აფხაზეთის საერისთავოს ოდიშთან ვასალური დამოკიდებულების თაობაზე.

X X X

XIVს. საქართველოს შავიზღვისპირეთში გენუელი ვაჭრები მკვიდრდებიან. ზოგიერთი მკვლევარი გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებს გენუელთა ყოფნას საქართველოში. უფრო მეტიც, რიგ ავტორთა მიერ ეს ფაქტი შეფასებულია, როგორც საქართველოს შავიზღვისპირეთის იტალიურ კოლონიზაციად, რასაც სინამდვილეში ადგილი არ ჰქონია. შემთხვევითი არ არის, რომ ქართულ წყაროებში გენუელები საერთოდ არ იხსენიებიან. მიჩნეულია, რომ გენუელებს საქართველოს შავიზღვისპირეთში რამდენიმე სავაჭრო ფაქტორია ჰქონდათ[112]. ეს მოსაზრება სრულიად სამართლიანად უარყო თ. ბერაძემ და ცხადყო, რომ გენუელებს საქართველოს შავიზღვისპირეთში ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეთანხმებით ჰქონდათ ერთადერთი სავაჭრო ფაქტორია სებასტოპოლი (ცხუმი)[113].

1354 წ. გენუელებმა ადგილობრივი ხელისუფლებისაგან მიიღეს ნებართვა ფაქტორიის დაარსებაზე ცხუმში. პირველი კონსულიც იმავე

---

[110] დ. ბოლოქაშვილი, XIV–XVსს. არაბი ისტორიკოსები საქართველოს შესახებ, გვ. 46-47; З. В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии, გვ. 138.

[111] ჯ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 154; Ш. Д. Инал-Ипа, Вопросы этно-культурной истории абхазов, გვ. 259.

[112] Пр. Уварова, Абхазия, გვ. 32; К. Кудрявцев, Сборник материалов..., გვ. 134-139; А. Фадеев, Краткий очерк истории Абхазии, ч. I, გვ. 116; З. В. Анчабадзе, იქვე, გვ. 243-244; Очерки истории Абхазской АССР, ч. I, გვ. 94; Р. Кацна, Экономическая экспансия средневековой Генуи на Западном Кавказе, - Известия АБИЯЛИ, XV, Тб., 1989; ე. მაჩასთვალიშვილი, ოდიშის ისტორიიდან, გვ. 52-59.

[113] Т. Н. Берадзе, Мореплавание..., გვ. 89-92.

წელს დაინიშნა[114]. ამავე პერიოდში, 1318 წ. ცხუმში დაარსდა კათოლიკური საეპისკოპოსო კათედრა. ცხუმის პირველი კათოლიკე ეპისკოპოსი იყო ბერნარ მორე. 1329 წ. 19 აგვისტოს რომის პაპმა იოანე XXII-ამ სებასტოპოლის ეპისკოპოსად დანიშნა ინგლისელი პეტრე გერალდი[115]. სებასტოპოლის (ცხუმის) მოსახლეობა ძირითადად ქართველებისაგან შედგებოდა და თვითონ იტალიელები მცირე რაოდენობით იყვნენ. საკაჭრო ფაქტორიას ქალაქის ერთი კვარტალი ეკავა და თვითმმართველობით სარგებლობდა. გენუელები ადგილობრივ მოსახლეობასთან ალებ-მიცემობით იყვნენ დაკავებული. ისინი ყიდულობდნენ ყველაფერს, რისი შეძენაც შეიძლებოდა ამ მხარეში და თვითონაც შემოჰქონდათ თავიანთი საქონელი. გენუელებს საქართველოს შავიზღვისპირეთიდან გაჰქონდათ გემების საშენი ხე-ტყე, განსაკუთრებით ძვირფასი ჯიშები, მათ შორის ბზა; ტყავი და ბეწვეული, თაფლი, ცვილი, ფისი, მარცვლეული, ღვინო, აბრეშუმი. შავი ზღვით საქართველოში შემოდიოდა საქონელი ჩრდილოეთ და სამხრეთ შავიზღვისპირეთიდან, შორეული აღმოსავლეთიდან და დას. ევროპის ქვეყნებიდან, კერძოდ: მარილი და დამარილებული თევზი, სანელებლები, სალებავები, ძვირფასი და ნახევრადძვირფასი ქვები, რკინისა და სპილენძის ნაკეთობანი, სამკაულები, საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონელი, ხელოსნური ნაწარმი, ქსოვილები, იარაღი. თანდათან, უმთავრესი "საქონელი", რომელიც ყველაზე უფრო აინტერესებდათ გენუელებს, გახდა ცოცხალი ადამიანებით — ტყვეებით ვაჭრობა. გენუელებს ისინი გაჰყავდათ ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, დას. ევროპის ქვეყნებში და მამლუქთა ეგვიპტეში[116].

გენუის მთავრობა ადგილობრივ მფლობელთან — "ბედიანთან" შეთანხმებით, ნიშნავდა კონსულსა და სხვა მოხელეებს. მიუხედავად იმისა, რომ გენუელებს ცხუმში კონსული ჰყავდათ, ამ ქალაქის სრული ბატონ-პატრონი მაინც "ბედიანი" იყო. ამით ცხუმი საგრძნობლად განსხვავდებოდა შავიზღვისპირეთის იტალიელთა კოლონიებისაგან, სადაც გენუელები სრულიად დამოუკიდებლად გრძნობდნენ თავს[117].

1384 წ. გიორგი II დადიანი გარდაიცვალა და ბაგრატ V-ის (1360-1393) დასტურით ოდიშის ერისთავი გახდა გარდაცვლილი ერისთავის ძე ვამეყ I დადიანი (1384-1396), რომელმაც, მოგვიანებით, საქართვე-

---

[114] ე. მამისთვალიშვილი, ოდიშის ისტორიიდან, გვ. 52.

[115] ი. ტაბაღუა, საქართველო, III, გვ. 21; ვ. კეკენაძე, საქართველო XIV საუკუნეში, გვ. 102.

[116] Очерки истории Абхазской АССР, ч. I, გვ. 94-95; Р. Кация, Экономическая экспансия..., გვ. 51; Т. Н. Бердзе, Мореплавание..., გვ. 115-119; 123-124; ე. მამისთვალიშვილი, იქვე, გვ. 53.

[117] Т. Н. Бердзе, იქვე, გვ. 92; ე. მამისთვალიშვილი, იქვე. XIV-XV ს. ევროპულ წყაროებში ოდიშის ხელისუფლის ბედიანად მოხსენიება იმით უნდა იყოს განპირობებული, რომ ოდიშის ერისთავთა რეზიდენცია ამ დროს ბედიაში იყო.

ლოს სამეფოს მანდატურთუხუცესის სახელოც მიიღო[118]. XIV ს. დასასრული ერთ-ერთი უმძიმესი ხანა იყო საქართველოს ისტორიაში. აღმოსავლეთ საქართველოს თავს დაატყდა თემურ ლენგის გამანადგურებელი შემოსევები. ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებით ისარგებლეს სეპარატისტულმა ძალებმა. 80-90-იან წლებში, ჯერ იმერეთის ერისთაავი ალექსანდრე, ხოლო ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ, მისი ძმა გიორგი, იმერეთში გასამეფებლად იბრძვიან[119]. საქართველოს მძიმე მდგომარეობით ისარგებლეს ჯიქებმაც, რომლებიც სამეფოს უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ცხოვრობდნენ მდ. აქეუნტსა და მდ. ნიკოფსიას შორის. ისინი ცენტრალური ხელისუფლების მორჩილებიდან გამოვიდნენ და საქართველოს სანაპირო რაიონებს არბევდნენ. მეფის ხელისუფლებას, რომელიც თემურ-ლენგის წინააღმდეგ ბრძოლაში იყო ჩაბმული, ძალა არ შესწევდა ჯიქების "ორგულობის" აღსაკვეთად. საჭირო იყო გადამწყვეტი მოქმედება და ეს თავს იდო ვამეყ დადიანმა. ოდიშის ერისთავი დაუყოვნებლივ გაემართა ჯიქეთში, ზედიზედ აიღო ციხეები, მთავრები, ვინც მის წინაშე მორჩილებით გამოცხადდა, დამძევლა, ვინც წინააღმდეგობას არ წყვეტდა, ძალით დაიმორჩილა, ჯიქეთი კვლავ შემოუმტკიცა საქართველოს სამეფოს და გამარჯვებული დაბრუნდა ოდიშში. ვამეყ დადიანის წარმატებულ ლაშქრობაზე ჯიქეთში, გვაუწყებს წარწერა ხობის მონასტრის ეკვდერის ქვაზე: "ქ. სახელითა ღმრთისათა ერისთავთ-ერისთავმან და მანდატურთ-უხუცესმან დადიანმან ვამეყ მამისა მათისა პატრონისა ერისთავთ-ერისთაესა დადიანისა გიორგის შედეგად მიუხდა ჯიქეთს ურწმუნოებისა და ორგულობისათვის, რათამცა მოემსახურა და სძღო და შეურაცხ. და უხმარ იქმნა მათი სიმაგრენი, გაგარი და ულაღნი, ყოველნიენ ძალითა მოირჭუნა, მრავალთა ჯიქეთისა პატრონთაგან მიუვალი მოარბივნა. რაოდენნი მოეწყო, მათი მრავალნი წამოასხნა და სხვანი აოტნა..."[120].

წარწერაში მოხსენიებული "გაგარი" და ულაღი" ზოგიერთ მკვლევარს გაზრებული აქვს, როგორც გაგრა და მასთან ახლომდებარე ციხე[121]. თ. ბერაძემ სამართლიანად უარყო "გაგარის" გაგრასთან იდენტიფიკაციის ცდა. წარწერის მიხედვით, "გაგარი" ჯიქეთში იყო, ხოლო XIV-XV სს. იტალიურ და კატალონიურ რუკებზე: ვესკონტეს (1318 წ.),

---

[118] თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 199, 201-202.

[119] ეპიშტატი აღწერა..., გვ. 262, 802-803; მ. ბროსე, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, გვ. 221. ნაწ. II, გვ. 169.

[120] ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, გვ. 132-133.

[121] პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე. გვ. 149-150; З. В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии, გვ. 238. ზ. ანჩაბაძე ამ წარწერიდან სრულიად უსაფუძვლოდ ასკვნის, თითქოს ვამეყ დადიანს XIV ს. 90-იანი წლების დასაწყისში გამანადგურებელი ლაშქრობა მოაწყო აფხაზეთში შარვაშიძის წინააღმდეგ და დაანგრია ციხეები "ულაღნი" და "გაგარი" (გაგრა). იქვე.

ძმები პაციგანების (1367 წ.) კატალანის (1375 წ.), პასკუალინის (1408 წ.), ბიანკოს (1436 წ.) და სხვ. ჯიქეთი აღნიშნულია გაგრის ჩრდილოდასავლეთით[122]. თ. ბერაძის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ "გაგარიც" და "ულალიც" კონკრეტულ გეოგრაფიულ პუნქტებს აღნიშნავენ, — გაგრასა და ანაკოფიას, — წარწერაში ნახმარია ზოგადი მნიშვნელობით. "ულალი" ძველ ქართულში "ძნელ სავალს" ნიშნავს, "გაგარი" — გასასვლელს და, აქ ნახმარი უნდა იყოს "ადვილად საავალის" მნიშვნელობით. წარწერის ეს ადგილი ასე უნდა გავიგოთ: ვამეყმა "უხმარ ქმნა" ამ ქვეყნის სიმაგრეები, ადვილად მისადგომიც და მიუყალნიც[123].

XIV ს. მიწურულს მნიშვნელოვნად გაძლიერდა იმერეთის ერისთავი გიორგი, რომელიც შეეცადა ერისთავები დაემორჩილებინა. პირველ რიგში, მან ვამეყ დადიანის წინააღმდეგობის გატეხა მოიწადინა, ვინაიდან კარგად იცოდა, "უკეთუ სძლოს და დაიმორჩილოს იგი, სხუანიცა ყოველნი დაიპყრას", შეკრიბა ლაშქარი და 1392 წ. ოდიშში შეიჭრა. ვამეყ დადიანს აფხაზეთის ერისთავიც მიეშველა. იმერეთის ერისთავი დამარცხდა და თავადაც ბრძოლაში დაიღუპა. ვამეყ დადიანის მიწოდებით, დას. საქართველოში გადმოვიდა საქართველოს მეფე გიორგი VII (1393-1407) და იმერეთი დაიკავა[124].

1396 წ. ვამეყ I დადიანი გარდაიცვალა და ოდიშის ტახტზე ავიდა მისი ძე, მამია II დადიანი (1396-1412) ცენტრალური ხელისუფლების მოწინააღმდეგე ძალებმა ვამეყ დადიანის გარდაცვალება ხელსაყრელ დროდ მიიჩნიეს თავიანთი მიზნების განსახორციელებლად და დას. საქართველოში კვლავ დამოუკიდებელი სამეფოს შექმნა მოინდომეს — იმერეთის ერისთავი გამეფებას შეეცადა. მამია II დადიანი წინააღუდგა ერისთავის ცდას და საქართველოს მთლიანობის შენარჩუნებას დაუჭირა მხარი. თემურ-ლენგის შემოსევების შეწყვეტის შემდეგ, ცენტრალურ ხელისუფლებას შესაძლებლობა მიეცა ეზრუნა დას. საქართველოში შექმნილი მდგომარეობის მოსაწესრიგებლად. გიორგი VII დას. საქართველოში გადავიდა, სადაც მას დადიანი შეუერთდა. მეფემ იმერეთი შემოიმტკიცა[125]- ვახუშტის ცნობით, მეფემ მაძია დადიანს ერთგულებისათვის ცხუმის საერისთავო უბოძა[126]. წყაროებიდან არ ჩანს რომ დადიანებს დაეკარგოთ ყოფილი ცხუმის საერისთავოს მაწა-წყალი, ან მცირე ხნით მაინც აღედგინათ ცხუმის საერისთავო. ამიტომ, თუ ვახუშტის ცნობა სწორია, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ მეფემ კიდევ ერთხელ და-

---

122 იხ. Ф. Бруп, Черноморіе, т. II.

123 თ. ბერაძე, "გაგარი" და "ულალის" განმარტებისათვის, გვ. 122-123.

124 ვახუშტი, აღწერა..., გვ. 803-804; თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 192; მ. ბროსე, საქართველოს ისტორია, ნაწ. II, გვ. 169.

125 ვახუშტი, იქვე, გვ. 804-805.

126 იქვე, გვ. 269.

ულსტურა დადიანებს ცხუმის საერისთავოს გადაცემა, ე. ი. წყალობა განუახლა.

1412 წ. საქართველოს სამეფო ტახტზე ალექსანდრე I (1412-1443) ავიდა. თვითონ ალექსანდრე დიდი საქართველოს საშინაო მდგომარეობას თავისი მეფობის დასაწყისისათვის ასე ახასიათებდა: "საქართველო უსჯულოსა თემურისაგან დარბეული და უნუგეშისცემო და გასრული დაგვიხუდა, ესრეთ რომელ... სრულად საქართველო ტყუე ექმნა და ჩუენისა მეფობისა დაჭირვადმდე მუდამი ტყუეენა და რბევა იყო საქართველოსა და მოოხრდა და იავარ იქმნა და ყოვლადვე ძალი და ნუგეშისცემა არსით იპოებოდა"[127].

თემურ ლენგის გამანადგურებელი შემოსევები თავს დაატყდა ჩრდ. კავკასიასაც, რასაც აქ მცხოვრები ტომების ამოძრავების ახალი ტალღა მოჰყვა[128]. ამ მოვლენებმა აფხაზეთშიც ჰპოვა ასახვა, რაც ქრისტიანობის "მისუსტებაში" და აფხაზეთის ერისთავის სეპარატისტულ მისწრაფებაში გამოვლინდა. ამის აღსაკვეთად მამია II დადიანი აფხაზეთის საერისთაოში შეიჭრა, მაგრამ დამარცხდა და თვითონაც ბრძოლაში დაიღუპა[129]. ალექსანდრე I "ქვეყნის აშლის შიშით" (ივ. ჯავახიშვილი) მაშინათვე დას. საქართველოში გადავიდა, ოდიშის ერისთავად ლიპარიტ მამიას ძე დასვა და შემდეგ, მისი თანხლებით, აფხაზეთში გადავიდა. შარვაშიძემ მეფეს მორჩილება გამოუცხადა. ალექსანდრემ აფხაზეთის ერისთავი დადიანთან შერიგა, საქმეები მოგვარა და უკან გაბრუნდა[130].

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ალექსანდრეს გამეფება და მამია დადიანის აფხაზეთში ლაშქრობა 1414 წ. მომხდარა: "შემდგომად მეფის კონსტანტინეს წილ დაჯდა მეფედ... ალექსანდრე... არამედ იხილა რა მამია დადიანმან ესე-ვითარებანი, ინება დამორჩილება აფხაზთა, ამასვე წელსა შეიკრიბნა სპანი ოდიშარნი მეგრელნი და წარვიდა, მისრულს აფხაზეთს ეწყო შარვაშიძე აფხაზით სიმაგრით გამო. მოსწყვდნეს მეგრელნი და მოკლეს დადიანი მამია"[131]. ასევეა ეს ვახუშტის ქრონოლოგიურ ცხრილშიც: "ქ-ს აქათი ქკნი 1414, ქართული ქ-კნი რ ბ, მეფე კონსტანტინე მოკლეს თურქთა, და დაჯდა მეფედ ალექსანდრე... კ-დ მოკლეს აფხაზთა დადიანი მამია, და დასვა ალექსანდრე მეფემან ლიპა-

---

[127] მალის ამოკვეთის სიგელი ალექსანდრე მეფისა (1440 წ.),– ი. დოლიძე. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 126.

[128] შდრ. Л. Люлье, Общий взгляд..., გვ. 188.

[129] ვახუშტი, აღწერა..., გვ. 278.

[130] ვახუშტი, იქვე. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. III, გვ. 155. ხობის ღვთისმშობლის ხატის წარწერაში იხსენიება ლიპარიტ დადიანი – მეფეთ-მეფის შვილიშვილი (Н.Кондаков, Опись памятников..., გვ. 88). საფიქრებელია, რომ ეს ლიპარიტი – დედის მხრით, საქართველოს მეფის შვილიშვილი, სწორედ, ლიპარიტ I დადიანია, თუმცა ჭირს იმის თქმა, თუ რომელი მეფის (ბაგრატ V, გიორგი VII) შვილიშვილია იგი.

[131] ვახუშტი, იქვე, გვ. 278.

რიტი დადიანად"[132]. ივ. ჯავახიშვილმაც მიაქცია ვახუშტის ამ ცნობას ყურადღება, თუმცა სხვა კუთხით, და აღნიშნა, რომ ვახუშტის მიხედვით, სანამ ალექსანდრე მეუფედ იკურთხებოდა, გამეფებისთანავე ჯერ სამეგრელოში, ხოლო შემდეგ აფხაზეთში გადავიდა და ქვეყანა შემოიმტკიცა[133]. როგორც დადგენილია, ალექსანდრე დიდი 1412 წ. გამეფდა[134]. მამია II დადიანის ლაშქრობაც აფხაზეთში იმავე წელს მომხდარა[135]

XV ს. დასაწყისში (10-20-იანი წლები) გერმანელმა რაინდმა შილტბერგერმა ჩერქეზეთიდან სამშობლოში მიმავალმა, აფხაზეთზე ("აპკაზ") და ოდიშზე ("მიგრილ") გაიარა. თავის ჩანაწერებში ის ასახელებს აფხაზეთის დედაქალაქსაც, რომელსაც, ტექსტის დამახინჯების გამო, მკვლევარები სხვადასხვანაირად კითხულობენ: Zuchtim, Zuchtum, Suppu და სხვ[136]. ფ. ბრუნი მას სოხუმად მიიჩნევს[137]; ე. მამისთვალიშვილი თვლის, რომ ესაა "ცხუმი"[138].

საფიქრებელია, რომ ყველა ეს სახელწოდება აღნიშნავს ზუფუს (ლიხნი), რომელიც მოგვიანებით მართლაც არის აფხაზთა მთავრების რეზიდენცია. რაც შეეხება სოხუმს (ცხუმი), იგი XV ს. არ შედიოდა აფხაზეთის საერისთავოს შემადგენლობაში და შარავაშიძეთა რეზიდენციად მხოლოდ XVIII ს. მიწურულს იქცა.

1453 წლის 29 მაისს თურქებმა კონსტანტინოპოლი აიღეს და ბიზანტიის იმპერიას ბოლო მოუღეს. საქართველოს, დიდი კულტურული ტრადიციების მქონე სახელმწიფოს ნაცვლად, რომლის მეშვეობითაც ის დასავლურ ცივილიზებულ სამყაროს უკავშირდებოდა და რომელთანაც მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა ჰქონდა, დაუმეზობლდა ძლიერი, უაღრესად აგრესიული მაჰმადიანური ოსმალეთი, რამაც შემდეგ საბედისწერო როლი შეასრულა საქართველოს ისტორიაში.

1454 წ. ზაფხულის დამდეგს, 56 გემისაგან შემდგარი ოსმალეთის ფლოტი ბოსფორიდან გავიდა და მონკასტროსაკენ (აკერმანი) გაემართა, მაგრამ ოსმალებმა, მოსახლეობის მედგარი წინააღმდეგობის გამო, ქალაქი ვერ აიღეს და კავკასიის სანაპიროსაკენ აიღეს გეზი[139]. ოსმა-

---

[132] ვახუშტი, აღწერა..., გვ. 896.

[133] ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, წ. III, გვ. 255.

[134] იქვე, გვ. 242-244.

[135] ე. მამისთვალიშვილიც მამია II დადიანის აფხაზეთში ლაშქრობის თარიღად 1412 წ. უთითებს, თუმცა ყოველგვარი კომენტარის გარეშე (იხ. ე. მამისთვალიშვილი, ოდიშის ისტორიიდან, გვ. 49).

[136] იხ. ე. მამისთვალიშვილი, საქართველო პანს შილტბერგერის "მოგზაურობის წიგნში," გვ. 107-108.

[137] იხ. Путешествие Ивана Шильтбергера..., გვ. 45.

[138] ე. მამისთვალიშვილი, საქართველო პანს შილტბერგერის "მოგზაურობის წიგნში", გვ. 115.

[139] მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები (XIV-XVIII სს.), გვ. 111-113.

ლები თავს დაესხნენ სოხუმს, გაძარცვეს და გადაწვეს ქალაქი. გენუელ ვაჭართა ერთი ნაწილი ტყვედ ჩავარდა, ნაწილმა გაქცევით უშველა თავს[140]. სოხუმთან ერთად ოსმალებს აფხაზეთის სანაპირო ზოლიც გაუძარცვავთ. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ოსმალებმა "აღაოხრნეს და ამოსწყ'ლნეს ცხოლი და აფხაზეთი და ზღვის პირნი. უკუნ-იქცნენ და წარვიდნენ"[141].

ეს იყო ოსმალთა პირველი თავდასხმა საქართველოს მიწა-წყალზე. გიორგი VIII (1446-1466) დაუყოვნებლივ გადავიდა დას. საქართველოში, მაგრამ ოსმალები ამ დროისათვის წასულიყვნენ. მეფემ გაჩიზნული მოსახლეობა დააბრუნა, ციხეები გაამაგრა და უკან გაბრუნდა[142]. ოსმალთა თავდასხმის შემდეგ, სულ მალე, 1455 წლის 28 ივნისს, აფხაზები, რომლებმაც ისარგებლეს ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებით და მორჩილებიდან გამოვიდნენ, დაესხნენ სოხუმს და საშინლად აიკლეს. ადგილობრივმა მოსახლეობამ და გენუელებმა გაქცევით უშველეს თავს. გაქცეულთა შორის იყო სებასტოპოლის (სოხუმი) კონსულიც, რომელმაც კოფას (ფეოდოსია) შეაფარა თავი[143]. ეს იყო აფხაზების პირველი გამოჩენა სოხუმში (ცხუმი). სებასტოპოლის კონსულმა ჯერალდო პინელიმ თხოვნა-წერილი გაუგზავნა გენუის პროტექტორებს, სადაც წერს: "... მე ჩავიბარე სებასტოპოლის კონსულობა... დავყავი იქ მცირე ხანი... მოულოდნელად მას დაესხნენ აფხაზები და მოსახლეობა მთლიანად გაიქცა, რათა თავი გადაერჩინა. მეც მათ მიებაძე. აფხაზებს სურდათ... უმეტესობა ტყვედ წაეყვანათ... გარდა ამისა გაცნობებთ, რომ ამ ადგილზე ჩემს ჩასვლამდე, თურქები დაესხნენ და გაძარცვეს ეს ქალაქი (სოხუმი)... ეხლა... იქითკენ გამგზავრება საშიში გახდა"[144].

პროფ. ზ. ანჩაბაძეს ეს ფაქტი, ფ. ბრუნის გამოკვლევაზე დაყრდნობით, გააზრებული აქვს, როგორც აფხაზების აჯანყება გენუელთა წინააღმდეგ. მკვლევარი იმოწმებს სებასტოპოლის კათოლიკე ეპისკოპოსის პეტრე გერალდის ზემოხსენებულ წერილს, სადაც ნათქვამია, რომ გენუელები სისტემატურ შეკიწროებასა და საშიშროებას განიცდიან ამ ქალაქში მცხოვრები "აღმოსავლეთის ქრისტიანებისაგან" (იგულისხმება მართლმადიდებლები, -ბ.ხ.), რომლებშიც ზ. ანჩაბაძე აფხაზებს გულისხმობდა[145].

---

[140] მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები (XIV-XVIIIსს.), გვ. 111; Т. Н. Бердзе, Мореплавание..., გვ. 56, 105.

[141] ვახუშტი, აღწერა..., გვ. 284.

[142] იქვე.

[143] Т. Н. Бердзе, იქვე. გვ. 105. შდრ. ე. მამისთვალიშვილი, ოდიშის ისტორიიდან, გვ. 55. ე. მამისთვალიშვილის აზრით, სოხუმზე თავდამსხმელი "ავოგაზები" ჯიქები არიან (იქვე). ჩვენი აზრით, "ავოგაზები" აფხაზები არიან, ორ თანხმოვანს შორის, რომელიც ევროპელისათვის ძნელი წარმოსათქმელია, ხმოვანია ჩამატებული.

[144] Т. Н. Бердзе, იქვე. გვ. 105-106.

[145] З. В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии, გვ. 247-248.

როგორც ვიცით, პეტრე გერალდი სოხუმში აფხაზებს საერთოდ არ ასახელებს, ამ დროს სოხუმის ადგილობრივი მოსახლეობა ქართული იყო და არა აფხაზური, "აღმოსავლეთის ქრისტიანებშიც" გერალდი ქართველებს გულისხმობს. რაც შეეხება სოხუმზე თავდასხმას, როგორც თვითმხილველის სიტყვებიდან ჩანს, ეს აჯანყება კი არ იყო, არამედ ნადავლისა და ტყვეების ხელში ჩაგდების მიზნით ქალაქის აკლება. ზ. ანჩაბაძე პეტრე გერალდის წერილის სრულ ტექსტს არ იცნობდა და ამდენად, მისი შეცდომის მიზეზი გასაგებია.

ცხუმზე "ბედიანის" ხელისუფლება ვრცელდებოდა. ამაზე პირდაპირ მიუთითებს XV ს. იტალიელი მოგზაური ი. ბარბარო. ის წერს: "ამ ქვეყნის (ოდიში, სამეგრელო,-ბ.ხ.) მმართველს ჰქვია ბენდიანი. მას ხსენებულ ზღვასთან აქვს ორი ციხე-სიმაგრე. ერთს ჰქვია ვატი და მეორეს სევასტოპოლი. ამათ გარდა, კიდევ აქვს სხვა მრავალი კოშკი და გამაგრებული ადგილი..."[146]. მართალია, ოდიშის მთავრის მიერ ბათუმის (ვატი) ფლობა ამ პერიოდში არ დასტურდება[147], მაგრამ ცხუმზე რომ დადიანის ხელისუფლება ვრცელდებოდა, ამას ი. ბარბაროს ცნობის გარდა, სხვა წყაროებიც ადასტურებენ. XV ს. ორ იტალიურ რუკაზე, რომელთაგან ერთი შედგენილია 1480 წ. ბენიკოზის, ხოლო მეორე 1497 წ. ფრედუჩის მიერ, კელასურის შესართავთან აღნიშნულია სამეგრელოს პორტი: პირველ რუკაზე — P. Mengrello, მეორე რუკაზე — Porto Mengrello[148].

საქართველოს შავიზღვისპირეთში გენუელთა მდგომარეობა მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული საქართველოს ხელისუფლებისა და, განსაკუთრებით, ოდიშის მთავრის კეთილგანწყობაზე, რომელსაც XV ს. 40-70-იანი წლების იტალიური წერილობითი წყაროები, ჩვეულებრივ, ბენდიანის სახელით მოიხსენიებენ. როგორც ირკვევა, XV ს. 60-იანი წლების დასაწყისში გენუელებსა და ოდიშის მთავარს შორის ურთიერთობა ძალზე ვაჭრობდა. ამის გამო გენუიდან კაფაში გაგზავნილ მითხოვნა, დაუყოვნებლივ მოეკარებინათ ურთიერთობა ოდიშის მთავრისა[149]. ისეთ პირობებში, როცა ცხუმზე "ბენდიანის" ხელისუფლება ვრცელდებოდა, მას როგორც სებასტოპოლის საგაჭრო ფაქტორიის მფლობელს, ქალაქის ვაჭრობიდან მიღებული შემოსავალზე კარგად ერეკენზიაც ეკუთვნოდა. საფიქრებელია, რომ ამის გამო წარმოიშობოდა კონფლიქტები "ბენდიანსა" და გენუელებს შორის[150]. გენუელები ოდიშის მთავრისგან კარგი ურთიერთობით იყვნენ დაინტერესებული. სებასტოპოლი

---

146 XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 55.

147 ი. ბერძენიშვილი, ოდიშის ადმინისტრაციული ერთეულებისა, გვ. 176-177.

148 ის. Ф. Брун, Черноморье, т. II.

149 Г. Н. Бергасе, Мореплавание..., გვ. 107-108.

150 ე. ბაბისთვალიშვილი, ოდიშის ისტორიიდან, გვ. 53.

კავკასიის მნიშვნელოვანი საზღვაო-სავაჭრო ცენტრი იყო. ცნობილი რუსი მოგზაური ათანასე ნიკიტინი, რომელმაც 1466-1472 წწ. იმოგზაურა ინდოეთში, თავისი მოგზაურობის აღწერაში სებასტოპოლის შესახებ წერდა: "А в Севастей губе (в севастопольском заливе,-ბ.ხ.) да в Гурзинской (грузинской,-ბ.ხ.) земле добро обильно всем"[151].

დღეისათვის დანამდვილებით არ არის ცნობილი, თუ როდის მოიშალა სებასტოპოლის სავაჭრო ფაქტორია, მაგრამ, ეჭვს არ იწვევს, რომ ეს ძირითადად დაკავშირებულია ოსმალების მოქმედებასთან შავი ზღვის აუზში. XVს. 70-იან წლებში ოსმალებისაგან შევიწროებული გენუელები, თანდათან ტოვებენ თავიანთ სავაჭრო კოლონიებს შავიზღვისპირეთში. საფიქრებელია, რომ 1475 წ. კაფას დაცემასთან ერთად, არსებობა შეწყიტა გენუელების სავაჭრო ფაქტორიამაც ცხუმში[152].

თურქების მიერ კონსტანტინოპოლის აღებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იმდროინდელ მსოფლიოზე. ევროპის ქვეყნები ანტიოსმალური კოალიციის შექმნას შეეცადნენ. 1456 წ. რომის პაპის კალიქსტ III-ის დავალებით, ფრანცისკანელი ბერი ლუდოვიკო ბოლონიელი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში გაემგზავრა ანტიოსმალური ჯვაროსნული ლაშქრობის ორგანიზების მიზნით. 1458 წ. იგი ხელმეორედ ჩამოვიდა საქართველოში, სადაც ამ დროს მეტად რთული ვითარება იყო: გიორგი მეფე, ყვარყვარე ათაბაგი, იმერეთის ერისთავი ბაგრატი ერთმანეთს ებრძოდნენ. ლუდოვიკო ბოლონიელის შუამავლობით, ქართველ მეფე-მთავრებს ურთიერთშორის ბრძოლა შეუწყვეტიათ და დაზავებულან. ისინი დიდად შეუშფოთებია ოსმალთა პირველ თავდასხმას (1454წ.) საქართველოს შავიზღვისპირეთზე, ამიტომაც გაგებით მოეკიდნენ ახალი ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობის იდეას. ლუდოვიკო ბოლონიელმა არამარტო შეაჩერა მოძმეებს შორის სისხლისღვრა, არამედ ფიცითაც შეაკავშირა ისინი, რომ თავიანთი ძალები გაერთიანებინათ საერთო მტრის წინააღმდეგ[153].

წყაროების ანალიზის შედეგად, ივ. ჯავახიშვილმა დაადგინა ქართველ მეფე-მთავართა სია, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს ანტიოსმალურ კოალიციაში მიეღოთ მონაწილეობა. ესენია: საქართველოს მეფე გიორგი VIII, სამცხის ათაბაგი ყვარყვარე II, სამეგრელოს მთავარი ბედიანი, გურიის მთავარი მამია, ანაკოსიის (აფხაზეთი) მთავარი რაბია (უაბია). ზოგიერთ დოკუმენტში მითითებულია აგრეთვე ქუთაისის (იმე-

---

[151] Л. Баранов, Афанасий Никитин - первый русский путешественник в Индию, Калинин, 1939, გვ. 74.

[152] Т. И. Бердзе, Мореплавание.... გვ. 110; ე. მამისთვალიშვილი, ოლიშის ისტორიიდან, გვ. 59.

[153] მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 56-57; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. III, გვ. 291; მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები (XIV-XVIII სს.), გვ. 118-119.

რეთის). მეფე ბაგრატი[154]. საქართველოს მეფე-მთავრებს უნდა გამოეყვანათ: მეფე გიორგის — 40.000 ცხენოსანი; ყვარყვარე ათაბაგს — 20.000, სამეგრელო-აფხაზეთის მთავრებს — 10.000 მეომარი. გიორგი მეფის დროშის ქვეშ უნდა დარაზმულიყვნენ აგრეთვე ჯიქები და ჩრდილოკავკასიელი ალანები (ოსები)[155].

1460 წ. კოალიციის მონაწილეთა, მათ შორის, ქართველ მეფე-მთავართა ელჩობა ("ბედიანს" და აფხაზეთის ერისთავს ცალკე ელჩები არ წარუგზავნიათ) პაპს წარუდგა. მაგრამ ელჩობას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია და კოალიციის შექმნის იდეა ჩაშალა[156].

წყაროებში მოხსენიებული "ბენდია სამეგრელოს მეფე", ლიპარიტ I დადიანია[157](1412-1470). პაპისადმი წარდგენილ მოკავშირეთა სიაში ბედიანი მოიხსენიება, როგორც "აფხაზეთისა და სამეგრელოს მეფე"[158]. სხვა სიებში, "ბენდია სამეგრელოს მეფე" და აფხაზეთის ერისთავი ცალ-ცალკე იხსენიებიან, რაც მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ჩანს, XV ს., ისევე, როგორც XIV ს., აფხაზეთის ერისთავი გარკვეულ იერარქიულ (ვასალურ) დამოკიდებულებაშია ოდიშის მთავართან[159], რაც შეეხება ოდიშის მთავრისა და აფხაზეთის ერისთავის ცალ-ცალკე მოხსენიება ზოგიერთ სიაში, კოალიციის მონაწილეთა დაკონკრეტების მიზეზით უნდა იყოს გამოწვეული.

ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს მოსაზრება, რომ XV ს. დას. საქართველოში არსებობდა ნახევრად დამოუკიდებელი სამთავრო — საბედიანო, რომელიც აერთიანებდა ოდიშს, გურიას, აფხაზეთს და რომლის სათავეშიც ოდიშის მთავარი იდგა. ეს მოსაზრება, რომელიც უცხოური წყაროების ცნობებზე დაყრდნობითაა გამოთქმული, დამკვიდრებულია სამეცნიერო ლიტერატურაში. იე. ჯავახიშვილი, რომელმაც პირველმა წამოაყენა მოსაზრება საბედიანოს შესახებ, თვლიდა, რომ ის XV ს. II ნახ. ჩამოყალიბდა; ზ. ანჩაბაძის აზრით, საბედიანო XIV ს. ბოლოდან არსებობს[160].

---

[154] იე. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, წ. III, გვ. 291-296.

[155] ვ. თამარაშვილი, ისტორია ქართველთა შორის, გვ. 54-60; იე. ჯავახიშვილი, იქვე, გვ. 295-296; ლ. პაიჭაძე, ეკონომიკა ბენდიანის ისტორიისა [illegible] ... 1989, გვ. 93-94. ლიპარიტ დადიანის [illegible] ... ალიანსში, [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...

XV ს. II ნახევარში ოდიში, უდავოდ, საკმაოდ ძლიერი პოლიტიკური ერთეულია. ის ფაქტი, რომ "ბედიანს" მეფედ მოიხსენიებენ გიორგი VIII და ყვარყვარე ათაბაგი 1459 წ. რომის პაპისა და ბურგუნდიის ჰერცოგისადმი გაგზავნილ წერილებში[161], მეტყველებს არა მხოლოდ წერილების ავტორთა სწრაფვაზე, განადიდონ ადრესატების წინაშე ანტიოსმალური კოალიციის წევრები, არამედ, მეორე მხრივ, ნათლად მიუთითებს "ბედიანის" დიდ ავტორიტეტზეც, რომ "ბედიანი" საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი და გავლენიანი მთავარი იყო[162]. თ. ბერაძემ სამართლიანად უარყო მოსაზრება საბედიანოს არსებობის შესახებ. XVს. საქართველოს შესახებ ცნობების საფუძვლიანი ანალიზით არ დასტურდება მსგავსი პოლიტიკური ერთეულის არსებობა, არც XIV ს. ბოლოს, არც XV ს. შუახანებში და არც მეორე ნახევარში, თვით ტერმინი "საბედიანო" კი ხელოვნურადაა შექმნილი[163].

ანტიოსმალური ლაშქრობის გეგმის ჩაშლისთანავე საქართველოს მეფე-მთავრებს შორის 1459 წ. დადებული ზავიც დაირღვა და 60-იან წლებში ახალი ძალით გაჩაღდა შინაომი. გიორგი VIII ერთიანი საქართველოს მეფედ მხოლოდ ნომინალურად ითვლებოდა. ფაქტობრივად, ქვეყანა დაშლილი და დანაწევრებული იყო. ეს კარგად ჩანს ანტიოსმალური კოალიციის შექმნის თაობაზე გიორგი მეფისა და ყვარყვარე ათაბაგის ევროპაში გაგზავნილი წერილებიდან[164]. როგორც ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, სამეგრელოს მთავარი და გურიელი ამ დროს თავს უკვე საკმაოდ დამოუკიდებლად გრძნობდნენ, რომ ცალ-ცალკე გამოეყვანათ ჯარი, ხოლო ყვარყვარე ათაბაგი ცალკე ელჩსაც კი გზავნის დას. ევროპაში[165]. ახლა მთავრებმა წინანდელზე უფრო დაუნდობელი ბრძოლა გააჩაღეს სრული დამოუკიდებლობისათვის. იმერეთის ერისთავმა ბაგრატმა (1455-1462) ყვარყვარე ათაბაგის წაქეზებით იმერეთის მეფობა მოინდომა და მოელაპარაკა დადიანს, გურიელს, შარვაშიძესა და გელოვანს, რომელთაც გამარჯვების შემთხვევაში "განთავისუფლებას" შეჰპირდა. 1462 წ. ბაგრატ ერისთავმა გიორგი VIII დაამარცხა ჩიხორის ბრძოლაში და გამარჯვებული შევიდა ქუთაისში. აქ "მოერთნენ" ბაგრატს "დადიან-გურიელ-აფხაზნი და სუანნი" და აკურთხეს იმერეთის მეფედ. ერისთავებმაც მიიღეს შეპირებული პრივილეგიები. მათ სამეფო ხელისუფლების წინაშე ყოველგვარი ვალდებულება მოეხსნათ, გარდა

---

[161] მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 52, 59-60.

[162] Очерки истории Абхазской АССР, ч.I, გვ. 90-91; З. В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии, გვ. 239; ე. მამისთვალიშვილი, საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი..., გვ. 47.

[163] თ. ბერაძე, ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან, გვ. 176-178.

[164] მ. თამარაშვილი, იქვე.

[165] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. III, გვ. 177.

"ლაშქრობისა და ქუეგანწესებისა"[166]. 1466 წ. იმერეთის მეფე ბაგრატს შეძლო ქართლის ტახტის დაკავება და თავი საქართველოს მეფედ გამოაცხადა. გიორგი მეფე იძულებული გახდა კახეთში გადასულიყო და კახეთის მეფობას დასჯერებოდა. აქედან იწყება კახეთის სამეფოსა და მისი დინასტიის ისტორია. დამოუკიდებელი გახდა სამცხის სამთავროც, რომელიც ამიერიდან სამცხე-საათაბაგოს სახელით იხსენიება. ბაგრატ VI-ის (1466-1478) ძალაუფლება ქართლზე და დას. საქართველოზე ერცელდებოდა[167]. საქართველოს პოლიტიკური დაშლა ამაზე არ შეჩერებულა.

საქართველოს ფეოდალური მონარქიის დასუსტებითა და დაშლით სარგებლობენ ჯიქები, რომლებიც XV ს. გამოდიან ცენტრალური ხელისუფლების მორჩილებიდან. ადიღეური ტომების აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ექსპანსიის შედეგად, ჯიქები და სხვა აბაზური ტომები სამხრეთ-აღმოსავლეთით მოიწევენ (XVს. უშუალოდ გაგრის ჩრდილო-დასავლეთით, გაგრის ვიწროებს იქით, ჯიქების მიწები იწყება)[168]. ეს პროცესები გამოწვეული იყო XIII-XIV სს. შემდეგ ჩრდ. კავკასიაში შექმნილი ვითარებით. როგორც ვნახეთ, ჩრდ. კავკასიაში მონღოლ-თათართა ლაშქრობების შემდეგ, იმერკავკასიის მკვიდრი მოსახლეობა: ადიღეური ტომები, ალან-ოსები, ძურძუკ-ღილღვები, იძულებული გახდნენ იმერკავკასიის ველები მოძალადეთათვის დაეთმოთ, თვითონ კი მტრებისათვის მიუვალ, მაგრამ მწირ მთას შეხიზნოდნენ. "მთის სიმწირე-სივიწროვით ამოხუთული იმერკავკასიის მკვიდრი მოსახლეობა პირაქეთი კავკასიონისა და მთის ძირობა საქართველოს დაპყრობას ცდილობდა"[169].

მთისა და ბარის ურთიერთობა შუა საუკუნეების საქართველოს უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს. ქართულ ისტორიოგრაფიაში გაზიარებული და დამკვიდრებულია თვალსაზრისი, რომ გვიან შუასაუკუნეებში ადგილი აქვს კავკასიის მთის მოსახლეობის მოძალებასა და თანდათან ჩამოსახლებას პოლიტიკურად დასუსტებულ, ზოგან აყრილ-აოხრებულ ბარში. მთის ჩამოწოლის პროცესი ისტორიაში უცნობი არ არის. ასეთ მოვლენას ადგილი ჰქონდა საერთოდ კავკასიაში და სხვაგანაც. ადრეფეოდალურ ხანაში მთა უტევს ბარს, დროდადრო არბევს და ძარცვავს მას; შუაფეოდალურ ხანაში უკვე ბარი ამყარებს კონტროლს მთაზე, მაგრამ XIV ს.-დან მშვიდობიანი ურთიერთობა მთასა და ბარს შორის ირღვევა. ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებისა და ფეოდალური დაქუცმაცებულობის დროიდან მთა კვლავ გადმოდის ბარის წი-

---

[166] ვახუშტი, აღწერა..., გვ. 285, 806.

[167] ბ. ლომინაძე, საქართველო XV ს. მეორე ნახევარში. ერთიანი საქართველოს ხანმოკლე დაშლა სამეფოებად და სამთავროებად. - სინ., ტ. III, თბ., 1979, გვ. 739-740.

[168] Ф. Брун, Черноморье, т.II; А. Н. Дьячков-Тарасов, Гагры и их окрестности, გვ. 48–50; Л.И. Лавров, Историко-этнографические очерки Кавказа, გვ. 41-47.

[169] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან ჩვენს დროამდე, ხელნაწერის უფლებით, თბ., 1940, გვ. 287.

ნაალმდეგ შეტევაზე. მეორდება ადრეფეოდალური ხანის სიტუაცია, როდესაც მთა უტევს და ბარი იძულებულია თავი დაიცვას[170]. მთას თან მოაქვს მისთვის დამახასიათებელი პრიმიტიული სამეურნეო და სოციალური ყოფა, წეს-ჩვეულებები, წარმართობა, მაგრამ ბარი დასაწყისში ჯერ კიდევ ითვისებს მას. მოსული ელემენტი დამხვდურის კულტურას ეზიარება, მისი სამეურნეო და საზოგადოებრივი ტრადიციების მატარებლად იქცევა და შეერწყმის დამხვდურთ, მაგრამ თავის მხრივაც ახდენს გავლენას მასზე[171]. როგორც აღვნიშნეთ, გვიანფეოდალურ ხანაში დას. კავკასიის მთის მოსახლეობის ლტოლვა ბარისაკენ აიხსნება ბუნებრივი კანონზომიერებებით: საარსებო მიწის ძებნით, რაც გამოწვეულია მონღოლების (შემდეგ კი ოსმალების) მიერ მათი შევიწროებითა და ადრინდელი საცხოვრისიდან გამოდევნით. სწორედ ამ დროიდან (XIII ს.) ვარაუდობენ მკვლევარები მთის ჩამოწოლის პირველ ტალღას აფხაზეთში, როცა ოქროს ურდოს მოწოლით კავკასიელი ტომები სამხრეთისაკენ მოიწევენ. მთის ჩამოწოლის ამ ნაკადს რაიმე საზოგადოებრივი გავლენა არ მოუცია. დამხვდურმა საზოგადოებამ, როგორც ჩანს, შეძლო მისი ათვისება[172].

როცა მკვლევარები აღნიშნავენ, რომ აფხაზეთის ბარში ადგილი აქვს მთის ჩამოწოლის პროცესს, ეს განსაზღვრება მთლად ზუსტი არ არის. აფხაზეთი თავის ტრადიციულ საზღვრებში, ანაკოფიიდან მდ. აქეუნტამდე (შახე), თუ გაგრის ციწროებამდე, ისეთივე მთის ქვეყანა იყო, როგორც მისი მეზობელი ჯიქეთი. სიდანაც, ფაქტობრივად, ხორციელდება მთის ჩამოწოლა. ამ ტერიტორიაზე მხოლოდ ციწრო სანაპირო ზოლი და მდ. ბზიფის ხეობა შესართავიდან სულ რამდენიმე კილომეტრზე. შეიძლება ჩათვალოს ბარად. "აფხაზეთის ბარის" ხმარება ფართო მნიშვნელობით ამ პერიოდში, სწორი არ არის. აფხაზეთში ადგილი აქვს არა მთის ჩამოწოლას, ამ ტერმინის პირდაპირი მნიშვნელობით, არამედ ხორციელდება მეზობელი ტომების მიერ აფხაზეთის ექსპანსია, ჯერ მხოლოდ მთა მთას აწვება. მკვლევარებს, როცა აფხაზეთის ბარში მთის ჩამოწოლაზე წერენ, ძალიან ნებურად გვიანდელი აფხაზეთის ტერიტორია აქვთ წარმოდგენილი.

მთის ჩამოწოლის პროცესის დაწყება აფხაზეთში საეჭვოა, ბელია არა XIII ს.-დან, არამედ უფრო ადრეული პერიოდიდან. ეს იყო პროგრესული პროცესი, რომლის შესახებაც პირველი მიანიშნებს ქვენი ერის დასაწყისიდან გვაქვს, როცა II ს. მდ. აბასკეთის ზეგნ ზეგეში

---

170 ნ. ბერძენიშვილი, ბორჯომის ხეობა (ლიტერატურა, 1947 წ.),— საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. I, თბ., 1964, გვ. 241; ბ. ლომინაძე, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, I, გვ. 231.

171 ნ. ბერძენიშვილი, იქვე, გვ. 139; ბ. ლომინაძე, იქვე.

172 ნ. ბერძენიშვილი, ისალები... გვ. 593; ბ. ლომინაძე, იქვე.

პირველად იხსენიებიან აბაზგები". VII-VIII სს. მთის ჩამოწოლის ახალი ტალღაა სავარაუდებელი აფხაზეთში, რაც დაკავშირებულია "აფხაზთა" სამეფოს ფორმირებასთან[173]. მონღოლ-თათართა შემოსევების დროიდან (XIII ს.), რამაც ჩრდ. კავკასიის ტომების ამოძრავება გამოიწვია, მთის ჩამოწოლის ახალი ნაკადი იწყება აფხაზეთში.

XV ს. მთის ჩამოწოლის პროცესი საკმაოდ შორს ჩანს წასული, რისი აშკარა მოწმობაა აფხაზთა მიქცევა "წარმართობისადმი", რაც აისახა ანტიოქიის პატრიარქ მიქაელის მიერ ბაგრატ VI-ის (1466-1478) და შამადავლე დადიანის (1470-1474) დროს შედგენილ ძეგლში "მცნება სასჯულო" (1470-1474)[174]. აქ პირველად გამოჩნდა ქართული სამყაროსგან აფხაზთა "გაუცხოების" კვალი: "აფხაზეთი ქრისტეანობისაგან სრულიად მიდრეკილ იყუნეს, ქრისტეს მცნებათაგან განშორებულ იყუნეს"[175].

შამადავლე დადიანის ხობისადმი შეწირულობის სიგელში ნათლადაა ნაჩვენები იმ დროს აფხაზეთში შექმნილი ვითარება. ამ სიგელის ფრაგმენტი ლევან II დადიანს (1611-1657) თაყის სიგელში აქვს ჩართული: "ესე ვითარცა დადიან გურიელისა, სულკურთხეულისა სამადავლისაგან გარიგებული სიგელი ვნახეთ, ესრედ ეწერა და გაერიგა: "ძუელითგანი იადგარი გარყუნილიყო და დაკარგულიყო ხოფისა ღთის მშობელისაო, მას ჟამსა ულმთოდ და უსჯულოებად მიიქცეს აფხაზნიო, და აღვიყვანეთ იოვაკიმ კაცი ღირსი ნეტარებისა, დავსვით კათალიკოზადო, რომელი აფხაზთა გარყუნეს სჯული და კათალიკოზობა, ხოლო ჩუენ მარჯუენითა ქრისტეს საფლავისათაო და იერუსალემისა და ანტიოქის პატრიარქისა მიხაილის ნება დართეითა გავარიგეთ ჯუარითა და ონფორითაო"[176].

შამადავლეს სიგელი XV ს. 70-იანი წლების ვითარებას ასახავს, როცა აფხაზეთის (დას. საქართველოს) კათალიკოსად აკურთხეს იოაკიმე, და საყურადღებოა იმ მხრივ, რომ აფხაზეთის მდგომარეობა ნაჩვენებია თანამედროვის — შამადავლე დადიანის მიერ. როგორც ჩანს, XV ს. აფხაზეთის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ქრისტიანობისაგან გამდგარია და აქ წარმართობაა აღორძინებული, ავრერიგად დამახასიათებელი მთიელთა ყოფისათვის.

1474 წ. ივლისში შამადავლე დადიანი გარდაიცვალა და ბაგრატ

---

* გაეხსენოთ, რომ, ასევე, ძველი და ახალი ერის მიჯნაზე (ძვ. წ. I ს.), იხსენიებს პირველად ჯიქებს (ხიხები) სტრაბონი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, სადაც ისინი იმიერკავკასიიდან ჩამოსახლებულან.

[173] Д. Гулиа, История Абхазии, გვ. 188; შ. ბადრიძე, მიური კომპანიების საკითხისათვის..., გვ. 22.

[174] ნ. ბერძენიშვილი, მასალები..., გვ. 615-616; ბ. ლომინაძე, ქართული ფეოდალური ურბანიზაციის ისტორიიდან, I, გვ. 210.

[175] მცნება სასჯულო,— ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 222.

[176] ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ. I, გვ. 26.

მეფის დასტურით ოდიშის ტახტზე ავიდა მისი ბიძა ვამეყ II დადიანი (1474-1482)[177], მაგრამ დადიანად დასმის შემდეგ, ვამეყი ბაგრატ მეფის ურჩობას იწყებს. ეტყობა, მას უკვე აღარ სურს ბაგრატ VI-ის შემდგომი გაძლიერება და არ მოსწონს მის მორჩილებაში ყოფნა. მან "შემოიკრიბნა აფხაზნი და გურიელი და უწყო კირთება, ოხრება და დაპყრობა იმერეთს"[178]. ბაგრატ მეფემ, რომელიც ქართლში იმყოფებოდა, სასწრაფოდ გაილაშქრა ოდიშში. იმავე 1474 წ. მომხდარა ბრძოლა ვამეყ დადიანსა და ბაგრატ VI-ს შორის. მეფემ დაამარცხა დადიანი, ოდიშში შეიჭრა, ციხეები დაიკავა და ვამეყს მორჩილების ფიცი დაადებინა[179]. საგულისხმოა, რომ ბაგრატმა ვერ ჩამოართვა მთავრობა ვამეყს და მხოლოდ მორჩილების ფიცს დასჯერდა.

ბაგრატ VI-ის გარდაცვალების შემდეგ ქართლის ტახტზე ავიდა ალექსანდრე დიდის შვილიშვილი კონსტანტინე II (1478-1505). ბაგრატ მეფის ძე ალექსანდრე იმერეთში გამეფებას შეეცადა, მაგრამ მთაელებმა არ ისურვეს იგი მეფედ. ასეთ ვითარებაში კონსტანტინემ საქართველოს ერთიანობის აღდგენა გადაწყვიტა. 1479 წ. იგი ლიხთ-იმერეთში გადავიდა და მთავართა თანადგომით, განსაკუთრებით, ბაგრატ VI-ის მომდურავი დადიანის დახმარებით, იმერეთშიც გაბატონდა. 1483 წ. კონსტანტინე II დამარცხდა ყვარყვარე ათაბაგთან არადეთის ბრძოლაში. ამით ისარგებლა ალექსანდრე ბაგრატის ძემ, 1484 წ. ქუთაისი დაიკავა და მეფედ ეკურთხა. კონსტანტინემ კიდევ ერთხელ შეძლო იმერეთში გაბატონება, მაგრამ მცირე ხნით. 1489 წ. ალექსანდრე II (1489-1510) კვლავ დაეუფლა იმერეთის ტახტს, ამჯერად უკვე საბოლოოდ. ასე ჩაეყარა საფუძველი იმერეთის სამეფოს დამოუკიდებელ არსებობას[180].

XV ს. მეორე ნახევარში ძირითადად დასრულდა საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის დაშლა. ეს იყო "ნელი, თანდათანი და ხანგრძლივი პროცესი, XV ს. დასასრული ამ პროცესის ქრონოლოგიური ტეხილია, როცა უდავო შეიქმნა დამოუკიდებელ ძალთა უპირატესობა გაერთიანებულ ძალებთან შედარებით"[181]. ერთიანი საქართველოს პოლიტიკური დაშლა რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მწიფდებოდა და უკრესად რთულ სოციალურ-ეკონომიკურ თუ საგარეო-პოლიტიკურ მოვლენათა გადახლართვის შედეგი იყო. ხვარაზმშა ჯალალედინის მეამოსვლამ, მონღოლების ასწლიანმა თარეშმა, შემდეგ კი თემურ-ლენგის

---

[177] XV საუკუნის ტბილელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 47-48; ფახუშტი, აღწერა..., გვ. 807.

[178] ფახუშტი, იქვე.

[179] XV საუკუნის ტბილელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ, იქვე; ფახუშტი, იქვე.

[180] ბ. ლომინაძე, საქართველო XV ს. მეორე ნახევარში..., გვ. 748.

[181] ნ. პეტრუსევიჩი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში, — საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. II, გვ. 137-138.

გამანადგურებელმა შემოსევებმა დაასუსტეს ცენტრალური ხელისუფლება, ძირი გამოუთხარეს ფეოდალური საქართველოს ეკონომიკასა და პოლიტიკურ ძლიერებას. უცხო ძალის უხეშმა ზემოქმედებამ გააჩანაგა ქვეყნის ეკონომიკა, რამაც, თავის მხრივ, მოშალა მისი პოლიტიკური ერთიანობის საფუძვლები. შესაბამისად, შესუსტდა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებს შორის სამეურნეო ურთიერთობა, ყოველივე ამან გააძლიერა პროვინციულ-თემობრივი განკერძოებულობა, ხელი გაუხსნა ფეოდალურ პარტიკულარიზმს[182]. 1490 წ. ქართლის სამეფო დარბაზი იძულებული გამხდარა ეცნო საქართველოს პოლიტიკური დაშლის ფაქტი[183].

საქართველოს ფეოდალური მონარქიის დაშლისა და ფეოდალური სამეფო-სამთავროების წარმოშობის შემდეგ, გაძლიერდა განკერძოების პროცესი, მაგრამ ერთიანობის იდეა ამის შემდეგაც არ გამქრალა. საქართველოს ტერიტორიაზე გრძელდებოდა ერთიანი ქართული კულტურის შექმნა. ქართული ენა რჩებოდა საკომუნიკაციო, ღვთისმსახურების, ლიტერატურისა და ხელოვნების ენად. საქართველოს პოლიტიკური ერთიანობის იდეა ცოცხლობდა დამოუკიდებელი სამეფოების მეფეთა ტიტულატურაშიც. ქართლის, კახეთისა და იმერეთის მეფეები "ორისაკე ტახტის გამაერთიანებლად", "ყოვლისა საქართველოსა ტახტისა და გეორგეინის მპყრობელებად" და "მეფეთ მეფედ" იწოდებოდნენ[184].

საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის გადმოცემისას, ბერი ეგნატაშვილი იძლევა ამ ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულთა საზღვრებსაც. დადიანის სამფლობელოს იგი შემდეგნაირად აღწერს: "ხოლო დადიანს ეპყრა: ცხენისწყალს ჩაღმართი, ლეჩხუმს ქუემოთი, სუანეთის მთის გარდმოღმართი, აფხაზეთის ზემოთი. და აფხაზეთი ჯიქეთამდის შარვაშიძეს ეპყრა და ესე შარვაშიძე მორჩილობდა არა ყოველსაე ბრძანებასა დადიანისასა. კუალად ეპყრა დადიანს ხღუას შემოღმართი და რიონს გაღმართი"[185].

ბერი ეგნატაშვილის ცნობა ზოგადი ხასიათისაა. XV ს. მეორე ნახევრის ოდიშის საზღვრების შესახებ უფრო დაწვრილებითი ცნობები მოეპოვება ვახუშტი ბატონიშვილს:[186] — "ხოლო საზღვარი ოდიშისა არს ცხენისწყალი და ხანი ისულეთამდე, მერე თაკვერსა და ოდიშს შორისი მსა. კავკასიდამ ჩამოსული სამხრით და კუალად თაკვერიდამდე წარსული კავკასი ჩრდილოთ, ვიდრე ეგრისის საზღვამდე, ოდიშსა და სუანეთს

---

[182] ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, ბ. ლომსაძე, გ. ფალავანდიშვილი, შ. მესხია, საქართველოს ისტორია, ტ. I, თბ., 1958, გვ. 258; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. III, გვ. 398 და შემდ., ალ. ანთელავა, XI-XV საუკუნეების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხები, თბ., 1980, გვ. 230-231.

[183] ციხეშვილი, აღწერა..., გვ. 330; ივ. ჯავახიშვილი, იქვე, გვ. 371.

[184] ნ. ლეონ, საქართველოს ძალაუფლება XV-XVI სს. მიჯნაზე – სმ, ტ. IV, თბ. 1973, გვ. 85.

[185] ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, გვ. 349.

[186] ო. ბერაძე, ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან, გვ. 163-164.

შორისი; სამხრეთ მდინარე რიონი, გურია-ოდიშს შორისი, და კუალად ეგურის მდინარის შესართავს დასავლეთი შავი ზღუა; დასავლეთ ზღუა შავივე და კუალად ანაკოპიის მცირე მთა, კავკასიდამ ჩამოსული სამხრეთ ზღუამდე"[187].

ზ. ანჩაბაძე თვლიდა, რომ XV ს. მეორე ნახევარში აფხაზეთის ერთი ნაწილი მდ. ბზიფამდე ოდიშის სამთავროს შემადგენლობაში შედიოდა; ე. მამისთვალიშვილის აზრით, მთელი აფხაზეთი ჯიქეთამდე უშუალოდ შედიოდა ოდიშის სამთავროს შემადგენლობაში[188].

აფხაზეთის საერისთავო უშუალოდ კი არ შედიოდა ოდიშის სამთავროს შემადგენლობაში, არამედ მასთან ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა[189]. ამაზე მეტყველებს ბერი ეგნატაშვილის ცნობაც: "ესე შარვაშიძე მორჩილობდა არა ყოველსავე ბრძანებასა დადიანისასა". ამასთან, ოდიშის მთავარი, თუმცა ნომინალურად, მაგრამ მაინც ცნობდა იმერეთის მეფის სიუზერენობას. აფხაზეთის ერისთავიც იყო ჯერ მეფის, შემდეგ კი, დადიანის ვასალი.

ვახუშტი ბატონიშვილის მიერ მოცემული საზღვრები XV ს.-თვის ძირითადად სწორი უნდა იყოს. ამ დროისათვის ოდიშის საზღვარი აღმოსავლეთით გასდევდა მდ. ცხენისწყალს, შემდეგ ჭილაძეთა გვარის სამფლობელოს* და მდ. რიონს, დასავლეთით შავ ზღვას და ჩრდილო-დასავლეთით ანაკოფიასთან, მდ. ფსირცხაზე გადიოდა[190]. აფხაზეთის ერისთავის სამფლობელოს შეადგენდა მთელი აფხაზეთი ჯიქეთამდე, ანაკოფიიდან (მდ. ფსირცხა) გაგრის ვიწროებამდე. იმის იქით იყო ჯიქეთი[191].

---

187 ვახუშტი, აღწერა..., გვ. 776.

188 Очерки истории Абхазской АССР, ч. I, გვ. 90; З. В. Анчабадзе. Из истории средневековой Абхазии, გვ. 240; История Абхазии, გვ. 57; ე. მამისთვალიშვილი. ოდიშის ისტორიიდან, გვ. 50.

189 თ. ბერაძე, ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან, გვ. 178.

* ჭილაძეთა ფეოდალური საგვარეულო, რომელიც განსაკუთრებით ძლიერი იყო XIV-XV სს. დიდ მხარეს ფლობდა გურიასა და ოდიშს შორის. მათ სამფლობელოში შედიოდა: საუკეთესო, ორპირი, სამტრედია, ახლანდელი საჭილაო, აბაშა და სეფეთი (ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, გვ. 3-4).

190 თ. ბერაძე, იქვე, გვ. 171.

191 ვახუშტი, იქვე, გვ. 783.

თავი II. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XVI საუკუნეში და XVII ს. I ნახევარში

§ 1. ჯიქების ექსპანსია აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში

XVI ს. ოდიშის სამთავრო ერთ-ერთი ძლიერი პოლიტიკური ერთეულია დას. საქართველოში. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში აფხაზეთი მასთან ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფება. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ოდიშის მთავარმა მამია III დადიანმა (1512-1533) აფხაზეთის (დს. საქართველოს) საკათალიკოსოს უბოს ხოულები, რომლებიც მდებარეობდნენ საკუთრივ აფხაზეთის ტერიტორიაზე[1].

მამია III დადიანის წყალობის სიგელში "ბიჭვინტის ღმრთისმშობლისადმი", ნათქვამია: "... კუალადცა გკადრეთ და მოგაკსენეთ ჩუენ დადიანმან პატრონმან მამიამან და ძემან ჩუენმან პატრონმან ლეონ დადიანმან და ძეთა ჩუენთა დადიანმან პატრონმა გიორგი და დადიანმან პატრონმან მამია თქუენ, საშინელსა ბიჭვინტისა ღმრთისმშობელსა... ეგურისპირს ნაჟანეო სამოცის კუამლის კაცითა; ხოირს წმიდის გიორგის ეკლესია ოცდახუთის კუამლის კაცითა; წამხარს გამკერვალია; სასახლე სუბეში; სოფელი მუხური, აზნაურის-შვილებითა, ოცდაათის კუამლის კაცითა; ტყაურუს მეთევზე და მენავტე* შაბიგია ჭუჭურია და დათია; მარმარისკარს ეგ'ებტია და ჩხუნბურია, აგრეთვე ბიჭვინტის გარემო სოფელი აითარნე, არუხა და რაბიწა, აითარნეს მთა ზეთის ხილოვანი"[2].

მამია III დადიანის წყალობის სიგელს შემდგომ ამტკიცებენ მისი მემკვიდრეები: ლევან I (1533-1572), გიორგი III (1572-1582) და მამია IV (1582-1590). ამ ფაქტიდან ძნელი არ არის დავასკვნათ, რომ XVI ს. ბოლოსაც აფხაზეთი ოდიშის სამთავროს ვასალია[3].

ამ პერიოდის ევროპულ წყაროებში ოდიშის სამთავროს ძირითადად სამეგრელოს (Mingrelia) სახელით იცნობენ. ხშირად ევროპელი მოგზაურები მთელ დს. საქართველოსაც სამეგრელოს უწოდებენ და მას ძველ კოლხეთთან აიგივებენ. ავსტრიელი დიპლომატი ს. ჰერბერშტეინი, რომელიც XVI ს. დასაწყისში ორჯერ იმყოფებოდა რუსეთში, წერს: "ყუბანს იქით არის სამეგრელო", თუმცა, ზემოთ აღნიშნავს, რომ მდ.

---

[1] И. Г. Антелава, Очерки по истории Абхазии XVII-XVIII веков, გვ. 27-28; З. В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии, გვ. 258.

* მენავთობა — ფეოდალური ვალდებულება, ნაზე სამსახური. გარდა ნაზე სამსახურისა, "მენავტეს" შეიძლებოდა დაკისრებოდა მეთევზეობაც.

[2] იხ. ბიჭვინტის იადგარი, — ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 179.

[3] И. Г. Антелава, იქვე, გვ. 28.

ყუბანის ქვემო წელზე ცხოვრობენ "აფგაზები", ხოლო მთებში – ჩერქეზები[4]. პორტუგალიის სამეფო კარის კარტოგრაფის დიეგო ჰომემის მიერ 1559 წ. შედგენილ რუკაზე, ტერიტორიას დაახლოებით დღევანდელი ნოვოროსიისკიდან სამეგრელოს ჩათვლით აწერია "შენგრელია", ტერმინი აფხაზეთი რუკაზე არ ფიგურირებს[5]. მსგავს ცნობებს, რომლებიც უხვადაა ევროპულ წყაროებში და ყოველგვარ რეალურ საფუძველს მოკლებულია, ზოგიერთი მკვლევარი გარკვეული ნდობით უყურების და თითქმის სინამდვილედ მიიჩნევს. ამ პერიოდის ოდიშ-აფხაზეთის საზღვრების შესახებ უფრო ზუსტია XVI ს. პირველი მეოთხედის თურქული წყაროს ცნობა, სადაც ნათქვამია: გურიის "იქით სოხუმამდე დადიანის ქვეყანაა. იგი (სოხუმი) ძველ დროში ნავსადგური ყოფილა. მასთან ეშვება იალბუზის მთის კალთა. იმის იქით არის აფხაზეთის ქვეყნები. მთებს უკან მდებარეობს ჩერქეზეთის ქვეყანა და ლეკისტანი დარუბანდამდე"[6].

ამ თურქული წყაროს მიხედვით, ოდიშის ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი მდ. ფსირცხაზე გადის. აქ ნახსენები "იალბუზის მთის კალთაში" უნდა იგულისხმებოდეს "ანაკოფიის მცირე მთა", რომელსაც ვახუშტი ბატონიშვილი იხსენიებს. იმის იქით იყო აფხაზეთი გაგრის ვიწროებამდე. რაც შეეხება "ჩერქეზეთის ქვეყანას", აქ იგულისხმება აფხაზეთის ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით მდებარე მიწა-წყალი. როგორც ცნობილია, აფხაზეთს ჩრდილო-დასავლეთით ჯიქეთი ესაზღვრებოდა. ამ დროს შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროსა და დას. კავკასიონის სამხრეთ კალთებზე ცხოვრობდნენ აბაზური ტომები. ჩრდ. კავკასიის დასავლეთი და. ცენტრალური ნაწილი შავი და აზოვის ზღვების აღმოსავლეთ სანაპიროებიდან მდ. სუნჯამდე და მდ. ყუბანიდან კავკასიონის ქედამდე დასახლებული იყო ადიღეური ტომებით, რომლებიც ცნობილი იყვნენ თურქებისა და თათრების მიერ შერქმეული ჩერქეზთა საერთო კრებითი სახელით. XIII ს.-დან ჩრდ. კავკასიაში მიმდინარე პროცესების დროს, როდესაც ადიღეური ტომები სამხრეთისაკენ მოიწევენ, ხდება ჯიქებისა და საერთოდ, აბაზური ტომების კულტურულ-ეთნიკური დაახლოება ადიღეელებთან. მრავალი აბაზური ეთნიკური ჯგუფი გადადის ადიღეურ და ყაბარდულ ენაზე[7]. მაგრამ საკუთრივ ჯიქების ტომს XVI ს. ჯერ კიდევ შენარჩუნებული აქვს ეთნიკური ინდივიდუალობა და არ

---

[4] С. Герберштейн. Записки о Московии, М., 1988, გვ. 181

[5] თ. მიქაბერიძე, აფხაზეთი, ანუ სამეგრელო XVI საუკუნეში, – გაზ. "განათლება", 1994 წ. 3 მარტი, რუკა იხ. იქვე.

[6] იხ. ც. აბულაძე, თურქული წყაროები..., გვ. 57.

[7] ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, ნაწ. I, გვ. 78; Абазины, გვ. 11; თ. ბოცვაძე, საქართველო-ყაბარდოს ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVIII სს.) თბ., 1963; ე. გუჩუა, საქართველოს პოლიტიკური ვითარება XV-XVI სს. მიჯნაზე, გვ. 87-88; Л.И. Лавров, Этнография Кавказа, გვ. 96.

არის გათქვეფილი ადიღეელებში.

XV-XVI სს. ჩრდ. კავკასია ოსმალთა აგრესიის ობიექტი ხდება. 1475 წ. ოსმალებმა ყირიმის სახანო დაიმორჩილეს. იმავე წელს ანაპაც დაიკავეს და ამრიგად, იმერეთ-კავკასიის დასავლეთ ნაწილშიც ფეხი მოიკიდეს. ამ დროიდან ოსმალეთი ჩრდილო-დასავლეთიდანაც დაუმეზობლდა საქართველოს. მანამდე, 1461 წ. ოსმალებმა ტრაპიზონის სამეფო დაიპყრეს და უშუალოდ მოადგნენ საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ საზღვრებს. ოსმალთა აგრესიის ერთ-ერთი მიმართულება ჩრდ.-დას. საქართველო იყო, ამავე დროს ისინი ცდილობდნენ ჩრდ. კავკასიაში გაბატონებას. ამ დროიდან იწყება ჩრდ. კავკასიაში თურქული ენისა და ისლამის გავრცელება. ოსმალთა წაქეზებით ადგილი აქვს დას. კავკასიის მთის ტომების მოწოლასა და ბრძოლას აფხაზეთის მისაკუთრებისათვის. ისინი ძარცვავდნენ აფხაზეთის, ოდიშის, გურიის სანაპირო სოფლებს, ატყვევებდნენ მოსახლეობას და შემდეგ მათ ოსმალებზე ყიდიდნენ[8].

ოსმალთა მხარდაჭერით წარმოებული ჯიქების მოწოლის შესაჩერებლად[9], "რამეთუ ეკირთებოდნენ იგინი ოდიშს და გურიას" (ვახუშტი), 1533 წ. იანვარში მამია III დადიანმა და მამია I გურიელმა (1512-1534), იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის (1510-1565) მხარდაჭერით, მოაწყვეს ლაშქრობა ჯიქეთში ზღვით. ბრძოლის პირველი დღე მთავრების ლაშქრის გამარჯვებით დამთავრდა. მეორე დღეს დადიანისა და გურიელის ლაშქარი სისხლისმღვრელ ბრძოლაში დამარცხდა[10]. "ახალი ქართლის ცხოვრება" ამ ბრძოლის შესახებ მოგვითხრობს: "დადიანი მამია და გურიელი მამია წარვიდეს ჯიქეთს საბრძოლოდ ზღვით ნავებითა და შეიბნეს თუესა იანვარსა ოცდაათსა. პირველსა დღესა ამათ გაემარჯუა; მეორესა დღესა, პარასკევსა, განრისხდა ღმერთი ოდიშართათვის, ულალატეს და გამოექცნეს, დადიანი და გურიელი და გურიელის ლაშქარი დაუტევეს; მოეტევნეს ჯიქნი და შეიბნეს: მრავალი დახოცეს დადიანმან, გურიელმან და გურიელის ლაშქართა. მოკლეს გურიელის შვილი გიორგი და მისნი აზნაურშვილნი. დაღალულნი ომისაგან შეჩუენებულმან ცანდია ინალდიფითა გაინდვნა, დადიანი გააშიშულეს, სრულიად შიშველი დაჭრეს. გურიელი და სამნი მისნი ძმანი და ეპისკოპოზნი, და მისნი ლაშქარნი ტყუე ყვეს. წარვიდა მალაქია კათალიკოზი და გამოიხსნა ცოცხალნი, და

---

[8] ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, ნაწ. I, გვ. 133; მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII სს. გვ. 38; მისივე, საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები(XIV-XVIII სს.) გვ. 151-153; ე. გუჩუა, საქართველოს პოლიტიკური ვითარება XV-XVI სს. მიჯნაზე, გვ. 87; მისივე, ბრძოლა ქკუნის მთლიანობის აღდგენისათვის და აგრესორთა წინააღმდეგ XVI ს. I ნახევარში, – სინ., ტ. IV, გვ. 103

[9] ბ. ლომინაძე, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, I, გვ. 209.

[10] ვახუშტი, აღწერა..., გვ. 811; პარიზის ქრონიკა, გვ. 42; თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 378-379; ჯ. ოდიშელი, მცირე ქრონიკები, გვ. 55, 105.

მკუდარნი ფასით იყიდნა"[11] .

აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ტექსტის ერთი ადგილი: "ცანდია ინალდიფითა გაინდვნა". დიუბუა დე მონპერეს აზრით, ცანდია ინალდიფითა არის ზიხების (ჯიქები) /ლეგენდარული წინამძღოლი ინალი. ის თავს დაესხა იმერეთს 1509 წელს და (1533 წ.-ბ.ხ.) მოიგერია დადიანგურიელის შემოტევა[12] . მაგრამ 1509 წ. იმერეთში ჯიქთა შემოსევა არ ყოფილა[13] და არც ტექსტის მონპერესეული ინტერპრეტაციაა სწორი; მ.ბროსეს ეს გაგებული აქვს სახელად — ცანცია ინალ; თ. ჟორდანია ფრჩხილებში სვამს შეკითხვას - ინალიფა? გ. ალასანიას ეს ესმის, როგორც "ნდობით გადაბირა"[14] . მკვლევართა ერთ ნაწილს "ცანდია ინალდიფითა" ესმის როგორც სახელი და გვარი — ცანდია ინალ-იფა[15] . მართლაც, "ცანდია ინალდიფითა"-ში რომ კონკრეტული პიროვნება იგულისხმება, ამას ადასტურებს განსაზღვრების — "შეჩუენებულმან", გამოყენება მის მიმართ, მაგრამ საფიქრელია, რომ "ცანდია" სახელი კი არ არის, არამედ ამ ინალ-იფას სატომო კუთვნილებაზე მიგვანიშნებს: ცანდები, საძების (ჯიქები) ერთ-ერთი თემი, მოგვიანებით ცხოვრობდა ცანდრიფშის (ამჟ. დ. განითადი) მიდამოებში*. საგულისხმოა, რომ ინალ-იფების საგვარეულოს სამკვიდროა სწორედ ეს მხარე. ტორნაუს ცნობით, მათ სხვა აფხაზურ საგვარეულოებზე უფრო მჭიდრო ნათესაური კავშირი ჰქონდათ ჯიქებთან[16] .

ტექსტის ანალიზიდან ჩანს, რომ ოდიშის მთავარსა და მისი ლაშქრის ერთ ნაწილს შორის უთანხმოება ჩამოვარდნილა და დადიანის ლაშქრის ნაწილს, — საფიქრელია, რომ ესაა აფხაზთა ლაშქარი, — მიუტოვებია ბრძოლის ველი, ხოლო შემდეგ, ბრძოლაში ძალაგამოცლილი და ინალ-იფასაგან ნაღალატევი ოდიშარნი და გურულნი დამარცხებულან.

ჯიქების გამარჯვების მოჰყვა მათი შემდგომი წინსვლა სამხრეთ-აღმოსავლეთით, რაც ასახა კიდევაც ყაბარდოულ ფოლკლორში. ამ ფოლკლორული მასალების მიხედვით, ადიღეური ტომები, რომლებიც ინალს გაუერთიანებია, მისივე წინამძღოლობით, XV ს. დასაწყისში ყუბანის ქვემო წელიდან (ანაპა და მისი მიმდებარე ტერიტორია) მერმინდელ ყაბარდოში გადასახლებულან[17] . ისტორიული გადმოცემით, რომელიც შ. ნოგმოვს აქვს ჩაწერილი, ინალს მხარში ედგნენ აბაზა მთავრებიც — აშე

---

[11] ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, გვ. 497.

[12] Дюбуа де Монперэ, Путешествие..., გვ. 23.

[13] ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია (XV-XVIII საუკუნეები), წ. IV, თბ., 1967, გვ. 210-212.

[14] Chronique georgienne, traduite par M. Brosset, Paris, 1831, გვ. 61; თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 379; პარიზის ქრონიკა, გ. ალასანიას კომენტარი №44, გვ. 136.

[15] ბ. ლომინაძე, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, I, გვ. 210.

* "ცანდია", ცანების თემის მეთაურ თავადთა გვარეულობად მიჩნდა პ. ინგოროყვაც (იხ. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩული, გვ. 153).

[16] Г. А. Дзидзария, Ф. Ф. Торнау и его кавказские материалы XIX века, გვ. 99.

[17] Л. Люлье, Общий взгляд..., გვ. 186-188. ეს დასტურდება ტოპონიმიკური მასალით: ანაპის

და შაშე. ინალს თითქოსდა აფხაზეთიც დაუპყრია, მაგრამ მოულოდნელად გარდაცვლილა და იგი აქვე, აფხაზეთში დაუმარხავთ: "После покорения Абхазии, находясь на Дзыбе (Бзыбь) для заключения мира с абхазскими племенами, он по окончании всех дел скончался смертью праведника. Тело его похоронено в упомянутой земле, и могила его, известная и до сих пор, носит название Инал-Куба"[18].

ინალ-კუბა (ინალის საფლავი) გადმოცემით მდებარეობს ფსხუში მაღალ მთაზე[19].

ეს ფოლკლორული წყარო, უეჭველად, რეალური ფაქტის ანარეკლია. მართალია, XV ს. აბაზურ-ადიღეური ტომების მიერ აფხაზეთის დაპყრობა არ დასტურდება, მაგრამ, შესაძლოა, ხალხმა ყაბარდოს სახალხო გმირის ინალის სახელს დაუკავშირა შემდგომი პერიოდის მოვლენები, რომლებიც ძალიან ჰგვანან ამ ფოლკლორულ წყაროში აღწერილს. გენუელი ჯ. ინტერიანო 1551 წ. ასე აღწერდა ჯიქების განსახლების ტერიტორიას: "ზიხები, რომლებიც ცნობილნი არიან ასეთი სახელით იტალიურად, ბერძნულად და ლათინურად, ხოლო თურქებსა და თათრებში ჩერქეზების სახელით, თავიანთ თავს ადიღეს უწოდებენ. ისინი ცხოვრობენ ზღვის მთელ აზიურ სანაპიროზე ტანადან ანუ დონიდან... სამხრეთით, შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ ბზის კონცხამდე (Cavo de buxo) და ესაზღვრებიან ავოგაზიას, კოლხეთის შემადგენელ ნაწილს"[20].

როგორც ჩანს, XVI ს. 50-იანი წლებისათვის ჯიქები მდ. ბზიფამდე არიან ჩამოსულნი. ბზის ნავსადგური (Cavo de buxo) მდებარეობდა მუწის წყლის (მდ. მჭიშთა) ზღვასთან შეერთების ადგილას[21]. ამასთან, ჯ. ინტერიანოს ცნობით კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ აფხაზეთზე ამ დროს ოდიშის მთავრის ძალაუფლება ვრცელდება. ამ ცნობაში არის ზოგიერთი უზუსტობაც, სახელდობრ: არასწორია ზიხებისა (ჯიქები) და ჩერქეზების გაიგივება და ის, რომ მდ. დონიდან შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო მდ. ბზიფამდე ჩერქეზებით დასახლებულ ტერიტორიად არის მიჩნეული. როგორც აღვნიშნეთ, ჯიქები ჯერ კიდევ არ არიან შერწყმული მათ მონათესავე ადიღეელებთან (ჩერქეზები) და ინარჩუნებენ ეთნიკურ ინდივიდუალობას.

ციხიდან მთელ გზაზე ყაბარდოამდე. ერთადერთი წყარო და ბატარა მდინარე აჭარდას ინალის ხიდს (ინალ).

[18] Н. Б. Поимов, История адыгейского народа, გვ. 54-55.

[19] Г. Ф. Чурсин, Материалы по этнографии Абхазии, გვ. 32. აკრა (კუბა) აფხაზურად კუბის ნიშნავს (იხ. ბ. ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1954. გვ. 153).

[20] ციტირებულია წიგნიდან: Дюбуа де Монперэ, Путешествие..., გვ. 24-25.

[21] ჯ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 148.

§ 2. ოდიშის სამთავროს ჩამოყალიბების დასასრული. ბრძოლა დასავლეთ საქართველოში კეგემონობისათვის

ჯიქეთში დამარცხების შემდეგ, ბაგრატ III უფრო მეტი ენერგიით შეუდგა ხელისუფლების განმტკიცებას. ქართლის მეფესთან შეთანხმებით, 1535 წ. ბაგრატმა, ლევან I დადიანთან (1533-1572) და როსტომ გურიელთან (1534-1564) ერთად, სამცხე-საათაბაგოში გაილაშქრა, სამცხის მთავარი ყვარყვარე II დაატყვევა და სამთავრო უშუალოდ შემოუერთა თავის სამფლობელოს. ამავე დროს, ქართლის მეფემ ლუარსაბმა (1527-1556) ჯავახეთი დაიპყრო. იმერეთის მეფემ ჭანეთი და აჭარა, რომელიც გურიელს მზეჭაბუკ ათაბაგმა (1500-1515) წაართვა, ისევ გურიელს დაუბრუნა. ამ ფაქტმა ლევან I დადიანი გაანაწყენა[22].

ლევან I დადიანი საშინაო საქმეებში დამოუკიდებელი იყო და უკვე არც სამეფო გადასახადს იხდიდა, მაგრამ ფორმალურად იმერეთის მეფის ვასალად ითვლებოდა: ლევან I დადიანი ატარებდა ერისთავთ-ერისთავისა და იმერეთის სამეფოს მანდატურთუხუცესის საპატიო საკარისკაცო ტიტულს[23]. იგი ვალდებული იყო ნადირობისას მეფეს ამალით ხლებოდა, ხოლო ლაშქრობაში — ჯარით. ოდიშის მთავარი, რომლის ქონება და შესაძლებლობა იმერეთის მეფისას არ ჩამოუვარდებოდა, ველარ ეგუებოდა ქვეშევრდომულ მდგომარეობას და სრული დამოუკიდებლობის მოპოვებას ესწრაფვოდა. გადამწყვეტი ნაბიჯი ამ გზაზე მან იმერეთის მეფეზე ყანაწყენების (აჭარა-ჭანეთის გურიელისათვის გადაცემის გამო) შემდეგ გადადგა.

1543 წ. არზრუმის მმართველი მუსა ფაშა ბაგრატ III-ის წინააღმდეგ გამოემართა. მეფემ ციხეები გაამაგრა, ლაშქარი შეკრიბა და გურიელიც და დადიანიც დაიბარა. მაგრამ განაწყენებული დადიანი არ ეახლა მეფეს. ქარალაქთან ბრძოლაში იმერეთის მეფის ოსმალებზე ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, 1545 წ. სულთანმა დიდძალი ჯარი შემოუსია საათაბაგოს. ბაგრატმა ისევ უხმო დადიანს, მაგრამ იგი არც ამჯერად ეახლა მეფეს[24]. დადიანის მიერ, ეს უკვე იმ აუცილებელი ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმას ნიშნავდა, რაც მას მეფის წინაშე ეკისრებოდა — დამორჩილდეს დადგენილ წესს "ლაშქრობისა და ქუეგანწესებისა მეფისა". თუ აქამდე იგი ნომინალურად მაინც ცნობდა

---

[22] ვ. გურჯა, ბრძოლა ქეყნის მთლიანობის აღდგენისათვის..., გვ. 104-107.

[23] ს. კაკაბაძე, მასალები იმერეთის სახელმწიფოებრივი მდგომარეობის შესახებ მე-17 საუკუნეში, — "საისტორიო მოამბე", I, თბ., 1925, გვ. 203-204. შერგილაძეთა 1554 წლის სასისხლო სიგელში ლევან I დადიანი მოხსენიებულია მანდატურთუხუცესის, ხოლო გურიელ ამირსპასალარის ტიტულით; ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერაში ლევან I დადიანი ერისთავთ-ერისთავისა და მანდატურთუხუცესის ტიტულებით იხსენიება (იქვე).

[24] ვ. გურჯა, იქვე, გვ. 106-107.

იმერეთის მეფის უზენაესობას, ახლა აშკარად განუდგა მას[25].

1545 წ. ოსმალებთან სოხოისტას ბრძოლაში დამარცხების შემდეგ, ბაგრატ III თავისი ხელისუფლების განმტკიცებისათვის ზრუნვას შეუდგა. 1546 წ. მან ხონის ჭალაში სადარბაზოდ მიიწვია ლევან I დადიანი და დააპატიმრა. მეფემ გურიელს აცნობა დადიანის შეპყრობა და შესთავაზა ერთად გაელაშქრათ ოდიშში და იგი ერთმანეთში გაენაწილებინათ. მას განზრახული ჰქონდა ხელში ჩაეგდო როსტომ გურიელიც და "ყოველი იმერეთი ერთ საბრძანებლად" ექცია, მაგრამ გურიელი მიუხვდა მეფეს ეშმაკობას, არ მიიღო მისი წინადადება და ბაგრატს დატყვევებული დადიანის განთავისუფლება ურჩია[26].

მეფემ მაინც ვერ შეძლო ოდიშის შემომტკიცება. მალე, იმავე 1546 წ. ქაიხოსრო ათაბაგმა მოისყიდა დადიანის მცველი ხოფილანდრე ჩხეიძე, რომელმაც გელათის სამრეკლოში დამწყვდეული ლევან დადიანი გააპარა და ახალციხეში ჩაიყვანა. ათაბაგი დაუზავდა გურიელს და სამივემ კავშირი შეკრა იმერეთის მეფის წინააღმდეგ. ლევან I დადიანი ისევ გაბატონდა ოდიშში და ამ დროიდან ის მეფისაგან სრულებით დამოუკიდებელი ხდება. ოდიშის სამთავროს საბოლოო გამოყოფა იმერეთის სამეფოსაგან, ბაგრატ III-ის დიდი პოლიტიკური მარცხი იყო. დადიანის კვალს მიჰყვა გურიელიც. ამრიგად, XVI ს. შუახანებიდან, თუ დადიანი და გურიელი ადრე ნომინალურად მაინც ცნობდნენ იმერეთის მეფის სიუზერენობას, უკვე სრულ დამოუკიდებლობას აღწევენ, თუმცა იმერეთის მეფე კვლავ ცდილობდა თავისი გავლენა გაევრცელებინა მთავრებზე[27].

მიზანშეწონილი იქნება გავეცნოთ, თუ რა განსხვავებაა ტიტულების — "ერისთავი" და "მთავარი" — არსში. ერისთავი მეფის მოხელე იყო, რომელსაც მინდობილი ჰქონდა სამეფოს ამა თუ იმ კუთხის მმართველობა და მეფისაგან ინიშნებოდა "შეცვალებით". მას ევალებოდა ყოფილიყო "მეფის მორჩილებასა შინა" და ისე განეგო მინდობილი მხარე. მთავრის ხელისუფლება ერისთავის ხელისუფლებისაგან მკვეთრად განსხვავდებოდა. მთავარი ქვეყანას განაგებს "მორჩილებასა შინა თვისსა". მეფე მთავრის საქმეებში ვერ ჩაერევა, მის სამფლობელოში სამეფო გადასახადი ვერ აიკრიფება. მთავარს მემკვიდრეობით "თვისად" უჭირავს წინათ მეფის მიერ საგამგეოდ ჩაბარებული მხარე[28]. ლევან I დადიანი იყო ოდიშის პირველი მთავარი, რომელმაც მტკიცედ დაიმკვიდრა ხელისუფლება.

---

[25] ო. სოსელია, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, გვ. 35-36.

[26] ვახუშტი. აღწერა..., გვ. 812-813; ვ. ოდიშელი. მცირე ქრონიკები, გვ. 55; მ. რეხიაშვილი. იმერეთის სამეფო 1462-1810 წწ. გვ. 52.

[27] ო. სოსელია, სამეგრელოს სამთავროს წარმოშობის ისტორიისათვის, გვ. 181; მისივე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური დაშლის ისტორიიდან, გვ. 153; მ. რეხიაშვილი. იქვე, გვ. 52-53.

[28] ო. სოსელია, სამეგრელოს სამთავროს წარმოშობის ისტორიისათვის, გვ. 172, 174.

დას. საქართველოს სამეფო-სამთავროებს შორის დაპირისპირება საშუალებას აძლევდა გარეშე მტერს ფეხი მოეკიდებინა ქვეყანაში. ახლო აღმოსავლეთსა და ამერკავკასიაში გაბატონებისათვის ირან-ოსმალეთის მეტოქეობას, რაც პერმანენტულ ომებს იწვევდა, ამჯერადაც დიდი შეჯახება მოჰყვა მათ შორის. 1548 წ. დაიწყო ირან-ოსმალეთის მორიგი ომი, რომელიც 1555 წ. დამთავრდა ამასიის ზავით, რომლის ძალითაც ირანმა და ოსმალეთმა საქართველო გაინაწილეს. ისტორიკოსი ფ. გორგიჯანიძე გულისტკივილით აღნიშნავდა: "საქართველო თავად ცოტა იყო და მერმე მრავლად გაყოფილი და ერთმანეთის ურწნი და ქიშპნი მტერნი, ერთმანეთის მარბევნი და მაწყინარნი... ამისთვის იქით ურუმნი (თურქები,-ბ.ხ.) არბევდნენ და აქეთ ყაზილბაშნი და ამისათვის ორს დიდ ხელმწიფეებს შუაში ბევრს ეცადნეს. აქეთ იქნიეს ხმალი და იქით და მრავალი ნავნებიც ქნეს, მაგრამ არ იქნა და ვერცა თავს გაუვიდნენ, ხონთქარმა (სულთანი,-ბ.ხ) და ყაენმა (შაჰი,-ბ.ხ.) საქართველო შუა გაიყვეს. სამცხე და ქართლი და კახეთი — ყაენსა, იმერეთი, ოდიში და აფხაზეთი, გურია და ლაზის ქვეყანა ხონთქარსა"[29]. დას. საქართველოს მეფე-მთავრები ოსმალეთის ვასალებად ითვლებოდნენ.

ირანმა და ოსმალეთმა საქართველო კი გაინაწილეს ურთიერთშორის, მაგრამ ქვეყანა ფაქტობრივად ვერ დაპყრობილი არ იყო. საქართველოს სამეფო-სამთავროების ბრძოლა აგრესორთა წინააღმდეგ ამ დროიდან მეტად არახელსაყრელ პირობებში მიმდინარეობდა, რადგან მათ უკვე არ შეეძლოთ თავიანთი მიზნებისათვის გამოეყენებინათ ირან-ოსმალეთის წინააღმდეგობანი[30].

ოსმალეთს მთავარ მოწინააღმდეგედ შავიზღვისპირეთში, გაძლიერებული ოდიშის სამთავრო მიაჩნდა. ერთი ცნობით, 1554 წ. ადგილი ჰქონია ოსმალთა და ოდიშართა ჯარების შეჯახებას მდ. რიონის შესართავთან[31]. ამავე დროს ლევან დადიანს დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა ჯიქებთან, რომლებიც გამუდმებით თავს ესხმოდნენ მის ქვეყანას[32]. ამ პერიოდში, XVI ს. შუახანებში, აფხაზეთში ჯიქების ექსპანსიის გამო, ბიჭვინტის საკათალიკოსო კათედრა გელათში იქნა გადატანილი[33].

1557 წლის თებერვალში ლევან I დადიანი სტამბოლში ჩადის. უნგრეთის მეფე ფერდინანდის ელჩი ანთალ ვერანჩიჩი, რომელიც 1557 წ. ახლო ხანებში სტამბოლში იმყოფებოდა, 1557 წ. 16 თებერვალს იტყო-

---

[29] ფ. გორგიჯანიძე. ისტორია, გვ. 215.

[30] ნ. ბერძენიშვილი. Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII-XVI вв.), - საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. II, გვ. 94.

[31] ლ. ტარდი, უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI საუკუნეში, გვ. 69-70.

[32] იქვე, გვ. 77-78.

[33] ბ. ლომინაძე, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, I, გვ. 180. როგორც ბ. ლომინაძემ გაარკვია, ბიჭვინტიდან გელათში კათალიკოსი 1545-1569 წლებს შორის უნდა გადასულიყო. ისე რომ, 1569 წ. ეს უკვე მოშხდარი ფაქტია (იქვე).

ბინებოდა — სტამბოლში ოდიშის მთავარს ელიანო სამასკაციანი ამალით. მისივე 1557 წ. 1 მარტის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ დადიანი უკვე სტამბოლშია: "უკვე გვაქვს ზუსტი ცნობები სამეგრელოს მთავრის ჩამოსვლაზე, — წერს ვერანჩიჩი, — იგი ჩამობრძანდა ზღვით, ჩვენი 16 თებერვლის ანგარიშის გამოგზავნის მეორე დღეს... იგი ჩამოვიდა, როგორც "მეფე სრულიად სამეგრელოსი". მან ეს ტიტული სულ ახლახან მიიღო"[34]. მეფე ფერდინანდის სამსახურში მყოფი დიპლომატი ა. ბუსბეკი ლევან დადიანის კონსტანტინოპოლში ჩასვლის მიზეზს გაურკვევლად თვლის. "ერთნი ამტკიცებენ, წერს იგი, — რომ სამეგრელოს მთავარი კონსტანტინოპოლში სულეიმანის მოპატიჟებით ჩამოვიდა თურქეთთან სამხედრო კავშირის დასადებად. ეს აწყობთ ამ უკანასკნელთ სპარსეთის წინააღმდეგ ომის საწარმოებლად. მეორენი ირწმუნებიან, რომ იგი აქ ჩამოვიდა სულეიმანისათვის რამდენიმე ხომალდის სათხოვნელად, მეზობლებთან ომის დაწყების შემთხვევაში გამოსაყენებლად. იმასაც ამბობენ, რომ მან სულეიმანს ხარკის გადახდაც კი აღუთქვა, თუკი იგი თხოვნას შეუსრულებდა"[35]. ვერანჩიჩის ცნობით, დადიანმა სულთანს ძვირფასი საჩუქრები ჩამოუტანა და ხარკის გადახდაც აღუთქვა, თუ ოსმალეთი სამხედრო ძალით — საზღვაო ფლოტით დაეხმარებოდა ჯიქების (ჩერქეზები) წინააღმდეგ ბრძოლაში[36]. სხვა ცნობითაც, დადიანი სამხედრო დახმარების სათხოვნელად ჩასულა სტამბოლში. ვენეციის ბაილო მარინო კავალი წერდა: "დადიანი, რომელსაც სისხლისმღვრელი ომი აქონდა ჩერქეზებთან, პირადად წაიდა კონსტანტინოპოლში სულთანთან დახმარების სათხოვნელად და მიიღო ექვსი გალერა..."[37].

ვერანჩიჩის ცნობაში განსაკუთრებით საინტერესოა ის, რომ აღნიშნულია ლევან I დადიანის მიერ მეფის ტიტულის მიღება, რაც 1557 წ. ახლო ხანებში მომხდარა. ლევან I დადიანმა ოდიშის გამგებლებს შორის პირველმა, უარი თქვა იმერეთის სამეფოს საკარისკაცო ტიტულებზე და თავის თავს "ხელმწიფე დადიანი" უწოდა. ამის შემდეგ ოდიშის მთავრები ხელმწიფეებად იწოდებიან. როგორც ჩანს, ოდიშის მთავარი სტამბოლში მხოლოდ ჯიქების წინააღმდეგ სამხედრო დახმარების სათხოვნელად არ ჩასულა. ოდიშის სამთავროს, რომელმაც იმერეთის სამეფოსაგან დამოუკიდებლობას მიაღწია, ამ დამოუკიდებლობის სა-

---

[34] ლ. ტარდი, უნგრელ-საქართველოს ურთიერთობა XVI საუკუნეში, გვ. 77

[35] იქვე.

[36] იქვე, გვ. 78. ზუსტ საუკუნეების ევროპულ წყაროებში ჯიქები ჩვეულებრივ ჩერქეზებად არიან გაგებულნი. როგორც აღნიშნავენ, ჯიქები ადიღეველების (ჩერქეზები) მონათესავე ტომია. ისინი XVI ს. ჯერ კიდევ არ არიან შერწყმული ადიღეველებად.

[37] იხ. ე. მამისთვალიშვილი, საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი..., გვ. 150.

ერთაშორისო აღიარება და გარანტი სჭირდებოდა. ოდიშის სამთავროს დამოუკიდებლობის საერთაშორისო გარანტის როლი ოსმალეთს უნდა ეკისრა. მართლაც, ლევან I დადიანმა დადო ოსმალეთთან სამშვიდობო ხელშეკრულება და სცნო სულთნის უზენაესობა[38]. იმერეთის მეფე ერთხელ უკვე შეეცადა გაეუქმებინა ოდიშის სამთავრო. მართალია, ბაგრატმა ეს მაშინ ვერ შეძლო, მაგრამ იმერეთის მეფისაგან ყოველთვის იყო მოსალოდნელი მსგავსი ნაბიჯის გადადგმა. ლევან I დადიანის ღონისძიების შემდეგ, სანამ ოსმალეთი ძლიერი იყო შავიზღვისპირეთში, იმერეთის მეფე ვერ გააუქმებდა ოდიშის სამთავროს.

XVI ს. 60-იანი წლების მეორე ნახევარში დადიანსა და გურიელს შორის ურთიერთობა გამწვავდა. ამის მიზეზი მათი დას. საქართველოში ჰეგემონობისათვის ბრძოლა იყო, ხოლო საბაბი კი — დადიანთა სახლის მიერ გურიელთა სახლის ქალის შეურაცხყოფა. ოდიშის ტახტის მემკვიდრეს გიორგის ცოლად ჰყავდა როსტომ გურიელის ასული. რისტომ გურიელის გარდაცვალების შემდეგ მან ეს ქალი გააგდო და თავის ბიძას ბათულიას წაართვა ცოლი "სიკეკლუცისათვის" და თვითონ შეირთო. ამ ფაქტმა დადიანისა და გურიელის სამთავრო სახლებს შორის შუღლი ჩამოაგდო. გიორგი II გურიელმა (1564-1583) წყენა არ შეიმჩნია და მალე ლევან I დადიანის ასული ითხოვა. თითქოს, მტრობა ჩაცხრა და ყველაფერი უსისხლოდ დამთავრდა, მაგრამ მცირე ხნის შემდეგ, გურიელმა ლევანის ქალი გააგდო 'და იმერეთის მეფის გიორგი II-ის (1565-1585) ქვრივი და მუსადია შეირთო[39]. იმერეთის მეფისა და გურიელის დამოყვრება ოდიშის მთავრის წინააღმდეგ კავშირის შეკვრას მოასწავებდა. თავის მხრივ, ლევან დადიანი დაუკავშირდა იმერეთის მსხვილ ფეოდალებს და გიორგი მეფის ტახტიდან ჩამოგდება და მისი ბიძაშვილის ხოსრო ბატონიშვილის გამეფება მოინდომა. 1568 წ. 24 ივნისს ხოსრო ბატონიშვილი თავს დაესხა იანეთს, სადაც გიორგი II ეგულებოდა, მაგრამ მეფეს იანეთი წინა დღეს დაეტოვებინა. მალე გიორგი II-მ ძალები მოიკრიფა, ხოსრო ბატონიშვილი იმერეთიდან გააძევა[40] და მისი მომხრეების დასჯა გადაწყვიტა. მეფემ და გურიელმა "იწყეს შურობად და ლაშქრობად დადიანისა" (ბერი ეგნატაშვილი). შეჭირვებულმა დადიანმა სულთანს მიმართა დახმარებისათვის და კელავ სტამბოლში აავიდა. სულთანმა ლევანს მისცა ტრაპიზონისა და არზრუმის საფაშოებიდან დამხმარე ჯარი. გურიელმა ვერ გაბედა შებრძოლებოდა ოსმალთა ძალე-

---

[38] ზ. ანჩაბაძეს თვლიდა, რომ ლევან I დადიანი დამოუკიდებლობის მოპოვებიდან სულ მალე სტამბოლში იყო თურქეთის სულთნისაგან მფარველობის პირობის მისაღებად (იხ. З.В. Анчабадзе, Метрелия и Абхазия в XVII веке, გვ. 39).

[39] ვახუშტი, აღწერა..., გვ. 815., ვ. გუნუა, მ. სვანიძე, საქართველო XVI საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, სამცხე-საათაბაგოს მიტაცება ოსმალთა მიერ, — სინ., ტ. IV, გვ. 123.

[40] თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 410-411; შდრ. ვახუშტი, იქვე, გვ. 816.

ბით გამაგრებულ ოდიშის მთავარს და შეურიგდა მას. ლევან I დადიანი კვლავ გაბატონდა ოდიშში[41].

1572 წ. ლევან I დადიანი გარდაიცვალა და ოდიშის ტახტზე ავიდა მისი უფროსი ვაჟი გიორგი. იმერეთის მეფე, რომელიც უკმაყოფილო იყო დადიან-გურიელის დაზავებით, ახლა შეეცადა ოდიშის მთავრის გადმობირებას და დაუმოყვრდა მას – 1573 წ. გიორგი III დადიანის (1572-1582) და შერთო თავის ვაჟს ბაგრატს[42]. მეფისა და დადიანის დამოყვრება არ ესიამოვნა გიორგი გურიელს. მან გურიაში ჩაიყვანა ოდიშის მთავრის ძმა მამია და თავისი და შერთო. ამის შემდეგ გიორგი II გურიელმა ოდიშში გაილაშქრა, ზუგდიდთან ბრძოლაში დაამარცხა გიორგი დადიანი და ოდიშის მთავრად მამია დასვა. გიორგი დადიანმა აფხაზეთს შეაფარა თავი. მამია დადიანი, გიორგი გურიელი და გიორგი მეფე დაზავდნენ და შეკავშირდნენ[43]. აფხაზეთში გაქცეული გიორგი დადიანი შეეცადა აფხაზთა, ჯიქთა და ჩერქეზთა (ყაბარდოელთა) დახმარებით ტახტის დაბრუნებას. მამია დადიანს მაშველი ჯარი გამოუგზავნა გურიელმა. გიორგი დადიანი კვლავ დამარცხდა და ისევ აფხაზეთში გაიქცა. სხვა გზა რომ ვერ ნახა ტახტის დასაბრუნებლად, მან დახმარება სთხოვა გიორგი მეფეს. იმერეთის მეფის შუამდგომლობით 1578 წ. გიორგი დადიანი და გიორგი გურიელი შერიგდნენ. მამია დადიანმა ოდიშის ტახტი უფროს ძმას დაუბრუნა. თავისი მდგომარეობის განმტკიცების მიზნით, გიორგი დადიანმა შეირთო იმერეთის მეფის ცოლის და – ყაბარდოელი მთავრის ასული, რომელიც ქუთაისის სასახლეში იზრდებოდა[44]. ასე რომ, დას. საქართველოს სამეფო-სამთავროებს შორის ღრეობით მშვიდობა დამყარდა.

1578 წ. ირან-ოსმალეთის ახალი ომი დაიწყო. ოსმალეთის მიზანს შეადგენდა ამასიის ზავით ირანისათვის მიკუთვნებული მიწების – ამიერკავკასიისა და მათ შორის საქართველოს დაპყრობა, ჩრდ. კავკასიის თავისი გავლენის ქვეშ მოქცევა. 1578 წ. 9 აგვისტოს ოსმალთა ჯარის ძარდალმა ლალა მუსტაფა ფაშამ ჩილდირის ტბასთან სასტიკად დაამარცხა ირანის არმია და სამცხე-საათაბაგო დაიპყრო. მესხეთიდან ოსმალები ქართლში გადავიდნენ და 24 აგვისტოს თბილისიც აიღეს[45]. ოსმალეთმა თავისი აგრესია მიმართა საქართველოს შავიზღვისპირეთზეც. იმავე 1578 წ. ზაფხულში სოხუმის სანაპიროსთან გამოჩნდა თურქეთის

---

[41] ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება. პირველი ტომი. გვ. 361; ვახუშტი, აღწერა..., გვ. 816; ვ. გუჩუა, მ. სვანიძე, საქართველო XVI საუკუნის უცანასკნელ მეოთხედში..., გვ. 123-124.

[42] ბერი ეგნატაშვილი, იქვე; ვახუშტი, იქვე.

[43] ბერი ეგნატაშვილი, იქვე; ვახუშტი, იქვე. გვ. 816-817.

[44] ბერი ეგნატაშვილი, იქვე. გვ. 361-362; ვახუშტი, აღწერა.... გვ. 817; თ. ბოცვაძე, საქართველო-ყაბარდოს..., გვ. 72-73.

[45] მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII სს., გვ. 95-113.

ფლოტი, რომელსაც სულთნის მიერ უკვე სოხუმის ბეგლარბეგად დანიშნული წარმოშობით ჩერქეზი ჰაიდერ ფაშა მეთაურობდა. ოსმალები გადასხდნენ სოხუმში და შექმნეს სოხუმის საბეგლარბეგო[46]. იმავე წელს მათ აღადგინეს სოხუმის ძველი ციხე[47]. 1579 წ. ოსმალებმა ფოთიც აიღეს და იქ ციხე აგეს, შემდეგ ისინი შეეცადნენ მდ. რიონს აყოლოდნენ და ქუთაისიც აეღოთ, მაგრამ დამარცხდნენ და იძულებული გახდნენ უკან გაბრუნებულიყვნენ[48].

1580 წ. გაზაფხულზე აღმოსავლეთის ლაშქრის მთავარსარდლად ლალა მუსტაფა ფაშას ნაცვლად სინან ფაშა დაინიშნა. არსებითად, სინან ფაშას წინაშეც იგივე ამოცანა იდგა, რაც მუსტაფა ფაშას წინაშე — დაემორჩილებინა საქართველო და ამიერკავკასიის დაპყრობილ ქვეყნებში აეგო და გაემაგრებინა ციხე-სიმაგრეები[49]. "დიდი უფლებებითა და ღირსებით აღჭურვილი სინან ფაშა, — წერს ჟ. ბუასარდო, — 1580 წ. 25 აპრილს თავისი ლაშქრით კონსტანტინოპოლიდან ანატოლიაში გადავიდა. მან მიაღწია საქართველოს საზღვრებს, მაგრამ აქ არაფერი ღირსშესანიშნავი არ გაუკეთებია, ვინაიდან მის ლაშქარში სრული უწესრიგობა იყო. მოლაშქრეებს აწუხებდათ შავი ჭირი, შიმშილი და ზამთრის ყინვები. მან ქართველი იბერიელების დამოუკიდებლობის ასალაგმავად ბათუმსა და სოხუმში თავისი ბეგლარბეგები და დევთერდარები დააყენა"[50].

ისევე, როგორც ლალა მუსტაფა ფაშამ, ვერც სინან ფაშამ შეძლო საქართველოს დამორჩილება. მალე საქართველოს შავიზღვისპირეთიც გაიწმინდა ოსმალებისაგან. თურქების ადმინისტრაციამ ვერც სოხუმში იარსება დიდხანს. 1580 წ. სოხუმის საბეგლარბეგო გაუქმდა[51]. საფიქრებელია, რომ ამის შემდეგ გადადის სოხუმი აფხაზების ხელში, რომლებიც აბაზურ-ადიღეური ტომების მოწოლით, სამხრეთ—აღმოსავლეთისაკენ მოიწევენ. სოხუმის ბეგლარბეგად წარმოშობით ჩერქეზი ჰაიდერ ფაშას დანიშვნაც არ უნდა იყოს შემთხვევითი ფაქტი. ოსმალეთის ხელისუფლებამ ეს ალბათ შეგნებულად გააკეთა. მიუხედავად იმისა, რომ სოხუმის ბეგლარბეგის ხელისუფლება მხოლოდ სოხუმზე ვრცელდებოდა, მას საკმაო გავლენაც უნდა ჰქონოდა ამ მხარეში, სახელდობრ, აფხაზ-ჯიქ-ჩერქეზთა შორის, როგორც ამ კუთხის შვილსა და მრისხანე იმპერიის წარმომადგენელს. ოსმალეთს უთუოდ სურდა ძლიერი ოდიშის სამთავროს დასუსტება და მხარს უჭერდა მის მოწინააღმდეგე ძალებს.

---

[46] მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII სს., გვ. 124; Т. Н. Бердзе, Мореплавание..., გვ. 58.

[47] Дюбуа де Монперэ, Путешествие..., გვ. 132.

[48] მ. სვანიძე, იქვე, გვ. 124-125.

[49] იქვე, გვ. 140.

[50] იხ. ი. ტაბალუა, საქართველო..., I, გვ. 113.

[51] Т. Н. Бердзе, იქვე, გვ. 59.

1582 წ. გიორგი III დადიანი გარდაიცვალა და სამთავრო ტახტზე ავიდა მისი ძმა მამია. ამის შემდეგ კვლავ გაჩაღდა ბრძოლა ოდიშისა და გურიის სამთავრო სახლებს შორის დას. საქართველოში ჰეგემონობისათვის. ამ ბრძოლაში, რომელიც XVI ს. მიწურულს, მამია IV დადიანისა (1582-1590) და მანუჩარ დადიანის (1590-1611) დროს მიმდინარეობდა, ოდიშის სამთავრო გამოვიდა გამარჯვებული[52]. მისი უპირატესობა აშკარა იყო. გურიის სამთავრო შედარებით დასუსტდა; იმერეთის სამეფოზე, რომლის მეფეც დადიანია სახლის კანდიდატი იყო, ოდიშის მთავრის გავლენა ვრცელდებოდა; აფხაზეთზეც შენარჩუნებული იყო ოდიშის სამთავროს პოლიტიკური გავლენა. დას. საქართველოში ჰეგემონობისათვის ხანგრძლივ და შეუპოვარ ბრძოლაში, აფხაზი ფეოდალები მათ სიუზერენს — ოდიშის მთავარს უჭერდნენ მხარს[53]. თუმცა, უფრო ხშირად, ისინი თარეშით იყვნენ გატაცებულნი. ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს, რომ აფხაზთა სათარეშო ნაკები გურიამდეც აღწევდნენ. ასე მაგალითად, 1591 წ. "მოუკლნენ აფხაზნი გურიას ნაკებთა. ამაი ეკუთა გურიელს ძე მამია, სძლო და მოსწყვლნა სრულიად"[54].

§ 3. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XVII ს. I ნახევარში. ლევან II დადიანი

1611 წ. მანუჩარ დადიანი გარდაიცვალა და ოდიშის ტახტზე ავიდა ლევან II დადიანი (1611-1657). ლევანი მანუჩარ დადიანისა და კახეთის მეფის ალექსანდრე II-ის ასულის ნესტან-დარეჯანის შვილი იყო. ნესტან-დარეჯანი ლევანის მმობიარობას გადაჰყვა. ამის შემდეგ მანუჩარმა შეირთო ვახტანგ გურიელის ქერეფი, ჯიაბაგის ქალი თამარი. ლევანმა ბავშვობა თავისი პაპის, კახთბატონის კარზე გაატარა[55]. შემდეგში მისი პოლიტიკა მრავალმხრივ ჰგავდა კიდეც ალექსანდრე II-ის პოლიტიკას.

ლევანის მკირეწლოვნობის გამო, სამთავროს განაგებდა მისი ბიძა გიორგი ლიპარტიანი*, ლამბერტის თქმით: "კაცი ფრიად სამართლიანი და

---

[52] ილ. ანთელავა, ლევან II დადიანი, გვ. 29-32.

[53] З. В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии, გვ. 261.

[54] ვახუშტი, აღწერა..., გვ. 823.

[55] მ. ბროსე, საქართველოს ისტორია. ნაწ. II, გვ. 187; კ. ვრიგოლია, ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერა, გვ. 149.

* ლიპარტიანი ეწოდებოდა ოდიშის სამთავრო სახლის გვერდითი შტოს საუფლისწულო მამულის — სალიპარტიანოს მფლობელს. სალიპარტიანო მამული მდებარეობდა მდ. ტეხურის ორსავე ნაპირზე (მოიცავდა დაახლოებით დღევანდელ მარტვილის რაიონს), იხ. ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, გვ. 218.

სახელმწიფო საქმეებში კარგად გამოცდილი"[56]. მისი მმართველობის დროს ოდიშში მშვიდობიანობა იყო, ქვეყანა მოშენდა და მოსახლეობა მრავლდება. მას კეთილი ურთიერთობა ჰქონდა მეზობელ სამთავროებთანაც[57].

XVII ს. პირველი ათეულის მიწურულს, ირან-ოსმალეთის 1603-1612 წწ. ომის პერიოდში, ოდიშისა და გურიის მთავრებმა ოსმალეთს ხარკის მიცემა შეუწყვიტეს და აშკარა ურჩობის გზას დაადგნენ. 1612 წ. ირანთან დაზავების შემდეგ, ოდიშისა და გურიის დამორჩილების მიზნით, ოსმალეთმა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს ბლოკადა მოაწყო. შეწყდა მოსახლეობისათვის აუცილებელი საქონლის — მარილისა და რკინის შემოზიდვა. ეკონომიკურ ბლოკადას ისე შეუწუხებია ოდიშისა და გურიის მესვეურნი, რომ ისინი იძულებული გამხდარან 1614 წ. სტამბოლში ელჩები გაეგზავნათ მოსალაპარაკებლად. მაგრამ მოლაპარაკება გაჭიანურდა, ვინაიდან ოსმალეთის მთავრობა, უეჭველია, მძიმე პირობებს აყენებდა, რაც ოდიშისა და გურიის მესვეურებს მიუღებლად მიაჩნდათ[58]. 1614 წ. 13 დეკემბერს მამია II გურიელმა (1600-1625) ბათუმში ხელი მოაწერა ოსმალეთთან საზავო ხელშეკრულებას და ხარკის გადახდა იკისრა. მოგვიანებით, 1615 წ. თებერვლის პირველ რიცხვებში ლევან II დადიანმაც სოფ. მერკულაში ხელი მოაწერა ოსმალეთთან საზავო ხელშეკრულებას[59]. იმერეთის სამეფოც ამ ხანებში ოსმალეთის მოხარკე იყო; აფხაზეთიც იმ ქვეყნების რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებიც ოსმალეთს "ხარაჯას" (სულადობრივი გადასახადი) უხდიდნენ[60]. XVII ს. 10-იან წლებში აფხაზებმა ისარგებლეს ოდიშის სამთავროს გართულებული მდგომარეობით, გათავისუფლდნენ ვასალური დამოკიდებულებისაგან და აფხაზეთის დამოუკიდებელი სამთავრო ჩამოაყალიბეს, რომლის ცენტრი გახდა ზუფუ (ლიხნი)[61].

ოდიშის სამთავროში გიორგი ლიპარტიანის რეგენტობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ეს პერიოდი მოიცავს 1611-1614 წლებს. 1615 წლისთვის ლევან II დადიანი უკვე სრულწლოვანი (16 წლის)[62] და დამოუკიდებლად მმართველი მთავარია. მისი პირველი ღონისძიება იყო კავშირის განმტკიცება მეზობელ სამთავროებთან. ამ მიზნით, მან 1615 წ.[63]

---

[56] ა. ლამპერტი, სამეგრელოს აღწერა, გვ. 15.

[57] იქვე; ვ. ჯაბერი, დასავლეთ საქართველო XVII ს. პირველ მესამედში, — ხან., ტ. IV, გვ. 302.

[58] ილ. ანთელავა, ლევან II დადიანი, გვ. 49.

[59] ი. ტაბაღუა, საქართველო..., II, გვ. 46.

[60] З. В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии, გვ. 273; ვ. ჯაბერი, იქვე, გვ. 300.

[61] И. Г. Антелава, Очерки по истории Абхазии XVII-XVIII веков, გვ. 28; З.В. Анчабадзе, იქვე, გვ. 261-262; ნ. ბერძენიშვილი, აფხაზეთის შესახებ, — საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. III, თბ., 1966, გვ. 288.

[62] ილ. ანთელავა, იქვე, გვ. 47.

[63] თ. ბერაძე, ერთი საკითხი სამეგრელოს ისტორიული გეოგრაფიიდან, გვ. 122; ილ. ანთელავა, ოდიშის სამთავროს პოლიტიკური ისტორიიდან, გვ. 116.

შეერთო აფხაზთა მთავრის სეტემან შარვაშიძის ასული დარეჯანი. ა. ლამბერტის დახასიათებით, "ეს ქალი იყო ბუნებით ლამაზი და სავსე ყველა სათნოებითა, რომელიც შეეფერებოდა მის გვარის ქალს: ქარგვაში, წერა-კითხვაში, გულუხვობაში და ზრდილობაში მას ტოლი არ ჰყავდა, თავის სათნოებით მან მიიზიდა ყველა თავის ქვეშევრდომის გული"[64]. როგორც ცნობილია, მაშინდელი მმართველი წრეების ქორწინება პოლიტიკური ფაქტორით იყო განპირობებული. არც ეს ქორწინება წარმოადგენდა გამონაკლისს. ოდიშის მთავრის მიზანი აფხაზეთის სამთავროსთან კეთილმეზობლური ურთიერთობის შენარჩუნება იყო. ამის გარეშე მას ხელი არ მიუწვდებოდა "აფხაზ-ჯიქთა" ლაშქარზე, რომლის ძალასაც ხშირად იყენებდნენ ოდიშის მთავრები XVI ს. მეორე ნახევარში[65]. ამასთან ლევან II დადიანი ალბათ, თავიდანვე ფიქრობდა აფხაზეთის ხელახლა დამორჩილებაზე, მაგრამ ეს შემდეგი დროისათვის გადადო[66].

მეორე მხრივ, ლევან დადიანმა დინასტიური კავშირი დაამყარა გურიის სამთავრო სახლთან. გურიელისა და დადიანის პოლიტიკური კავშირი ფაქტობრივად იმერეთის მეფის წინააღმდეგ იყო მიმართული. იმერეთის ტახტის მემკვიდრემ, ალექსანდრემ, ცოლი, გურიელის ასული თამარი, ეჭვიანობის ნიადაგზე შვილითურთ მამის სახლში გაისტუმრა. განაწყენებული მამა გურიელი დაუმოყვრდა ოდიშის მთავარს, 1621 წ. თავის შვილს სიმონს შერთო ლევანის და მარიამი. მანუჩარ დადიანის ასული მეორე ცოლისაგან[67].

ამ პერიოდიდან იწყებს განვითარებას ოდიშის მთავრის ღას. საქართველოში ჰეგემონობის იდეა[68]. ლევან II დადიანი აშკარად იღებს იმერეთის საწინააღმდეგო კურსს. დაახლოებით ამავე ხანებში, იმერეთის მეფისაგან შერისხულმა თავადმა პაატა წულუკიძემ ოდიშში ჰპოვა თავშესაფარი. ვახუშტის სიტყვით, პაატამ "უმეტესად შეაუღა ლევანს მტრობა გიორგი მეფისა და მრავლის განუზრახვდა"[69]. იმერეთის მეფემ დასწრება გადაწყვიტა და ლაშქრის შეკრება დაიწყო. ლევანმა დაუყოვნებლივ შეკრა ოდიშარ-აფხაზ-ჯიქთა ლაშქარი და მოულოდნელად შეიჭრა იმერეთში. ბრძოლა მოხდა 1622 წ. ქუთაისის მახლობლად, გოჭორიულში. იმერეთის მეფეს დამარცხდა და გაიქცა[70]. აქედან მოყოლებული, ლევან II დადიანი

---

[64] ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, გვ. 15-16.

[65] ილ. ანიელიანი, ოდიშის სამთავროს პოლიტიკური ისტორიიდან, გვ. 110.

[66] Н. Г. Анчабадзе, Очерки по истории Абхазии XVII-XVIII веков, გვ. 20; ილ. ანიელიანი, იქვე, გვ. 110-111.

[67] ილ. ანიელიანი, იქვე, გვ. 112

[68] იქვე.

[69] ვახუშტი, აღწერა..., გვ. 326

[70] ვახუშტი, იქვე; ქ. გრიგოლია, ბელორის წმ. გიორგის ხატის წარწერა, გვ. 149; ილ. ანიელიანი, იქვე, გვ. 118-119.

ისე გაძლიერდა პოლიტიკურად თუ ეკონომიურად, რომ სიცოცხლის ბოლომდე დას. საქართველოს მეფე-მთავართა შორის უძლიერესი იყო.

იმერეთის მეფეზე გამარჯვების შემდეგ, იმავე 1622 წ. ლევან დადიანი გაეყარა შარვაშიძის ასულს, რომელსაც ცოლქმრულ ღალატში დასდო ბრალი და სასტიკად დასაჯა, ა. ლამბერტის ცნობით, "ბერძნების სჯულისამებრ, შესარცხვენად ცხვირი მოსჭრა"[71]. სეტემან შარვაშიძე ამ შეურაცხმყოფელ ფაქტს ვერ შეურიგდებოდა, ამიტომ ოდიშის მთავარმა დასწრება გადაწყვიტა, შეკრიბა ლაშქარი და აფხაზეთში შეიჭრა. დადიანის თავდასხმა იმდენად მოულოდნელი იყო აფხაზთათვის, რომ მათ წინააღმდეგობის ორგანიზება ვერ შეძლეს და მთებში გაიხიზნენ. ლევანმა ცეცხლითა და მახვილით მოარბია ქვეყანა, ყოფილი ცოლი იქ დატოვა და ოდიშში დაბრუნდა. აფხაზეთში ლაშქრობიდან დაბრუნებული ლევან დადიანი თავის ბიძას — გიორგი ლიპარტიანს ეწვია, წაართვა ცოლი, ნესტან-დარეჯან ჭილაძე, და მასზე იქორწინა[72]. საფიქრებელია, რომ ლევან დადიანმა, როცა გაძლიერდა, ყურადღება მიაპყრო აფხაზეთს და თავდასხმის საბაბიც გამონახა, რათა კვლავ მოექცია ის ოდიშის დამოკიდებულებაში[73]. იმერეთის მეფეზე გამარჯვების შემდეგ, ლევანი აფხაზებს მაინცდამაინც დიდ ანგარიშს არ უწევდა, ამიტომ იყო რომ დედოფალი ასე ადვილად გასწირა[74], თუმცა, არც ისაა გამორიცხული, რომ ცოლი მართლა ღალატობდა მას და ეს მოგონილი საბაბი არ იყო. ყოველ შემთხვევაში, ლამბერტიცა და ჯუდიჩეც, კასტელისაგან განსხვავებით, იზიარებენ ღალატის ვერსიას[75].

დადიანის ვეზირი მერაბ ქორთოძე, რომელსაც მთავრის თანამეცხედრის "ტრფიალი" დაბრალდა, მძიმე სასჯელს იმით გადაურჩა, რომ ჭეტად გავლენიანი კაცი იყო ოდიშში და ამიტომ მის ნათესავთან — გურიის მთავართან გაგზავნეს საპატიო პატიმრობაში. ოდიშის სამთავროს კეზირი გახდა პაატა წულუკიძე[76]. ამ ამბების ერთი უნებლიე მონაწილე, ქმისწულისაგან შეურაცხყოფილი გიორგი ლიპარტიანი მალევე გარდაიცვალა და სამთავრო შინაომს გადაურჩა[77].

1625 წ. სიმონ გურიელმა მოკლა მამამისი და თვითონ დაჯდა

---

[71] ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, გვ. 16.

[72] იქვე, გვ. 16-19. ახალგაზრდა ნესტან-დარეჯან ჭილაძე გიორგი ლიპარტიანის მესამე ცოლი იყო (იხ. ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, გვ. 17).

[73] И. Г. Антелава, Очерки по истории Абхазии XVII-XVIII веков, გვ. 30.

[74] З. В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии, გვ. 263; ილ. ანთელავა, ლევან II დადიანი, გვ. 60.

[75] ა. ლამბერტი, იქვე; ჯ. ჯუდიჩე, წერილები საქართველოზე, გვ. 18; კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, გვ. 43.

[76] ილ. ანთელავა, ოდიშის სამთავროს პოლიტიკური ურთიერთობანი XVII ს. I ნახევარში, გვ. 89-92; მისივე, ოდიშის სამთავროს პოლიტიკური ისტორიიდან, გვ. 121-122.

[77] ა. ლამბერტი, იქვე, გვ. 19; კასტელი, იქვე.

მთავრად[78]. გურიელი შიშით შესცქეროდა ოდიშის მთავრის გაძლიერებას და მისი საწინააღმდეგო კურსი აიღო. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მერაბ ქორთოძემ, რომელსაც დადიანის შურისძიებისა ეშინოდა და ამიტომ მის წინააღმდეგ შეთქმულების ძაფების ხლართვას შეუდგა. შეთქმულებაში ჩაებნენ სიმონ გურიელი, იმერეთის მეფე გიორგი და სეტემან შარვაშიძე. შეთქმულების მიზანი ლევან დადიანის მოკვლა და მისი ძმის იოსების მთავრად დასმა იყო[79]. ლევან დადიანის მოკვლა დაავალეს ასეთ საქმეებში გამოცდილ ვინმე აფხაზს. იგი დიდხანს უთვალთვალებდა მთავარს, კვალდაკვალ დასდევდა, მაგრამ კარგა ხანს ვერაფერი მოუხერხა. ბოლოს, მან გაიგო დადიანის ჩვეულება, რომ იგი ვახშამს ყოველთვის ერთსა და იმავე ადგილას მიირთმევდა. იმ ადგილას ხის ტიხარი ყოფილიყო, რომელსაც დადიანი ვახშმობისას ზურგით მიეყრდნობოდა ხოლმე. აფხაზმა მიზნის ასრულება მთავრის ვახშმობის დროს განიზრახა. ერთხელაც, წინასწარ განდობილი მერიქიფის ნიშანზე, როცა მთავარი ტიხარს მიეყრდნო, აფხაზმა მახვილი დაჰკრა უკნიდან, მაგრამ დადიანი მსუბუქი ჭრილობით გადარჩა. აფხაზი ცხენს მოახტა და გაიქცა. შეიპყრეს მერიქიფე და შეთქმულების ამბავიც გამჟღავნდა[80].

ლევან დადიანი სასტიკად გაუსწორდა შეთქმულებს. თავის ძმას თვალები დასთხარა და მთელი ქონება ჩამოართვა; შეთქმულების ორგანიზატორი მერაბ ქორთოძე ვერ დაახრჩვეს და შემდეგ ზარბაზნით გაისროლეს; თავისი სიძე, სიმონ გურიელი დაატყვევა და თვალები დასთხარა, წაართვა ცოლ-შვილი და სამთავროც და გურიელად დასვა მისი ბიძა, აფხაზეთის (დას. საქართველოს) კათალიკოსი მალაქია. ამ დროიდან გურიის სამთავრო ლევან II დადიანის ჰეგემონიის ქვეშ მოექცა[81]. ამის შემდეგ შარვაშიძის რიგიც დადგა. ოდიშის მთავარმა განიზრახა აფხაზეთის დამორჩილება. "იმ დროს, — წერს ა. ლამბერტი, — როდესაც დადიანი გართული იყო თავისი ძმისაგან დაწყებული ამბოხების დაცხრომის საქმეში, აფხაზები სულ თავს ესხმოდნენ სამეგრელოს საზღვრებს, რომელიც თითქმის სრულიად გაოხრეს, მცხოვრებლები დაატყვევეს და აფხაზეთში გადაასახლეს"[82].

აფხაზთა მთავარი ოითქოს შურს იძიებდა იმ შეურაცხყოფის გამო, რაც ლევან დადიანმა მას მიაყენა, მაგრამ ეს იყო მხოლოდ საბაბი. ოდიშზე აფხაზთა თავდასხმებში უფრო სერიოზული რამ იმალებოდა. ვიდრე პირადი წყენა და შეურაცხყოფაა. ამ პერიოდში მიმდინარეობს აბაზურ-ადიღეური ტომების ექსპანსია აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში.

---

[78] ეპიუსტი, აღწერა.... გვ. 826.
[79] ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა. გვ. 19.
[80] იქვე. გვ. 19-20; შდრ. თ. ტიკაძე, ერთი ეპიზოდი... გვ. 117.
[81] ილ. ანთელავა, ოდიშის სამთავროს პოლიტიკური ისტორიიდან, გვ. 126.
[82] ა. ლამბერტი, იქვე. გვ. 22.

სახელდობრ, აფხაზეთში. იმავდროულად, აფხაზები იბრძვიან ოდიშის სამთავროს ჩრდ.-დას. ნაწილის მისატაცებლად[83].

ლევან დადიანმა შეკრიბა ლაშქარი და აფხაზეთში გაილაშქრა. "დადიანმან ლევან, — წერს ვახუშტი ბატონიშვილი, — განიწყო სპანი და მოიწყნა აფხაზნი, ვიდრე დაპყრობამდე"[84]. ლამბერტის ცნობით, ოდიშის მთავარმა მოარბია აფხაზეთი, მრავალი ტყვე და ნადავლი იშოვა და ხარკიც დაადო აფხაზებს მწვეარ-ძაღლებისა და სანადირო ფრინველების სახით[85]. ამ ამბების შესახებ მოგვითხრობს კასტელიც: აფხაზები ცხოვრობენ "მკაცრ და მიუვალ მთებში. ამის გამო დადიანს არ შეეძლო ცეცხლითა და მახვილით შესეოდა მთაგორიან მხარეს და ამიტომ მრავალი წლის განმავლობაში მისი მცირე რაზმები აფხაზებს თავს ესხმოდნენ და ზიანს აყენებდნენ. რადგან ამ მთის ხალხმა ბევრი ნაკლოვანება ვეღარ დაითმინა, გადაწყვიტა მძიმე უღლის ქვეშ ყოფნა"[86]. ლევან დადიანის მიერ აფხაზეთის სამთავროზე გარკვეული გავლენის მოპოვებას ქართული წყაროებიც აღნიშნავენ. "და იყო დადიანი მდიდარ ფრიად და მორჩილებდენ სრულიად აფხაზნი და შარვაშიძენი ყმობდნენ და ულაშკრებდნენ დადიანსა"[87], — წერს ბერი ეგნატაშვილი.

ლევან II დადიანი აფხაზებზე გამარჯვების აღსანიშნავად ილორის წმ. გიორგის ხატზე გაკეთებულ წარწერაში გვაუწყებს: "ჩუენ ცვა-ფარვითა შენთა მონდობილმან და მოსავმან შენმან ქელმწიფემან, დადიანმან, პატრონმან ლევან, ძემან ქელმწიფისა მანუჩარისამან... მას ჟამსა ოდეს მოუკედით შარვაშიძესა ზუფუს, მუწუს წყალსა აქათ ავაოკრეთ, კიდევ მეორედ მოუკედით ზუფუს კაპოტის წყალს აქათ, სრულებით დავსწვით და ავაოკრეთ და სადაცა სიმაგრე იყო ავიღეთ და გავაცუდეთ და კაპოტის წყალზე შემოგუებნეს ზუფუარი და სიხუარი მარშანიები და გაგვემარჯუა და დავჯოცეთ, ზოგი ქელთ დაგურჩ. და გამარჯვებულნი მოვედით"[88].

წარწერაში მოთხრობილი ლევან დადიანის ორი ლაშქრობიდან არც ერთი არ უნდა იყოს მისი პირველი გალაშქრება აფხაზეთს. აქ ლაპარაკია დადიანის საპასუხო ლონისძიებაზე იმ არაერთი მცდელობისათვის, რასაც შარვაშიძე მიმართავდა ოდიშის სამთავროს წინააღმდეგ[89]. წარწერაში მოხსენიებული კაპოტის წყალი დღევანდელი მდ.

---

[83] ილ. ანთელავა, ოდიშის სამთავროს პოლიტიკური ისტორიიდან, გვ. 128.
[84] ვახუშტი, აღწერა ..., გვ. 828.
[85] ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, გვ. 22.
[86] კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, გვ. 51.
[87] ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, გვ. 421.
[88] კ. გრიგოლია, ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერა, გვ. 157.
[89] იქვე.

ბზიფია; მუწუს წყალი, ან მუწის წყალი – მდ. მჭიშთა[90]. ზუფუ ლიხნის მეგრული სახელწოდებაა. მას შემდეგ, რაც ზუფუ შარვაშიძეთა რეზიდენცია გახდა, ეს სახელწოდება მეგრული ტრადიციით მთელ აფხაზეთს აღნიშნავდა[91]. ამ შემთხვევაშიც ზუფუ აფხაზეთს აღნიშნავს[92].

საინტერესოა, თუ ვინ არიან ლევან დადიანის მიერ დამარცხებული "ზუფუარი და სიხუარი მარშანიები". ზ. ანჩაბაძეს ეს ესმის როგორც საკუთარი სახელები: ზუფუარ მარშანია და სიხუარ მარშანია[93]. მაგრამ, ვფიქრობთ, აქ მარშანიების სახელები არ იგულისხმება. სიტყვებში "ზუფუარი" და "სიხუარი" აშკარად გამოიყოფა წარმომავლობის მაწარმოებელი ქართული სუფიქსი "არ" (შდრ. ოდიშარი, ოპიზარი, მტბევარი და სხვ). "ზუფუარი" ნიშნავს ზუფელს, იგივე აფხაზს, ხოლო "სიხუარი" ჯიქს (სიხ//ზიხი). ლევან დადიანმა დაამარცხა აფხაზთა და ჯიქთა ლაშქარი, რომელსაც მარშანიები მეთაურობდნენ. მიჩნეულია, რომ მარშანიები წარმოშობით მარუშიანები, სვანები იყვნენ, მაგრამ შემდეგ გააფხაზდნენ, აფხაზ ფეოდალებად იქცნენ[94].

ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერის პირველ ლაშქრობას მ. ბროსე 1628 წლით ათარიღებს, მეორე ლაშქრობა ირ. ანთელავას აზრით 1634 წ. ახლო ხანებში უნდა მომხდარიყო, ყოველ შემთხვევაში არაუგვიანეს 1634 წლისა[95].

აფხაზები ლევან დადიანის მიერ მათი დამარცხების შემდეგაც აგრძელებენ თავდასხმებს ოდიშის სამთავროზე[96]. ლევან დადიანი ნათლად ხედავდა იმ საფრთხეს, რომელიც აფხაზთაგან ემუქრებოდა ოდიშის სამთავროს, ამიტომ იყო რომ ასეთი დაჟინებითა და სისასტიკით ებრძოდა მათ. XVII ს. ქართველი პოეტი ფეშანგი ხითარიშვილი ლევან II დადიანზე შაპნავაზს ათქმევინებს:

"შეფემ ბძანა: "სხუა ხემწიფე ლევანისებრ არა თქმულა,
მამაცი და გულოვანი, თუალადაცა ჯავარ სრულა.
მტერი ქლმთა დაუფანტავს, სამუქაროდ სად წასულა;
ურწნი ადუილ შეუყრია, გაუიცხავს, გამასრულა.
აფხაზეთი დაუჭირავს ხარაჯისა მოსართმელად;
ზაფხულ სუჯუს მივიდოდის, იგი იყუის ხანდაზმულად;

---

[90] M. Brosset, Rapports..., Huitieme rapport, გვ. 103; ს. ჯანაშია, შაეიზღვისპირეთის საისტორიო გეოგრაფია, - შრომები, VI, გვ. 287.

[91] В. И. Стражев, Руинная Абхазия, -НАНО, вып.1, Сухум, 1925, გვ. 143; ბ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 152.

[92] З. В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии, გვ. 266; ნ. ბერძენიშვილი, აფხაზეთში, – საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. I, გვ. 299.

[93] З. В. Анчабадзе, იქვე. ტექსტის ასეთ წაკითხვას იზიარებდა ირ. ანთელავაც (იხ. И. Г. Антелава, Очерки по истории Абхазии XVII-XVIII веков, გვ. 33).

[94] გ. გასვიანი, ნარკვევები შუა საუკუნეების სვანეთის ისტორიიდან, თბ., 1991, გვ. 210.

[95] M. Brosset, იქვე, გვ. 102; И. Г. Антелава, იქვე, გვ. 35.

[96] И. Г. Антелава, იქვე, გვ. 36.

ჯიქისა და ალანისა დაუდგომლად სისხლთა მღერელად, ორგულისა მაუნებელი, ერთგულთათუის კარგის მჭელად"[97].

გარკვეული ჰიპერბოლიზაციის მიუხედავად, აქ ასახული ვითარება საფუძველს მოკლებული არ არის და იმდროინდელი რეალობის ანარეკლს წარმოადგენს.

§ 4. აფხაზეთის საერთაშორისო სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ვითარება გვიან შუასაუკუნეებში

"– ხოლო ესე აფხაზეთი შემოულ არს ყოველითა ნაყოფითა და პურითა, რამეთუ ნაყოფიერებენ ყოველნი მარცვალნი, ხილნი, ენასნი, პრუტელნი და ნალრნი, ფრინველნი და თევზნი მრავალნი. არამედ თჳა აქაური ფრიად შეუნერნი, ბალნითა წმინდა და ჭრელ, რასნი ალალნი, ეთარ ადლასხეანნი, წეერნი გრეელნი, ეფრე მუხლთ დაბლამდე, გარნა არს ესე აფხაზეთი ტყიანი, ჭალიანი, ენროიანი და მკრეველიანი; მთის კერძნი ადარაკიანნი. ხოლო კაცნი მგეანენი მეფელთა და უმეტეს ცქეტნი და ტანიანნი, წერწეენი– სარწმუნოებით არიან ქრისტეანენი, არამედ ალარა რისა მეუნერნი და ალიცხეთან ეთარეა კერნი– გარნა უწყიან ნათესაობა, ცოლი ერთი, მარხეა, აქეთ სასოება მღეელთა ფრიად– ეეეთ სტუმარი და პატეეს ეეფეენ, და მეწყინარენ ფრიად. ესა საკეთარი თესი აქესთ, არამედ უწყიან წარჩინებულთა ქართული".

ეპიფანეს ბატონიშვილი

აფხაზეთის სამთავრო არ წარმოადგენდა მკაცრად ცენტრალიზებულ პოლიტიკურ ერთეულს. ის დანაწევრებული იყო სამთავროებად და რამდენიმე მთავარი ჰყავდა, თუმცა, მათ შორის ერთი მაინც უფროსი იყო.

ჯ. ლუკას ცნობით, აფხაზებს ("აბკასა", "აბაცა") ჰყავთ ორი მთავარი: კარაბეი და პუტო. ამ უკანასკნელის რეზიდენცია სოხუმშია, ხოლო კარაბეი პუტოს სამთავროს მოსაზღვრე ტერიტორიას განაგებს[98], საფიქრებელია, რომ ბზიფის აფხაზეთს[99]. მისიონერ კასტელის ერთ-ერთ დაუხატავ ქალალდზე ასეთი მინაწერია გაკეთებული: სამი ძმის სურათი. ეს არის აფხაზეთის (Abaz) მთავრის სამი ძმის სურათი. უფროსს ჰქვია დონ ბასლაკუსი, მეორეს სალამონი, მესამეს და უკანასკნელს სეტემანი"[100]. მეორე, ასევე დაუხატავ ქალალდზე ასეთი მინაწერია: "აფხაზეთის სამი მთავარი. ეს სამი რაინდი აფხაზეთის მთავრებია, რომელთაც მოგეცეს გამოუყენებელი ორი უმშვენიერესი ეკლესია. აფხაზეთის ქვეყნის მცხოვრებლები იმ ზომამდე უკმეხები არიან, რომ მათ ვერ უვლის მთავარი, ხოლო მეორე უნარიანი ბატონი ბესლაკო შარაშიჯ ხანით უფროსი და

---

[97] ფეშანგი, მაშნაკაზიანი, გვ. 84.

[98] დომინიკანელი მისიონერის ჯოვანი და ლუკას ცნობები..., გვ. 156-158, 169.

[99] З. В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии, გვ. 239.

[100] კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, გვ. 194, ხურ. 549.

უფრო დიდი თანამდებობისაა მათ ქვეყანაში, ამიტომ მას მმართველობაც შეუძლია"[101].

როგორც ჩანს, ამ სამ იმთაგან, რომლებიც აფხაზეთის სამთავროს განაგებენ, ბესლაკო შარვაშიძეს (კასტელს გვარი შარვაშიძე მეგრული ფორმით — შარაშია, აქვს მოხსენიებული) უფროსობა ჰქონდა. კასტელის ალბომში დაცულ ერთ ნახატზე შემორჩენილი მინაწერიდან ირკვევა, რომ ბესლაკო შარვაშიძის სამფლობელოში ყოფილა მოქცეული ბიჭვინთა[102]. აქედან ცხადი ხდება, რომ ის ბზიფის აფხაზეთის მფლობელი იყო. კასტელის ერთ-ერთ ნახატზე გამოსახულია ჯვარისმამა* ნიკიფორე ჩოლოყაშვილის (1585-1658) წინაშე დაჩოქილი ბესლაკო შარვაშიძე. ნახატის მინაწერი გვაუწყებს: "ბესლაკო შარაშია, მთავარი აფხაზეთისა"[103]. ამრიგად, ირკვევა, რომ ბესლაკო შარვაშიძე ნიკიფორე ჩოლოყაშვილის ჯვარისმამობის (1643-1649 წწ.) დროინდელი მოლვაწე ყოფილა. სეტემან შარვაშიძე ლევან II დადიანის ყოფილი სიმამრია[104]. სოლომონ შარვაშიძეც XVII ს. 50-იანი წლების მიწურულის ამბების თხრობისას იხსენიება "შაპნავაზიანში".

ლევან II დადიანის სიმამრი სეტემან შარვაშიძე, რომელსაც წყაროები აფხაზეთის მთავრად მოიხსენიებენ, სულაც არ ყოფილა ერთიანი აფხაზეთის სამთავროს მმართველი. იგი მხოლოდ მისი ერთი, აღმოსავლეთ ნაწილის გამგებელი იყო. ამიტომაც ვუწოდებთ სეტემან შარვაშიძეს თუ სხვა მთავრებს "აფხაზთა მთავარს" და არა "აფხაზეთის მთავარს"[105].

აფხაზეთის მთავარს (აჰ) ეკუთვნოდა უმაღლესი სამხედრო და ადმინისტრაციული ხელისუფლება და სამთავროს მთელი მოსახლეობა მის ვასალად თვლიდა თავს. თუმცა, ქვეყნის ფეოდალური დაქუცმაცებულობის გამო მისი ხელისუფლება სუსტი იყო. ცალკეულ სამფლობელოთა მფლობელები მასთან მხოლოდ ნომინალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ და აფხაზეთის წვრილ სამფლობელოებზე ძალაუფლების გავრცელება მის სიძლიერეზე იყო დამოკიდებული. ფაქტობრივად, იგი იყო "უფროსი თანასწორთა შორის"[106]. აფხაზეთის მთავართან უფლებრივად თითქმის

---

[101] კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, გვ. 192, სურ. 544.

[102] იქვე, გვ. 177.

* ჯვარისმამა — იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინამძღვარი.

[103] კასტელი, იქვე, გვ. 171.

[104] იქვე, გვ. 79, სურ. 16.

[105] ბ. ლომინაძე, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, I, გვ. 192-193; ილ. ანთელავა, ოდიშის სამთავროს პოლიტიკური ისტორიიდან, გვ. 110.

[106] И. Г. Антелава, К вопросу..., გვ. 61; Г. А. Дзидзария, Народное хозяйство..., გვ. 212. ამავამად, ზოგიერთი მკვლევარი, უცხოურ წყაროებზე დაყრდნობით თვლის, რომ არ დასტურდება XVII ს. 10-იან წლებში აფხაზ ფეოდალთა გაერთიანება და აფხაზეთის გათავისუფლება ოდიშის ვასალური დამოკიდებულებისაგან, მისი სამთავროდ ჩამოყალიბება (იხ. აბ. ტულუში, აფხაზეთის სამთავროს წარმოშობის საკითხისათვის). მართალია, აფხაზეთი

გათანაბრებული იყვნენ მისი ძმები, რომლებიც სრულწლოვანების მიღწევისას ღებულობდნენ საუფლისწულო მამულს (სამთავრო) და ასევე მთავრებად იწოდებოდნენ. აფხაზეთის მთავრის ტიტულიც ძმიდან ძმაზე გადადიოდა[107].

მთავრის ხელისუფლება შეზღუდული იყო სასოფლო თემებითა და მათი წარმომადგენლების სახალხო კრებებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საქმეები მთავარს საერთო-სახალხო შეკრებაზე გამოჰქონდა, სადაც გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით მიიღებოდა, თუმცა მთავრისა და მისი ძმების ხმებს ამგვარ შეკრებებზე დიდი წონა ჰქონდა[108].

გვიანფეოდალურ აფხაზეთში მთავართან მისი ძმების უფლებრივი გათანაბრება და აფხაზეთის მთავრის ხელისუფლების სისუსტეც პატრიარქალურ-გვაროვნული გადმონაშთების სიმტკიცით აიხსნება. ამ გადმონაშთების სიმტკიცე იმაშიც ჩანდა, რომ აფხაზეთის საზოგადოებრივი წყობის საფუძველს წარმოადგენდა სასოფლო თემები (აფხ. აქითა)[109]. ის იყო რაღაც საშუალო თემსა და ფეოდალურ ერთეულს შორის. მთელი

XVII ს. ფეოდალურ სამფლობელოებადაა დაყოფილი და რამდენიმე მთავარი ჰყავს, მაგრამ მათ შორის მაინც ერთია უფროსი და სხვები მას ემორჩილებიან. ამასთან, სულაც არ არის გამორიცხული მათი გაერთიანება ოდიშისადმი ვასალური დამოკიდებულებისაგან გათავისუფლების მიზნით. ლევან II დადიანის მთავრობის დასაწყისში ისინი აღწევენ კიდეც ამ მიზანს. ოდიშის მთავარი ვერ ურიგდება ამ ფაქტს, მაგრამ აფხაზეთზე რეალური ძალაუფლების გავრცელებას მაინც ვერ ახერხებს. რაც შეეხება იმას, იყო თუ არა აფხაზეთი სამთავრო — აფხაზეთი ცალკე პოლიტიკური ერთეულის — საერისთავოს სახით არსებობდა XIV ს.-დან ვასალურ დამოკიდებულებაში იყო ოდიშის სამთავროსთან. ვასალური დამოკიდებულებისაგან გაიაზისუფლების შემდეგ, ეფიქრობთ, სრული საფუძველი გვაქვს ვაღიაროთ აფხაზეთის სამთავროს ჩამოყალიბება. თუმცა, ეს სამთავრო სოციალურ-პოლიტიკური განვითარებით არ იდგა ისეთ დონეზე, როგორც მეზობელი ოდიშისა და გურიის სამთავროები. ეკონომიკა ამას თავისი მიზეზები ჰქონდა და, მათ შორის უმთავრესი — მოგის ჩამოწოლა, რაც გავლენას ახდენდა სამთავროს სოციალურ-პოლიტიკურ სახეზე.

[107] ეს ფაქტი ძალაუნებურად გვახსენებს "აფხაზთა" სამეფოში ხელისუფლების მემკვიდრეობის წესს. აფხაზთა სამეფოსათვის უცხო იყო მეფის ხელისუფლების პირმშოობაზე დაფუძნებული მემკვიდრეობის პრინციპი. სამეფო ხელისუფლება საგვარეულო პრინციპით ნაწილდებოდა. ტახტზე ადიოდა არა მეფის პირმშო შვილი, არამედ ძმა (გვარში უფროსი). ხელისუფლების მემკვიდრეობის ამ არქაულ წესს, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა "აფხაზთა" სამეფოს ფორმირების პროცესში, მთური ადრეკლასობრივი კომპონენტების საკუთრივ ხსენად (შ. ბადრაძე, მთური კომპონენტების საკითხისათვის..., გვ. 24-25). გაეცნეთ, ასევე, ტრაპეზონის კერძის წერილი ბურგუნდიის ჰერცოგისადმი (XV ს.), სადაც ანტიოსმალიერი კოალიციაში მონაწილეთა შორის დასახელებული არიან "რაბია მისი ძმებითა და ბარონებით" (იხ. დ. პაიჭაძე, ევროპის ქვეყნების..., გვ. 130). აქაც ხაზგასმულია აფხაზეთის ერისთავის ძმების როლი საერისთავოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

[108] И. Г. Антелава, К вопросу..., გვ. 61.

[109] აფხაზები ხშირად განიცდიდნენ მეზობელი მთის ტომების (აბაზები, ალიკელები და სხვ.) თავდასხმას. ამიტომ ძველად მისასვლელ ადგილებში — მთებსა და მდინარეთა ხეობებში სახლდებოდნენ თემები. თემები გვაროვნული დასახლებებისაგან (აცუკვა, ანუ ასაბლა) შედგებოდა. შემდეგ, ეს გვაროვნული დასახლებები (სოფლები) აქითად იწოდა (იხ. И.А. Аджинджал, Из этнографии Абхазии, გვ. 15–18). ამიტომაც სოფელს აფხაზურად აქითა ეძახა.

აფხაზეთი დაყოფილი იყო აქითებად, რომლებიც მთავრის ხელისუფლებასთან დამოკიდებულებაში ფაქტობრივად ადმინისტრაციულ ერთეულებს წარმოადგენდნენ (ისინი თავისი შინაარსითა და სოციალური სტრუქტურით ქართული სათავადოების ადექვატურია) და რომელთა სათავეშიც რომელიმე სათავადო სახლი იდგა[110].

აქითა (თემი) წარმოადგენდა ნახევრად დამოუკიდებელ ერთეულს, ცხოვრობდა ჩვეულებითი სამართლითა და საუკუნეთა განმავლობაში მასში დამკვიდრებული ურთიერთობებით[111]. აქითას მოვალეობა იყო თავისი წევრების სიცოცხლისა და ქონების დაცვა, სისხლის აღება, მტრის თავდასხმებისას უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით ეხებოდა სასაზღვრო რაიონების თემებს. უფრო გვიან, XVIII ს. დოკუმენტურადაა დადასტურებული შემთხვევები, როდესაც ფსხუელები თარეშით ხშირად აღწევდნენ ქვეყნის შიდა რაიონებამდე და ზოგჯერ სოხუმამდეც ჩამოდიოდნენ; ბზიფის მხრიდან იჭრებოდნენ ჯიქები, კოდორის ხეობიდან წებელდელები[112]. მთავარი მოვალეობა, რომელიც ეკისრებოდა აქითას ყოველ წევრს, იყო სამხედრო ვალდებულების შესრულება. საჭიროების შემთხვევაში, ყველა უნდა გამოსულიყო იარაღით ხელში მტრის წინააღმდეგ. გარდა ამისა, აქითას ყოველ ფუნას ადათით განსაზღვრული მოვალეობა ჰქონდა დაკისრებული[113].

აქითა შედგებოდა როგორც პრივილეგირებული წოდების — ათაუად (თავადი) და აამსთა (აზნაური), ისე თავისუფალ და დამოკიდებულ გლეხთა ყველა კატეგორიისაგან. აქითას სათავეში იდგა თავადი, რომელსაც ახილაფშუ (პატრონი, მფარველი, უფროსი, დამცველი) ერქვა. აქითას ყოველი წევრი ახილაფშუს მიმართ წარმოადგენდა ხიფშს, ანუ საპატრონოს, სამეურვეოს[114].

გვიანი შუასაუკუნეების აფხაზეთი, მართალია, ფეოდალური ქვეყანაა, მაგრამ ფეოდალური ურთიერთობები აქ არ იყო ისეთ დონეზე განვითარებული, როგორც ოდიშში. ფეოდალიზმი აფხაზეთში აშკარად პრიმიტიულ ხასიათს ატარებდა და, რაც მთავარია, ბატონყმობის მძიმე ფორმები მან საერთოდ არ იცოდა. მეჩხერეული უფლება გლეხობის მიმართ მკაცრად იყო განსაზღვრული ადათით. გლეხს შეეძლო სადაც მოისურვებდა იქ დასახლებულიყო. ხშირად ის ნებაყოფლობითაც არ ეკითხებოდა მიწის მფლობელს. მხოლოდ მიწაზე დასახლების შემდეგ მყარდებოდა გარკვეული უფლებრივობა გლეხსა და მეჩხერეულს შორის, ხოლო ბევრია

---

110 Очерк устройства..., გვ. 3–5; К. Кудрявцев, Сборник материалов ..., გვ. 16; Г. А. Дзидзария, Народное хозяйство..., გვ. 117.

111 Очерк устройства..., გვ. 8; К. Кудрявцев, იქვე.

112 Очерк устройства..., გვ. 10-11; К. Кудрявцев, იქვე.

113 Очерк устройства..., გვ. 14; К. Кудрявцев, იქვე.

114 Очерк устройства..., გვ. 6-7; К. Кудрявцев, იქვე.

და სხვა საბატონო ვალდებულებანი, რომელსაც გლეხი მიწით სარგებლობისათვის მემამულეს უხდიდა, არ იყო მძიმე[115].

აფხაზეთში გლეხთა რამდენიმე კატეგორია არსებობდა და მას მნიშვნელოვანი სპეციფიკა ახასიათებდა, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ აქ ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობანი უფრო დაბალ საფეხურზე იდგა, ვიდრე დანარჩენ საქართველოში. მწარმოებელი კლასის ყველაზე დაბალ ფენას წარმოადგენდა უუფლებო გლეხთა კატეგორია — *ახაშვალა* (ფაქტობრივად მონა). მას არ გააჩნია პირადი საკუთრება, ნება არა აქვს ცოლი შეირთოს და ოჯახი გაიჩინოს. ნებადართულია მისი ყიდვა-გაყიდვა, გაჩუქება. ის ბატონის კარმიდამოში ცხოვრობს და ყველაზე მძიმე სამუშაოს ასრულებს. ეს კატეგორია ძირითადად ტყვეებისაგან იესებოდა; პირადად დამოკიდებულ და მიწაზე მიმაგრებულ გლეხთა კატეგორიას შეადგენდა *ახოიუ* ("საჭმლის მომზადებელი", ყმა გლეხი). მათი მოვალეობა იყო საბატონო ბეგარის შესრულება და ბატონის სახლში სამსახური. იგი შედგებოდა ახაშვალას კატეგორიიდან ამ კატეგორიაში ბატონის ნებართვით გადასულთაგან; *ამაწურაჯუ* (ნახევრად ყმა) — პირადად დამოკიდებული და მიწაზე მიმაგრებული გლეხთა კატეგორია. შედგებოდა ახოიუთაგან, რომელიც გამოსასყიდის ფასად განთავისუფლდა ყველა საბატონო ვალდებულებისაგან, გარდა საბატონო ბეგარისა; აფხაზეთში ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო *ანჩაიუ* ("მეურნე კაცი", "მიწათმოქმედი"), პირადად თავისუფალ გლეხთა კატეგორია. ის ფეოდალის მიწაზე ზის და ამიტომ ფეოდალური ვალდებულებებიც აკისრია (გამასპინძლება და სხვ.). მისი მთავარი მოვალეობა იყო ლაშქრობით სამსახური. მას ჰქონდა ერთი მემამულისაგან მეორესთან გადასვლის უფლება. ასეთი უფლებით ანხაიუ სარგებლობდა არა მარტო აფხაზეთში, არამედ აბაზებისა და ჩრდ.-დას. კავკასიის მთიელთა სხვა თემებშიც[116].

კავკასიის მთიელთა და კერძოდ აფხაზთა შორის წმიდათაწმიდა ჩვეულება იყო სტუმართმოყვარეობა. ადათი ავალებდა აქითას ყოველ წევრს მასპინძლობა გაეწია სტუმრისათვის. არცერთ სტუმარს (ასასი) სამშობლოდან დევნილი იყო თუ თავისი ნებით წამოსული, უარი არ ეთქმოდა თავშესაფარზე. მას არც ჰკითხავდნენ თუ ვინ იყო, ან საიდან და რატომ მოვიდა. აქითას ყოველ წევრს ევალებოდა მიეღო ასასი და, თუ ის საცხოვრებლად იქ დარჩენას ისურვებდა, მფარველობა გაეწია მისთვის. ამ შემთხვევაში ასასი აქითას სრულუფლებიანი წევრი ხდებოდა და მისი დაცვის ქვეშ იყო. "ასას" ტერმინთანაა დაკავშირებული ისეთი

---

[115] ქ. გრიგოლია. ზოგიერთი მოსაზრება..., გვ. 129.

[116] А. П. Черенов, Краткие заметки ..., გვ. 407; Очерк устройства..., გვ. 13–14; И.Г. Антелава, К вопросу..., გვ. 71–95; Г. А. Дзицария, Народное хозяйство..., გვ. 245–383.

სოციალური მოვლენა, როგორიცაა "ასასრა" (ასასობა), ერთი თემიდან მეორეში დროებით ან მუდმივ საცხოვრებლად გადასვლა. ასასობა მარტივი განსახორციელებელი იყო, რადგან სიძნელეს არ წარმოადგენდა ადრინდელი საცხოვრისის დატოვება. არათუ ანხაიუ, არამედ ახოიუ, ამაწურაზკუ და ახაშვალაც კი ასასობის შემთხვევაში პოულობდნენ თავშესაფარსა და პატრონს, თუმცა მათი ასასობა ზოგიერთი პირობით შეზღუდული იყო. არსებითად, ასასობა იყო სოციალური ბრძოლის ფორმა (აღმ. საქართველოში გავრცელებული ხიზნობის მოკავში), გლეხის გაქცევა ბატონისაგან და თავის შეფარება სხვა ფეოდალთან. ეს გარემოება იძულებულს ხდიდა ფეოდალებს, არ დაემძიმებინათ ბატონყმობის უღელი[117]. ასასობას, როგორც სოციალური ბრძოლის ფორმას, მასობრივი ხასიათი ჰქონდა გლეხებში. ამასთან, გლეხთა ასეთ გადასახლებას ადგილი ჰქონდა არამარტო აფხაზეთის შიგნით, — აფხაზეთში მოდიოდნენ ადიღეური და აბაზური მთის თემებიდანაც. ასასები იყვნენ არა მარტო გლეხები, არამედ ფეოდალთა წრის წარმომადგენლებიც. ასეთი გადმოსახლების მიზეზები იყო მკირემიწიანობა, სიღარიბე, სისხლის აღების წესი და სხვ[118].

წინა პერიოდისათვის, აფხაზეთში უეჭველად საგულისხმებელია მაღალი ფეოდალური დონე და დაწინაურებული კულტურა, მაგრამ გვიან შუასაუკუნეებში ვითარება რადიკალურად იცვლება. ამაზე ნათლად მეტყველებს ქართული და უცხოური წყაროები, რომლებიც აფხაზების რელიგიურ და, ამდენად, სოციალურ ცხოვრებასაც ასახავენ. აფხაზეთში კულტურის დაქვეითების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საბუთად გამოდგება ქრისტიანობის მისუსტებისა და წარმართობის აღორძინების ფაქტი. ა. ლამბერტი აღნიშნავს, რომ "... აფხაზები, ალანები, ჩერქეზები, ჯიქები, ყარაჩაელები ყველანი ესენი მხოლოდ სახელით არიან ქრისტიანები, თორემ არც სარწმუნოებით და არც მოქმედებით ქრისტიანობა მათ სრულებით არ ეტყობოდათ"[119]. ჩრდ. კავკასიაში ამ დროს ისლამი ვრცელდება, მაგრამ ეს არ შეიძლება ითქვას აფხაზეთზე. მოსახლეობა გამუსულმანებული კი არ არის, არამედ წარმართობს[120]. ა. ლამბერტის ცნობით, აფხაზები "მიცვალებულებს როდი მარხავენ, არამედ ჰკიდებენ ხოლმე ხეზე შემდეგის წესით. გამოლარავენ ხის ღერს კუბოს მსგავსად, შიგ ჩასდებენ მიცვალებულს და ვაზის მაგარ ლერწებით ჩამოჰკიდებენ ხის წვერზე ამაევ ხეზე ჩამოჰკიდებენ ყველა იარაღს, რომელსაც მიცვა-

---

[117] А. П. Черепов. Краткие заметки ..., გვ. 407; Очерк устройства..., გვ. 13-14; Г.А. Дзидария, Народное хозяйство... გვ. 245-383.

[118] З. В. Анчабадзе. Из истории средневековой Абхазии, გვ. 291; Г.А. Дзидария, იქვე, გვ. 392.

[119] ა. ლამბერტი, საქართველოს აღწერა, გვ. 116.

[120] ბ. ლომინაძე, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, I, გვ. 211 და შმდ.

ლებული სიცოცხლეში ხმარობდა"[121]. მსგავს ცნობას იძლევა ჯ. ლუკაც[122]. დაკრძალვის ეს წარმართული წესი, რომელიც ანტიკურ ხანაში კოლხებისათვის იყო დამახასიათებელი (აპოლონიოს როდოსელი, ნიკოლოზ დამასკელი, კლავდიუს ელიანუსი), შუაფეოდალურ ხანასა და გვიან შუასაუკუნეებში შემორჩენილი იყო ადიღეველებსა და აბაზებში[123]. საინტერესოა, რომ საკმაოდ გვიანაც აფხაზეთში არსებობდა მეხდაცემულების ასეთი წესით დაკრძალვის ჩვეულება, თუმცა, გარკვეული ხნის შემდეგ, მათ მაინც მიწას აბარებდნენ[124].

ჯ. ლუკას დაკვირვებით, აფხაზეთი ქრისტიანული ქვეყანაა. აფხაზები "რწმენით ქრისტიანები არიან, რაიმე ქრისტიანული წეს-ჩვეულების შესრულების გარეშე"[125]. როცა ჯ. ლუკამ კარაბეის სამთავროში, ბიჭვინთაში წირვა ჩაატარა, მას ადგილობრივი მრევლი დაესწრო. მღვდელი აქ ქართველია. მნიშვნელოვანია არა ის, რომ მღვდელი ეთნიკურად არის ქართველი, არამედ ის, რომ აქ ქართული ქრისტიანობაა გავრცელებული, ღვთისმსახურება ქართულად სრულდება. ჯ. ლუკას ცნობით, აფხაზები მღვდელს "პაპას" ეძახიან[126], რაც მეგრულად მღვდელს ნიშნავს. როგორც აღვნიშნეთ, კასტელს აქვს ერთი სურათი — აფხაზეთის მთავარი ბესლაკო შარაშია კურთხევას იღებს ნიკიფორე ჩოლოყაშვილისაგან; ქრისტიანია მთავარი პუტოც და ამის ნიშნად ჯვარსაც ატარებს[127], მაგრამ, როგორც ჩანს, ისინი ქრისტიანობას მხოლოდ გარეგნულად მისდევენ და აფხაზეთში ფეოდალური ეკლესია ფაქტობრივად არ მოქმედებს[128].

გვიანი შუასაუკუნეების აფხაზეთში არ აგებულა მეტნაკლებად მნიშვნელოვანი ორიგინალური არქიტექტურული ძეგლი. ზედმეტია ლაპარაკი მწყობრულ ძეგლებზე. ჯ. ლუკას ცნობით, აფხაზებს "არა აქვთ არავითარი დაწერილი კანონები და დამწერლობის გამოყენებაც არ იციან"[129].

აფხაზების კულტურული დაქვეითება ჩანს მათი ცხოვრების წესშიც, რომელსაც უცხოელი ავტორები ნერქეზებისას ადარებენ. ჯ. ლუკა,

---

121 ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, გვ. 168-169.

122 დომინიკანელი მისიონერის ჯოვანი და ლუკას ცნობები..., გვ. 170.

123 დაკრძალვის ასეთ წესს აბაზებში, აღწერს ე. ჩელები (ეფლია ჩელები, I, გვ. 104); ნერქეზებში — ფრანგი ეჩეი ყირიმის ხანის კარზე ფერანი (Адыги, Балкарцы и Карачаевцы в известиях европейских авторов XIII-XIX вв.,составление, редакция переводов, введение и вступительные статьи к текстам В.К. Гарданова, Нальчик, 1974, გვ. 112); მეხით მოკლულების ასეთი წესით დამარხვის ჩვეულების ადიღეველებში აღწერს გერმანელი რანდლი შილტბერგერი (Адыги, Балкарцы и Карачаевцы..., გვ. 39-40).

124 Ш. Д. Инал-Ипа, Абхазы, გვ. 548.

125 დომინიკანელი მისიონერის ჯოვანი და ლუკას ცნობები.., იქვე.

126 იქვე. გვ. 158.

127 იქვე.

128 ბ. ლომინაძე, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, I, გვ. 216.

129 დომინიკანელი მისიონერის ჯოვანი და ლუკას ცნობები..., გვ. 170.

წერს: "აფხაზები ("აბკასა", "აბაცა") ცხოვრობენ მთებში, რომლებიც გადაჭიმულია ჩერქეზეთამდე... ამ ქვეყანაში არ არის ქალაქები მაგრამ ბევრი სოფელია მთებში... აფხაზები გაფანტული არიან ზღვის სანაპიროზე. მათი ცხოვრების წესი ისეთივეა, როგორიც ჩერქეზების... ტყეები მათ ემსახურებათ როგორც მყუდრო ადგილი, როდესაც ისინი აირჩევენ ერთ ადგილს საცხოვრებლად, მერე მას არ ტოვებენ... რადგან მათ არა აქვთ სხვა საცხოვრებელი ადგილი გარდა ტყისა, ამიტომ ჰყავთ მცირე რაოდენობის ჯოგი და აქვთ ცოტა მასალა თავიანთი ტანისამოსის დასამზადებლად. ისინი კმაყოფილდებიან თაფლისაგან გაკეთებული ღვინოთი, ნადირით და ტყეში გაზრდილი ნაყოფით. ხორბალი მათთან არ მოდის. მარილს აქ არ ხმარობენ"[130]. უფრო გვიან (XVIII ს.), გიულდენშტედტიც აღნიშნავს, რომ "აფხაზები შინაური წყობის მიხედვით ყველაზე მეტად ჩერქეზებს ემსგავსებიან... აქ უმთავრესად მესაქონლეობას მისდევენ, მათი მიწათმოქმედება შემოიფარგლება მხოლოდ ლობის მოყვანით, მაღლა მთებში კი სთესენ ცოტა საგაზაფხულო ხორბალს და ქერს"[131]. ა. ლამბერტის ცნობით, ალანებსა და ჯიქებს "ისეთივე ჩვეულება აქვთ, როგორც მათ მეზობელ... აფხაზებს"[132]. ეს მსგავსება არც ვახუშტი ბატონიშვილს დარჩენია შეუმჩნეველი: "გარნა იუწყე აფხაზთა და ჯიქთა სამოსელნი, და იარაღნი, და საჭურველნი, ვითარცა ჩერქესთანი"[133].

აფხაზები გვაროვნული დასახლებებით ცხოვრობენ გორებზე (გორასაცხოვრისები)[134]. ა. ლამბერტის ცნობით, "აფხაზები ქალაქებში და ციხეებში როდი ცხოვრობენ, არამედ შეიყრება ერთი გვარის ათი თუ ოცი ოჯახი, ამოირჩევენ რომელსამე მაღლობ ადგილს, გააშენებენ იქ კარგ ისლით დახურულ ფაცხებს, შემოავლებენ ამორჩეულ ადგილს მაგარ ღობეს და ღრმა თხრილს. ღობეს და თხრილს იმიტომ აკეთებენ, რომ ეშინიათ თავდასხმისა, გარეშე ხალხი კი არა თვით აფხაზები თავს ესხმიან და სძარცვავენ ერთმანეთს... ჩვეულებრივ ღამე დაეცემიან ერთმანეთს და ვისაც მოახელებენ, დაიჭერენ და წაიყვანებენ. გაუფრთხილებლობით რომ ეს არ დაემართოთ, აფხაზები საშიშ დროს ჯავშანს ჩაიცვამენ, ხელში შუბს დაიჭერენ, ფარს სასთუმალს ქვეშ დაიდებენ, შეკაზმულ ცხენს ლოგინთან დაბამენ და ისე დაიძინებენ"[135]. ე. ჩელების ცნობით, შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრებ აბაზებს "მოწნული, ყავრით დახურული სახლები აქვთ. შუაცეცხლი უნთიათ. ათ კომლს ერთ

---

130 დომინიკანელი მისიონერის ჯოვანი და ლუკას ცნობები..., გვ. 169-170.

131 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. II, გვ. 51.

132 ა. ლამბერტი, "ამეტრელოს აღწერა, გვ. 169.

133 ვახუშტი, აღწერა..., გვ. 787.

134 З. В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии, გვ. 291-292; ნ. ბერძენიშვილი, მასალები..., გვ. 614.

135 ა. ლამბერტი, იქვე, გვ. 168.

კაბაკს ეტყვიან და მას ოთხ მხარეს ციხის მსგავსად აქვს შემოვლებული ღობე. საქონელი ყველას ჰყავს და მათ დღედაღამ ყარაულობენ ლომივით ძაღლები. ასეთივე მდგომარეობაა აბაზას ყველა ტომისათვის, რადგანაც ყველა სახლი ტყეშია აშენებული. ერთმანეთისა ეშინიათ"[136].

წყრილები იმის შესახებ, რომ აფხაზები ასე ჰგვანან დს. კავკასიის მთის ხალხებს (და არა მგრელებს), ყოფითა და სარწმუნოებით; რომ ისინი ციხეებსა და ქალაქებში კი არ ცხოვრობენ, არამედ გვაროვნული დასახლებებით; უმთავრესად მისდევენ მეჯოგეობას და არა მიწათმოქმედებას, ნათელყოფენ, რომ აფხაზეთში, დაწინაურებული ფეოდალური კულტურა მთის ყოფითაა შეცვლილი; ქრისტიანობა მისუსტებულია და წარმართობაა აღორძინებული; ინტენსიური ფეოდალური მეურნეობა ექსტენსიური მთის მეურნეობითაა შეცვლილი; საზოგადოებრივ ცხოვრებაში პატრიარქალური სათემო წყობაა გაბატონებული; სოციალური სტრუქტურა უფრო განუვითარებელ მთის საზოგადოებას შეესაბამება, ვიდრე ბარში გაბატონებულ განვითარებულ ფეოდალურ ურთიერთობას; რელიგიური დონეც ამ საზოგადოების შესაფერისია[137].

ამრიგად, სახეზეა აფხაზეთის სოციალურ-პოლიტიკური წყობისა და კულტურის დაქვეითების ფაქტი. ზ. ანჩაბაძეს ამ საერთო დაქვეითების მიზეზად დასახელებული აქვს პოლიტიკური დაქუცმაცებულობა, ფეოდალური შინაომები, ნატურალური კარჩაკეტილი მეურნეობა და სხვა[138]. სავსებით სწორია ამ ფაქტორების უარყოფითი გავლენა ქვეყნის განვითარებაზე, მაგრამ ამ მიზეზებს არ შეეძლო გამოეწვია დაქანება კავკასიის მთის ხალხთა ცხოვრებისა და სარწმუნოების დონემდე. ასეთი მეტამორფოზა არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ და მხოლოდ იმ ძნელბედობით, რაც თავს დაატყდა საქართველოს XIII-XIV სს. შემდეგ (ფეოდალური მონარქიის დაშლა, გარეშე მტრების შემოსევები, ფეოდალური შინაომები და სხვ.), რადგან ყველა ქართული პოლიტიკური ერთეული თითქმის ერთნაირ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მათ შეეძლოთ გამოეწვიათ ქრისტიანობის დაკნინება-დამახინჯება, როგორც მეზობელ ოდიშში, მეურნეობის დაცემა, მოსახლეობის გაწყვეტა, ფეოდალური ურთიერთობის პრიმიტიული ფორმების გამოცოცხლება, მაგრამ ეს, ასეთი საყოველთაო და ფართო მასის მომცველი ვერ იქნებოდა. აფხაზეთის მსგავს ძნელბედობას განიცდიდა მისი მეზობელი ოდიშიც, თუმცა სოციალური წყობის ისეთი რეგრესი, როგორსაც აფხაზეთში აქვს ადგილი, აქ არ შეიმჩნევა,

---

[136] ეკლესია ჩელები, I, გვ. 105.

[137] З. В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии, გვ. 292, 300; ბ. ლომინაძე, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, I, გვ. 228 და შემდეგ; ნ. ბერძენიშვილი, მასალები ..., გვ. 593, 615-616; კ. გრიგოლია, ზოგიერთი მოსაზრება..., გვ. 130-131; ლ. მუსხელიშვილი, ისტორიული სიმართლისათვის, - გაზ. "კომუნისტი", 1989, 5 აპრილი.

[138] З.В. Анчабадзе, იქვე, გვ. 300.

ხოლო რაც შეეხება ბატონყმობას, მისი უღელი კიდევ უფრო მძიმდება[139].

აღნიშნული მოვლენები შეიძლება აიხსნას მხოლოდ და მხოლოდ მთის ჩამოწოლით, დას. კავკასიის მთის ტომების აფხაზეთში ჩამოსახლებით[140]. როგორც აღვნიშნეთ, მთის ჩამოწოლის პროცესი აფხაზეთში ბევრად უფრო ადრე დაიწყო, მაგრამ მისი შედეგები აშკარად გამოჩნდა XVს.-დან, როცა აფხაზეთის მკვიდრმა მოსახლეობამ ვეღარ შეძლო მთის ჩამოწოლის სათანადო სოციალურ-რელიგიური ათვისება. ჩამოსახლებულმა მასამ წალეკა ადგილობრივი მოსახლეობა. "აფხაზი" უკვე არ არის კულტურულ-ისტორიულად ქართველი. აფხაზი ტომი ახალი ეთნიკური სახით ჩამოყალიბდა[141]. XVII ს. "აფხაზები" კავკასიელი მთიელებია, რომელთაც ჯერ ვერ შეუთვისებიათ ფეოდალური მეურნეობა, ფეოდალური სოციალური წყობა, ქრისტიანობა. ისინი, თავიანთი პრიმიტიული ყოფითა და წარმართული რელიგიით, აშკარად არ არიან იმ აფხაზთა შთამომავალნი, რომლებიც ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოს კულტურულ-პოლიტიკურ მშენებლობაში მონაწილეობდნენ ქართველურ ტომებთან ერთად. ეს გენეტიკური ხაზი მოსახლეობის ძირითად მასაში, დაბალ ფენებში, გაწყვეტილია და მხოლოდ აფხაზ ფეოდალთა წრეში ჩანს შენარჩუნებული ქართული კულტურული ტრადიციები. როგორც ნ. ბერძენიშვილი შენიშნავდა, აფხაზი ქალის, შარვაშიძის ასულის ლამბერტისეული დახასიათება ჩინებულად მოწმობს, რომ ამ დროს აფხაზი ფეოდალის სახელი "ქართულია" და, არა მხოლოდ ქრისტიანობის თვალსაზრისით, არამედ საერთო კულტურის თვალსაზრისითაც[142]. აკად. ნ. ბერძენიშვილმა ისტორიოგრაფიაში სპეციალურად შემოიტანა ტერმინი "აწინდელი აფხაზეთი", რითაც შეეცადა გაემიჯნა "ძველი" და "ახალი" აფსაზეთი. ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესო ცნობაა დაცული "ქართლის ცხოვრებაში" შესული საისტორიო თხზულებაში "ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი".

თამარ მეფის ვაჟის გიორგის მეორე სახელ ლაშასთან დაკავშირებით, მატიანეში აღნიშნულია: "რომელი განმანათლებლად სოფლისა

---

[139] კ. გრიგოლია, ზეციერი მასაზრდა.... გვ. 130; ბ. ლომინაძე. ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან. I, გვ. 229; ღ. ბუსხელიშვილი. ისტორიული სამართლისათვის. იქვე.

[140] კ. გრიგოლია. იქვე; ბ. ლომინაძე. იქვე; ნ. ბერძენიშვილი, მასალები .... გვ. 593, 613-614; ღ. ბუსხელიშვილი. იქვე. ამ პროცესის ასახვა უნდა დავინახოთ ეფესელის ცნობაში, რომ აბაზები ერთსაათს ებრძვიან (ეფესია ჩელები. I. გვ. 102); ლამბერტის ცნობაში, რომ აფხაზები თავს ესხმიან და ძარცვავენ ერთმანეთს, რას გარეკ. მეოცეულად საომარ მზადყოფნაში არიან. ქასტელს აქვს ერთი ნახატი, რომელზეც აფხაზისა და ჩერქეზების ბრძოლა გამოსახული, რაც აფხაზეთში ამაზრადდეული ტიპების ერთმანეთს მგზავნიშვნა.

[141] შდრ. ჰ. ინგო

ითარგმნა აფსართა ენითა"[143]. ეს განმარტება, რომ სახელი "ითარგმნა აფსართა ენითა", არის "ქართლის ცხოვრების" XVIII ს. ნუსხებში. ადრინდელ ხელნაწერებში ის არ გვხვდება, ვინაიდან თამარის პირველი ისტორიკოსი არ თვლის აუცილებლად განმარტოს ამ სახელის ეტიმოლოგია[144].

"ლაშა" (ალაშა) აფხაზურ (აფსუა) ენაზე ნიშნავს ნათელს, სინათლეს[145]. მაგრამ რატომ მიიჩნია "ქართლის ცხოვრების" უცნობმა რედაქტორმა ლაშა არა აფხაზთა, არამედ აფსართა სიტყვად? "აფსართა ენაში" იგი უეჭველად მის თანამედროვე აფხაზურ (აფსუა) ენას გულისხმობს. ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას აფსუა-აფსარის ფონეტიკური მსგავსებაც, იძლევა. მოცემულ შემთხვევაში აფხაზთა თვითსახელწოდების ფუძეს — "აფს", ემატება ე. წ. სუფიქს-დეტერმინანტი "არ"[146]. შუა საუკუნეების ქართველისათვის "აფხაზი" იგივე ქართველია, მისი ენა ქართულია. სწორედ ამიტომ შეიტანეს მოგვიანებით ტექსტში განმარტება "აფსართა ენითა"[147]. თვით ფაქტი, თამარ მეფის მიერ თავისი ვაჟისათვის აფსარული (აფსუური, აბაზური) სახელის დარქმევისა, ქართულ-კავკასიური ერთობის გამოხატულება იყო. ეს ნაბიჯი (ისევე, როგორც ტრადიციული დინასტიური ქორწინებები) მიზნად ისახავდა ქართულ-კავკასიური კულტურულ-პოლიტიკური კავშირების განმტკიცებას.

აფხაზეთის ისტორიის კვლევაში ქაოსი და არეულობა შეიტანა "აფსუა" და "აფხაზ" ეთნონიმების გაიგივებამ. როგორც აღვნიშნეთ, მიჩნეული იყო, რომ "აფსუა" არის ხალხის თვითსახელწოდება, ხოლო "აფხაზი" სხვა ხალხების მიერ შერქმეული სახელი. მთის ჩამოწოლის შედეგად, ადიღეელების მოწოლით, აფხაზეთში სახლდებიან ჩრდ.-დას. კავკასიიდან წამოსული ტომები, რომლებსაც ქართული წყაროები ჯიქების, ხოლო უცხოური წყაროები აბაზების კრებითი სახელით იხსენიებენ. ქართული წყაროების ჯიქებში, გარდა საკუთრივ ჯიქების (სძეები) ტომისა, იგულისხმება სხვა აბაზა ტომებიც (მათ შორის გაჩერქეზებულებიც). აფხაზეთში ჩამოსახლების შემდეგ, ამ ტომებსა და მათთან ასიმილირებულ აფხაზეთის მოსახლეობას ქართველებმა მექანიკურად ისევ "აფხაზი" უწოდეს. ისინი კი თავიანთ თავს "აფსუას" უწოდებენ[148]. სა-

---

143 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 58.

144 ანანია ჯაფარიძე, თამარ ლაშოლის ვაჟის სახელი, — გაზ. "ბორჯომი", 1989, 15 აგვისტო, №94.

145 ბ. ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, გვ. 169.

146 Х. С. Бгажба, Об абхазских племенах и диалектах, გვ. 116; З. В. Анчабадзе. Из истории средневековой Абхазии, გვ. 214.

147 ა. ჯაფარიძე, იქვე.

148 შდრ. Ш. Д. Инал-Ипа, Абхазы, გვ. 46. აღსანიშნავია, რომ ეუანისპირეთში ერთ-ერთი აბაზური აულის სახელწოდებაა "აფსუაა"(ქართ. აფსუები), იხ. С. Басария, Абазинский аул в Мало-Карачаевском округе, Сухум, 1929, გვ. 12; Ш. Д. Инал-Ипа, იქვე, გვ. 47. საერთოდ, თანამედროვე აფხაზეთის ჩრდ.-დასავლეთით (ადლერის, ხოფის*,

ინტერესოა, რომ ჩრდილოკავკასიელი ხალხები აფხაზებს თავიანთი მეზობელი მთის აბაზური თემების სახელებს ეძახდნენ: ყაბარდოელები — "აიბგას", უბიხები — "ბასხიგს", ყარაჩაელები — "ახჩიფსს"[149]. ე. ი. ისინი ამ თემებსა და აფხაზეთის მოსახლეობას ერთ ხალხად მიიჩნევდნენ.

უცხოელ ავტორთათვის ეთნონიმი "აფხაზი" ჯერ კიდევ შუაუფოდალური ხანიდანაა ცნობილი, მიუხედავად ამისა, XVI ს.-დან ისინი აფხაზებს იხსენიებენ ტერმინით — "აბაზა"[150]. ამავე სახელწოდების ქვეშ ოგულისხმებან, აგრეთვე, აფხაზების ჩრდილო-დასავლეთით მცხოვრები ჯიქებიც. თურქი მოგზაური ეველია ჩელები, რომელმაც 1641 წ. ხომალდით იმოგზაურა აღმ. შავიზღვისპირეთში, აღწერს მთაში და ზღვისპირზე მცხოვრებ აბაზების 25 საზოგადოებას (თემი), რომელსაც "ტომს" უწოდებს. როგორც აკად. ს. ჯიქიამ შენიშნა, ჩელების "ტომი" უნდა გავიგოთ როგორც გვარი, საფეოდალო, ამა თუ იმ ფეოდალის ქვეშევრდომებითა და ტერიტორიით[151]. პირველი აბაზური "ტომი", რომელიც მას ხვდება, ესაა სამეგრელოს მეზობლად მცხოვრები ჩაჩების ტომი, რომელსაც 10 ათასიანი ლაშქრის გამოყვანა შეეძლო[152]. ისტორიოგრაფიაში საკმაოდ სამართლიანადაა მიჩნეული, რომ "ჩაჩ"-ი აღნიშნავს არა ტომობრივ ერთეულს, არამედ, მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელსაც მთავარი ჩაჩა (შარვაშიძე) ედგა სათავეში, ე. ი. აფხაზთა სამთავრო[153]. ჩაჩების შემდგ ეველია არლანის ტომი ჰყავს დასახელებული. მთ ნაკადურს ლაჩილა ეწოდებოდა[154], რაც დამახინჯებული ლიმა (ბიჭვინთა) უნდა იყოს[155]. არლანის

ლაზარევსკოეს, ტუოფსეს რ-ნები) აშკარად ჩანს აფხაზურ (აფსუურ)- აბაზური ტოპონიმიკის ერთ-ერთ ... (Л. Лавров,"Обезы" русских летописей,- СЭ., 1946, №1, გვ. 164), რაც წინათ ამ ტერიტორიაზე აფსუა-აბაზების განსახლებაზე მიუთითებს.

* ტოპონიმი "სოჩა" მომდინარეობს უბიხური თემის სახელიდან "შაბა". აფხაზურად იგი გამოითქმის როგორც "შაჩა". დომინიკანელი მისიონერი ოტო, რომელსაც XIII ს. იმოგზაურა აღმოსავლეთის ქვეყნებში, მას "სოჩას" ფორმით მოიხსენიებს (იხ. ი. ტაბალუა, საქართველო..., I, გვ. 84).

[149] Ш. Д. Инал-Ипа, Архазы, გვ. 46.

[150] ის. ე. ალექსიძე, საქართველოსა და მასი პოლიტიკური წარმოქმნების სახელწოდებანი ოსმალურ წყაროებში ბიზანტიაში, — კრ.: საქართველოსა და ქართველების..., გვ. 271. ვარაუდი იმისა, რომ აბაზებს ფაქტობრივად მიტაცებული აქვთ აფხაზეთის მიწა-წყალი მე. ბზიფიანელ ოვით აფხაზეთ ს სამთავროშიც ჭარბად არის წარმოდგენილი აბაზური ეთნიკური ელემენტი, სამართლიანად შენიშნავს ე. ალექსიძე, რომ "აფხაზ" და "აბაზა" ტერმინების კაიგა ... აფხაზეთში მოის ჩამოსახლების პროცესის ლოკალურ-ტერიტორიულ ... უნდა დაკავშირდეს (ე. ალექსიძე, იქვე, გვ. 275).

[151] ს. ჯიქია, ეველია ჩელები ლაზისა და ლაზურის შესახებ, — "ისტორიულ-კავკასიური ... მეცნიერება", VI, ტბ., 1954, გვ. 249.

[152] ეველია ჩელები, I, გვ. 100.

[153] გ. ფეთურიძე, ეველია ჩელების "მოგზაურობის წიგნი", ნაკ. II, გვ. 69; გ. ანჯაფარიძე, ეველია ჩელების ცნობები..., გვ. 77.

[154] ეველია ჩელები, I, გვ. 100.

[155] გ. ფეთურიძე, ეველია ჩელების "მოგზაურობის წიგნი", ნაკ. II, გვ. 70.

ტომის შემდეგ. ევლიას ცნობით, ცხოვრობდნენ მთის ჩანდები და დიდი ჩანდები. საინტერესოა ჩელების აზრი, რომ ნამდვილი აბაზები ესენი არიან. მათ მიწაწყალზე მდებარეობდა ნავსადგურები კაკრი და ჩანდა (ჩანდალარ)[156], რაც გაგრასა და ცანდრიფშის (დ. განთიადი) შეესაბამება[157]. ეს ჩანდები მომდევნო ხანებში კარგად ცნობილ ცანდრიფშის საზოგადოებას წარმოადგენენ[158]. ჩანდების მეზობლად, "მთების იქითა მწარე მაშუელ ჩერქეზთა ქვეყანაა", – აღნიშნავს ევლია ჩელები, ხოლო დასავლეთისაკენ, ზღვის პირას, მდ. ლიფოს (ფსოუს) ხეობაში ცხოვრობდა ტომი, რომელსაც ის ქეჩილარს უწოდებს. მათი სამხედრო ძალა 2 ათასი ცხენოსანი მეომრისაგან შედგებოდა[159]. ეს არის გეჩიების ტომი, რომელიც ამ დგილებში XIX ს. მეორე ნახევრამდე ცხოვრობდა[160]; მდ. მზიმთას ქვემო წელზე სახლობდა ართების (არტო) 30 ათასიანი ტომი[161]. მათი ნავსადგური იყო ართლარი (ადლერი)[162]; ართების ჩრდილოეთით, მთებში, თურქი მოგზაურის ცნობით, სადშას ქვეყანა იყო, რომელთაც 7 ათასი მეომრის გამოყვანა შეეძლოთ. ისინი ჩერქეზულად და აბაზურად თავისუფლად ლაპარაკობდნენ[163]. მკვლევარები ევლიასეულ სადშას XVIII-XIX სს. ამ ადგილებში მცხოვრებ საძებს უკავშირებენ[164]; შემდეგი აბაზური ტომი, ევლიას ცნობით, 10 ათას კაციანი კამშის ტომია[165]. ეს არის უფრო გვიანდელი წყაროების კარგად ცნობილი უბიხური საზოგადოება ხამიში[166]; შემდეგ მოდის სუჩას, სოსას ტომი, რომლის სამხედრო ძალა 10 ათასი მეომრისაგან შედგებოდა[167]. ესაა უბიხთა ერთ-ერთი საზოგადოება შანა, რომელიც ამავე სახელწოდების მდინარის ხეობაში ცხოვრობდა[168]. შემდეგ ევლია ჩელები ჯდეგ ექვს აბაზურ ტომს ასახელებს, რომელთა განსახლების არეალი კუტასის კონცხამდე (ტუაფსეს მიდამოები) აღწევდა, სადაც მათ ჩერქეზული ტომები, ყანლები, ესახლეულიყვნენ[169].

ქაოიბ ჩელების ცნობითაც, აბაზები შავი ზღვის სანაპიროზე ცხოვრობენ, ჩერქეზების სამხრეთით. მათ ბევრს იმ სამფლობელოების

---

156 ევლია ჩელები, I, გვ. 100-101.
157 გ. ანჩაბაძე, ევლია ჩელების ცნობები..., გვ. 78.
158 იქვე.
159 ევლია ჩელები, იქვე, გვ. 101.
160 გ. ანჩაბაძე, იქვე.
161 ევლია ჩელები, იქვე.
162 გ. ანჩაბაძე, იქვე.
163 ევლია ჩელები, იქვე, გვ. 102.
164 გ. ანჩაბაძე, იქვე, გვ. 79.
165 ევლია ჩელები, იქვე.
166 გ. ანჩაბაძე, იქვე.
167 ევლია ჩელები, იქვე.
168 გ. ანჩაბაძე, იქვე.
169 ევლია ჩელები, იქვე, გვ. 105.

სახელები ჰქვიათ, რომლებსაც ფლობენ. ის ასახელებს აჩვია ბეგს, ჯუმთა ბეგს, გეჩი ბეგსა და რამდენიმე სამფლობელოს: კაღარ დერბენტს (გაგრა), ბუჩინდეს (ბიჭვინთა), სუბაშს და მამი კიას (მდ. შახეს შესართავთან) და "თიბითას ეფლიოეს" მიწებში[170], რაც წებელდა უნდა იყოს[171].

ევლიას მიერ აბაზების განსახლების უკიდურეს საზღვრად დასახელებული კუტასის კონცხი, ერთი მოდგმის ხალხის ეთნოგრაფიული საზღვარია. რაც შეეხება აფხაზეთის სამთავროს (ევლიას "ჩაჩის ტომი") პოლიტიკურ საზღვარს, ჩრდილო-დასავლეთით ის მდ. ბზიფზე გადიოდა[172], სადაც ჯიქეთი ესაზღვრებოდა.

§ 5. ოდიშ-აფხაზეთის საზღვარი XVII ს. I ნახევარში

XVII ს. I ნახევარში ოდიშის სამთავრო დას. საქართველოს უძლიერესი პოლიტიკური ერთეული ხდება. ამ დროის ოდიშის სამთავროს საზღვრებზე ცნობებს გვაწვდიან უცხოელი ავტორები. ა. ლამბერტი, რომელიც 1635-1653 წწ. ცხოვრობდა ოდიშში, წერს: "ძველი პოეტებისაგან ფრიად სახელგანთქმული კოლხიდა... რომელსაც მკვიდრნი უწოდებენ ოდიშს და სხვები კი სამეგრელოს... მდებარეობს — იმერეთსა... და აფხაზეთს შუა. იმერეთი აღმოსავლეთით აქვს და აფხაზეთი — ჩრდილოეთით. იმერეთისაგან მას .ჰყოფს სახელგანთქმული მდინარე ფაზისი, რომელიც მკვიდრთაგან იწოდება რიონად... რიონი ჰყოფს აგრეთვე სამეგრელოსა და გურიას... კოლხიდის საზღვარია აფხაზების მხრით მდინარე, რომელიც მკვიდრთაგან იწოდება კოდორად და ჩების აზრით კი ძველთა კორაქსია. დასავლეთის მხრით კოლხიდის საზღვარია შავი ზღვა... ჩრდილო-დასავლეთით იწყება კავკასიის მთების ზურგი. ამ მთების ზურგზე სახლობენ აფხაზები, ალანები, სვანები, ყარაჩაელები, ჯიქები, ჩერქეზები"[173]. კასტელის მიხედვით, "კოლხეთის მხარე მდებარეობს აზიაში, პონტოდ წოდებულ ზღვასთან. სამხრეთ-აღმოსავლეთით ზემოხსენებულ ნაწილს ესაზღვრება თითქმის ორიზე იბერია. დასავლეთიდან შემოსაზღვრულია კორაჩეს, აკუს მთით; ეს ის ქვეყანაა, რომელზედაც ანტიკური ხანის პოეტებს აქვთ შეთხზული, რომ იასონმა გადმოლახა

---

[170] გ. ალასანია, ქართ ჩელების ცნობები..., გვ. 132-133. ჯუმთა ბეგს, გეჩი ბეგს, და ზოგიერთ სამფლობელოს, რომელსაც ქ. ჩელები აღნიშნავს, ე. ჩელებიც იხსენიებს (იხ. ევლია ჩელები. I, გვ. 101-104; ვ. ფეიერაბენდი, ევლია ჩელების "მოგზაურობის წიგნი", ნაწ. II, გვ. 103-107).

[171] ა. ფეფელეში, აფხაზეთის სამთავროს წარმოშობის საკითხისათვის. — გაზ. "საქართველო", 1903, N20.

[172] ვ. ბარნაბაძე, ევლია ჩელების ცნობები..., გვ. 77.

[173] ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, გვ. 5-6.

ზღვა და სიბერინეთში ჩაიტანა ოქროს საწმისი... კოლხეთის ჩრდილოეთით მდებარე მთას უწოდებენ კორაქსს, აღმოსავლეთით და სამხრეთიდან მას ნახევარ წრედ ეკვრის კავკასიონი"[174].

ოდიშ-აფხაზეთის საზღვრად მდ. კოდორს მიიჩნევს ჟ. შარდენიც, რომელიც 1672 წ. იმყოფებოდა სამეგრელოში. იგი წერს: "ეს ქვეყანა სიგრძით გადაჭიმულია ზღვიდან მთებამდე, სიგანით კი აფხაზეთიდან იმერეთის სამეფომდე. მას საზღვრავს კორაქსი და ფაზისი, ძველი ისტორიკოსების მიხედვით ცნობილი მდინარეები, რომლებიც დღეს კოდორის და რიონის სახელწოდებით არიან. ცნობილი. პირველი გამოყოფს მას აფხაზეთისაგან, მეორე კი იმერეთისაგან"[175].

ლამბერტი, კასტელი და შარდენი აიგივებენ ანტიკური ავტორების კოლხიდას და გვიანი შუასაუკუნეების ოდიშს (სამეგრელოს). ამის გამო, მათ მექანიკურად გადმოაქვთ ძველი კოლხეთის საზღვრები, მათთვის ზედმიწევნით ცნობილი ანტიკური წყაროებიდან[176], ოღონდ ზოგიერთი თანადროული რეალიის გათვალისწინებით. როგორც ცნობილია, ოდიშის სამთავროს საზღვარი გურიასთან რიონის მარცხენა ნაპირზე გადიოდა, ხოლო იმერეთთან საზღვარი ცხენისწყალი იყო, თუმცა ლევან II დადიანს უაქტობრივად მიტაცებული ჰქონდა ქუთაისამდე ტერიტორია[177].

ე. ჩელები ტერმინ აბაზაში გულისხმობს აფხაზებსა და აბაზებს: "შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე მდებარე აბაზას ქვეყნის დასაწყისია მდინარე ფაშა და საზღვრის დასასრულია... ანაპის ციხის ნავსადგური"[178], მანამდე კი აღნიშნავს, რომ მდინარე ფაშა "სამეგრელოსა და აბაზას ქვეყნის შუა ზღვას ერთვის"[179]. თურქი ავტორები მდ. ფაშას უწოდებენ ფაზისს (რიონი), მაგრამ რიონი არასოდეს ყოფილა აფხაზეთის სამხრეთი საზღვარი, მკვლევარები, ჩვეულებრივ, ევლიასეულ მდ. ფაშას კოდორთან აიგივებენ[180].

უცხოელ ავტორთა ცნობების საფუძველზე ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულია თვალსაზრისი, თითქოს ოდიშ-აფხაზეთის საზღვარი

---

[174] კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, გვ. 51.

[175] შარდენის მოგზაურობა, გვ. 107.

[176] ანტიკური ხანის ავტორების მდ. კორაქსი ზოგიერთ მკვლევარს მდ. კოდორად მიაჩნია (დიუბუა დ., მონბერე); ნ. ლომოურის განმარტებით ეს მდ. ბზიფი ან ბზიფის სექტორის რომელიმე მდინარეა (ნ. ლომოური, კლავდიოს პტოლემაიოსი, გეოგრაფიული სახელმძღვანელო, — მსკი, ნაკ. 32, თბ., 1955, გვ. 53); ჯ. ინგოროყვა მას „ელასურად მიიჩნევს. ნ. ციფალ-მაძესაც ჯ. ინგოროყვაზე დაყრდნობით იგი მდ. „ელასურად აქვს აღიარებული (იხ. ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო გვ. 100).

[177] თ. ბერაძე, გ. ცქიტიშვილი, იმერეთის სამეფოს პოლიტიკური საზღვრები, გვ. 47; გ. ჯაბუერია, საქართველოს პოლიტიკური ვითარება XVII ს. 30-90-იან წლებში, — სინ., ტ. IV, გვ. 334.

[178] ევლია ჩელები, I, გვ. 97.

[179] იქვე, გვ. 96.

[180] გ. ანჩაბაძე, ევლია ჩელების ცნობები.... გვ. 77.

XVII ს. I ნახევარში მდ. კოდორზე გადიოდა[181], რაც სწორი არ არის.

1639-1640 წწ. ოდიშში იმყოფებოდნენ რუსეთის მეფის მიხეილ რომანოვის დესპანები — ფ. ელჩინი და პ. ზახარიევი. თავიანთ ელჩობის ანგარიშებში ისინი აღწერენ ილორის, მოქვის, დრანდის მონასტრებს, იხსენიებენ მდ. მერგულას (მოქვისწყალი,-ბ.ხ.) და სოფელ მერკულას, კვიტოულს, ფშაფს[182]. დრანდის მონასტერი მდ. კოდორის მარჯვენა ნაპირზეა; სოფ. ფშაფი მდ. კოდორიდან ათიოდე კილომეტრზეა, სოხუმიდან 5-6 კმ. დაშორებით. აქედან გამომდინარე, ჩანს, რომ ოდიშის სამთავროს ჩრდ.-დას. საზღვარი მდ. კოდორს საკმაოდ სცილდება. უცხოელ ავტორთა ცნობებით, დრანდის საეპისკოპოსო ამ საუკუნის 80-იან წლებამდე მაინც ოდიშის სამთავროში შედიოდა. თავის დროზე საეპისკოპოსო ერცელ ტერიტორიას მოიცავდა, ვახუშტის ცნობით, ეპისკოპოსი დრანდელი იყო "მწყემსი კოდორსა და ანაკოფიის შორისსა ადგილთა"[183]. XVII ს. შუახანებში ანაკოფია და ცხუმი უკვე არ შედიოდა დადიანთა სამფლობელოში, მაგრამ ის ფაქტი, რომ დრანდის საეპისკოპოსო ოდიშის სამთავროში შედის, მოწმობს, რომ გარკვეული ტერიტორია მდ. კოდორის დასავლეთით ჯერ კიდევ ოდიშის სამთავროში შედის[184].

ქათიბ ჩელების "ჯიჰან ნუმას" ჩანართში, რომლის ავტორია აბუ ბექრი (XVIII ს. II ნახ.) ნათქვამია: "აბხაზი ძირითადი ტომის სახელია... რომელსაც ჩვენ დროში ისლამის ქვეყნებში აბაზას უწოდებენ"[185]. აბუ ბექრის ცნობით, აბაზები შავი ზღვის სანაპიროზე ცხოვრობენ, ჩერქეზების სამხრეთით, "მათი თავდაპირველი საზღვრები სოჭიდან მდ. კოდორს აღწევს... იმ ადგილს სოხუმს უწოდებენ"[186]. "ჯიჰან ნუმას" დართულ კავკასიის რუკაზე აბაზასა და სამეგრელოს შორის საზღვარი მდ. კელასურზე გადის[187]. რუკაზე საკმაოდ სრულად არის ნაჩვენები შავი ზღვის სანაპირო, მის გასწვრივ, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ აღნიშნულია — აბაზა, ოდიში (მეგრილ), ოდიშის ჩრდილო-აღმოსავლეთით სვანეთი. რუკაზე სოჭი (სოჩა) არ არის დატანილი, მაგრამ აბაზას ჩრდილოეთი საზღვარი ემთხვევა მის ადგილმდებარეობას[188].

---

181 გ. ჯამბურია, დასავლეთი საქართველო XVII ს. პირველ მესამედში, გვ. 297; З. В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии, გვ. 261-262.

182 С. Белокуров, Материалы...., გვ. 323-325, 351-375.

183 ვახუშტი, აღწერა...., გვ. 781.

184 იხ. ს. ყაკაბაძის რეცენზია, საქართველოს ისტორიული რუკა პროფ. ივ. ჯავახიშვილის რედაქციით, — "საისტორიო მოამბე", წ. I, ტფ., 1924, გვ. 296; თ. ბერაძე, ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან, გვ. 180.

185 გ. ალასანია, ქათიბ ჩელების ცნობები...., გვ. 133.

186 იქვე, გვ. 132-133. როგორც ჩანს, XVIII ს. II ნახევრისათვის აბაზების საზღვარი ჩრდილო-დასავლეთით შეკვეცილა და ის ამ დროს სოჩასთან გადის.

187 იქვე, გვ. 56.

188 იქვე.

1630 წ. ნერქეზეთში, აფხაზეთსა და სამეგრელოში იმოგზაურა თეატინელმა მისიონერმა ჯ. ლუკამ. გემი, რომელზეც ის იმყოფებოდა, 21 მაისს სოხუმში ჩავიდა. "ჩვენ უკვე ანტიკურ ქალაქ სკისორნუმში ვიყავით, — წერს ჯ. ლუკა, — სადაც მდ. აბსი აფხაზეთს სამეგრელოსაგან ჰყოფს"[189]. შემდეგ ჯ. ლუკა განაგრძობს: "პირველ ივლისს იალქნები ავუშვით და დღენახევარში მივედით სამეგრელოს ერთ-ერთ ადგილზე, რომელსაც სკორჩა ჰქვია". აქ მათთან მოსულა არქიეპისკოპოსი დრანდელი[190].

როგორც ი. ტაბაღუა აღნიშნავს, "სკისორნუმ", "ესკისუმუნ", ესაა თურქ. ძველი სოხუმი ("ესკი სუხუმ"), ხოლო აბსი — მდ. აბსილი მისი აზრით მდ. კოდორს უნდა ნიშნავდეს[191]. ვერ დავეთანხმებით ი. ტაბაღუას, რომ მდ. აბსი კოდორი უნდა იყოს. მკვლევარი, ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული თვალსაზრისის მიხედვით მიიჩნევს ოდიშ-აფხაზეთის საზღვრად ამ ხანაში მდ. კოდორს და აბსის მასთან აიგივებს. მაგრამ, თუ აბსი მდ. კოდორია, მაშინ გაურკვეველია, სად იყო სკორჩა (სკურჩა), სადაც ჯ. ლუკა დღენახევრის მგზავრობის შემდეგ ჩავიდა და დრანდის ეპისკოპოსი შეხვდა. სკურჩა მდ. კოდორის მარცხენა ნაპირზე იყო, დრანდა — მარჯვენაზე; თუ აბსი კოდორია, სად იყო მის სანაპიროზე ანტიკური ქალაქი? ჯ. ლუკა გარკვევით წერს, რომ ანტიკურ ქალაქ სკისორნუმში მდ. აბსი აფხაზეთს სამეგრელოსაგან ჰყოფს. საფიქრებელია, რომ მდ. აბსი, აბსილი, იგივე მდ. ბესლეთია. ამასთან, ვიზიარებთ ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ მოსაზრებას სოხუმისა და ცხუმის არაიდენტურობის შესახებ. შუა საუკუნეების ქალაქი ცხუმი მდებარეობდა მდ. ბესლეთის მარცხენა ნაპირზე, მდინარეებს — ბესლეთსა და კელასურს შორის. აქვე იყო ნავმისადგომი, საჟაჭრო მოედანი, ქალაქის განაპირას — სასაფლაო. ქალაქის თავზე, მთაზე, აღმართული იყო ციტადელი — ბაგრატის ციხე, ცხუმის ერისთავთა რეზიდენცია. გვიანდელი სოხუმი (აფხ. აყუა) კი მდებარეობდა მდ. ბესლეთის მარჯვენა ნაპირზე, ბესლეთის შესართავიდან "თურქულ" ციხესიმაგრემდე[192].

---

189 იხ. ი. ტაბაღუა. საქართველო..., III, გვ. 157.

190 იქვე. გვ. 160.

191 იქვე. გვ. 157 (შენ.). ჰ. ინგოროყვა თვლიდა, რომ "ძველი ქალაქი სკისორნუმი" არის ანაკოფია, რაც ირკვევა მანძილის მიხედვით, რომლითაც ეგი დაშორებულია ნავსადგურ სკურჩადან (ჰ. ინგოროყვა. გეორგი მერჩულე, გვ. 134). მაგრამ, ვფიქრობთ, ჯ. ლუკა მანძილის ჩვენებაში, ამ შეშფოთებაშიც კი, უნდა ცდებოდეს.

192 ნ. დადიანი, ქართველი ცხოვრება, გვ. 184, 203, 210-211; ჰ. ინგოროყვა, იქვე. გვ. 146-147; ხ. ჯანაშია, შავიზღვისპირეთის საისტორიო გეოგრაფია, გვ. 289-290; ნ. ბერძენიშვილი, აფხაზეთში, გვ. 297; შ. ბურჯანაძე, ლიხოთიმერეთის. 1737 წ. რუკა..., გვ. 180; Ю. Н. Воронов, Диоскуриада-Себастополис-Цхум, გვ. 103; Т. Н. Бералзе, Мореплавание..., გვ. 21.

ხ. ბღაება თვლის, რომ ჰიდრონიმში "ბესლეთი" შენარჩუნებულია აბაზა ტომის სახელი ბესლებ-ბაშილბაი; ჰ. ინგოროყვას აზრით, სახელწოდება "ბესლეთი" მოდინარეობს სატომო სახელიდან "ბასილი", რომლის სახესხვაობაცაა "აბსილი"[193]. ეს ასეც რომ არ იყოს, ადვილი შესაძლებელია ჯ. ლუკას მდინარის სახელწოდება ბასლა (ბესლეთი) აბსილად მოსჩვენებოდა; მეორე მხრივ, შესაძლოა "აბსი" აბსუათა (აფსუა) ტომის გავრცელების საზღვარი იყო. აღვილი შესაძლებელია ჯ. ლუკამ იმ ტომის სახელი უწოდა მდინარეს, რომელიც ამ ტომის სამფლობელოს საზღვრავდა. ამ მხრივ, საგულისხმოა კასტელის ცნობაც, რომ სამეგრელოს საზღვრავდა "კორაჩეს, აკუს მთა". საფიქრებელია, რომ ეს "აკუ" არის გვიანდელი აკუ (აფუა), სოხუმი. მდ. ბესლეთის მარჯვენა ნაპირზე, ზედ ზღვის სანაპირომდე ჩამოდის მთის განშტოება, რომელსაც დღესაც სოხუმის მთას უწოდებენ. რაც შეეხება "კორაჩეს", კასტელის ტექსტის გამომცემელი ბ. გიორგაძე თვლის, რომ ის კოდორს აღნიშნავს. აქ ისეთსავე შეცდომას აქვს ადგილი, როგორსაც აბუ ბექრი უშვებს, როცა აღნიშნავს, რომ აფხაზეთის საზღვარი სოჩადან მდ. კოდორს აღწევს და იმ ადგილს სოხუმს უწოდებენო.

თავისი მეფობის ბოლო წლებში ლევან II დადიანი იძულებული ხდება თავდაცვით პოლიტიკაზე გადავიდეს აფხაზეთის მიმართ. მისმა ლაშქრობებმა აფხაზეთში მიზანს ვერ მიაღწიეს და ვერ მოსპეს ის საშიშროება, რაც სამთავროს ჩრდილო-დასავლეთ საზღვრებს ადგა. უფრო მეტიც, აფხაზები აძლიერებენ თავდასხმას ოდიშზე და ამ თავდასხმებში ძალიან ერთად დის. კავკასიის მთიელი ტომებიც მონაწილეობენ[194]. ის ძალა, რომელსაც ოდიშის მეფეები ხშირად იყენებდნენ XVI ს. და თვით ლევან II დადიანიც აფხაზეთიან დაპირისპირებამდე, "აფხაზ-ჯიქთა ლაშქარი", ამჯერად შარვაშიძეების ხელში იყო. რა გადაჭარბებულიც არ უნდა იყოს ე. ჩელების ცნობები ამ აბაზა ტომების სამხედრო ძლიერებაზე, ეს მაინც მნიშვნელოვანი ძალაა, რასაც, რა თქმა უნდა, ოდიშის სამთავრო წინ ვერ აღუდგებოდა. რომ არა აბაზურ-ადიღეური ტომების გამოყენება, ძნელი ასასნელი იქნებოდა, საიდან მიეცა ასეთი ძალა აფხაზეთის პატარა სამთავროს, რომლის ტერიტორია გაგრის ვიწროებიდან მდ. ფსირცხამდე აღწევდა, ცხუმამდე გაეუართოებინა თავისი სამფლობელო.

ამ თარეშებისაგან სამთავროს დასაცავად ლევან დადიანმა აფხაზეთის საზღვარზე დაიწყო საფორტიფიკაციო ნაგებობების გამაგრება და აგება. ა. ლამბერტის ცნობით, სამეგრელოს მტრების შემოსევებისაგან ჩრდილო-დასავლეთიდან იცავდა მთები, მაგრამ "ზღვის მხრით ზოგან არც

---

[193] Х. С. Бгажба, Бзыбский диалект абхазского языка, Тб., 1961; ჰ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 141.

[194] ს. ჯიბაძე, საქართველოს ისტორია, გვ. 90.

ტყე არის და არც ჭაობი და იქიდან მტერი ადვილად შესძლებდა შემოსვლას. ამ ადგილების დასაცველად აუშენებიათ რამდენიმე ხის ციხე, სადაც თოფით შეიარაღებული მცველები დგანან. ერთ ადგილას, რომელსაც ოლუშე* ჰქვია, მთები გაშლილია და მტერს ადვილად შეეძლო აქედან შემოსვლა და ქვეყნის აოხრება, — დიდის ხარჯით ამოუყვანიათ კედელი სიგრძით სამოცი ათასი ნაბიჯი და კედელში აქა იქ აუშენებიათ კოშკები, რომლებშიც დგანან თოფებით შეიარაღებული მცველები"[195]. შარდენის ცნობითაც, სამეგრელო "აფხაზებისაგან ჩრდილოეთის მხრიდან დაცული იყო სამოცი მილის სიგრძის კედლით"[196].

ლევან დადიანის მიერ სიმაგრეთა სისტემის აგების ფაქტს ვახუშტი ბატონიშვილიც აღნიშნავს: "... ანაკოფიის აღმოსავლეთით ზღუდან მთამდე შეავლო ზღუდე დიდი ლევან დადიანმან, აფხაზთა გამოუსლველობისათჳს"[197]. მკვლევარები სავსებით სამართლიანად აიგივებენ ამ ზღუდეს კელასურის კედელთან[198]. თუკი XVII ს. 30-40-იან წლებში ოდიშ-აფხაზეთის საზღვარი მდ. ბესლეთზე გადიოდა, 50-იან წლებში მან მდ. კელასურზე გადმოინაცვლა. ლევან დადიანი შეეცადა აქ გაემაგრებინა საზღვარი აფხაზეთთან. ამ დროს ცხუმი უკვე გაუკაცურებული იყო და წინანდელი მნიშვნელობაც დაკარგული ჰქონდა. საგულისხმოა, რომ ლევან დადიანს მრავალ ადგილას ჰქონდა სასახლე, მაგრამ არა — ცხუმში. არც შარვაშიძეებს გაუხდიათ ცხუმი სამთავროს მთავარ ქალაქად, მათი რეზიდენცია ზუფუში იყო.

ზოგიერთი აფხაზი მკვლევარი უარყოფს კელასურის კედლის XVII ს. აგების ფაქტს და აქედან გამომდინარე, მის დანიშნულებასაც, — რომ ის აფხაზებისაგან თავდასაცავად იყო აგებული და მას "აფხაზეთის დიდ კედელს" უწოდებს[199]. თუმცა, ფაქტები სრულიად საწინააღმდეგოზე მეტყველებს. ა. ლამბერტის რუკაზე, იმ ადგილას, სადაც აღნიშნულია თავდასაცავ სიმაგრეთა სისტემა, ასეთი წარწერაა გაკეთებული: "კედელი აფხაზთა შემოსევების წინააღმდეგ"[200]. ანალოგიური წარწერაა კასტელის "კოლხეთის ანუ სამეგრელოს რუკაზე" (1654 წ.) იმ

---

* ოლუშე მთას ჰქვია ტკარჩელთან. მისი ადგილმდებარეობა დაადგინეს მკვლევარებმა: ა. თოდრიამ და გ. აფაქიძემ.

[195] ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, გვ. 166.

[196] შარდენის მოგზაურობა, გვ. 107.

[197] ვახუშტი, აღწერა..., გვ. 782.

[198] კელასურის კედლის შესახებ ერცელი ლიტერატურა არსებობს. ამის შესახებ დაწვრილებით იხ. თ. ბერაძე, ვახუშტი ბაგრატიონი და ოდიშის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, გვ. 66-73.

[199] ამის შესახებ დაწვრილებით იხ. М. М. Гунба, Келасурская стена, - Известия АИЯЛИ, т VI, Тб., 1977; მისივე, Абхазия в первом тысячелетии н.э., გვ. 201–213.

[200] რუკა იხ. წგნ.: ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938.

ადგილას, სადაც კედელია ჩახატული: "აფხაზთა შემოსევების წინააღმდეგ აგებული 60 მილი სიგრძის კედელი"[201].

ოდიშ-აფხაზეთის საზღვარი მდ. კელასურის მარცხენა ნაპირზე გადიოდა, შემდეგ კი ფანავის ქედს მისდევდა. კელასურის კედლის სახელწოდებით გაერთიანებული სიმაგრეთა სისტემაც ზუსტად ამ საზღვარს მიუყვებოდა. იგი იწყებოდა მდ. კელასურის შესართავთან, მის მარცხენა ნაპირზე, სადაც ზღვისპირას დღესაც დგას ოთხკუთხა კოშკი. კედელი მიუყვებოდა კელასურის ხეობას, შემდეგ უხვევდა აღმოსავლეთისაკენ, გადაკვეთდა მდინარეებს — მაჭარასა და კოდორს (კოდორის ხეობის ზემო წელი აფხაზეთის სამთავროს შემადგენლობაში შედიოდა). აქედან ის მიუყვებოდა ფანავის ქედს, გადაკვეთდა მდ. მოქვს და მდ. ღალიძგამდე (ტკვარჩელამდე) აღწევდა. მდ. ღალიძგის აღმოსავლეთით, მდინარეების — ოქუმისა და ერთისწყლის ხეობებში აშენდა, თუ შეკეთდა ციხეები, რომლებიც მთიდან მომავალ გზებს კეტავდნენ. საგულისხმოა, რომ კელასურის კედელს მრავალ ადგილას ნაჩქარევად აგების კვალი ატყვია, ზოგჯერ კოშკები უსაძირკველოდ, პირდაპირ ბალახზე, ან ნახევრადგადამწვარ ბუჩქნარზეა დადგმული. ტაქტიკური თვისებებით აშკარაა, რომ საფორტიფიკაციო სისტემა ჩრდილო-დასავლეთიდან მომავალი მტრისაგან თავდასაცავადაა აგებული. აღსანიშნავია, რომ კელასურის კედლის ერთი ნაწილი აგებულია სწორედ იქ, სადაც ადრეფეოდალურ ხანაში იდგა "ზღუდე კლისურისა" და იცავდა იმ გზას, რომელიც ჩრდ. კავკასიიდან გაგრისა და ანაკოფიის გავლით შავი ზღვის სანაპიროს მოუყვებოდა[202].

ლევან II დადიანის ბრძანებით, ოდიშის ყოველი თავადი და ეპისკოპოსი ვალდებული იყო თავისი რაზმით თითო თვეს ყდარაიჯა აფხაზეთის საზღვარზე[203]. გაჭარებულ ღონისძიებათა შედეგად ლრიეებით შესაძლებელი გახდა აფხაზთა შემოტევის შეჩერება.

---

[201] რეკა იხ. წგნ.: ი. ტაბაღუა, საქართველო..., II.

[202] თ. ბერაძე, ოდიშის ისტორიული გეოგრაფიიდან, გვ. 273; მისივე, ეპიზოდი ბაგრატიონთა და ოდიშის ისტორიული ურთიერთობიდან, გვ. 67-73; მისივე, XVII საუკუნის პირველი ნახევრის ოდიშის რუკა, გვ. 42; Ю. Н. Воронов, Кавасурская стена, გვ. 98-115; მისივე, В мире архитектурных памятников Абхазии, გვ. 98-103; მისივე, Диоскурия-Себастополис-Цхум, გვ. 21, 114; Л. И. Лавров, Этнография Кавказа, გვ. 90.

[203] ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, გვ. 166.

თავი III. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XVII ს. II ნახევარსა და XVIII საუკუნეში

§ 1. შინააშლილობა დასავლეთ საქართველოში XVII ს. 50-60-იან წლებში

1657 წლის 17 მარტს ლევან II დადიანი მოულოდნელად გარდაიცვალა[1]. მიუხედავად იმისა, რომ ლევან დადიანი დას. საქართველოს უძლიერესი ხელისუფალი იყო, პირად ცხოვრებაში იგი ბედნიერი არ ყოფილა. პირველი ცოლისაგან ლევანს ორი შვილი ჰყავდა, რომლებიც ადრევე დაეხოცა. ამბობდნენ, ისინი ნესტან-დარეჯან ჭილაძემ მოაწამვლინაო, რათა მის შვილებს რგებოდათ მემკვიდრეობა. 1639 წ. ნესტან-დარეჯან ჭილაძე გარდაიცვალა. ლევან II დადიანი ღრმა გლოვამ და სევდამ მოიცვა. მთავარმა ოდიშის მრავალ ეკლესია-მონასტერს უხვი საბოძვარი უწყალობა, მრავალი ხატი შეამკო და ოქრო-ვერცხლით მოაჭედინა "ამ სოფლის მნათი" ნესტან-დარეჯან ჭილაძის სულის მოსახსენიებლად. ლევან დადიანს მეორე ცოლისაგან ორი ვაჟი: ალექსანდრე და მანუჩარი და ორი ასული: გული და ზილიხანი შესძენია. ყველა ისინი ავადმყოფები და სუსტი აგებულებისანი ყოფილან. გული კუტი დაიბადა და მისიონერები მკურნალობდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, ადრევე გარდაცვლილა; 1641 წ. შემდეგ, ისტორიის არენაზე არც ზილიხანი ჩანს. საფიქრებელია, რომ ისიც ადრე გარდაცვალა. ლევანის უფროსი ვაჟი ალექსანდრე, დამბლადაცემული და მმართველობის ყოველგვარ უნარს მოკლებული იყო. დადიანი ტახტის მემკვიდრედ მანუჩარს ამზადებდა[2]. მაგრამ 1657 წ. მარტში მანუჩარი უეცრად გარდაიცვალა. ლევან დადიანმა სასწრაფოდ მემკვიდრედ გამოაცხადა თავისი მცირეწლოვანი შვილიშვილი, ალექსანდრეს ვაჟი. რეგენტად დაინიშნა ბავშვის დედა, რომლისთვისაც დახმარება უნდა გაეწია ვამეყ ლიპარტიანს, ლევან დადიანის ბიძის, გიორგი ლიპარტიანის ძეს. სამთავროს ყველა დიდებული დააფიცეს ტახტის მემკვიდრის ერთგულებაზე[3]. მანუჩარი ჯერ დაკრძალული არ იყო, რომ ლევან დადიანი გარდაიცვალა. ფ. გორგიჯანიძის ცნობით, ოდიშის მთავარმა რწუხარებისაგან "შვილის ტირილში ლახტი თავს გარდიკრა და შვილს ზედ დააკედა დაუმარხავს"[4].

---

[1] თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 469.

[2] ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, გვ. 16, 21; ჯ. ჯაჯანი, წერილები საქართველოზე, გვ. 83, 104; კასელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, გვ. 55; შარდენის მოგზაურობა, გვ. 233-235; С. Белокуров, Материалы ...., გვ. 327; Brosset, Rapports ...., Neuvieme rapport, გვ. 4-5; ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, გვ. 51; მ. ბროსე, საქართველოს ისტორია, ნაწ. II, გვ. 191-192; ილ. ანთელავა, ლევან II დადიანი, გვ. 122, 130.

[3] ილ. ანთელავა, იქვე, გვ. 130.

[4] ფ. გორგიჯანიძე, ისტორია, გვ. 262.

ლევან დადიანის გარდაცვალების შემდეგ ლიპარტიანმა გამოავრება მოინდომა და იმერეთის მეფეს მიმართა დახმარებისათვის. ალექსანდრე III-მ (1639-1660) დაუყოვნებლივ გაილაშქრა ოდიშში და მთავრად დასვა ვამეყ ლიპარტიანი[5], რომელიც ჯერ კიდევ ლევანის სიცოცხლეში მიჩნეოდა ტახტის რეალურ პრეტენდენტად, როგორც მთავრის ყველაზე უახლოესი და ღირსეული ნათესავი[6]. ლიპარტიანის გამოავრება იყო ლევან II დადიანზე შურისძიება მამამისის შეურაცხყოფისა და დაღუპვის გამო. ოდიშის ტახტის მემკვიდრე და დედამისი გურიაში გაიქცნენ, მაგრამ ქიხოსრო გურიელს შეეშინდა დისა და დისწულისათვის თავშესაფრის მიცემის გამო მისთვის ომი არ დაეწყოთ. ამიტომ, მისი რჩევით, ოდიშის დევნილი ტახტის მემკვიდრე და დედამისი ახალციხის საფაშოში გადავიდნენ[7].

იმერეთის მეფემ ხელში ჩაიგდო ოდიშის სამთავროს საგანძური, ამასთან უსაგირამდე ტერიტორიაც ჩამოაჭრა ოდიშის სამთავროს. ალექსანდრემ გარკვეული ღონისძიებები გაატარა ოდიშის ახალი მთავრის უშიშროების უზრუნველსაყოფად. ლიპარტიანს დამცველ რაზმად თავისი ლაშქრის ნაწილი დაუტოვა, თანაც ოდიშის წარჩინებულთა შვილები მძევლებად წაიყვანა და ამით მისი მდგომარეობა განამტკიცა[8]. მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა იმისათვის, რომ ლიპარტიანს ყველა მორჩილებაში ჰყოლოდა.

ვამეყ ლიპარტიანის გამთავრებას სამოქალაქო ომი მოჰყვა ოდიშში. მას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა ქვეყნის შიგნით. ოდიშის მრავალი თავადი სამთავრო ტახტის უზურპაციის წინააღმდეგი იყო. აქეთ, აფხაზეთიც აშლილა მის წინააღმდეგ. აფხაზებსაც არ სურდათ ლიპარტიანის ცნობა მთავრად[9]. როგორც ჩანს, მათ ოდიშში ანარქიულობის თვის სასარგებლოდ გამოყენება და ვასალური დამოკიდებულებიდან განთავისუფლება სცადეს.

ახალი ვითარებით უკმაყოფილო ძალებს სათავეში ჩაუდგა ლიპარიტ დადიანი, ლევანის ძმის, იოსების ვაჟი, რომელიც ვამეყის გამოავრების შემდეგ ქართლში გადაიხვეწა. ლიპარიტმა ოდიშის ტახტზე განაცხადა პრეტენზია და დახმარება სთხოვა ქართლის მეფეს როსტომს. ლიპარიტს ლაშქარი შეაწია ახალციხის ფაშა როსტომმა, ქიხოსრო გურიელი (დედით მისი ნეხევარძმა) და ჭილაძე-მიქელაძენიც მას უჭერდნენ მხარს. ალექსანდრე ცხენისწყალს გადავიდა და 1658 წ. ივნისში ბანძასთან შეება ლიპარიტის მომხრე კოალიციას. მოკავშირეებს შორის სრული თანხმობა არ სუფევდა, რაც მათი დამარცხების მიზეზი

---

[5] ალ. ანთელავა, ლევან II დადიანი, გვ. 131.

[6] ნ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 200.

[7] ნარდენის მოგზაურობა, გვ. 247.

[8] უნგრელ ერეკა იმ ტყიან "მცირე მთას", რომელიც მდ. ტეხურის დასავლეთის "კიდურს" მისდევდა რიონიდან "კაკასამდე" (ვახუშტი, აღწერა..., გვ. 777).

[9] იხ. ა. ბორომეის რელაცია, გვ. 25.

[10] იქვე: გვ. 25-26.

გახდა. ბრძოლაში მონაწილეობა ვერ მიიღო ქართლის დამხმარე ლაშქარმა, რომელსაც ბახუტა მუხრან-ბატონი (შემდეგში ქართლის მეფე ვახტანგ V შაჰნავაზი) და ზაალ არაგვის ერისთავი სარდლობდნენ. ამ ორ სარდალს ერთმანეთში უთანხმოება მოუვიდა და ქართლის მაშველი ჯარი დას. საქართველოში არ გადასულა. ლიპარიტი დამარცხდა და სტამბოლში გადაიხვეწა, სადაც გარდაიცვალა კიდეც[10].

ბანძის ბრძოლის შესახებ ცნობა დაცულია ბიჭვინტის სახარების მინაწერში, სადაც ნათქვამია: "ქ. პატიოსანო დიდო ბიჭვიტის მღთის მშობელო თქვენ შეეაედრეთ და შეწევნითა თქვენითა მეფესა და დადიანს წინ გავიმარჯვეთ გურიელსა და ლიპარი დადიაზედა და ამისთვინ მოვაჭედინეთ ეს პატიოსანი სახარება". იქვე კიდევ მიწერილია: "... ესე პატიოსანი დიდი სახარება მოვაჭედინეთ ჩუენ შარვაშიძემ სოლომონ და ძმან ჩუენმა აზრაყან თქვენდა სადიდებლად და ჩუენდა სადღეგრძელოდ და აზრაყანისა აღსაზრდელად და მას საუკუნოსა ჩუენისა სულის სახსრად და საოხად..."[11].

როგორც ჩანს, ვამუკ III დადიანს (1657-1661) ძალაუფლება აფხაზეთზეც გაუვრცელებია და აფხაზებმა მის მხარეზე მიიღეს მონაწილეობა ბანძის ბრძოლაში[12]. ბიჭვინტის სახარების მინაწერში სოლომონ შარვაშიძე ხაზს უსვამს იმერეთის მეფისა და დადიანის ერთგვარ უზენაესობას. მას ეამაყება, რომ მეფისა და დადიანის წინ თავი გამოიჩინა. იმერეთის მეფეს აფხაზები ადრეც თავიანთ სიუზერენად თვლიდნენ. XVII ს. აფხაზეთი იმერეთის სამეფოსთან ნომინალურ ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა[13].

სოლომონ შარვაშიძე ბესლაკო და სეტემან შარვაშიძეების ძმაა. ის და მისი ძე არზაყანი იხსენიებიან აგრეთვე თ. სახოკიას მიერ ლიხნის ტაძარში ნანახი ვერცხლის ფეშხუმის მხედრულ წარწერაში, სადაც ნათქვამია: "ქ. ეჰა, შვიდ ცათა უმაღლესო და ქერაბინთ უწმინდესო, ადამიანთა მხსნელო, ლიხინისა ღვთის მშობელო. შემოგწირეთ ფეშხუში ესე ვერცხლისა ჩვენ შარვაშიძემან სოლომონ ამ სოფელს სადღეგრძელოდ, გასამარჯვებლად და ცოდვილის სულის ჩემის სახსრად და საოხად, ძისა ჩემისა არზაყანისა აღსაზრდელად. ამინ"[14].

ბანძის ბრძოლის შემდეგ ალექსანდრემ გურიაში გაილაშქრა,

---

[10] უ. გორგიჯანიძე. ისტორია, გვ. 268; ვ. ფუთურიძე, მოჰამედ თაქერის ცნობები..., გვ. 388-389; არჩილიანი, II, გვ. 125; ბერი ეფანტაშვილი, ახალი ქრონიკის ცხოვრება, პირველი ტექსტი, გვ. 432; ვახუშტი, აღწერა..., გვ. 833-834; თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 470-471; ხ. ჯიქია, ეპიზოდი ოდიშის პოლიტიკური ისტორიიდან, გვ. 294-295.

[11] ხელნაწერთა აღწერილობა (II კოლექცია), ტ.V, თბ., 1949, №2120, გვ. 74.

[12] საინტერესოა, რომ ვამეყის ძმას გიორგი ლიპარტიანს ცოლად ჰყავდა აფხაზთა მთავრის ასული (იხ. კასტელი, ცნობები და ლბობი საქართველოს შესახებ, გვ. 80, სურ. 22). საფიქრებელია, რომ შარვაშიძის ასული ლიპარტიანმა პოლიტიკური მოტივით შეირთო და ამ ფაქტორმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ოდიშის მთავრის აფხაზებთან ურთიერთობის მოგვარებაში.

[13] З.В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии, gv. 289.

[14] თ.სახოკია, აფხაზეთში, - გაზ. "ცნობის ფურცელი", 1903, 11 დეკემბერი, №2349.

ქაიხოსრო I გურიელი (1640-1658) გაძევა და სამთავრო ტახტზე დასვა ვამეყ დადიანის ცოლისძმა დემეტრე გურიელი[15]. 1659 წ. დასაწყისში ქაიხოსრო გურიელი როსტომ ფაშას დახმარებით კვლავ დაეუფლა გურიის ტახტს. დემეტრე გურიელი იმერეთში გაიქცა[16]. ვამეყ დადიანმა კვლავ მოინდომა ქაიხოსრო გურიელის გადაგდება და გურიაში შეიჭრა, მაგრამ დამარცხდა. ამის შესახებ ქაიხოსრო გურიელი აჭის წმ. გიორგის ხატის წარწერაში აღნიშნავს: "წმინდაო გიორგი აჭისაო! გეველრები მე გურიელი ქაიხოსრო, მას ჟამსა, ოდეს თქვენს საკრარს სიმაგრეშიდ ვიყავით, გამოგვიზახა დადიანმან ვამეხმა თავს დასასხმელი დიდი ლაშქარი, იმერელნი, ოდიშარნი, შარვაშიძე; ჩვენი საპატიო კაცებიც თან ახლდნენ. მოგვიხდენ და შუა გურია დაარბიეს და შენს მეტი ღონე აღარ მქონდა და შიგ თქვენს ტაძარშიდ შევიკაზმეთ; მოვედით, ოზურგეთს სასახლეში დამაგრდენ ისინი; დავესხით თავსა, გურული ჩვენი საპატიო კაცები დავირჩინეთ, წამოვიყვანეთ. მეორეს დღეს ციხე-დარბაზი ვიღეთ; გიორგი შოუსტანი დადიანის ძმა ლიპარტიანი, ჭილაძე, მიქელაძე, ჩიჯავაძენი, ანჩაბაძენი, ჯუმათელი სესიასშვილი სარდალი იყო. ესენი ყველა დავირჩინეთ. მოვედით თქვენს წინაშე გამარჯვებულნი"[17]. თუმცა, მალე, იმავე 1659 წ. ქაიხოსრო გურიელი ღალატით მოკლეს და გურიის ტახტს ისევ დემეტრე გურიელი დაეუფლა[18].

აჭის წმ. გიორგის ხატის წარწერის მიხედვით, ვამეყ დადიანის ლაშქარში, გარდა იმერეთის თავადებისა (ჭილაძე, მიქელაძე, ჩიჯავაძე) და გურიის წარჩინებულთა ერთი ნაწილისა, აფხაზებიც იყვნენ: აფხაზთა მთავარი შარვაშიძე და თავადი ანჩაბაძეები. ბანძის ბრძოლისა და გურიაში ლაშქრობის ფაქტებიდან ჩანს, რომ ოდიშის მთავარს კვლავ მიუწვდება ხელი აფხაზთა ლაშქარზე. როგორც ჩანს, შარვაშიძის ვასალური დამოკიდებულება დადიანისადმი ლაშქრობით საშსახურსაც ითვალისწინებდა.

60-იანი წლებიდან მთელი დას. საქართველო საშინელმა ანარქიამ მოიცვა, რისი მიზეზიც იმერეთის სამეფოში დატრიალებული მოვლენები იყო. 1660 წ. მარტში იმერეთის მეფე ალექსანდრე III გარდაიცვალა. გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, ალექსანდრემ გურიიდან გამოიწვია თავისი ვაჟი ბაგრატი და მეფედ დასვა. ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ, დარეჯან დედოფალმა (ბაგრატის დადინაცვალი, თეიმურაზ I-ის ასული, ზურაბ არაგვის ერისთავის ცოლყოფილი) ბაგრატს ცოლად შერთო თავისი ძმისწული ქეთევანი. დარეჯანი უაღრესად პატივმოყვარე

---

[15] გუჯარი რატიანთა, ნაწ. I, III,– ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, II, გვ. 80-82; შეწირულობის წიგნი სვიმონ-დემეტრე გურიელისა,– ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო სამუთები, I, გვ. 60; შეწირულობის წიგნი ვამეყ დადიანისა ბიჭვინტის ღმრთისმშობლისადმი, იქვე, გვ. 62; ე. ჩოჩიევი, იმერეთის სამეფოს ..., გვ. 120-121.

[16] მ. ბროსე, საქართველოს ისტორია, ნაწ. II, გვ. 199.

[17] Дм.Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурии и Алчаре, გვ. 192.

[18] მ. ბროსე, იქვე.

და დიდი ნებისყოფის ქალი იყო. იგი ძალაუფლებას მიელტვოდა. იმერეთის ზოგიერთი დიდებულისა და აფხაზეთის (დას. საქართველოს) კათალიკოსის ზაქარია ქვარიანის (1658-1660) თანადგომით დარეჯან დედოფალმა შეთქმულება მოაწყო, ტახტიდან ჩამოაგდო ბაგრატ IV, თვალები დასთხარა და ცოლიც წაართვა. დარეჯანმა შეირთო იმერეთის ბაგრატიონების შორეული ნათესავი ვახტანგ ბაგრატიონი, ჭუჭუნაშვილად ცნობილი, და მეფედ გამოაცხადა[19]. დარეჯან დედოფლის მოქმედებით უკმაყოფილო იმერეთის თავადები ორ ჯგუფად გაიყვნენ: ქვემო იმერეთის თავადებმა ვამეყ დადიანი მოიწვიეს იმერეთში, ზემო იმერეთის თავადებმა ქართლის მეფე ვახტანგ V შაჰნავაზი (1658-1675). დადიანმა დაუყოვნებლივ გაილაშქრა იმერეთში და ქუთაისი აიღო. ამ დროს ქუთაისს რაჭის ერისთავი პაპუნაც მოადგა ახალციხის საფაშოს ლაშქრით ასლან ფაშასთან ერთად. რაჭის ერისთავმა და დადიანმა თურქთა ყმობა აღიარეს და ამით მათი მხარდაჭერა მოიპოვეს. ამასობაში ქართლის მეფეც შემოვიდა იმერეთში და არგვეთი დაიკავა. ახალციხის ფაშამ იმერეთის მეფედ ბაგრატ IV დასვა, მაგრამ, რეალურად, ძალაუფლება დადიანისა და რაჭის ერისთავის ხელში იყო. შაჰნავაზი და დადიანი შეთანხმდნენ და იმერეთი შუაზე გაიყვეს. ზემო იმერეთი — არგვეთი, ქართლის მეფემ დაიკავა, ქვემო იმერეთი — ოდიშის მთავარმა. საზღვრად მდ. ბუკისწყალი დაიდო. ვამეყმა თავისი ასული ვახტანგ მეფის ვაჟს აღუთქვა, რომელიც შემდეგ იმერეთში უნდა გამეფებინათ[20]. ეს ამბები იმერეთში 1660 წლის აგვისტო-სექტემბერში დატრიალდა.

ოდიშის მთავარს სურვილი გაუჩნდა საბოლოოდ თვითონ გაბატონებულიყო იმერეთში და მეფის ტიტული მიიღო[21]. დადიანმა არჩილ ბატონიშვილისათვის "დაწინდული" თავისი ასული იმერეთის თავად ბეჟან ღოღობერიძეს მიათხოვა, რომლის მოყვრობაშიც იგი ქვემო იმერეთის შემომტკიცების გარანტიას ხედავდა[22]. შაჰნავაზი დიდად განარისხა ვამეყ დადიანის ასეთმა ნაბიჯმა. ფეშანგი ამის შესახებ თავის პოემაში შაჰნავაზზე წერს:

"ბძანა: "ოდიშსა დავაქცევ, მჭონდეს არ საბრალულობა;
ვამეყსა მოვაკლავ, გარდახდეს რეგნულად მიხვან ჭნილობა.
ლხინისა ნაცულად ირჩია მან ჩემი ესრე მტერობა;

---

[19] მაკარი ანტიოქელი, ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 93-94, 119; შარდენის მოგზაურობა, გვ. 236; ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, გვ. 436; ვახუშტი, აღწერა..., გვ. 835; გ. პაიჭაძე, მასალები..., გვ. 153, 155; ს. კაკაბაძე, საქართველოს ისტორია, გვ. 97; ნ. ასათიანი, მასალები..., გვ. 37-44.

[20] მაკარი ანტიოქელი, იქვე, გვ. 94; ვ. ფუთურიძე, მოპამედ თაჰირის ცნობები..., გვ. 395; ფ. გორგიჯანიძე, ისტორია, გვ. 271; ფეშანგი, შაჰნავაზიანი, გვ. 57; პარიზის ქრონიკა, გვ. 111; ვახუშტი, იქვე; გ. პაიჭაძე, იქვე, გვ. 153, 156; ნ. ასათიანი, იქვე, გვ. 45-48.

[21] შეწირულების წიგნი ვამეყ დადიანისა ბიჭვინტისადმი,— ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, გვ. 670-671.

[22] ო. სოსელია, ნარკვევები..., II, გვ. 38.

ოდიში ქონდა საკუთრად, მართებდა მისი ჯერობა;
აფხაზი ახლდა, თავადთა იწყოან მისი ფერობა.
ესე ყველაი ხელთ ქონდა, დაქარგა ბედნიერობა"[23] .

იმერეთის თავადებმა იუკადრისეს დადიანის მეფობა. რაჭის ერისთავიც ოდიშის მთავრის მოწინააღმდეგეთა ბანაკში გადავიდა. ამ ჯგუფს შეუერთდა ვამეყ დადიანის განდიდებით უკმაყოფილო დემეტრე გურიელიც. 1661 წ. შაჰნავაზმა კავშირი დაამყარა ზემო იმერეთის თავადებთან, რომელთაც ღოღობერიძე მოკლეს და დადიანს საიმედო მოკავშირე გამოაცალეს. იმავე ზემო იმერეთის თავადებმა ვახტანგ V ქუთაისში მიიწვიეს[24] . შაჰნავაზი დიდი ჯარით გადავიდა იმერეთში. ვამეყ დადიანი საჩხერესთან დახვდა მეფეს, მაგრამ შებრძოლება ვერ გაბედა და ოდიშში დაბრუნდა. ქართლის მეფემ ქუთაისი დაიკავა და ოდიშზე გაილაშქრა. ვამეყ დადიანი სვანეთში გაიქცა[25] . ოდიშის დედოფალი ელენე გურიელი შეეცადა დაჩმარება მიეღო აფხაზთა მთავრის სოლომონ შარვაშიძისგან, მაგრამ მან თავი შორს დაიჭირა, ძეფეს როგორ შეებრძოლოო[26] . საგულისხმოა, რომ აფხაზთა მთავარი შაჰნავაზის უზენაესობას აღიარებს, მართალია, ვახტანგ V ქართლის მეფეა. მაგრამ აფხაზთა მთავარი მას (იმერეთის მეფესაც) საქართველოს მეფედ მიიჩნევს და თავის სამთავროს საქართველოს განუყოფელ ნაწილად თვლის.

შაჰნავაზმა ოდიშის ციხეები დაიკავა და გამარჯვებული შეავიდა ზუგდიდში. ქართლის მეფემ ოდიშის მთავრად დასვა ლევან II დადიანის ძმისწული შამადავლე იოსების ძე, რომელმაც ბიძის პატივსაცემად ლევანი დაირქვა. შაჰნავაზმა. მას ცოლად შერთო თავისი ძმისწული. საოცარი სილამაზის ქალი — თამარი, რომელიც შემდეგ ციცოობის სავანი გახდა დას. საქართველოს მეფე-მთავართა შორის და რომლის გამოც ბევრი სისხლი დაიღვარა[27] . ზუგდიდში მეფეს ეახლა "შარვაშიძე ძლუნითა

---

[23] ფეშანგი, შაჰნავაზიანი, გვ. 64. პოემის ამ სტროფში აშკარად ჩანს ოდიშის მთავრის გაელენა აფხაზეთზე ("აფხაზი ახლდა..."). ოდიშისადმი აფხაზეთის ვასალური დამოკიდებულება ჩანს ამ პერიოდის კიდევ ერთი ცნობით. ოდიშის ტახტის საძიებლად მოსკოვში ჩასული ქართველი ახნაურის მათეს (იგი თავს ლევან II დადიანის შვილად აცხადებდა) ჩვენებით, ვამეყ დადიანი "სამ სამეფოს განაგებდა" (იხ. თ. ტიკაძე, ერეკლე ეპიზოდი.... გვ. 101). აქ. რა თქმა უნდა, იგულისხმება ვამეყ დადიანის მიერ ოდიშისა და იმერეთის (ქვემო იმერეთი) ულობა, და აფხაზეთის ვასალური დამოკიდებულება ოდიშისადმი.

[24] გ. ჯამბურია, საქართველოს პოლიტიკური ვითარება XVII ს. 30-90-იან წლებში, გვ. 345; ნ. ასათიანი, მასალები...., გვ. 50; ო. სოსელია, ნარკვევები...., II, გვ. 38.

[25] ვახუშტი, აღწერა..., გვ. 836; ღ. გერიტიშვილი, ნარკვევები...., II, გვ. 441.

[26] ფეშანგი, იქვე. გვ. 73-74.

[27] გუჯარი რატიანთა (ნაწ. III).— ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, II, გვ. 81-82; ფეშანგი, იქვე. გვ. 76-83; ს. ყაბაძე, საქართველოს ისტორია, გვ. 98. თამარ ბაგრატიონ-მუხრანელის ცხოვრება აისახა იტალიელი დრამატურგის კ. გოლდონის (1707-1793) პიესაში "ქართველი ქალი".

დიდოა და აფხაზთა"[28] და მორჩილება გამოუცხადა მას[29]. ფეშანგი წერს:

"აფხაზნი სრულად მოვიდნენ, მუხლს ეხუკვიან მეფესა;
პკადრეს: "ფფაადო, გიაჯით, გუამყოფო თქუენსა სეფესა;
ან მოგუეც ლეკანს ვმსახურით, ამა სისხლისა მჩქეფესა,
ერთგულთა გუეყოს წყალობა, უქბდეთ სიიეფესა"[30].

შაპნავაზმა აფხაზეთი ისევ ოდიშის მთავარს დაუმორჩილა:

"შეფემ ბძანა: ოდიშარნი რადგან მიეკ მემკუიდრესა,
აფხაზეთი ვით წაკართუა, სახელმწიფო დაიმცრესა!
თქენ მსახურეთ ხელიერთად ბულთაგანეე ვითა წეს ა."
დაუმადლეს ხელმწიფესა მათი სიტყუა რაცა თქუესა"[31].

საინტერესოა ფეშანგის ცნობა: "აფხაზნი სრულად მოვიდნენ...". საფიქრებელია, რომ შაპნავაზს ზუგდიდში არა მარტო სოლომონ შარვაშიძე ეახლა, არამედ სხვა "აფხაზი ბატონებიც". 1664-1666 წწ. ოდიშში მაკარი ანტიოქიელთან ერთად იმყოფებოდა მისი ვაჟი პავლე ალეპოელი. მისი ცნობა აფხაზეთის შესახებ ბევრ რამეს ნათელს ჰფენს. პავლე ალეპოელი წერს: "აფხაზანა ორი სახელმწიფოა; ერთი მათგანის მცხოვრებნი, დადიანის ქვეშევრდომები, ქრისტიანებად იწოდებიან, თუმცა არ არიან მონათლულნი. ისინი ეთაყვანებიან წმინდა ხატებს და პატივს სცემენ ეკლესიებს. მოუნათლავნი კი იმიტომ არიან, რომ არ ჰყავთ მღვდელმთავარი და მღვდელმსახურნი. მეორე სახელმწიფოს მცხოვრებნი ურწმუნოები არიან. მათ მახლობლად ცხოვრობენ ალანები, აბაზგები, ზიხები, ჩერქეზები... ისინი სამეგრელოს დაუძინებელი მტრები არიან, იტაცებენ და ატყვევებენ მეგრელებს"[32]. შაპნავაზმა აფხაზეთი დადიანის "სამკვიდრო" ქვეყნად ჩათვალა და აფხაზებს ოდიშის მთავრის მორჩილება ებრძანა. თუმცა, რეალურად, ოდიშის მთავრის გავლენა აფხაზეთის მხოლოდ ერთ ნაწილზე გავრცელდა, რომელიც უშეალოდ ოდიშის სამთავროს ესაზღვრებოდა (სოლომონ შარვაშიძის სამთავრო). ამასთან, პავლე ალეპოელის ცნობიდან კარგად ჩანს, როგორაა აფხაზეთში ქრისტიანობა მისუსტებული და წარმართობა აღორძინებული, რაც სწორედ მთის ჩამოწოლის შედეგი იყო.

ვახტანგ V ზუგდიდიდან ქუთაისში მიბრუნდა, სადაც მას დემეტრე გურიელი ეახლა და მორჩილება გამოუცხადა. ვამეყ დადიანი სვანეთში მოკლეს შაპნავაზის შეჩენილმა კაცებმა. იმავდროულად, 1661 წ.

---

[28] ვახუშტი, აღწერა..., გვ. 836.
[29] З. В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии, გვ. 267
[30] ფეშანგი, შაპნავაზიანი, გვ. 83.
[31] იქვე
[32] იხ. ნ. ასათიანი, მასალები..., გვ. 75.

ვახტანგმა იმერეთის მეფედ თავისი პირმში 14 წლის არჩილი დასვა. შემდეგ შაჰნავაზი ქართლში დაბრუნდა და უსინათლო ბაგრატიც თან წაიყვანა[33]. იმავე 1661 წ. არჩილმა შეირთო ბაგრატ მეფის ნაცოლარი ქეთევანი[34].

არჩილის მეფობა იმერეთში დიდხანს არ გაგრძელებულა. ირანის შაჰის მოადგილის, ქართლის მეფის დას. საქართველოში გაბატონება ოსმალეთმა თავის საქმეებში ირანის ჩარევად და 1639 წ. ზავის დარღვევად მიიჩნია, რომლის მიხედვითაც აღმ. საქართველო ირანის, ხოლო დას. საქართველო ოსმალეთის ვასალად იყო აღიარებული. მეჰმედ IV-მ შაჰს შაჰნავაზის მიერ იმერეთისაგან ხელის აღება მოსთხოვა. იმავდროულად სულთანმა საქართველოს სანაპირო ოლქების — ყარსის, ახალციხის, არზრუმის ფაშებს ოსმალეთის "უფლებების აღსადგენად" იმერეთისა და ოდიშის დალაშქვრა უბრძანა[35].

1663 წ. ყარსის, ახალციხისა და არზრუმის ფაშების სარდლობით ოსმალთა 40.000-იანი ლაშქარი ახალციხიდან იმერეთში შემოვიდა. ზამორის პირი იყო და ჯარმა დიდი გაჭირვება გადაიტანა ფერსათის ქედზე გადმოსვლისას უამინდობის, უგზოობისა და შიმშილის გამო. ფაშებმა დესპანები გააგზავნეს შაჰნავაზის მიერ გამთავრებულ ლევან III დადიანთან და მისგან მორჩილება და ქუთაისზე ლაშქრობაში მონაწილეობის მიღება მოითხოვეს. ოდიშის მთავარმა ოსმალებს მორჩილება გამოუცხადა, მაგრამ ლაშქრობიდან თავის არიდება სცადა, თუმცა, ბოლოს, იგი იძულებული გახდა ამაზეც დათანხმებულიყო, 2.000 მეომარი შეკრიბა, ჭყონდიდელთან ერთად იმერეთში გადავიდა და ოსმალთა ბანაკის სიახლოვეს დაბანაკდა. ოსმალებმა შეძლეს არჩილის გადაბირება და სულთნის მორჩილებაზე დათანხმება. არჩილმა მეორე დილით ფაშების კარავში მისვლა და "მუხლის მოდრეკა" გადაწყვიტა, მაგრამ შაჰნავაზმა იგი თავისთან გაიწვია. ღამით ქართლის მეფის გამოგზავნილი 600 მეომარი მოვიდა არჩილთან და მან სასწრაფოდ დატოვა იმერეთი[36]. ირანის შაჰს შაჰნავაზისათვის იმერეთიდან არჩილის გამოწვევა ებრძანებინა. სამაგიეროდ, შაჰმა არჩილს კახეთის მეფობა უბოძა[37].

ოსმალებმა უბრძოლველად დაიკავეს ქუთაისი და მეფედ დასვეს დემეტრე გურიელი, მაგრამ ოსმალთა ჯარის გასვლისთანავე იმერლებმა

---

[33] ვახუშტი, აღწერა..., გვ. 836; ს. კაკაბაძე, საქართველოს ისტორია, გვ. 98.

[34] ვახუშტი ბატონიშვილის ცნობაზე დაყრდნობით სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ არჩილმა ქეთევანი 1667 წ. შეირთო (ვახუშტი, იქვე; გ. ჯაბური, საქართველოს პოლიტიკური ვითარება XVII ს. 30-90-იან წლებში, გვ. 348), თუმცა, ერთ-ერთი სიგელის მიხედვით, "ყახთა მეფეთა ასული დედოფალი ქეთევანი" უკვე 1661 წ. არჩილ მეფის მეუღლედ იხსენიება (იხ. შ. ბურჯანაძე, ისტორიული დოკუმენტები..., გვ. 34).

[35] ვახუშტი, იქვე, გვ. 450, 837; ვ. ფეფურიძე, მოამბე თაბერის ცნობები..., გვ. 402; ც. აბულაძე, ნ. შენგელია, ნამის "საქართველოს დაპყრობის წიგნი", გვ. 101-102.

[36] ც. აბულაძე, ნ. შენგელია, იქვე.

[37] ვ. ფეფურიძე, იქვე, გვ. 403; ფ. გორგიჯანიძე, ისტორია, გვ. 272.

დასთხარეს თვალები გურიელს და იმერეთიდან გააძევეს. იმერეთის თავკაცებმა შაჰნავაზს სთხოვეს იმერეთში გასამეფებლად გამოეგზავნა უსინათლო ბაგრატი, რომელიც ქართლში შინაპატიმრობაში იმყოფებოდა. ქართლის მეფემ ბაგრატი დანიშნა თავის ძმისწულზე თითიაზე (თინათინი), ოდიშის დედოფლის უმცროს დაზე და იმერეთში გაისტუმრა. როგორც ჩანს, ვახტანგ V ასეთი დანათესავებით ცდილობდა შეენარჩუნებინა გავლენა იმერეთზე[38]. 1663 წ. გიორგობისთვეში იმერეთში ისევ ბაგრატ IV გამეფდა[39].

იმერეთის მეფე უსინათლო იყო, ოდიშის მთავარი — ახალგაზრდა. იმერეთსაც და ოდიშსაც ფაქტობრივად დიდებულები განაგებდნენ. ოდიშის ზოგიერთ წარჩინებულთა წაქეზებით, 1664 წ. შემოდგომაზე, ლევან III დადიანმა (1661-1681) იმერეთში გაილაშქრა მეფის ჩამოსაგდებად, მაგრამ დამარცხდა და თვითონ მიჰგვარეს შეპყრობილი ბაგრატს[40]. ლევანს მოაყვანინეს მისი ცოლი, სილამაზით განთქმული თამარი. სამეფო კარის ზოგიერთი დიდებულისა და კათალიკოს სვიმონ ჩხეტიძის (1660-1666) ჩაგონებით ბაგრატმა თამარის შერთვა გადაწყვიტა. თამარიც თანახმა იყო ბაგრატის ცოლობაზე. ეძებდნენ მხოლოდ მისი დადიანისათვის წართმევის საბაბს და ისიც მოინახა. იმერეთის მეფის სასახლეში ცხოვრობდა მეფის და, იმჟამად ქერივი თინათინი, რომელსაც ოდიშის დედოფლობა შესთავაზეს. მხოლოდ, თინათინს უნდა მოეხერხებინა, რომ ოდიშის მთავარი შეესწროთ მასთან სარეცელზე. მეფის დისათვის, ახალგაზრდა, კეკლუცი ქალისათვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა ახალგაზრდა, გულუბრყვილო, დატყვევებული მთავრის შეცდენა. ისინი შეისწრეს სარეცელზე და ლევან დადიანი აიძულეს გაშორებოდა თამარს და თინათინი შეერთო. ამის შემდეგ ლევანი დაბრუნეს თავის სამთავროში, მაგრამ წინასწარ ხატზე დააფიცეს, რომ თინათინს არ გაეყრებოდა და სხვასაც არ შეირთავდა მის სიცოცხლეში[41]. ბაგრატმა "განუტევა თითია ... ჯერეთ უქორწინო" და თამარი შეირთო[42]. შემდეგ, კათალიკოსმა სვიმონ ჩხეტიძემ თავისი ასეთი უცნაური მოქმედება მაკარი ანტიოქიელთან იმით ახსნა, რომ, თითქოს,

---

[38] მ. ბროსე, საქართველოს ისტორია, ნაწ. II, გვ. 201; დ. გურგენიშვილი, ნარკვევები..., II, გვ. 443-444; ნ. ასათიანი, მასალები..., გვ. 51.

[39] ჯ. ოდიშელი, მცირე ქრონიკები, გვ. 73, 120.

[40] შარდენის მოგზაურობა, გვ. 243; ვახუშტი, აღწერა..., გვ. 837. ვახუშტის ცნობით, ლევან III დადიანის ლაშქრობა ბაგრატის წინააღმდეგ 1663 წ. მომხდარა (იქვე); გელათის გულანის (XVII ს.) მანაწერის ცნობით კი 1664 წ. აქვე დასახელებულია ბრძოლის ადგილიც — ბანდა (იხ. ჯ. ოდიშელი, იქვე, გვ. 71). მაკარი ანტიოქიელს, რომელიც 1664 წ. იელისში ჩამოვიდა საქართველოში, ხოლო შემოდგომაზე უკვე ოდიშშია, საკუთარი თვალით უნახავს, როგორ გაილაშქრეს იმერლებმა ოდიშართა წინააღმდეგ, დამარცხეს დადიანი და ტყვედ ჩიგდეს იგი (მაკარი ანტიოქიელი, ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 118). ამრიგად, ამ ბრძოლას 1664 წ. შემოდგომაზე ექნია ადგილი.

[41] მაკარი ანტიოქიელი, იქვე; შარდენის მოგზაურობა, გვ. 243-244; ვახუშტი, იქვე.

[42] ვახუშტი, იქვე.

მას სურდა იმერეთის მეფესა და ოდიშის მთავარს შორის მტრობის აღმოფხვრა და შინაომების შეწყვეტა. მაგრამ "ბრიყვი კათალიკოსის", როგორც მას უწოდებს მაკარი ანტიოქიელი, ასეთმა "ღონისძიებამ" იმერეთში შინაომი კი არ ჩააქრო, არამედ უფრო მეტი ძალით აღაგზნო და, ძნელი დასაჯერებელია, კათალიკოსს ეს შედეგი წინასწარ არ განეჭვრიტა. უფრო დამაჯერებელი ჩანს შარდენის ცნობა, რომ კათალიკოსს თვითონ შევარდნოდა გული თამარზე და, ბაგრატზე მისი დაქორწინებით სურდა თავისთან ახლოს ჰყოლოდა იგი[43].

ლევან III დადიანი არ შერიგებია თამარ ბაგრატიონ-მუხრანელის დაკარგვას და მთელი ცხოვრების მანძილზე მის დაბრუნებას ცდილობდა. ამის გამო, მომდევნო წლებშიც არ შეწყვეტილა ოდიშართა და იმერთა ურთიერთხდომა და ომი[44].

§ 2. აფხაზთა მეფე ოლიშის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის მიტაცება. ჩიქვანთა გაეთავრება ოლიშში

გაუთავებელმა შინაომებმა დას. საქართველოს ეკონომიკა გააჩანაგა. პოლიტიკური ხელისუფლება უაღრესად სუსტი იყო. პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა დაქვეითებამ ზნეობრივი დეგრადაცია გამოიწვია. გაძლიერდა ტყვის სყიდვა, რაც ამ დროის ყველაზე დიდი უბედურება იყო. დიდებულები მეფე-მთავრებს არ ემორჩილებოდნენ, მათ თავგასულობას საზღვარი არ ჰქონდა. განსაკუთრებით მძიმე დღეში იყო ოდიშის სამთავრო, რომელმაც დაკარგა უწინდელი ძლიერება და გავლენა. ლევან III დადიანი თავადების სათამაშოდ იქცა. მაკარი ანტიოქიელის ცნობით, ლევანი არ გამოირჩეოდა არც სიბრძნით, არც მჭერმეტყველებითა და არც მოხერხებულობით. მას არც მეომრებში ჰქონია დიდი ავტორიტეტი[45]. ამ დროს ოდიშში მეტად განდიდდა ცაგერის ეპისკოპოსი გაბრიელ ჩიქვანი, რომელმაც 60-იან წლებში ჭყონდიდის კათედრაც მიიღო და მთავრის უპირველესი მრჩეველი და ვეზირი გახდა[46]. ჭყონდიდელ-ცაგერელის დახმარებით სამთავრო კარზე დაწინაურდა მისი ძმა კაცია ჩიქვანი*, რომელიც ყოფილა გაბედული და ჭკვიანი, მაგრამ, მკაცრი და ისეთივე ცბიერი, როგორც მისი ძმა. წარმოშობით, გაბრიელი და კაცია ღარიბი გორდელი აზნაურის ოჯახიდან იყვნენ, მათ მამას, ოჯახი რომ ერჩინა,

---

[43] მაკარი ანტიოქელი, ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 118-119; შარდენის მგზავრობა, გვ. 243-244.

[44] იხ. მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკოსისა ქართველთა შორის, გვ. 203-204.

[45] მაკარი ანტიოქელი, იქვე, გვ. 119-120.

[46] ვახუშტი, აღწერა..., გვ. 842.

* წყაროებში ეს გვარი სხვადასხვანაირად მოიხსენიება: ჩიქანი, ჩიქოანი, ჩიქოვანი. საბოლოოდ ამ გვარის ფორმად დამკვიდრდა ჩიქოვანი.

თავისი ზურგით მიჰქონდა სეანეთში თაფლი გასაყიდად. იმერეთის სამეფოში არეულობის დროს კაცია ჩიქვანი თავისი მოხერხებულობის წყალობით სწრაფად დაწინაურდა სამეფო კარზე და გახდა ლეჩხუმის თავი, საინასარიოს ბატონი და ბაგრატ IV-ის ვეზირი. გაბრიელ ჭყონდიდელ-ცაგერელის რჩევით ლევან III დადიანმა, ლეჩხუმის ხელში ჩაგდებისა და ბაგრატ IV-ის დასუსტების მიზნით, დაიახლოვა კაცია და მას სამთავრო სახლის გვერდითი შტოს საუფლისწულო — სალიპარტიანო უბოძა, ხოლო შემდეგ სადადიანოს ვეზირიც გახადა. ამ დროიდან ლეჩხუმი ოდიშის სამთავროს შემადგენლობაში შედის. ცხადია, "უგვარო კაცის" ასეთ განდიდებას ოდიშის დიდებულები ვერ შეურიგდებოდნენ, ამიტომ კაცია ჩიქვანი სამთავროში თავისი ბატონობის უზრუნველსაყოფად სასტიკად უსწორდებოდა ოდიშის წარჩინებულთ[47]. მისიონერი ძამპი 1672 წ. ოდიშიდან რომში გაგზავნილ წერილში წერდა, მეფის (ბაგრატ IV-ის,- ბ.ხ.) მინისტრმა კაცია ჩიქვანმა მთავრობა ხელში ჩაიგდო და ბევრი უსამართლობა ჩაიდინაო[48].

XVII საუკ. საქართველოში მიმდინარე ფეოდალურ შინაომში ოსმალები ჩაერიენენ. 1672 წ. სექტემბერში ახალციხის ფაშა იმერეთში შეიჭრა. ოსმალებმა ბაგრატ IV დაამარცხეს და ტყვედ ჩაიგდეს, მაგრამ მან დიდი ქრთამის გაღებით ისევ გამოსიხოვა მეფობა ფაშას[49]. ახალციხის ფაშამ ქუთაისში დაიბარა ოდიშის მთავარი. ოსმალებს სურდათ ტახტიდან ჩამოეგდოთ ლევან III და მთავრად დაესვათ ახალციხის ფაშას კარზე გაზრდილი ლევან II დადიანის შვილიშვილი[50]. დადიანმა აფხაზთა მთავარს მიმართა დახმარებისათვის. აფხაზები მართლაც შემოვიდნენ ოდიშში, მაგრამ დახმარების ნაცვლად გზადაგზა არბევდნენ და წყვდნენ ყველაფერს, იტაცებდნენ ხალხსა და პირუტყვს. მოსახლეობა გარბოდა და თავშესაფარს ეძებდა. 20 სექტემბერს, საღამოს, აფხაზებმა დაარბიეს და გადაწვეს ოდიშის საზღვაო პუნქტი და ბაზარი სკურჩა (ისგური, ტყაურუ). აფხაზებმა ძარცვა-რბევით თითქმის ანაკლიამდე მიაღწიეს და ნადავლით დატვირთულნი ოქტომბრის დასაწყისში უკან გაბრუნდნენ, თან 1200 კაცი წაუყვანიათ ტყვედ და უამრავი პირუტყვი გაუტაცნიათ[51].

ფაშამ ერთი თვე უცადა დადიანს ქუთაისში და შემდეგ გურიელთან ერთად ოდიშში შეიჭრა. ისინი გზადაგზა არბევდნენ ყველაფერს, იტაცებდნენ ადამიანებსა და პირუტყვს. მტრის მოახლოების ნიშნად, 26 ოქტომბერს, რუხის ციხიდან ორჯერ გაისროლეს ზარბაზანი. ამ ნიშანზე ხალხმა იწყო გახიზვნა ტყეებსა და გამაგრებულ ადგილებში. მათ თან

---

[47] ვახუშტი, აღწერა..., გვ. 842-845; დ. გურიტიშვილი, ნარკვევები..., II, გვ. 448-449.
[48] მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 204.
[49] შარდენის მოგზაურობა, გვ. 247-248; ვახუშტი, იქვე, გვ. 841.
[50] შარდენის მოგზაურობა, იქვე.
[51] იქვე, გვ. 206-209; 215-216.

მიჰქონდათ ყველაფერი, რისი წაღებაც კი შეიძლებოდა. "მსმენ სანახაევი იყო, — წერს ამ ამბების თვითმხილველი ჟან შარდენი, — თუ როგორ გარბოდა ეს უბედური ხალხი. დედაკაცებს მიჰყავდათ ბავშვები და მიჰქონდათ ფუთები, მამაკაცებს კი ბარგი. ერთნი საქონელს მიერეკებოდნენ, მეორენი საოჯახო ნივთებით სავსე ურიკას მაგორებდნენ. გზაზე გვხვდებოდნენ ძალაგამოლეული ცოცხალმკვდარი ადამიანები. გვხვდებოდნენ მოხუცები, პატარა ბავშვები, რომლებსაც საჯრული არ შეეძლოთ და საშინელი კვნესა-ტირილით ითხოვდნენ შველას. ეს იყო სასოწარკვეთილების შუბარებისა და ვარამის მოიქმ"[52]. იმავე შარდენის ცნობით, ერთ-ერთ ციხეში შეხიზნულ ხალხს ოსმალებმა გამოსასყიდი მოსთხოვეს. "ყველა ოჯახიდან, სადაც ოთხი ბავშვი ჰყავდათ, ერთი მათ მიჰყავდათ. ეს იყო მეტად გულსაკლავი სანახაობა, როგორ გლეჯდნენ დედას მკლავებიდან საბრალო ბავშვებს, კრავდნენ მათ ორ-ორად და მიჰყავდათ თურქებთან"[53].

ლევან III დადიანი რუხის ციხეში ნაიკეტა. ოსმალებმა მთავრად გამოაცხადეს ლევან II დადიანის შვილიშვილი და თავადები აიძულეს ერთგულების ფიცი მიეცათ ახალგაზრდა მთავრისათვის. ოდიშის წარჩინებულთა ერთი ნაწილი იმ იმედით, რომ თურქების მოსვლა ოდიშში წესრიგს აღადგენდა და მშვიდობას დამყარებდა, მაი დამორჩილდნენ და ფიცი მისცეს ახალგაზრდა მთავარს. მთავრის ვეზირად დაინიშნა კათალიკოსი*, რომელიც აფხაზთა მთავართან გაგზავნეს ოდიშის ახალი მთავრისათვის მისი ქალიშვილის ხელის საოხოვნელად. ოსმალებმა რუხის ციხე ჯერ აიღეს და ციხესთან ოთხი დღის დგომის შემდეგ უკან გაბრუნდნენ დიდი ნადავლით დატვირთულნი, თან ორი ათასზე მეტი ტყვე წაუყვანიათ[54].

არ გამართლდა ოდიშის წარჩინებულთა იმედი და ქვეყანაში წესრიგი და მშვიდობა ვერ დამყარდა. ქვეყანა ორ ნაწილად იყო გაყოფილი. ერთმა ნაწილმა ახალ მთავარს შეჰფიცა ერთგულება, მეორე ნაწილი ისევ ლევან III დადიანს უჭერდა მხარს[55]. ისევ გაჩაღდა ბრძოლა სამთავრო ტახტისათვის, რომელიც მხოლოდ ლევან II დადიანის შვილიშვილის მოკვლის შემდეგ შეწყდა[56].

გამუდმებულმა ფეოდალურმა შინაომებმა შეარყიეს ოდიშის თავდაცვისუნარიანობა. სამთავროს ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი, ასე საგანგებოდ გამაგრებული ლევან II დადიანის მიერ, თანდათან მიიშალა, რადგან მას უკვე არავინ იცავდა. შარდენის სამეგრელოში ყოფნის დროს (1672 წ.), ოფიციალურად საზღვარი ჯერ კიდევ მდ. კელასურზე გადიოდა, მაგრამ კელასურის კედელი, სანაპირო ზოლში მაინც, განადგურებული

---

[52] შარდენის მოგზაურობა, გვ. 230-231.

[53] იქვე, გვ. 250.

* ეს უნდა იყოს აფხაზეთის (ლს. საქართველოს) კათალიკოსი ეკვთიმე საფარელიძე (1669-1673).

[54] შარდენის მოგზაურობა, გვ. 248-251.

[55] იქვე, გვ. 251.

[56] მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 654.

ჩანს დაუცველობისა და უყურადღებობის გამო[57]. მოიშალა ის ვასალური დამოკიდებულებაც, რომელიც ლევან II დადიანისა და ვამეყ III დადიანის დროს, აგრეთვე ლევან III დადიანის მთავრობის დასაწყისში, აფხაზეთს აკავშირებდა ოდიშთან. ოდიშის საერთაშორისო შინაპოლიტიკური ვითარების გამწვავებით ისარგებლეს აფხაზებმა და 60-იან წლებში განაახლეს თავდასხმები ოდიშზე. "ხოლო ჟამებთა ამათ შინა იყო კირთება ოდიშს აფხაზთაგან"[58], — წერდა ვახუშტი ბატონიშვილი. ამრიგად, ლევან II დადიანის გარდაცვალების შემდეგ აფხაზთა შემოტევის ახალი ტალღა იწყება ოდიშზე. აფხაზები თავისუფლად თარეშობდნენ არამარტო ოდიშის საზღვრისპირა მხარეში, არამედ ქვეყნის შიდა რაიონებამდეც აღწევდნენ. XVII ს. II ნახევრის (60- იანი წლები) მოღვაწე ქალი ანიკა ქორთოძე (ქორთუა) ცაიშის სახარების მინაწერში აღნიშნავდა: "მერმეთ აფხაზის ლაშქარი მოვიდა... ტაძარს მოუხთა და ჩუენ დიდსა დაჭირებასა და შიშსა ქვეშე შევარდით"-ო[59]. აფხაზებს ტაძარი გაუტეხიათ და აუოხრებიათ. ანიკა ქორთოძეს ხატები და ცაიშის სახარება (XVII ს.) მოუტაცნია და გადაურჩენია[60]. აფხაზებს წალენჯიხის მონასტერიც აუკლიათ. წალენჯიხის მონასტერში ლევან II დადიანის ეკვდერის კარის პირდაპირ მ. ბროსეს დროს ყოფილა ნაწყვეტებად შენახული წარწერა, საიდანაც ვგებულობთ, რომ აფხაზებს მონასტერი გაუოხრებიათ და შემდეგ ვიღაც გიორგის და მის მეუღლეს თეთუას განუახლებიათ იგი, მამული და ყმები შეუწირავთ და საკუთარი საძვალეც იქ გაუკეთებიათ[61]. მაკარი ანტიოქიელის ცნობით, აფხაზები, ჩერქეზები და სხვები, თავს ესხმიან ქართველთა ქვეყნის განაპირა სანახებს, იტაცებენ ვისაც მოიხელთებენ და ტყვედ ყიდიანო[62]. აფხაზები არა მარტო მეზობელ ოდიშს იკლებდნენ, არამედ გურიამდეც აღწევდნენ. გიორგი III გურიელმა (1664–1684), ვახუშტის ცნობით, "მოსრნა მეკობრედ მისრულნი აფხაზნი გურიას მრავალგზის"[63].

იტალიელი მისიონერი ძამპი, რომელიც ამ პერიოდში ცხოვრობდა ოდიშში, 1674 წ. ახლო ხანებში გაგზავნილი წერილით რომს ატყობინებდა აქ შექმნილი უაღრესად მძიმე მდგომარეობის შესახებ. ძამპი წერდა: "სამეგრელო სამეგრელო აღარ არის, რადგან ომების გამო უკანასკნელ სიგლახაკეშია ჩავარდნილი, დაქცეული და აოხრებულია. აღარავის ჰყავს საქონელი და ყველას სარჩო აკლია... ახლა კაცს არ შეუძლია უშიშრად იყოს, მუდამ აფხაზების დაცემის შიშშია, თვით ხომალ-

---

[57] შარდენის ცნობით, სამეგრელო "აფხაზებისაგან ჩრდილოეთის მხრიდან დაცული იყო სამოცი მილის სიგრძის კედლით, შაგრამ ეს კედელი დიდი ხანია რაც დაანგრა. ლღეს მისი ნგრევა და მავალელი არის ტყე" (შარდენის მოგზაურობა, გვ. 107).

[59] ვახუშტი, აღწერა..., გვ. 842.

[60] ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, გვ. 188.

[61] იქვე.

[62] იქვე, გვ. 222.

[63] მაკარი ანტიოქელი, ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 105.
ვახუშტი, იქვე, გვ. 840.

დები, რომლებიც სავაჭროდ მიდიოდნენ კავროს (ტყაურუ, სკურჩა,-ბ.ხ.) და მორბილაში (მერკულა,-ბ.ხ.) ახლა შიშის გამო ანარგიაში (ანაკლია,-ბ.ხ) მიდიან, ეგრეთვე ხმელეთზედ ვიდრე ფუწყურამდე* აფხაზებისა ეშინიათ, რადგან იქაურობას ხშირად იკლებენ, რის გამო არკამაში (აკარმარა,-ბ.ხ.) ჩვენი ხალხი ლამით ტყეშია გახიზნული და დღისით დარაჯები ჰყავთ დაყენებული"[64]. ივიეე ძამპი, უკვე რომში დაბრუნებული, 1679 წ. აღნიშნავდა: "ჩვენი მოციქულებრივი მოღვაწეობა დღითი-დღე მომეტებულს ნაყოფს გამოიღებდა, რომ ამ მთავრის მტრები და სამეგრელოს მოსაზღვრე ხალხი, როგორიც არიან ალანები, ჩერქეზები, ჯიქები, აფხაზები და სხვა, ამ ქვეყანას მუდამ არ იკლებდნენ და ერსა და პატრებს არ აწუხებდნენ"-ო[65]. ძამპის რომში დაბრუნების შემდეგაც არ შეწყვეტილა ომები. კვლავ იჭრებოდნენ აფხაზები ოდიშში. პატრებსაც დიდი შეწუხება გამოუვლიათ, ერთ-ერთი თავდასხმის დროს დაშალულან და ასე ძლივს გადაურჩენიათ თავი სიკვდილისაგან[66]. იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი გულისტკივილით წერდა: "... ბრმა ბაგრატისაგან შეურაცხყოფილი დადიანი ისეთი უძლური იყო, რომ აბაზგებმა გაანადგურეს მისი სამფლობელო, აიკლეს ეკლესიები და მონასტრები: მოქვი, ხოფი, ქობული, ზუგდიდი და მთელი ქვეყანა დიოსკურიიდან ჰიპიუსამდე და ფაზისამდე"[67] (სოხუმიდან ცხენისწყალამდე და რიონამდე), ამასთან "დადიანი ისეთი უმწეო იყო, რომ ძალა არ შესწევდა გაერეკა აფხაზები"[68].

60–70 წლებში აფხაზთა გამანადგურებელ თავდასხმებს ოდიშის სამთავროზე ხელმძღვანელობს აფხაზთა მთავარი საუსტან შარვაშიძე[69]. ეს ის საუსტან (ბაგრატ) შარვაშიძეა, რომელიც იხსენიება ბიჭვინტის სახარების შემდეგ მინაწერში: "ქ. ეიი შენ ცათა საწორო ბიჭუტისა მღთისმშობელო, ჩუენ შარვაშიძემან საუსტან შემოგწირეთ ესე მცირე შესაწირავი — ერთი გოგო ჩუენდა სადღეგრძელოდ და გასამარჯვებლად და სავარეხის აღსაზრდელათ... ქ. ეი შენ, დიდათ შვენიერო და ცათა აღმატებულო, შენ ბიჭვიტის მღთის მშობელო, ჩუენ შენმან მონდობილმან და მოსავმან შარვაშიძემა საუსტნ შემოგწირეთ ესე მცირე შეშოსაწირავი გაიჩქინდი ხუცესი ჩანგელია, ამა სოფელსა ჩუენდა სადღეგრძელოდ და გასამარჯვებლად და ძისა ჩუენისა სავარეხისა აღსაზრდელად და მას საუკუნოს ჩუენის ცოდვილის სულის საცხოვნებლად და საოხად, ოდეს

---

* მ. თამარაშვილის თარგმანში ამ ადგილას წერია: "... ხმელეთზედ ვიდრე ოლასყურამდე...", მაგრამ, რადგან ტექსტის დედანში წერია "ფუწყური" (იხ. მ. თამარაშვილი, ისტორია ქათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 655), მ. თამარაშვილის თარგმანს ამის მიხედვით ეასწორებთ.

[64] მ. თამარაშვილი, იქვე, გვ. 204-205.

[65] იქვე, გვ. 207.

[66] იქვე.

[67] Путешествие патриарха Досифея, გვ. 46.

[68] იქვე.

[69] И.Г.Антелава, Очерки по истории Абхазии XVII-XVIII веков, გვ. 38.

მოვიდეთ სუფეეითა შენითა". იქვე სხვა ხელით მიწერილია: "ქ. ეჰ ცათა უმაღლისა და ქერაბინთ უეესთესა ყულწმინდავ ბიჭვინტისავო ღმთის მშობელო, შემოგწირეთ მცირე შესაწირავი ჩვენ ბაგრატმან შარვაშიძემან სუსტანმან ჩვენდა სადღეგრძელოდ და გასამარჯვებლად ჩვენი შვილის სავარეხისა ერთ დიდ გვამსწრეთ"[70].

70-იანი წლების მიწურულს აფხაზებმა მიიტაცეს ოდიშის სამთავროს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი მდ. კელასურიდან მდ. ღალიძგამდე. ვახუშტი ბატონიშვილი ამ ამბების შესახებ აღნიშნავს: "... გარნა იყო ჭირი დიდი ოდიშს, ვითარცა აღვსწერეთ, და უმეტეს აფხაზთაგან, რამეთუ მოვიდოდიან ნავებითა და ქმელითა და სტყუევნიდიან, დაიპყრეს ვიდრე ეგრისის მდინარემდე, და დაეშენებოდენ თვით აფხაზნი და არღარა იყო დრანდას და მოქუს ეპისკოპოსნი"[71].

როგორც ვახუშტი ბატონიშვილის ცნობიდან ჩანს, აფხაზთა შემოსევები ამჟამად აშკარად განსხვავდება იმ შინაფეოდალური ომებისაგან, რომელშიც ჩაბმული იყვნენ იმერეთის სამეფო, გურიისა და ოდიშის სამთაროები და, რომლის მთავარი მიზანიც იყო ბრძოლა დას. საქართველოში ჰეგემონობისათვის. ამისგან განსხვავებით, აფხაზები მიწებს იკავებდნენ და ზედ "დაეშენებოდენ", ე.ი. სახლდებოდნენ. ეს უკვე არ იყო ფეოდალური შინაომი. მათი ბრძოლა მიმართული იყო ტერიტორიის მისატაცებლად. საგულისხმოა, რომ აფხაზების მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე უქმდება დრანდისა და მოქვის საეპისკოპოსოები, რომლებიც XVII ს. 60-იან წლებში, მაკარი ანტიოქიელის ოდიშში ყოფნის დროს, მოქმედია. ამავე დროს, ოდიშის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის ეკლესია-მონასტრებიდან უსაფრთხო ადგილას, ოდიშის შიდა რაიონებში, გადაჰქონდათ საეკლესიო წიგნები, ხატები, ჯვრები და სხვა საეკლესიო ინვენტარი. ცნობილია, რომ მოქვის ახლოს იყო ქიაჩის მონასტერი, სადაც ესვენა ქიაჩის წმ. გიორგის ხატი. ეს ხატი სოფ. ობუჯში გადაუტანიათ. ამის შემდეგ, ეკლესიას, რომელშიაც ეს ხატი დაასვენეს და სოფლის იმ უბანს, სადაც ეს ეკლესია იყო, ქიაჩი ეწოდა[72]. მთავარანგელოზის ხატი, რომელიც ასევე ქიაჩში იყო დასვენებული, ჭოლაში გადმოუსვენებიათ[73]. მოქვის სახარება (1300 წ.) მარტვილში გადმოუტანიათ; მოქვის ორი ღვთისმშობლის ხატიდან ერთი, მოგვიანებით ზუგდიდის ეკლესიაში აღმოჩნდა, ხოლო მეორე — ხობის მონასტერში[74]. ბედიაში განისვენებდა ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატი[75], რომელიც და-

---

[70] ხელნაწერთა აღწერილობა (H კოლექცია), ტ.V, № 2102, გვ. 74.
[71] ვახუშტი, აღწერა..., გვ. 845.
[72] ს. კაკაბაძე. საბუთი შერგელიასათვის ქიაჩის ხატის გადაცემის შესახებ, — "საისტორიო მოამბე", I, თბ., 1925, გვ. 247-249.
[73] იხ. შ. ბურჯანაძე. ისტორიული დოკუმენტები..., გვ. 151.
[74] Н.Кондаков, Опись памятников..., გვ. 78-79.
[75] იხ. ნ. ასათიანი, მასალები..., გვ. 71.

დიანების მთავარ სალოცავად ითვლებოდა[76]. მოგვიანებით, ყოველადწმინ. და ღვთისმშობლის ხატი მარტვილში გადმოასვენეს[77] და სხვ.

იმერეთის სამეფოსთან და აფხაზეთთან ასეთი გართულებული ურთიერთობის პირობებში, 1681 წ. ზაფხულში რუხში გარდაცვალა ლევან III დადიანი. ვახუშტი ბატონიშვილს ლევან III დადიანის გარდაცვალება 1680 წლით აქვს მოთხრობილი და ეს თარიღი დამკვიდრდა ქართულ ისტორიოგრაფიაშიც[78], მაგრამ იმ პერიოდში ოდიშში მიღებულ მისიონერ გ. ტურკოს 1681 წ. 12 ოქტომბრით დათარიღებული წერილიდან ჩანს, რომ ლევან III დადიანი 1681 წ. ზაფხულში გარდაცვლილა. ტურკო წერს: "გასულ თვეებში ამ ქვეყნის მთავარი გარდაცვალა. ახალი მთავარი ჯერ არ არის არჩეული, რადგან დაატყვევეს მოცალებულის მთავრის შვილი, რომელსაც სჯულისამებრ ეკუთვნის სამეფო"[79]. ოდიშის ტახტის მემკვიდრე, ლევან III დადიანის ძე მანუჩარი, მძევლად ჰყავდა გიორგი III გურიელს. ოდიშის მესვეურებმა სთხოვეს გურიის მთავარს მანუჩარის გათავისუფლება, მაგრამ მან თავად განიზრახა ოდიშში გაბატონება. გურიელის განზრახვას წინ აღუდგნენ ოდიშარნი: "ვიდრემდის ცოცხლებით არს მანუჩარი არავის მივსცეთ ციხენი და ქუეყანანი"-ო[80]. გიორგი გურიელმა იფიქრა, რომ მანუჩარის მოშორების შემდეგ მოცილე არავინ ეყოლებოდა, ამიტომ მოკლა ყრმა მანუჩარი და ოდიშში გაილაშქრა, მაგრამ ოდიშართ არ ინდომეს "მესისხლე თვისი" ბატონად, ციხეები გაამაგრეს და გურიელი სამთავროში არ შეუშვეს[81]. საყურადღებოა, რომ ამ ამბებში კაცია ჩიქვანის ხელიც ერია. მას, როგორც ოდიშის ფაქტობრივ მმართველს, არაფრად ეპიტნავებოდა სამთავრო ტახტის კანონიერი მემკვიდრის არსებობა და, "ოდიშართა" პასუხი "ულმრთო" და "მესისხლე" გურიელისადმი (ვახუშტი), აშკარად პროვოკაციული და წამქეზებლური იყო. ფაქტობრივად, ოდიში დარჩა მთავრის გარეშე და რეალურად არც არსებობდა სამთავრო ტახტის კანონიერი მემკვიდრე. ამ დროს ოდიშის წარჩინებულთა წრეში მომწიფებულა აზრი ახალი მთავრის არჩევის შესახებ[82], მაგრამ ჯერ მაინც "ოდიში იყო უპატრონოდ და კაცია ჩიქოვანი იყო თავ და გამგე მთი"[83], — აღნიშნავს ვახუშტი ბატონიშვილი. კაცია ჩიქვანი გამთავრებაზე ოცნებობდა და

---

[76] თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 131-132.

[77] А. Муравьев, Грузия и Армения, ч.III, Спб., 1848, გვ. 281; ა.ხელაია, ბედის ტაძარი, გვ. 23.

[78] ვახუშტი, აღწერა..., გვ. 844; ს. კაკაბაძე, საქართველოს ისტორია, გვ. 101; დ. გურგენიშვილი, ნარკვევები..., II, გვ. 453.

[79] მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 208.

[80] ვახუშტი, იქვე.

[81] იქვე.

[82] მ. თამარაშვილი, იქვე.

[83] ვახუშტი, იქვე, გვ. 845.

მოწინააღმდეგეებს სასტიკად უსწორდებოდა. ამ რეპრესიებს ემსხვერპლა ოდიშის მრავალი ძირძველი ფეოდალი[84]. ოდიშში შექმნილი რთული ვითარებით ისარგებლა აფხაზთა მთავრის საუსტან შარვაშიძის ვაჟმა სავრეხის (სორეხი) და ოდიშის სამთავრო ტახტზე განაცხადა პრეტენზია. სორეხ შარვაშიძემ ოდიშში გაილაშქრა და მთავრად გამოაცხადა თავი, "რადგან იმის დაეპყრო აქაურობა"[85], თუმცა იგი ოდიშის მთელ ტერიტორიას ვერ აკონტროლებდა. როგორც ჩანს, სორეხს რაღაც ლეგიტიმური უფლებაც ჰქონდა ოდიშის ტახტზე. საფიქრებელია, და ყველაზე უფრო დამაჯერებელი ჩანს, რომ დედა ჰყავდა ოდიშის სამთავრო სახლიდან.

სორეხ შარვაშიძის ოდიშში "გაბატონება" 1681 წ. შემოდგომაზე, ოქტომბერ-ნოემბერში უნდა მომხდარიყო. 1681 წ. 12 ოქტომბრის წერილში გ. ტურკო არაფერს წერს სორეხის ჩარევაზე ოდიშის ტახტისათვის ბრძოლაში, მაგრამ იმავე წერილის მიხედვით უახლოეს ხანებში უნდა გადაწყვეტილიყო ახალი მთავრის არჩევის საკითხი. სორეხ შარვაშიძეს სწორედ ამ დროისათვის უნდა დაემთხვია ოდიშზე ლაშქრობა და "სამეგრელოს მთავრად" თავის გამოცხადება.

ოდიშის წარჩინებულთა ერთი ნაწილი არ ცნობდა სორეხ შარვაშიძის პრეტენზიებს ოდიშის ტახტზე. ასეთ რთულ ვითარებაში, იმავე 1681 წ. კაცია ჩიქვანი გარდაიცვალა და "დაიპყრა ლიპარტიანობა ძემან მისმან გიორგი უმეტეს მამისა თვისისა"[86]. გიორგი ლიპარტიანი გამთავრებაზე ოცნებობდა და მოწინააღმდეგეებს სასტიკად უსწორდებოდა. იგი მამაზე უფრო დაუნდობელი აღმოჩნდა. ამ დროს ოდიშში შექმნილი ვითარების შესახებ, ვახუშტი ბატონიშვილი წერდა: "გარნა იყო ოდიშს ჭირი გიორგი ლიპარტიანისაგან კლვითა და ყიდვითა ტყვისათა და უმეტეს აფხაზთაგან, რამეთუ მოვიდოდიან ლაშკრად და აოკრებდიან ქუყანა ავაზაკობით და ცხადად"[87]. როგორც ჩანს, სორეხ შარვაშიძე ოდიშის მთელ ტერიტორიაზე გაბატონებას ცდილობდა. ოდიშში გამთავრებაზე კვლავ ფიქრობდა გიორგი III გურიელიც. ამ მიზნით, რაღაც უფლება რომ ჰქონოდა ოდიშის ტახტზე, თუნდაც ოდიშის წარჩინებულთა თანაბარი უფლება, მან ცოლად შეირთო კაცია ჩიქვანის ქვრივი, გიორგი ლიპარტიანის დედინაცვალი. გიორგი ლიპარტიანმა, ბოლო რომ მოელო ოდიშის ტახტზე შარვაშიძისა და გურიელის პრეტენზიებისათვის, ახალციხის ფაშას შუამდგომლობით სულთანისაგან გამოითხოვა დადიანობა ლევან III დადიანის უკანონო შვილის ლევანისათვის, რომელიც იმჟამად ახალციხის საფაშოში იმყოფებოდა. 1683 წ. ოდიშის ტახტზე ავიდა ლევან IV დადიანი (1683-1691), მაგრამ სამთავროს მაინც

---

[84] ვახუშტი, აღწერა..., გვ. 845.

[85] მ. თამარაშვილი, ისტორია ქართველთა შორის, გვ. 208.

[86] ვახუშტი, იქვე.

[87] იქვე, გვ. 850

ფაქტობრივად გიორგი ლიპარტიანი განაგებდა[88]. ლევანმა ცოლიც კი – იმერეთის მეფის ალექსანდრე IV-ის (1683-1695) და, თინათინი, ლიპარტიანის ნებით შეირთო. ლიპარტიანს ეს იმისათვის სჭირდებოდა, რომ იმერეთის მეფესა და გურიის მთავარს ალარ მოესურვებინათ ოდიშში გაბატონება, ხოლო დადიანი ალექსანდრე მეფის დახმარებით ფიქრობდა ოდიშის შემომტკიცებას[89]. საბოლოოდ, ოდიშის მთელ ტერიტორიაზე, გარდა მდ. ენგურის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილისა, სადაც სორეხ შარვაშიძე გაბატონდა[90], ნომინალურად მაინც, ლევან IV დადიანის ხელისუფლება გავრცელდა.

დას. საქართველოში კვლავ გრძელდებოდა ფეოდალური შინაომი. გიორგი III გურიელი გარდა ოდიშში გაბატონებისა, იმერეთში გასამეფებლადაც იბრძოდა. მან მიიმხრო გიორგი ლიპარტიანი, რაჭის ერისთავი, იმერეთის ზოგიერთი თავადი: ჩიჯავაძენი, ღლონტიფანიძე და 1684 წ. ალექსანდრე IV-ის წინააღმდეგ გაემართა. ბრძოლა მოხდა როკითის სანახებში და იმერეთის მეფის გამარჯვებით დამთავრდა. გურიელი ბრძოლაში მოკლეს, ლიპარტიანმა გაქცევით უშველა თავს[91]. იმერეთის ტახტის დასაუფლებლად იბრძოდა არჩილიც. 1688 წ. იგი რუსეთიდან რაჭაში ჩამოვიდა. მას მხარი დაუჭირეს რაჭის ერისთავმა, გიორგი ლიპარტიანმა, ჭილაძე-მიქელაძეებმა და სხვ[92]. 1689 წ. არჩილი ოდიშში და შემდეგ აფხაზეთში გადავიდა[93], სადაც დიდებულად ისტუმრა აფხაზთა მთავარმა: "მოეგება შარვაშიძე, ისტუმრა პატივით, ვითარცა მეფე და იყოფებოდა ზუფუს ჟამრაოდენმე"[94]. აფხაზთა მთავარი, რომელმაც არჩილი ისტუმრა, უნდა იყოს ზეგნაყ შარვაშიძე. საგულისხმოა, რომ აფხაზთა მთავარი ჩართულია დას. საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ ქარტეხილებში და გარკვეულ დახმარებას უწევს არჩილს. გარდა ტრადიციული სტუმარმასპინძლობის წესისა, ვახუშტი ხაზს უსვამს, რომ შარვაშიძემ არჩილი მიიღო როგორც მეფე. აფხაზეთიდან არჩილი ყირიმის სახანოში აპირებდა გადასვლას (ყირიმის ხანს უნდა ეშუამდგომლა სულთანთან არჩილის იმერეთში გასამეფებლად), მაგრამ როდესაც დარწმუნდა,

---

[88] ვახუშტი, აღწერა..., გვ. 850.

[89] იქვე. გვ. 849-850.

[90] შდრ. გ. ჯამბურია, საქართველოს პოლიტიკური ვითარება XVII ს. 30-90-იან წლებში,- სან., ტ.IV, გვ. 354. იტალიელ მისიონერთა ცნობით, სორეხ შარვაშიძის მიერ მიტაცებულ ტერიტორიაზე მდებარეობდა "წიფურია", სადაც იმყოფებოდა იტალიელთა კათოლიკური მისიონი (მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 208-210). ა. ლამბერტის რუკაზე ეს პუნქტი აღნიშნულია მდ. ენგურის მარჯვენა ნაპირზე, ზუგდიდის ჩრდილო-დასავლეთით. ტოპონიმი "წიფურია", უფრო სწორად, "წიფურონი", დღესაცაა შემორჩენილი დღევანდელი გალის რ-ნის სოფ. თაგილონის ტერიტორიაზე.

[91] დ. გერიტიშვილი, ნარკვევები..., II, გვ. 463-464.

[92] მ. რეხვიაშვილი, დასავლეთი საქართველო XVII საუკუნეში, გვ. 98.

[93] M. Брессе, Переписка..., გვ. 130.

[94] ვახუშტი, იქვე. გვ. 851.

რომ გაა ესოფლი არ იყო, ისევ რაჭაში დაბრუნდა იქიდან კი ისევ ბალყარეთ[95].

აფხაზთა სამთავრო სახლის წევრის, სორეს შარვაშიძის მიერ ოდიშის ჩრდ.-დას. ნაწილის მიტაცების მიუხედავად, ეს მხარე არ შევრიცხია აფხაზთა სამთავროს, იგი ჯერ კიდევ სამეგრელოდ იწოდებოდა და მისი სულისუფალი — სამეგრელოს მთავარად. სორეს შარვაშიძე არ ემორჩილებოდა აფხაზთა მთავარს და კიდევაც ეურჩებოდა მას. იტალიელი მისიონერები გ. ტურკ და ჯ. ტორინელი აღნიშნავენ ერთ ასეთ ფაქტს: სორეხს რაღაც უსიამოვნება მოსვლია მას ნათესავთან აფხაზთა მთავართან (ეს უნდა იყოს სორეხის ბიძა ზეგნაე შარვაშიძე), რის გამოც 1685 წ. 10 აპრილს აფხაზები შემოესივნენ მის სამფლობელოს და საშინლად აიკლეს[96]. სორეს შარვაშიძის სიკვდილის შემდეგ ეს მხარე შეუერთდა აფხაზეთის სამთავროს[97], მაგრამ, როდესაც გარდაიცვალა აფხაზთა მთავარი ზეგნაე შარვაშიძე, მისმა შვილებმა დაინაწილეს მდ. აჩიფსა და მდ. ენგურს შორის მოქცეული მიწა-წყალი. უფროსმა მათ შორის, რისტომმა, მიიღო მდინარეებს — ბზიფსა და კოლორს შორის მდებარე მიწები და აფხაზეთის მთავრის ტიტული; საშუალო ძმამ, ჯიქეშიამ, მიიღო მდ. კოდორსა და მდ. ღალიძგას შორის მდებარე მიწები, რომელსაც შემდეგ აბჟუა (იხ. შუა ნაწილი) ეწოდა; უმცროსმა, ყვაპუმ, მიიღო მდ. ღალიძგასა და მდ. ენგურს შორის მდებარე მიწები, რომელსაც მოგვიანებით, ყვაპუს მემკვიდრის, მურზაყანის სახელის მიხედვით სამურზაყანო ეწოდა[98]. აბჟუასა და მერმინდელი სამურზაყანოს მფლობელები აფხაზთა მთავართან ნომინალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ[99].

ყვაპუ შარვაშიძეს მეტად მოოხრებული და გაუკაცურებული ტერიტორია შეხვედრია. ამიტომ, გადმოცემით, მას ბზიფის აფხაზეთიდან,

---

[95] მ. რეხვიაშვილი, დასავლეთი საქართველო XVII საუკუნეში, გვ. 100-103.

[96] მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 209-210.

[97] З.В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии, გვ. 270.

[98] თ. ჭიჭინაძე, საქართველოს ისტორიის მასალა, ჟურნ. "ცქალი", 1897, № 20, გვ. 393-394. ამ ცნობას კარგად ეთანხმება ერთი საისტორიო გადმოცემა, რომლის მიხედვითაც, მდ. ღალიძგასა და მდ. ენგურს შორის მდებარე მიწები აფხაზთა მთავარმა ჯიქეშია შარვაშიძემ წაართვა დადიანს და სამფლობელოდ უბოძა თავის ძმას ყვაპუ შარვაშიძეს (იხ. Документы по истории Грузии, 1862-1917., т. I ч. I, ред. Ш. Чхетия, Тб., 1954, გვ. 525). საგულისხმოა, რომ აფხაზეთის სამთავროს მხარეებიდან ერთს ჰქონია მხოლოდ პირველდელი სახელი აფხაზეთი, ხოლო ორს — ახალი სახელი: აბჟუა და სამურზაყანო. ამასთან, "აბჟუა" ქართული "შუა სოფლის" (ასე იწოდება ეს მხარე ქართულ წყაროებში, იხ. ჯ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 128-129, 167) პირდაპირი თარგმანია აფხაზურად; რაც შეეხება სამურზაყანოს, მრავლისმეტყველია, რომ ტოპონიმი ქართულადაა გაფორმებული. ეს სახელწოდება ფაქტობრივად არ იცვლება აფხაზურადაც: "самырзакан".

[99] Очерки истории Абхазской АССР, ч. 1, გვ. 122; История Абхазии, გვ. 63. აფხაზთა მთავრის სიუზერენობა ღალიძგასა და ენგურს შორის მდებარე მიწებზე დროებითი აღმოჩნდა და მალე ამ ტერიტორიაზე კვლავ აღდგა ოდიშის მთავრის იურისდიქცია, თუმცა ამ მხარის მმართველებად დარჩნენ აფხაზეთის სამთავრო სახლის გვერდითი შტოს წარმომადგენლები.

უფრო ადრე ამ საუკუნეებიდან გადმოსახლებია თაყაიშვილი, რომელიც გვარი: ანიბაძე, ეუხვარი, ინალიშვილი, მარღანია, ზვანია, ლაკერბაია და აჭართავა. ყაბუ შარვაშიძისაგან მომდინარეობენ შუქიდ საბურზაყანოში მცხოვრები შარვაშიძეები. თავის სახასო მამულად ყაბუს დაუმკვიდრებია სოფლები: ბედია, ფახულანი და ბარბალო (კოკა)[100]. არ შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ ლალიძგასა და ენგურს შორის მდებარე მიწები იყო მოოხრებული და გაუკაცურებული. საეჭვოებელია, რომ ასეთ იქნებოდა მოოხრებული ბზიფის აფხაზეთიც, მაგრამ, რაფორც ჩანს, აქ მუდმივად ხდებოდა მოსახლეობის "განახლება" აფხაზია მინათესავე ტომების ჩამოსახლების შედეგად. მერმინდელ საბურზაყანოში გადმოსახლებულ თავად-აზნაურებს, რა თქმა უნდა, თავისი ხალხიც მიეყვანა – გარკვეული რაოდენობა გლეხებისა, მაგრამ ამ მხარის ძირითადი მოსახლეობა მაინც ქართული იყო. ეს კარგად ჩანს ინდროინდელი საბუთებიდან.

ყაბუ შარვაშიძე და მისი შვილი ავთანდილი აფხაზეთის (დას. საქართველოს) კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძეს (1696-1742) საეიცრის წიგნით (1696-1704) აძლევენ "ეამია კეთარებით ამოწყვეტილი ქეეკნის" საკათალიკოზო "კაცებს" ნაფანურიდან "სასამსახურიდ". ეს "კაცები", სულ 10 მოსახლე მოჯალაბიანად*, მაი "მოურჩენიათ", ეა. გადაურჩენიათ ტყვედ გაყიდვისა და სიკვდილისაგან. ....ესე საეიცრის წიგნი მოგეცით ჩუენ შარვაშიძემ ყუაბუმ და ჩუენმა შვილმან ავთანდილ თქუენ კათალიკოზს ბატონს გრიგოლს ასე და ამა პირსა ზედა რომე ეამია ეთარებია ქეეყანა ამოწყდა და საკათალიკოზო ნაფანური და ხორული კაცები ზოგიერთი ჩენ მოვარჩინეთ. ახლა დაგელაპარაკეთ ბატონისშვილი ჩუენი დისწულის შუამავლობით და რომელიც ნაფანურიდამ ხორული კაცები ჩუენ გვყავს თავს ხატისთვის და მერმე თქუენთვის სასამსახუროდ მოგვირთმევია. თავს ერთი მოსახლე კაცი ბაბადიში კონდარია, მეორე მოსახლე კაცი ხუცესი ღრუბელაია, მესამე მოსახლე კაცი კაკა ელიშია; მეოთხე მოსახლე ზუსალეი კოდია; მეხუთე მოსახლე ჯიმადიში უჩაძე, მეექუსე მოსახლე მამაკოსი სუბუქია, მეშვიდე მოსახლე ხუხუტა ჯგუბურია, მერვე მოსახლე ობოლი ციცორია. მოჯალაბე ბაძღალეი მარკოზია და მის გარეთ ერთი მოსახლე სახორო მიამია ბიგვავა. ეს ათი მოსახლე კაცი მოჯალაბიანად როგორც სხვა კათალიკოზს მსახურებდა, აგრე გემსახუროთ და თქვენი სამსახური არ დაუშალოთ და არცა ჩუენკან ამ კაცებს არცა აყრით და არცა გაყიდვით არა უშავდეთ რა ამის თავდებად გ ისათაეებლად მოშიცია თავად ღმერთი და ყოველი მისი წმინდანი ზეცისანი..."[101].

პარალელურად ხდებოდა მეგრული მოსახლეობის "აყრა აფხაზისგან". კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძის შეწირულობის წიგნში (1706 წ.) ბიჭვინტისადმი, ნათქვამია: ....ნაფანევს სოფელი საკათალიკოზო

---

[100] თ. ჭიჭინაძე, საქართველოს ისტორიის მასალა, გვ. 394.

* მოჯალაბე – გლეხთა კატეგორია საბურზაყანოში, აფხაზეთში ანაშალა, ფაქტობრივად მონა.

[101] ს. ,ეაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს ხალხური სიტყვიერი, I, გვ. 88; შდრ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A კოლექცია), ტ. IV, თბ., 1954, გვ. 136.

ემსაძე კათალიკოზის ხელშიდ აფხაზისგან აყრილიყო, ყვაპ შარვაშიძეს სხვა დაეკიდა და ექუსი მოსახლე კაცი ყავდა. ის კათალიკოსიც ბეგრს ედავა და ჩუენც, მაგრამ არც მას და არც ჩუენ პასუხი მოგუცა, რომ შარვაშიძე მოკვდა, მივედით ჩუენ და ნიშანიც მართებული ავიღეთ და ექუსი მოსახლე კაცის მეტი აღარ იყო და ის წამოვიყვანეთ მისის ყოვლისფერითა: ღრუბელაია ამსნელი და მისი სახლის კაცი ელიშა ხუტალა და მისი ძმები; კიდევ ელიშა ხუსა და მისი ძმები ხუმალა, კოდია და მისი შვილები; კიდევ ჯგუბურია, სუბუქია და ბიგვაა; კიდევ ერთი მოსახლე კაცი ჯერის ნაჩეი პაპა ხუცობავა ლ მისი ძმა შარვაშიძისგან სადეო კაცი იყო ჩუენი და იმაშიდ წამოვიყვანეთ და ხობს დავასახლეთ. არსანია ყვაპსეული კაცი მაგიერშიდ ამოვიყვანეთ და ხიბულას დავასახლეთ. კიდევ ელიშახუ ნანაისშვილი ეგურს გაღმიდან წამოვიყვანეთ და მაგიერშიდ ხიბულას დავასახლეთ"[102].

როგორც ჩანს, ნაჟანეულში 1621 წ. მცხოვრები 58 კომლიდან[103], მას შემდეგ, რაც ის აფხაზებმა დაიკავეს, 1706 წ. მხოლოდ 6 კომლი იყო დარჩენილი. ვინც აფხაზთაგან "აყრას" გადაურჩა, ყვაპუ შარვაშიძეს დაუკიდია ჯერ კიდევ კათალიკოს დავით ნემსაძის (1673-1696) დროს, და კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძეს უკვე ენგურის გაღმიდან უსაფრთხო ადგილას, ენგურის მარცხენა ნაპირზე გადმოჰყავს გლეხები. კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძის შეწირულობის წიგნში (1712წ.) ბიჭვინტისადმი, ნათქვამია: „... ნაჟანევს სოფელი აფხაზს აეყარა, სამოცი მოსახლე კაცი, ნეფსაძე კათალიკოზს ყვაპუ შარვაშიძისათვის მიებარებინა. უფროსი ერთი დაკარგულიყო; ის კათალიკოზი ეცადა და ჩვენც ვეცადეთ, მაგრამ ვერ ამოვიყვანეთ. შარვაშიძე რუსს მოკვდა, წავედით და უწირეთ, ნიშანიც მართებული ავიღეთ. მეტი აღარ იყო, შვიდი მოსახლე კაცი წამოვიყვანე მათის ყოვლისფერითა: ღრუბელაია ამსნელი და მისი სახლისკაცი ელიშა ხუსა და მისი ძმები კოდია, ზუმალა, ჯგუბურია, სუბუქია, ბიგვავა და უჩაია და ერთი მოკალაბე. სხვა კიდევ ელიშახუ ნანაისშვილი, ნარმანია და ხუცობავა პაპა ენგურიდაღმი ყველაი ფასით ამოვიყვანე. ზოგი ხიბულას დავასახლე, ზოგი ხობს"[104].

როგორც პროფ. მ. ლორთქიფანიძე შენიშნავს, ეს დოკუმენტი ერთ საინტერესო გარემოებაზე მიგვანიშნებს. მომხდურ აფხაზთაგან დარბეულ ქართველ გლეხებს კათალიკოსი შარვაშიძეს მიაბარებს. როგორც ჩანს, ის მომხდური აფხაზები სხვები არიან და შარვაშიძე სხვა. ისიც ცდილობს ამ მომხდურთაგან თავის დაცვას[105]. საგულისხმოა ისიც, რომ კათალიკოსს ენგურის გაღმიდან გლეხების "ფასით ამოყვანა", ე. ი. გამოსყიდვა უხდება. კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძის შეწირულობის წიგნში (1706-1712) ბიჭვინტისადმი, ნათქვამია: „... ბიბია ბოლქუაძე აფხაზს ცოლიან-შვილიანად წაეყვანა, ნემსაძე კათალიკოზს სორეხისაგან დაეხსნა, ნოჯიხევს დაესახლებინა..."[106].

---

102 ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 647-648.
103 იქვე. გვ. 419-420.
104 იქვე. გვ. 670.
105 მ. ლორთქიფანიძე, აფხაზები და აფხაზეთი, გვ 23.
106 ი. დოლიძე, იქვე. გვ. 677.

აფხაზთაგან მოსახლეობის "აყრა" ისეთი ფარული მასშტაბებს იღებს, რომ ერთი სოფლიდან, ნაკარეულიდან, მხოლოდ 6 თუ 7 სახლობა გადარჩენილა. ყაბუ შარვაშიძე იძულებულიც გამხდარა კათალიკოს დავით ნემსაძისათვის ფიცის წიგნი (1681-1696) მიეცა, რომ ამიერიდან აღარ გაყიდდა გლეხებს: „ესე ... მეკიცე უტყეური ფიცი, პირი და წიგნი დაგიწერეთ და მოგართვეთ ჩვენ შარვაშიძენან ბატონმან ყუაბუ და ჩემმან ძმამან ქერქეთ თქუენ ჩრდილოისა და აფხაზეთისა კათალიკოზსა დავითს ასრე და ამ პირსა ზედან, რომელ ნაკარული და ბორული კაცები, რომელიც ახლა იყოს, ის შეუცოდებლად და თქუენდა უკითხავად აღარც გავყიდოთ, და თქუენს სიტკვისა და ბრძანების მორჩილის კაცისაგან კარგად შეხუარით, არც თქუენი ხლება და სამსახური დაუშალოთ...".

თუმცა არც ამ ფიცის წიგნმა უშველა და ოდიშის ჩრდ.-დას. ნაწილში გრძელდებოდა მოსახლეობის "აყრა, ოხრება და ტყვედ გაყიდვა". მდ. კელასურსა და მდ. ენგურს შორის მდებარე მაწა-წყლის მოსახლეობის ნაწილი აფხაზთა მიერ აოხრებისა და აკლების დროს გადაიხვეწა აქედან. ვინც მახვილს, შიმშილსა და ავადმყოფობას გადაურჩა, ტყვედ მიყიდეს აფხაზებმა ოსმალთ[107]. დაკარიელებულ ადგილებზე აფხაზები სახლდებოდნენ. მათ დასაწყისში ეთნიკურად ათვისეს მდ. კელასურსა და მდ. ღალიძგას შორის მდებარე ტერიტორია, შემდეგ უკვე იწყება ღალიძგის მარცხენა ნაპირის ეთნიკური ათვისება, თუმცა ეს პროცესი რამდენადმე გაჭიანურდა[108]. ფეოდალთა წრეში გაბატონებული მდგომარეობა თანდათან აფხაზმა ფეოდალებმა მოიპოვეს[109], თუმცა მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა ამ მხარეში მაინც ქართული (მეგრული) რჩებოდა.

როგორც უკვე აღინიშნა, ოდიშის სამთავროს ლევან IV დადიანის დროს ფაქტობრივად გიორგი ლიპარტიანი განაგებდა, ლეკანი. მხოლოდ სახელით იყო ოდიშის მთავარი. ლიპარტიანისაგან შევიწროებულმა მთავარმა 1691 წ. მიატოვა ოდიში და ოსმალეთში გადაიხვეწა. ოდიშზე და ლეჩხუმზე გიორგი ლიპარტიანი ბატონობდა, თუმცა დადიანად არ იწოდებოდა[110], რათა დიდი წინააღმდეგობა არ გამოეწვია დიდებულებში. ამ დროს იმერეთის სამეფოშიც ანარქია სუფევდა. იმერეთში ფაქტობრივად გიორგი აბაშიძე ბატონობდა, რომელიც ტახტზე ხან ერთ მეფეს სვამდა, ხან მეორეს. ოსმალეთს, რომლის ვასალებიც იყვნენ იმერეთის მეფე და გურია-ოდიშის მთავრები, დას. საქართველოში სიმშვიდის შენარჩუნება აინტერესებდა, რათა გამართულად მიელო ჯიზია (სულადობრივი გადასახადი არამუსლიმი მოსახლეობისაგან). ამიტომ ოსმალეთის

---

* ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ. I, გვ. 36. ე. თაყაიშვილის დათარიღებით ეს ფიცის წიგნი 1661-1680 წწ. უნდა იყოს შედგენილი. ჩვენ მას ვთარიღებთ აფხაზთა მიერ ამ მხარის მიტაცებისა და დავით ნემსაძის გარდაცვალების წლების მიხედვით.

[107] ს. კაკაბაძე, საქართველოს ისტორია, გვ. 102.

[108] З. В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии, გვ. 297.

[109] გ. ჯამბურია, საქართველოს ბოლოტოლერი ვითარება XVII ს. 30-90-იან წლებში, გვ. 354.

[110] ბახუშტი, აღწერა..., გვ. 856.

ხელისუფლებამ იმერეთის მეფედ გიორგი IV (1696-1698) დამტკიცა, ხოლო დადიანობა მაჰია III გურიელს (1689-1711) უწყალობა, რადგან დის, საქართველოში არეულობის გამომწვევად ლევან IV დადიანი ჩათვალა[111]. ბრწყინვალე პორტას გადაწყვეტილებით, "სტამბოლში მყოფი ლევან ხანი ... კვლავ ხანად არ უნდა დაედგინათ"[112]. როგორც ჩანს, ლევან IV დადიანი სამოიერის დაბრუნების ცდილობდა და ამიტომ დის, საქართველოშიც და ოსმალეთშიც ინტრიგების ქსელს ქსოვდა ლიპარტიანის წინააღმდეგ. მაჰია გურიელმა ოდიშში გაბატონება მაინც ვერ მოახერხა, როგორც ერთ იმდროინდელ საბუთშია ნათქვამი, "დადიანობა გურიელს მაჰიას დარჩა და თაყობა გიორგი ლიპარტიანს"[113].

ვახუშტი ბატონიშვილზე დაყრდნობით, ქართულ ისტორიოგრაფიაში მიჩნეულია, რომ ლევან IV დადიანი 1694 წ. გარდაიცვალა სტამბოლში[114], მაგრამ, როგორც ფუნდუკლულუ მეჰმედ აღას ცნობა მიუთითებს, იგი 1696 წელს, იმერეთის მეფედ გიორგი IV-ის და ოდიშის მთავრად მაჰია III გურიელის დამტკიცების დროს, ჯერ კიდევ ცოცხალია, და ამის შემდეგ გარდაიცვალა.

1698 წ. აპრილში იმერეთის ტახტის მაძიებელი, არჩილ მეფე იმერეთში შეიჭრა, გიორგი IV გააქცია და ალყა შემოარტყა ქუთაისის ციხეს, რომელსაც ოსმალო მეციხოვნენი იცავდნენ. როგორც კი ოსმალთა დამხმარე ჯარი ქუთაისს მიუახლოვდა, არჩილმა ციხეს ალყა მოხსნა, რომელიც შვიდი თვე გრძელდებოდა და გაიქცა. ოსმალებმა იმერეთის მეფედ დასვეს ალექსანდრე IV-ის უკანონო შვილი სვიმონ I (1698-1701) და უკან გაბრუნდნენ[115]. გიორგი აბაშიძემ სვიმონს ცოლად შერთო თავისი ასული ანიკა. აბაშიძის უფროს ასულს, იმერეთის ყოფილ დედოფალს თამარს, შეშურდა დის გადედოფლება, გიორგი ლიპარტიანს გააშვებინა ცოლი, მიქელაძის ქალი სევდია და თვითონ გაჰყვა ცოლად. ამის შემდეგ იგი იმერეთისა და ოდიშის დედოფლად იწოდებოდა და მამასთან ერთად განაგებდა სახელმწიფო საქმეებს[116]. გიორგი ლიპარტიანი გადადიანებაზე ოცნებობდა, ამიტომ ცდილობდა ოდიშის წარჩინებულთა საგვარეულოებზე მეტი უფლება მოეპოვებინა ოდიშის ტახტზე და კანონიერი სახე მიეცა თავისი გამთავრებისათვის. ამ მიზნით შეირთო

---

[111] ფუნდუკლულუ მეჰმედ აღა, "გამარჯვების წიგნი", წ. I, ნაკ. II, გვ. 215-216, იხ. ნ. ჯაველიძე, ოსმალო ისტორიკოსი..., გვ. 156-157.

[112] ფუნდუკლულუ მეჰმედ აღა, იქვე.- იხ. ნ. ჯაველიძე, იქვე.

[113] გრიგოლ კათალიკოზის მიერ დადებული წიგნი (1700-1712 წწ.).- ს. ყაკაბაძე, დასაელეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, გვ. 101.

[114] ვახუშტი, აღწერა..., გვ. 856; გ. ჯაბურია, საქართველოს პოლიტიკური ეითარება XVII ს. 30-90-იან წლებში, გვ. 354.

[115] ფუნდუკლულუ მეჰმედ აღა, "გამარჯვების წიგნი", წ. I, ნაკ. III, გვ. 344-347, იხ. ნ. ჯაველიძე, იქვე, გვ. 157-158; შდრ. ვახუშტი, იქვე, გვ. 854.

[116] დ. გურიტიშვილი, ნარკვევები..., II, გვ. 481.

მან იმერეთის დედოფალი თამარ აბაშიძე. საჭიროების შემთხვევაში ლიპარტიანს გიორგი აბაშიძის შეწყობის იმედიც ექნებოდა. ამავე ხანებში გიორგი ლიპარტიანი დადიანის ტიტულს ღებულობს – 1701 წ. "შეწირულობის წიგნში ცაგერის ტაძრისადმი", იგი დადიან-ლიპარტიანად იწოდება[117]. იგი, ეტყობა ვერ ბედავდა აშკარად დადიანის ტიტულის მიღებას, სიფრთხილეს ინერდა და ამიტომ დადიანიან ერთად ლიპარტიანადაც იწოდებოდა. ამრიგად, 1701 წელს ჩიქვანთა საგვარეულო გადადიანდა, რომელიც ოდიშის სამთავროს მარცვის 1857 წლამდე – სამთავროს გაუქმებამდე.

XVII ს. მიწურულიდან იმერეთის სამეფოს ფაქტობრივად გიორგი აბაშიძე განაგებდა, იმერეთის მეფე რეალურ ძალაუფლებას მოკლებული იყო. 1702 წლიდან იმერეთის გამგებლობა უშუალოდ აბაშიძის ხელში გადავიდა[118]. იმავე წლის ზამთარში ოდიშის მთავარმა გიორგი აბაშიძეს "აფხაზთა ზედა" შეწეცნა სთხოვა, "რამეთუ მიელოთ აფხაზთა ეგრისის მდინარემდე და აოხრებდნენ ოდიშს კლვითა და ტყეობითა"[119]. აბაშიძემ შეკრიბა ლაშქარი და აფხაზეთში გაილაშქრა. "ვერ წინააღუდგა შარვაშიძე, მოსტყეევნეს აფხაზეთი, აღიღო ალაფი დიდი, დააზავა ლიპარტიანი და შარვაშიძე, გამოუხუნა ქუეყანა მიღებული და მძევალნი, მერმე წარმოვიდა და მოვიდა იმერეთსავე"[120]. ერთ ქართულ წყაროში დაცულია ცნობა ოდიშის მთავრის აფხაზეთში გალაშქრების შესახებ: "ქ. ეჰა შენ ცათა უმაღლესო, სერაბინთა უზეშთაესო და ქერაბინთა უწმიდესო... წინამძღვარმან ზებედე, შემოგწირე მცირე ესე შესაწირავი ასრე და ამა პირსა ზედან, რომე ამას წინათ ხობს ვიდექით ჩვენ... მერმე ლიპარტიანი ქვემოთ წაბრძანდა აფხაზეთს ლაშკრად, და ჩვენ ზუკდიდამდის ვიახელით, და ცოტა უძლებად ვიყვით, და დაბრუნდით, და აქ ხობს მოვედით"[121].

აფხაზთა მთავარი იძულებული გახდა დაეთმო მიტაცებული მიწების ერთი ნაწილი, ენგურსა და ღალიძგას შორის მდებარე ტერიტორია, რომელიც ოდიშის მთავრის იურისდიქციაში მოექცა კელავ, და მორჩილების ნიშნად მძევლებიც მიეცა აბაშიძისათვის. ვახუშტის ცნობიდან ჩანს, რომ აფხაზები მკვიდრად დაფუძნებულან მდ. კელასურსა და მდ. ღალიძგას შორის ტერიტორიაზე, მაგრამ ღალიძგასა და ენგურს შორის მდებარე მხარე ჯერ კიდევ ვერ აუთვისებიათ.

ღალიძგასა და ენგურს შორის მდებარე მიწა-წყლის ოდიშის სამთავროს შემადგენლობაში დაბრუნების შემდეგ, ამ მხარის გამგებლად აფხაზეთის სამთავრო სახლის გვერდითი შტოს წარმომადგენლები დარჩნენ. 1704 წ. ყვაპუ შარვაშიძე რუხში გარდაიცვალა. კათალიკოსი

---

[117] ხ. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. I, გვ. 86.
[118] მ. რეხვიაშვილი, იმერეთი XVIII საუკუნეში, გვ. 7.
[119] ვახუშტი, აღწერა..., გვ. 862-863.
[120] იქვე. გვ. 863.
[121] ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ. I, გვ. 30-31.

გრიგოლ ლორთქიფანიძე გელათიდან ჩამოვიდა და "ნიშანი" (ერთიერთული გადასახადი, რომელიც მარიებდა მიცვალებულის ჭირისუფალს: გარდაცვლილის პირადი ნივთ-იარაღი, შეკაზმული ცხენი, ყმა-მამული ეკლესიისათვის ან სხვ.) აიღო[122]. ის ფაქტი, რომ ყვაპუ შარვაშიძე რუხში გარდაიცვალა და კათალიკოსი მისი "ნიშანის" ასაღებად ჩამოვიდა იმერეთიდან, კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ეს მხარე პოლიტიკურად და ეკლესიურად ოდიშის ორგანული ნაწილია. ყვაპუს შემდეგ ოდიშის ამ ნაწილზე გაბატონდა მისი ვაჟი მურზაყანი. ზეპირი ხალხური გადმოცემით მას თავის სამფლობელოში ტყვეთა სყიდვა აუკრძალავს, ქურდ-ავაზაკნი სასტიკად დაუსჯია, შედარებით მშვიდობიანობა დაუმყარებია, — ჭეშმარიტად "აღუყავილებია" ეს მხარე, რითაც ხალხის სიყვარული და პატივისცემა დაუმსახურებია. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ მოგვიანებით, XVIII ს. 30-40-ან წლებში, ოდიშის ამ მხარეს სამურზაყანო ეწოდა[123].

§ 3. ოდიშ-აფხაზეთის ბრძოლა ოსმალთა აგრესიის წინააღმდეგ XVIII ს. I ნახევარში

XVII-XVIII სს. მიჯნაზე დას. საქართველო თურქეთის პოლიტიკური გავლენის სფეროში იყო მოქცეული. დას. საქართველოს პოლიტიკურ ერთეულებს თურქეთი თავის ვასალ ქვეყნებად თვლიდა და აქტიურად ერეოდა მათ საშინაო საქმეებში. იმერეთის მეფეს, გურიის, ოდიშისა და აფხაზეთის მთავრებს ტახტზე სულთანი ამტკიცებდა. ამ პოლიტიკურ ერთეულთა ხელისუფალნი ქრისტიანები იყვნენ და თურქებს მათი გამაჰმადიანება არც უცდიათ. მათი თურქეთზე დამოკიდებულება სულთანისთვის ყოველწლიურად მისართმეველის გაგზავნაში გამოიხატებოდა, რომელსაც ქართველები "ქრთამს" ეძახდნენ, რაც შეეხება სასულიერო ხელისუფლებას, ის თურქეთზე არაფრით არ იყო დამოკიდებული და ენერგიულად ებრძოდა მაჰმადიანობის მოძალებას[124]. დას. საქართველოს ხელისუფალნი ყოველ ხელსაყრელ შემთხვევას იყენებდნენ, რომ ოსმალთა დამოკიდებულებიდან გათავისუფლებულიყვნენ, მაგრამ XVII ს.

---

[122] კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძის შეწირულობის წიგნი ბიჭვინტისადმი (1712 წ.). — ი. ლოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 670.

[123] თ. ჭიჭინაძე, საქართველოს ისტორიის მასალა, გვ. 394; ე. ზუხბაია, ხ. ზანთარია, გალი. რაიონის ბუნება, ეკონომიკა, ისტორიული ნარკვევი, სოხუმი, 1988, გვ. 72-73.

[124] შ. ბურჯანაძე, ისტორიული დოკუმენტები..., გვ. 45; ქ. ჩხატარაიშვილი, საქართველოს საგარეო ურთიერთობათა ისტორიიდან..., გვ. 43-44; მისივე, დასავლეთი საქართველო XVIII ს. პირველ ნახევარში, — სინ., ტ. IV, გვ. 455.

II ნახევარში დას. საქართველოში მიმდინარე ფეოდალურმა შინაომებმა პირიქით, აქ ოსმალთა ბატონობის გაძლიერების შეუწყო ხელი.

1702 წ. გიორგი აბაშიძემ, რომელმაც მნიშვნელოვნად განამტკიცა თავისი ხელისუფლება, ახალციხის ფაშას ყოველწლიური მისალმელის გაგზავნა შეუწყვიტა, რითაც უარი თქვა ოსმალეთის მორჩილებაზე. ასევე მოიქცნენ დადიანი და გურიელიც. ოსმალთა მორჩილებიდან გამოვიდნენ აფხაზებიც, რომლებიც თავს ესხმოდნენ და ძარცვავდნენ თურქ ვაჭრებს[125]. ქართველების ოსმალებისათვის რამდენიმე ციხეც წაერთმევინა[126]. ამ ამბების უშუალო კავშირი ქონდა რუსეთის იმდროინდელ ანტითურქულ გეგმებთან. დას. საქართველოს მესვეურნი შავ ზღვაზე რუსეთის ფლოტის გამოჩენისა და მისგან დახმარების მოლოდინში იყვნენ, მაგრამ ასი იმედები არ გამართლდა[127]. 1703 წ. 31 იანვარს ჟულოსანმა "ძალი ფირმანი" გასცა არზრუმის ბეგლარბეგ ჰალილ ფაშას სახელზე და დას. საქართველოს საბოლოოდ დასაპირისპირებლად ლაშქრობის მოწყობა უბრძანა[128].

1703 წ. ზაფხულში ოსმალები დას. საქართველოსაკენ გამოემართნენ, ისინი გურიაში შეიჭრნენ და ციხეები დიკიეს, რის შემდეგაც გურიელი იძულებული გახდა მორჩილება გამოეცხადებინა ასათვის. მოსახლეობა მედგარ წინააღმდეგობას უწევდა ოსმალებს, მაგრამ ძალზე ურთია სიმრავლემ და ფეოდალურმა განკერძოებულობამ მტრის წარმატების შეუწყო ხელი. თურქებს ეახლა გიორგი აბაშიძეზე განაწყენებული თავადი გიორგი მიქელაძე და შუაგულ იმერეთისაკენ მეგზურობა გაუწია. ოსმალები შეიჭრნენ ოდიშშიც და ქვეყანა აოხრეს, რუხის ციხეში მეცხოველეები ჩააყენეს და ზღვისპირას ახალი დასაყრდენის შექმნის მიზნით ააშენეს ანაკლიის ციხე[129]. იმავდროულად, ოსმალებს ხიმალდები გაუგზავნიათ აფხაზების წინააღმდეგ, რომლებმაც "შეიქმნეს ზოგიერთი არევ-დარევა სანაპიროებზე"[130]. დას. საქართველო სრული დაპყრობის საფრთხის წინაშე იდგა, და არც ჩანდა რაიმე გამოსავალი, მაგრამ მოულოდნელად ვითარება რადიკალურად შეიცვალა. სტამბოლში აჯანყდა სწორედ ის ჯარი, რომელიც საქართველოში გამოსაგზავნად იყო გაშზადებული. ამ აჯანყების თურქეთში ხელისუფლების შეცვლა მოჰყვა. სულთანი მუსტაფა II გადადგა და ტახტზე აკიდა მისი ძმა აჰმედ III. ახალმა სულთანმა, პირველ რიგში, აჯანყებულებს რამდენიმე წლის გადაუხდელი ჯამაგირი გადაუხადა და დას. საქართველოდან ლაშქრის გამოწვევა

---

[125] ვახუშტი, აღწერა..., გვ. 863; მ. რეხვიაშვილი, იმერეთი XVIII საუკუნეში, გვ. 9; ა. ტულუში, თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ..., გვ. 272.

[126] მეჩხედ რაშიდ, ისტორია, ტ. II, გვ. 581, იხ. ვ. ჩიჩუა, ზეჩხედ რაშიდის ცნობები..., გვ. 25.

[127] ქ. ჩხატარაიშვილი, საქართველოს საგარეო ურთიერთობათა ისტორიიდან..., გვ. 52.

[128] მეჩხედ რაშიდ, იქვე, გვ. 580-581, იხ. ვ. ჩიჩუა, იქვე, გვ. 24-25; ქ. ჩხატარაიშვილი, იქვე.

[129] ვახუშტი, იქვე, გვ. 863-864; ქ. ჩხატარაიშვილი, იქვე, გვ. 58-61; მისივე, დასავლეთ საქართველო XVIII ს. პირველ ნახევარში, გვ. 457–458; მ. რეხვიაშვილი, იქვე, გვ. 10-11.

[130] ი. ტაბაღუა, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა, თბ., 1972, გვ. 63.

ბრძანა, რადგან ოსმალეთის მთავრობას ლაშქრობის გაგრძელების ძალა არ შესწევდა. ოსმალთა ჯარის სარდლობა დაუბრუნდა გიორგი აბაშიძეს. იმერეთის მეფედ გამოცხადდა გიორგი VI, აბაშიძე მეფის მეურვე უნდა ყოფილიყო. ამის შემდეგ ოსმალთა ჯარმა, გარდა მეციხოვნეებისა, დაიწყო დას. საქართველოს დატოვება, მაგრამ ამ დროს ქართველებისათვის ცნობილი გახდა სტამბოლში დატრიალებული ამბები. გიორგი აბაშიძემ უკანდახეულ ოსმალებს გზები შეუკრა და სასტიკად დაამარცხა. მტერმა დაკარგა ნადავლისა და ტყვეების დიდი ნაწილი და მხოლოდ მათმა მცირე ნაწილმა გააღწია ახალციხის საფაშომდე [131].

დას. საქართველო დაპყრობას გადაურჩა, თუმცა ქვეყანა საშინლად იყო აოხრებული. ამას ერთვოდა იმერეთის სამეფოში ტახტისათვის გაჩაღებული ბრძოლა, რომელშიც ოდიშისა და გურიის სამთავროებიც იყვნენ ჩართული. ოდიშში ოსმალო მეციხოვნეები დარჩნენ ფოთის, ანაკლიისა და რუხის ციხეებში[132], თუმცა მათი ხელისუფლება ამ ციხესიმაგრეთა კედლებს არ სცილდებოდა. ოდიში ისევ ოსმალეთის დამოკიდებულებაში დარჩა და ამიტომ ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლა არ ნელდებოდა. 1704 წ. ზაფხულში ოდიშის მთავარმა ოსმალთა მიერ დაკავებულ ციხეებზე მიიტანა იერიში. მას აფხაზებიც ეხმარებოდნენ. ქუთაისის ყადის ელჰაჯ ომერის 1704 წ. 1 სექტემბრით დათარიღებულ წერილში ნათქვამია, რომ დადიანი მორჩილებიდან გამოვიდა, ხმელეთზე აჯანყებულ დადიანს ზღვაზე აფხაზები შეუერთდნენ და თურქთა ხელში მყოფი რუხისა და ანაკლიის ციხეები დაიკავეს. დადიანმა ანაკლიის ციხე დაწვა, მეციხოვნეთათვის გამოგზავნილი სურსათი ხელთ იგდო, მასზე დაკისრებული ჯიზია და ფეშქაში არ გადაიხადაო[133]. ოსმალეთის ხელისუფლებამ დაკარგული ციხეების დასაბრუნებლად სათანადო ზომები მიიღო. 1706 წ. ანაკლიისა და რუხის ციხეები კვლავ ოსმალთა ხელშია[134].

დას. საქართველოში ოსმალთა 1703 წ. ლაშქრობის დამარცხების შემდეგ გიორგი IV დადიანმა, აბაშიძის თანხმობით, საჭილაო-სამიქელაო დაიკავა და გიორგი მიქელაძე გააძევა იქიდან. მიქელაძის და ცოლად ჰყავდა დადიანს თამარ აბაშიძის შერთვამდე. მასთან გაშორების შემდეგ ჩამოვარდა მტრობა დადიანსა და მიქელაძეს შორის. მიქელაძე გიორგი აბაშიძესაც მტრობდა და თურქთა 1703 წ. შემოსევისას მათ მეგზურობას უწევდა. ამავე პერიოდში არეულობა დაიწყო ოდიშის სამთავრო კარზე. ოდიშის მთავარს ჯერ მისი ძმა იესე განუდგა, რომელიც ლეჩხუმს

---

131 ეახუშტი, აღწერა..., გვ. 865; ქ. ჩხატარაიშვილი, საქართველოს საგარეო ურთიერთობათა ისტორიიდან..., გვ. 61-63; მისივე, დასავლეთი საქართველო XVIII ს. პირველ ნახევარში, გვ. 459; მ. რეხვიაშვილი, იმერეთი XVIII საუკუნეში, გვ. 12.

132 ქ. ჩხატარაიშვილი, დასავლეთი საქართველო XVIII ს. პირველ ნახევარში, გვ. 459-460.

133 ნ. შენგელია, ოსმალური დოკუმენტური წყაროები ანაკლიისა და რუხის ციხეების შესახებ, გვ. 21.

134 იქვე, გვ. 23-27.

განაგებდა და გიორგი VI-ს (1703-1720) მიუვიდა ქუთაისში, შემდეგ შვილებიც აუმხედრდნენ, რომლებიც გადამტკიცებულნი იყვნენ მამის მის მიერ თამარ აბაშიძის შერთვის გამო. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, რომელსაც ეს ამბები 1704 წლით აქვს მოთხრობილი, გიორგი ლიპარტიანმა (?) დადიანად დასვა უფროსი ვაჟი კაცია. შუათანას – ბეჟანს ლეჩხუმი უბოძა, ხოლო მონაზონ გაბრიელს – ჭყონდიდის ეპისკოპოსობა. ვახუშტი ბატონიშვილის ამ ცნობაზე დაყრდნობით, ქართულ ისტორიოგრაფიაში მიჩნეულია, რომ ჩიქვანთა გადადიანება 1704 წ. ხდება და ოდიშის პირველი მთავარი ჩიქვანთა გვარიდან კაცია I დადიანია[135].

გიორგი ლიპარტიანის "შეწირულობის წიგნში ცაგერის ტაძრისადმი" (1701 წ.), სადაც იგი დადიანად (დადიან-ლიპარტიანი) იწოდება, ჭყონდიდელად მოხსენიებულია მისი ვაჟი გაბრიელი; 1706 წ. 23 მაისით დათარიღებული საბუთის – "გიორგი დადიანის შეწირულობის წიგნი დოდოს მონასტრისადმი", – მიხედვით, ოდიშის მთავარი გიორგი დადიანია ისევ. იქვე მოხსენიებულია მისი ვაჟი კაციაც ყოველგვარი ტიტულის გარეშე*. ამდენად, 1704 წ. გაბრიელ ჩიქვანის მიერ ჭყონდიდის კათედრის მიღება არ დასტურდება (იგი 1701 წ. უკვე ჭყონდიდელია), და არც კაცია ჩიქვანის გამთავრებას ჰქონია ადგილი. ეს უფრო გვიანდელი ამბავია.

ოდიშის სამთავრო კარზე არეულობის შემდეგ, ვახუშტი ბატონიშვილი მოგვითხრობს, რომ იმავე ხანებში იმერეთის მეფემ მნიშვნელოვნად განიმტკიცა ხელისუფლება და 1707 წლიდან აშკარად დაუპირისპირდა გიორგი აბაშიძეს, რომელიც ხელისუფლებას ჩამოაცილა. აბაშიძე ვერ ურიგდებოდა ძალაუფლების დაკარგვას. არც ოდიშის მთავარს მოსწონდა იმერეთის მეფის გაძლიერება. მეფის მოწინააღმდეგეთა ბანაკს რაჭის ერისთავიც შეუერთდა. 1709 წ. "ლიპარტიანისა" (გიორგი IV დადიანი) და რაჭის ერისთავის ჯარი ფარცხანაყანებში შეიყარა და აბაშიძის ჯარს დაელოდა. სანამ მათ აბაშიძე შეუერთდებოდა, გიორგი VI მოულოდნელად დაესხა თავს მოკავშირეებს და სასტიკად დამარცხა ისინი. ამის მცნობი აბაშიძე უკან გაბრუნდა და სვერის ციხეში ჩაიკეტა. მეფემ სვერის ციხე ვერ აიღო და რაჭაში გაილაშქრა. იგი ამჯერად ხოტევეთის ციხის აღებას შეეცადა, მაგრამ ვერც მისი აღება შეძლო, უკან გამობრუნდა და აბაშიძის კუთვნილ ნავარძეთის ციხეს შემოადგა. მაშაზე განაწყენებული ოდიშის მთავრის შვილები მეფის ბანაკში გადავიდნენ და დახმარება სთხოვეს მის წინააღმდეგ, "რათა ულაშქროს მეფემან და გარდაადგონ მამა მათი და დაიპყრან მათ ოდიში". გიორგი VI-ს ოდიშში გა-

---

[135] ვახუშტი, აღწერა..., გვ. 869-870; გ. ჯაბური, საქართველოს პოლიტიკური ვითარება XVII ს. 30-90-იან წლებში, გვ. 354. მხოლოდ თ. ბერაძემ მიუთითა, რომ ჩიქვანთა გვარიდან ოდიშის პირველი მთავარია გიორგი IV დადიანი (თ. ბერაძე, გიორგი IV დადიანი, – ქსე. 3, თბ., 1978, გვ. 163).

* შ. ბურჯანაძე, ისტორიული დოკუმენტები..., გვ. 152-154.

ილაშქრა. "ლიპარტიანმა" ვერ შეძლო წინააღმდეგობის გაწევა და აფხაზეთში გაიქცა. მეფემ ოდიშის მთავრად დასვა კაცია I დადიანი, ლევნუმს კი მისი უფროსი ძმა ბეჟანი დაუნიშნა[136]. ვახუშტი ბაგრატიონის ქრონოლოგიურ ცხრილშიც 1709 წლითაა მოთხრობილი იმერეთის მეფის გიორგი ალექსანდრეს ძის მიერ "ლიპარტიანისა" და რაჭის ერისთავის დამარცხება ფარცხანაყანევს, ნაგარძეთის ციხის აღება და რაჭის დალაშქრა, ამავე წელს ქართლის მეფის გიორგი XI-ის მოკვლა მარკვეთილის მიერ ყანდაარში[137]. ერთი კინკლოსის ცნობითაც, ამ ამბებს 1709 წ. ჰქონია ადგილი: "1709 წ. – აქა დეკემბერსა შემოეგენ მეფე გიორგის მაღლაკს დადიანი გიორგი, ოდიშარნი თან ახლდნენ, ზოგიერთი იმერლებაც თან ახლდნენ, და მეფე გიორგის გაემარჯვა"[138]. საინტერესოა, რომ ვახუშტისაგან განსხვავებით, რომელიც გიორგი ჩიქვანს ლიპარტიანის ტიტულით მოიხსენიებს, კინკლოსის ცნობაში იგი დადიანად იხსენიება.

როგორც აღვნიშნეთ, "ლიპარტიანის" შვილების გამოსვლა მამის წინააღმდეგ 1704 წ. არ დასტურდება და მას 1709 წ. უნდა ჰქონოდა ადგილი. იგი უკავშირდება იმერეთის სამეფოში მიმდინარე მოვლენებს, როდესაც მეფე აბაშიძის წინააღმდეგ შეტევაზე გადავიდა. მაშინ გიორგი IV დადიანის შვილებმა დრო ხელსაყრელად ჩაითვალეს შურის საძიებლად და მამას აუმხედრდნენ. ამრიგად, 1709 წ. ოდიშში გამოავრდა კაცია I დადიანი. ცაიშის გულანის მინაწერში აღნიშნულია, რომ ის "დაიწერა და გაკეთდა... პატრონობისა შინა დადიანის კაციასითა და. თანამეცხედრისა მათისა... ოდიშთა.ი, სუანთა.ი და აფკაზეთია მფლობელისა.ი. ბატონის დადიანის ძედ მოსათვლელისა.ი და ახლად ოდიშის დადიანის ძედ განმაახლებელისა.ი. დადიანის ასულის ბატონის დედოფლის მარიამის ბრძანებითა..."[139].

როგორც ჩანს, კაცია ჩიქვანს ოდიშის ტახტზე უფლებების განმტკიცების მიზნით ცოლად შეურთავს დადიანთა ძველი საგვარეულოს წარმომადგენელი მარიამი. ამით კაციას კიდევ მეტი უფლება მოუპოვებია გამთავრებულიყო და ვერავინ შედავებოდა ოდიშის ტახტს. ტყუილად არ არის გულანის მინაწერში ნათქვამი მარიამის შესახებ: "ახლად ოდიშის დადიანის ძედ განმაახლებელისა.ი". რაც შეეხება ამ პერიოდში დადიანთა მიერ სვანეთისა და აფხაზეთის ფლობას. სვანეთში, ქვემო სვანეთი, ანუ სადადიანო სვანეთი იგულისხმება (ლენტეხის, ჩოლურისა და ღაშხეთის თემები), რომელსაც დადიანები ფლობდნენ; რაც შეეხება აფხაზეთს, მასზე დადიანის უფლებაა განცხადებული, თუმცა, რეალურად, აფხაზეთი ამ დროს ოდიშის სამთავროზე არ იყო დამოკიდებული.

---

[136] ვახუშტი, აღწერა..., გვ. 869-870.
[137] იქვე. გვ. 909.
[138] ჯ. ოდიშელი, მცირე ქრონიკები, გვ. 59.
[139] ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, გვ. 190-191.

კაცია I დადიანის (1709-1710) მთავრობა დიდხანს არ გაგრძელებულა. 1710 წ. იგი ხუნაგისაგან გარდაიცვალა. გიორგი IV დადიანი (1701-1709, 1710-1714) შემოვიდა აფხაზეთიდან და კვლავ დაუფლა ოდიშს. თუმცა, მალე, 1714 წ. ბეჟანმა ტახტიდან ჩამოაგდო მამამისი და თვითონ დაჯდა მთავრად. ვახუშტის მიხედვით, ბეჟანი 1715 წ. გამოიყვანებულა, მაგრამ ბეჟან დადიანის შეწირულობის წიგნიდან ჭყონდიდისადმი, ჩანს, რომ 1714 წ. ის უკვე ოდიშის მთავარია[140].

ამავე პერიოდში, ოდიშარნი აფხაზებთან ერთად განაგრძობდნენ ბრძოლას ოსმალთა წინააღმდეგ. ისინი თავს ესხმოდნენ ციხეებში გამაგრებულ ოსმალებს და აწიოკებდნენ. 1714 წ. დიდი სიძნელეები შექმნია რუხისა და ანაკლიის მეციხოვნეებს "აფხაზ და მეგრელ ურწმუნო ყაჩალთა" თავდასხმების გამო. ისინი იტაცებდნენ მეციხოვნეთათვის განკუთვნილ სურსათს, ძარცვავდნენ ხმელეთითა და ზღვით მიმავალ ვაჭრებს, ხოცავდნენ ჯარისკაცებს, ადგილობრივ მოსახლეობას თურქებთან ვაჭრობა აუკრძალეს. ოსმალები ციხიდან გარეთ გამოსვლას ვერ ბედავდნენ. რუხის ციხის 182 მეციხოვნე იძულებული გახდა ციხე დაეცალა, თუმცა 1719 წ. მაწურულს თურქებმა ციხე კვლავ დიკავეს და 65 მეციხოვნე ჩააყენეს[141].

1721 წ. ოსმალების მხარდაჭერით იმერეთში გამეფდა ალექსანდრე გიორგის ძე (1721-1752). იმერეთში შემოსულმა ახალციხის ფაშამ ბეჟან დადიანიც (1714-1728) დაიმორჩილა და გარკვეული მოსაზრებით იგი ახალგაზრდა მეფის მეურვედ დანიშნა. ალექსანდრეს ცოლად შეირთო ბეჟან დადიანის ასული მარიამი. მისი ხელისუფლება სუსტი იყო. ფაქტობრივად, იმერეთს ოდიშის მთავარი განაგებდა[142]. ბეჟან დადიანი ორმაგ პოლიტიკას აწარმოებდა. ერთი მხრივ, იგი ოსმალეთს "ერთგულობდა", მეორე მხრივ კი, ანტიოსმალურ ძალებთან ამყარებდა კავშირს. ამ პერიოდში კავკასიაში აქტიურდება რუსეთის იმპერია. რუსეთის მიერ შირვანის დერბენტის დაკავებამ და საერთოდ, წინსვლამ კასპიისპირეთში, ურთიერთობამ საქართველოს სამეფო-სამთავროებთან, ოსმალეთის მმართველი წრეების შეშფოთება გამოიწვია. 1723 წ. ოსმალეთმა სასწრაფოდ გადმოისროლა დამატებითი ძალები კავკასიაში და რუსეთი აიძულა შეეწყვიტა წინსვლა კასპიისპირეთში. იმავე წლის ივნისში თურქებმა თბილისი აიღეს. ოსმალებმა დამატებითი ძალები გადაისროლეს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზეც. თავიდან აშენეს ფოთისა და სოხუმის ციხეები, დაარღვიეს რუხის ციხე და მისი ქვებით კიდევ უფრო გაამაგრეს ანაკლია[143].

---

[140] ვახუშტი, აღწერა..., გვ. 876; ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, გვ. 113; თ. ბერაძე, ბეჟან I დადიანი, — ქსე, 2, თბ., 1977, გვ. 311.

[141] ნ.შერგელია, ოსმალური დოკუმენტური წყაროები..., გვ. 90-92, 97.

[142] ვახუშტი, იქვე, გვ. 882; მ. რეხვიაშვილი, იმერეთი XVIII საუკუნეში, გვ.19.

[143] ქთამ ჩელები, ისტორიულ მოგონებათა კალენდარი, გვ. 135; ვ. ალასანია, ქთამ ჩელების ცნობები..., გვ. 134, 253; ვახუშტი, იქვე, გვ. 883; შ. ბურდუანაძე, ლიხთიმერეთის 1737 წ.

ოსმალებმა საგანგებოდ გაამაგრეს მათ ხელში არსებული ციხეები: ფოთს 200 თურქი მეციხოვნე იცავდა; სოხუმის ციხეში 100 მეციხოვნე იდგა 10 ზამბურაკით (საცეხო თოფებით); ანაკლიის ციხეში 10 მეციხოვნე იყო, ამდენივე იდგა ზამბურაკებით ანაკოფიაში. 1725 წ. ოსმალებმა ფოთში ორთულიანი ფაშა დასვეს და მას შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს გამგებლობა ჩააბარეს[144]. მოსახლეობა თურქთა ძალადობას არ ურიგდებოდა. ოსმალო მეჩატიანის ქუნუკ ჩელები ზადეს ცნობით, აფხაზები ზღვიდან და ხმელეთიდან ნიადაგ თავს ესხმოდნენ ოსმალებს, რომლებიც სოხუმში ციხეს აშენებდნენ. ამიტომ ისინი იძულებული გამხდარან თავი მოეყარათ მთელი თავიანთი ძალებისათვის და ამ გზით დაემორჩილებინათ აფხაზეთი[145]. 1725 წ. გაზაფხულზე ბეჟან დადიანი, რაჭის ერისთავი და ზურაბ აბაშიძე ოსმალთა წინააღმდეგ გამოსვლისათვის ემზადებოდნენ, მაგრამ ეს გამოსვლა ვერ განხორციელდა. იმავე წელს აფხაზებმაც სცადეს თურქთა განდევნა სოხუმის ციხიდან, მაგრამ ეს ცდაც უშედეგოდ დამთავრდა[146]. რუსეთის დესპანი სტამბოლში ა. რუმიანცევი და რეზიდენტი ი. ნეპლიუევი ამ ამბების შესახებ იტყობინებოდნენ: "სამეგრელოს ცნობილი მთავრის ბეჟან დადიანის მიერ დაწყებული არეულობა იზრდება და თითქოს აფხაზეთში, შავი ზღვის სანაპიროზე ახლადაგებული ერთ-ერთი ციხიდან თურქები განდევნეს"-ო; 1726 წ. 22 ივნისს ა. რუმიანცევი ყარსიდან იტყობინებოდა სამეგრელოსა და აფხაზეთში ახალი არეულობის შესახებ; 1728 წ. აფხაზებმა ისევ შემოარტყეს ალყა სოხუმის ციხეს[147]. თურქები ეჭვობდნენ, რომ დას. საქართველოში ანტიოსმალური გამოსვლები რუსეთის მხარდაჭერით ხორციელდებოდა და მას ქართლის დევნილი მეფე ვახტანგ VI (1703-1724) ხელმძღვანელობდა[148]. 1728 წ. ახალციხელი ისაყ ფაშას შვილმა აფხაზები შემოირიგა, ხოლო ანტიოსმალური ბრძოლის მოთავე ბეჟან დადიანი გუგუთში, იაშვილის სასახლეში ღალატით მოაკვლევინა[149]. მაგრამ ოსმალთა აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლა დას. საქართველოში ამის შემდეგაც არ ჩამცხრალა. ქართველთა და აფხაზთა თავდადებული ბრძოლის შედეგად ოსმალებმა ვერ შეძლეს თავიანთი მიზნის, საქართველოს სრული დამორჩილების, მიღწევა.

1730 წ. გაზაფხულზე ოსმალებმა გადაწყვიტეს ბათუმიდან აზოვამდე ზღვის სანაპიროს საბოლოოდ დაპყრობა და ჯიქების დამორჩი-

---

რუკა..., გვ. 192-197; ქ. ჩხატარაიშვილი, დასავლეთი საქართველო XVIII ს. პირველ ნახევარში, გვ. 461-462.

[144] შ. ბურჯანაძე, იქვე, გვ. 183; ქ. ჩხატარაიშვილი, იქვე, გვ. 462.

[145] ნ. შენგელია, XV-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები, გვ. 116.

[146] ქ. ჩხატარაიშვილი, იქვე, გვ. 467.

[147] Г.Г. Панчулидзе, Русско-грузинские политические отношения в первой половине XVIII века, Тб., 1977, გვ. 63, 79.

[148] იქვე, გვ. 79.

[149] ს. ჩხეიძე, საქართველოს ცხოვრება, გვ. 40; ქ. ჩხატარაიშვილი, იქვე.

ლება. ლაშქრობას უოთის ფაშა სარდლობდა. ფაშას მოწოდებით, იმერთა მეფე ალექსანდრეც იღებდა ამ ლაშქრობაში მონაწილეობას. მას სურდა იმერეთში თავისი ძალაუფლება განმტკიცებინა და ოდიშარნიც დაემორჩილებინა. ოტია დადიანმა (1728-1758) თავადაც უარი განაცხადა ლაშქრობაში მონაწილეობაზე და იმერეთის მეფესაც ურჩია, არ დახმარებოდა თურქებს: "არა კეთილ არს დაპყრობა მათგან ზღვის კიდისა ჩუენთვის"-ო. მაგრამ მეფემ არ შეისმინა დადიანის რჩევა[150]. თურქები ოდიშში შევიდნენ. მოსახლეობა, ვიდრე აფხაზეთამდე, მდ. ღალიძგამდე, სრულიად დახიზნულიყო. "არბევდნენ ოსმალნი და იმერნი და სტყუევნიდნენ, სადა ვის ჰპოვებდნენ, — წერს ვახუშტი ბატონიშვილი, — შევიდნენ ოსმალნი ილორს, არამედ ხატნი და ჯუარნი და სახმარნი ეკლესიისანი დაეხიზნათ. შეუდვეს ცეცხლი, მოწვეს ეკლესია და აღძარცვეს კრამიტი ბრჭენისა (ტყვეისა,-ბ.ხ.) და მოსპნეს დახატულებანი და შემდგომად განელეს და მივიდნენ აფხაზეთს"[151]. აფხაზთა მთავარმა წინააღმდეგობა გაუწია მათ, მაგრამ დამარცხდა და იძულებული გახდა მორჩილება გამოეცხადებინა მათთვის. ოსმალებმა აფხაზთა მთავარი და მისი ახლობლები იძულებით გაამაჰმადიანეს. ამის შემდეგ ისინი ჯიქეთისაკენ დაიძრნენ. იმერეთის მეფე მიხვდა, რომ ოსმალთა ლაშქრობაში მონაწილეობას უბედურების მეტი არაფერი მოჰქონდა მისი ქვეყნისათვის, ამიტომ თავისი ლაშქრით გზიდან გამოიპარა. მალე აფხაზებიც აჯანყდნენ და ოსმალებმა ვეღარ გააგრძელეს ლაშქრობა. აფხაზებმა მათი დიდი ნაწილი გაჟლიტეს, ნაწილი ზღვით გაიქცა. ფაშამაც გაქცევით უშველა თავს[152]. თუმცა, მოგვიანებით, ოსმალებმა კვლავ აღადგინეს თავიანთი გავლენა აფხაზეთზე. ოსმალური დოკუმენტური წყაროებით, 1731-1735 წწ. მათი მეციხოვნეები იდგნენ სოხუმისა და ანაკოფიის ციხეებში[153]. აფხაზები კარგად გრძნობდნენ იმ საფრთხეს, რასაც დას. საქართველოში თურქების გაბატონება უქადდა მათ, ამიტომ, ოდიშთან დაპირისპირების მიუხედავად, ისინი მეგრელებთან ერთად თავდადებით იბრძოდნენ ოსმალთა აგრესიის წინააღმდეგ. ამავე დროს, აფხაზები მონაწილეობდნენ დას. საქართველოში მიმდინარე ფეოდალურ შინაომში და, რაც უფრო საინტერესოა, ამ ბრძოლაში ისინი ოდიშის მთავარს უჭერდნენ მხარს. ეს ალბათ ოსმალთა აგრესიის წინააღმდეგ ოდიშარ-აფხაზთა ერთობლივი ბრძოლისა და შარვაშიძეებსა და დადიანებს შორის დამყარებული მჭიდრო ურთიერთობის შედეგი იყო.

ოტია დადიანმა ოსმალთა 1730 წ. ლაშქრობაში მონაწილეობის შურისძიების მიზნით, განიზრახა ალექსანდრე V ტახტიდან ჩამოეგდო, და მისი ძმა მამუკა ბატონიშვილი გაემეფებინა, რომელსაც თავისი და შერთო.

---

[150] ვახუშტი, აღწერა..., გვ. 886.
[151] იქვე, გვ. 886-887.
[152] იქვე, გვ. 887-888.
[153] Н.Н. Шенгелия, Османские арзы..., გვ. 274-286.

დადიანს მხარს უჭერდა იმერეთის მრავალი წარჩინებული. 1732 წ. 23 დეკემბერს ოდიშის მთავარი ჩიხორში შეება იმერეთის მეფეს, მაგრამ დამარცხდა და დაჭრილი თვითონაც ტყვედ ჩავარდა. საქმეში უმალ ოსმალები ჩაერიენენ, რომელთაც არ სურდათ იმერეთის მეფის გაძლიერება და ოდიშის მთავარი გააშვებინეს. მეფე და დადიანი დაზავდნენ. ამ უკანასკნელმა საჭილაო-სამიქელაო იმერეთის მეფეს დაუთმო, რომელიც მან მიუკა ბატონიშვილს გადასცა საუფლისწულოდ[154] . 1740 წ. ოტია დადიანი ოდიშარ-აფხაზთა ლაშქრით მოულოდნელად კვლავ შეიჭრა იმერეთში. მეფემ და დედოფალმა ძლივს მოასწრეს გაქცევა, დადიანის მარბიელმა ლაშქარს ვარციხის სასახლე დაწვა, ციხე დაარღვია და გაუცალა იმერეთს[155] .

შინაომებისა და ოსმალთა შემოსევებისაგან დას. საქართველო საშინლად იყო აოხრებული. მძიმე მდგომარეობა იყო აფხაზეთში, სადაც შინაურმა არეულობამ მთელი სამთავრო მოიცვა. აფხაზთა მთავრები ფაქტობრივად ვერ აკონტროლებდნენ სიტუაციას. შავი ზღვის სანაპირო-ზე ტყვის მსყიდველები თარეშობდნენ. მათ შორის განსაკუთრებით აქტიურობდნენ აფხაზები. მაშინ როცა ოდიშარ-აფხაზნი ერთად იბრძოდნენ ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ, აფხაზთა ერთი ნაწილი, ისევე როგორც ოდიშის თავადაზნაურობა, ტყვის სყიდვაში მონაწილეობდა. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, აფხაზები "უქდებიან ოსმალთა ნავთა და ლაზჭანთა უფროსად ოდიშ-გურიასა"[156] . ისინი მოულოდნელად ადგებოდნენ ნაპირს, ვისაც მოიხელთებდნენ იტაცებდნენ და თურქებზე ყიდდნენ. ან აფხაზეთში მონებად ასახლებდნენ[157] . ამასთან, აფხაზეთს ხშირად თავს ესხმოდნენ მეზობელი მთის ტომები, ქვეყნის შიდა რაიონებში ხშირად იჭრებოდნენ თავისუფალი აბაზური თემების – წებელდა, დალი, ფსხუ, ახჩიფსოუ – მკვიდრნი[158] . ერთი გადმოცემით, რომელიც კ. მაჭავარიანს აქვს ჩაწერილი, აფხაზთა მეზობელმა მთის ტომებმა, წებელდისა და დალის მცხოვრებთა მხარდაჭერით, ერთ-ერთი ასეთი მძარცველური თავდასხმის დროს მორბიეს დრანდა, მერხეული, კეიტოული, დიდსული ნადავლი და ტყვე იგდეს ხელთ და ჩრდ. კავკასიაში გადავიდნენ. აფხაზთა მთავარი ჯიქეშია შარვაშიძე ამ ტომების მეთაურებთან მოსალაპარაკებლად ჩრდ. კავკასიაში გადავიდა. მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდა, მაგრამ უკან დაბრუნებული მთავარი ღამით ტყეში გადააწყდა მარბიელთა ერთ ჯგუფს, რომლებმაც ჯიქეშია მოკლეს (მარბიელებმა არ იცოდნენ რომ ის მთავარი

---

[154] ს. ჩხეიძე, საქართველოს ცხოვრება, გვ. 44; ვახუშტი, აღწერა..., გვ. 888; ფ. ოდიშელი, მცირე ქრონიკები, გვ. 59, 128; ქ. ჩხატარაიშვილი, დასავლეთი საქართველო XVIII ს. პირველ ნახევარში, გვ. 465; მ. რეხვიაშვილი, იმერეთი XVIII საუკუნეში, გვ. 25-26.

[155] ვახუშტი, იქვე, გვ. 891.

[156] იქვე, გვ. 785.

[157] И.Г. Анцелава, Очерки по истории Абхазии XVII-XVIII веков, გვ. 156.

[158] Ф.Торнау, Воспоминания..., ч.1, გვ. 45; Ш.Д. Инал-Ипа, Дурнин, -ТАНИЛИ, XXIX, Сухуми, 1958,გვ. 78, 81.

იყო)[159] . აფხაზეთის სამთავრო ტახტზე ავიდა ჯიქეშიას უფროსი ვაჟი მანუჩარი. ამ პერიოდში, ოსმალებმა მოახერხეს აფხაზეთისა და ჯიქეთის დამორჩილება. ამის შემდეგ, ისინი სულ უფრო აქტიურად ერევიან სამთავროს საშინაო საქმეებში და მზარს უჭერენ სამთავრო სახლის მოწინააღმდეგე ძალებს. 30-იან წლებში, ოსმალებმა ტახტიდან ჩამოგდეს მანუჩარ შარვაშიძე და ორ უმცროს ძმასთან — ზურაბთან და შირვანთან ერთად ოსმალეთში გააგზავნეს, სადაც ძალით გაამაჰმადიანეს. აფხაზეთის გამგებლობა, სოხუმის კომენდანტად დანიშნული ჯიქის — ასლან-ბეი გეჩის ხელში გადავიდა[160] . ამ პერიოდში, აფხაზეთში დიდი გავლენა მოიპოვა სამთავრო სახლის მეტოქე ძიაფშ-იფების საგვარეულომ, რომლის გაძლიერებასაც მზარს უჭერდა ასლან-ბეი გეჩი. ძიაფშ-იფებმა დაიკავეს სოხუმის მიდამოები, ტერიტორია მდინარეებს — ფსირცხასა და კოდორს შორის და მთავრის კუთვნილი მთელი რიგი ფეოდალური შემოსავლები მითვისეს[161] .

შარვაშიძეებმა მალე მოახერხეს ოსმალებთან საერთო ენის გამონახვა. ასე, რომ, 1744 წ. მანუჩარ შარვაშიძე ბათუმის ბეგად* იყვდა, ზურაბი სოხუმისა, ხოლო შერვანი ფაშას ტიტულით განაგებდა რიონის (ფოთის) ცხენისა და ჭანეთს, რიზეს "ამოღმა"[162] . ერთი ცნობით, ზურაბი დიდის ამბით მიიღეს აფხაზეთში, მაგრამ გაქრისტიანება მოსთხოვეს. ისიც მოინათლა იღორის ეკლესიაში და დაიკავა სამთავრო ტახტი[163] . როგორც ჩანს, აფხაზეთში ჯერ კიდევ ცოცხალი იყო ტრადიცია, რომ აფხაზეთის მთავარი ქრისტიანი უნდა ყოფილიყო. ზურაბს ვაჟიშვილი არ ჰყავდა, ამიტომ თურქეთიდან ჩამოიყვანა თავისი ძმისწული ქელაიშ-აჰმედ-ბეი (ქელეშ-ბეი) მანუჩარის ძე, რომელიც ანალვაზრდობიდან მძევლად იყო სტამბოლში, და ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადა. შემდეგ ზურაბმა ბათუმიდან ჩამოიყვანა მეორე ძმისწულიც — ბეკირ-ბეი შერვანის ძე, რომელსაც აბეუა უბოძა[164] . აფხაზეთის მთავარმა ძიაფშ-იფების ძლიერი და გავლენიანი საგვარეულოს მისამრჩობად მათი ქალიშვილი

---

[159] К.Мачавариани, Описательный путеводитель ...., გვ. 246.

[160] А.Пахомов, Записка,... გვ. 243, 253, 292; Утверждение русского владычества на Кавказе, под ред. генерал-майора Потто, т. III, ч. II, Тифлис, 1901, გვ. 539-540; Н.Г. Антелава, Очерки по истории Абхазии XVII-XVIII веков, გვ. 75-7 .

[161] А.Пахомов, იქვე, გვ. 243, 253, 292; Утверждение..., იქვე, გვ. 539-540

* ბეგი (ოსმ.) [illegible] ბატონი, პატრონი, [illegible], [illegible] [illegible] [illegible]

შერთო ქელეშ-ბეის, რასაც ძიაფშ-იფების ოპოზიციის რამდენადმე შესუსტება და მთავრის ხელისუფლების განმტკიცება მოჰყვა[165].

XVIII ს. შუახანებში აფხაზეთის სამთავროს საზღვარი ოდიშთან მდ. ღალიძგაზე გადიოდა. ვახუშტი ბატონიშვილი თავისი დროის ოდიშ-აფხაზეთის საზღვრის შესახებ აღნიშნავდა: „...აწ ეგრისის მდინარემდე უპყრავსთ აფხაზთა, და მას ზედა სამხრის კერძო დადგანსა"[166]. მდ. ღალიძგასა და მდ. ენგურს შორის მდებარე ტერიტორია (სამურზაყანო), რომელიც XVII ს. მიწურულს მიიტაცა აფხაზთა მთავარმა, 1702 წლიდან კვლავ ოდიშის სამთავროს შემადგენლობაში შედის. თუმცა, ამ მხარის მმართველებად დარჩნენ აფხაზეთის სამთავრო სახლის გვერდითი შტოს წარმომადგენლები. ამის გამო, სამურზაყანოს აღნიშვნელად XVIII ს. II ნახ. ქართულ წყაროებში მკვიდრდება ტერმინები: "ზემო აფხაზეთი" და "სამურზაყანო აფხაზეთი". აფხაზეთის სამთავროს ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი მდ. ბზიფზე (კაპეტის წყალი) გადიოდა, სადაც ჯიქეთი ესაზღვრებოდა[167].

§ 4. აფხაზეთის ეთნო-კულტურული სახე გვიან შუასაუკუნეებში

ა. აფხაზები და აბაზინ-ადიღეური სამყარო

აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთით XVIII-XIX სს. უცხოელი ავტორები მრავალრიცხოვანი აბაზა ტომების განსახლებას აღნიშნავენ. ამ ტომებში იგულისხმებიან აფხაზებიც. საფრანგეთის კონსული ყირიმის ხანის კარზე, იტალიელი ქსაველრიო გლავანი 1724 წ., 24 აბაზა ბეის არსებობას აღნიშნავს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე აფხაზეთიდან გელენჯიკის კონცხამდე, რომელიც აბაზასა და ჩერქეზეთის საზღვარი იყო[168]. მ. პეისონელი (XVIII ს. 60-იანი წლები) წერს, რომ აბაზები ცხოვრობდნენ სუჯუკიდან (ამჟ. ნოვოროსიისკი) სამეგრელომდე[169]. გიულდენშტედტის მიხედვით, აფხაზეთი (აბაზა) სამ ნაწილად იყოფა: ჩრდილო-დასავლეთი აფხაზეთი (ადიღეური ტომებით: უბიხები, შაფსუღები და სხვ. დასახლებული მხარე); ჩრდილო-აღმოსავლეთი აფხაზეთი, ე.წ. "მცირე აფხაზეთი"* და სამხრეთ-დასავლეთი აფხაზეთი ("ძველი აფხაზეთი"). "ამ მხარეში ბატონობენ თურქები, ფაშას მეთაურობით, რომელიც

---

[165] А.Пахомов, Записка..., გვ. 243-244; И.Г. Антелава, Очерки по истории Абхазии XVII-XVIII веков, გვ. 76-77.
[166] ვახუშტი, აღწერა..., გვ. 782-783.
[167] იქვე, გვ. 783.
[168] Кс.Главани, Описание Черкесии, СМОМПК, вып. 17, Тифлис, 1893, გვ. 17.
[169] М.Пейсонел, Исследование торговли..., გვ. 29.
* XVIII-XIX სს. "მცირე აფხაზეთად" იწოდება ჯიქეთი.

ზის შავ ზღვაზე მდებარე ციხე სოკუნკალაში (სოხუმ-კალე-ბ.ხ.) და რომელსაც ჩვეულებრივ აფხაზეთის თავადური გვარიდან... ირჩევენ"[170]. მოგვანებით, XIX ს. დასაწყისში ს. ბრონევსკი აღნიშნავს, რომ აფხაზეთი, ანუ აბაზა სამეგრელოდან გელენჯიკის ყურემდე (სუჯუკ კალე) ვრცელდება, სადაც მას ჩერქეზეთი ესაზღვრება"[171].

გარდა იმისა, რომ აბაზური ტომები: აფხაზები (აფსუა), ჯიქები (საძები), უბიხები და სხვ. ცხოვრობდნენ კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე და შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, აბაზები (ბაშილბაევები, თამოველები, შახგირეები, ყიზილბეკოვები, დუდარუკოვები, ლოოვები, ბალოველები და სხვ.) ცხოვრობდნენ ჩრდ. კავკასიაშიც[172]. XVIII ს.-დან მოკიდებული, ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულია თვალსაზრისი, თითქოს აბაზები ჩრდ. კავკასიაში გადასახლებული აფხაზები არიან. ეს თვალსაზრისი გაზიარებული აქვთ როგორც XIX ს., ასევე XX ს., მათ შორის თანამედროვე მკვლევრებსაც[173]. აფხაზმა მკვლევარმა ს. ბასარიამ 1929 წ. სპეციალურად მოიარა ჩრდილოკავკასიელი აბაზების სოფლები იმ მიზნით, რომ მოეძია აფხაზების ჩრდ. კავკასიაში გადასახლების კვალი, მაგრამ ამის დამამტკიცებელი ფაქტები ვერ ნახა. აბაზები თავიანთ წინარე სამშობლოდ თვლიდნენ ვორდანეს, სოჩას იქითა მხარეს, ე.ი. აფხაზეთის მოსაზღვრე ტერიტორიას მის ჩრდილო-დასავლეთით. უფრო მეტიც, მკვლევარი აღნიშნავს, რომ აბუელებისა და ბზიფელების მტკიცებით, სწორედ ისინი არიან გადმოსახლებული ჩრდ.-დას. კავკასიიდან[174]. როგორც ლ. ლავროვმა ცხადყო, ჩრდილოკავკასიელი აბაზები ოდესღაც მართლაც ცხოვრობდნენ შავიზღვისპირეთში, აფხაზების ჩრდილო-დასავლეთით. აფხაზებთან აბაზების ისტორიული საზღვარი გაგრასთან გადიოდა[175]. აბაზების ისტორიულ გადმოცემებშიც მათი პირველადი საცხოვრისის ადგილად ეს ტერიტორია ფიგურირებს[176]. ამას ადასტურებს ჩრდილოკავკასიელი აბაზების სატომო, საგვარეულო და ტოპონიმიკური ტერმინების პარალელები შავიზღვისპირეთში მცხოვრები ჯიქების შესაბამის

---

[170] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. II, გვ. 51, 53.

[171] С.Броневский, Новейшие..., ч. I, გვ. 318-319.

[172] Торнау, Горские племена..., იქვე.

[173] С.Броневский, იქვე. გვ. 331; Л.Люльє, Черкесия. Историко-этнографические статьи, Краснодар, 1927, გვ. 9; А.Берже, Краткий обзор..., გვ. 276; В. Бартольд, Абхазы,-Новый энциклопедический словарь Брокгауза и Ефрона, I, СПб., 1880, გვ. 49; С.Басария, Абхазия, გვ. 18; З.В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии, გვ. 203-210; Ш.Д. Инал-Ипа, Страницы исторической этнографии абхазов, გვ. 281.

[174] С.Басария, Абазинский аул..., გვ. 16-17.

[175] Л.И. Лавров, "Обезы" русских летописей, გვ. 164.

[176] Л.Люльє, Черкесия, გვ. 9; Л.Лавров, "Обезы" русских летописей, გვ. 164.

ტერმინებთან. ასე მაგალითად: ერთი მხრივ, ერთ-ერთი მსხვილი ფეოდალური საგვარეულო აბაზებში და საზოგადოება, რომელსაც ის ედგა სათავეში და, მეორე მხრივ, საზოგადოება მდ. სოჩას ჩრდ. დასავლეთით, ატარებდნენ ერთი და იგივე სახელს — ლოო, აბაზების საზოგადოება ბაღ-ს პარალელი ეძებნება ჯიქების ამავე სახელწოდების საზოგადოებაში და, ამ შემთხვევაში, უფრო ძველია არა ჩრდილოკავკასიური, არამედ ჯიქეთის ბაღ-ი; საგვარეულო და საზოგადოება კეჩ-ი არსებობდა ჩრდილოკავკასიელ აბაზებში და ჯიქებშიც. ჯიქების კეჩი ცხოვრობდა მდ. მზიმთას შენაკად კეჩზე (ჩვეულებრივ, მდინარეები კი არ იწოდებოდნენ საზოგადოების სახელით, არამედ საზოგადოება იწოდებოდა მდინარის სახელის მიხედვით). აქედან გამომდინარე, ჩრდილოკავკასიური ლოო, ბაღი, კეჩი, დიდირკვაი და სხვ. ნაწარმოებია შაეიზღვისპირეთის შესაბამისი ტოპონიმიკური ტერმინებიდან. ამრიგად, აფხაზეთის მოსაზღვრე ჩრდ.-დას. მხარის ტოპონიმიკა ატარებს აბაზურ კვალს. ამასთან, შაეიზღვისპირეთის აბაზური ტოპონიმიკა უფრო ძველია, ვიდრე ჩრდილოკავკასიელი აბაზების[177].

აბაზებს ჩრდ.-დასავლეთით ჩერქეზული ტომები (ადიღე) ესაზღვრებოდნენ. საზღვარი მათ შორის სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა იყო: XVI ს. I ნახევრამდე, სავარაუდოა, რომ აბაზები მდ. ყუბანის ქვემო წელამდე აღწევდნენ; XVII ს. I ნახევარში საზღვარი ჩერქეზებთან ტუაფსესთან (კოდოშის ანუ კუტასის კონცხი) გადის. ამრიგად, ადიღეური ტომები თანდათან სამხრეთ-აღმოსავლეთით მოიწევენ და აბაზებს ავიწროებენ. აბაზების ერთი ნაწილი, თავის მხრივ, აფხაზებს ავიწროებს, მეორე ნაწილი კავკასიონის ქედსა და ხეობებს აფარებს თავს და შემდეგ ჩრდ. კავკასიაში გადადის. იმავდროულად მიმდინარეობს აბაზების ადიღეურ ტომებთან შერწყმის პროცესი. საინტერესოა, რომ ჩერქეზების აზროვნებაში დიდხანს არსებობდა ჩერქეზულ ტომთა ერთი ნაწილის, რომელთაც ისინი ადიღეს (ეს. ჩერქეზები) უწოდებდნენ, დაპირისპირება ჩერქეზულ ტომთა მეორე ნაწილთან, რომელიც არ ითვლებოდა ადიღეურად და აბაზა ეწოდებოდა[178]. ჩერქეზული ტომები: შაფსუღები, ნათუხაჯები, აბაძეხები, გუაე, ჟანები, ბჟედუხები და მახოშეველები დიდხანს თვით ჩერქეზებისაგანაც არ მიიჩნეოდნენ ჩერქეზებად და აბაზებად იწოდებოდნენ[179]. ცნობილმა კავკასიოლოგმა ლ. ლავროვმა საკითხის შესწავლის შედეგად საესებით სწორად დაასკვნა, რომ ჩერქეზული ტომები, ე.წ. "აბაზა," წარმოადგენენ რამდენიმე ასწლეულის წინ შაეიზღვისპირეთიდან გადასახლებულ აბაზებს, რომლებიც გაჩერქეზდნენ[180]. მართლაც, ჩერქეზული ტომები:

---

[177] Л.Лавров, "Обезы" русских летописей, გვ. 163-164.

[178] Торнау, Горские племена..., იქვე; Л.Лавров, იქვე, გვ. 165.

[179] Торнау, იქვე; Л.Лавров, იქვე.

[180] Л.Лавров, იქვე, გვ. 166. გიულდენშტედტიც აღნიშნავდა აბაზების თანდათან გაჩერქეზებაზე (იხ. გიულდენშტედტის მოგზაურობა, ტ. II, გვ. 207-215).

შაფსუღები, აბაძეხები, ბჟედუხები, მახოშეველები XVIII ს.-მდე ცხოვრობდნენ ჯიქეთის ჩრდილო-დასავლეთით, ეელიასეული აბაზა ტომების განსახლების ტერიტორიაზე[181] . აქედან გადასახლდნენ ისინი ჩრდ. კავკასიაში. ე. ჩელებიმ მოუსწრო კიდეეაც ბჟედუხების ერთი ნაწილის შავიზღვისპირეთიდან, მდ. სოჩასა და მდ. შახეს შუამდინარეთიდან, ჩრდ. კავკასიაში გადასახლების პროცესს. ის წერს, რომ მეზგლი გირეი ხანმა "ბუზუდუკის" ტომიდან სამი ათასი მეომარი ასტრახანის ლაშქრობაში წაიყვანა და როდესაც ასტრახანი დაიპყრეს, "ბუზუდუკის" ტომი ჩერქეზთა ქვეყანაში დასახლდა. აბაზას "ბუზუდუკებს" ჩერქეზეთის "ბუზუდუკებისაგან" უბურად წოდებული მთა ყოფდა. ისინი აბაზურად და ჩერქეზულადაც ლაპარაკობდნენ[182] . როგორც ჩანს, ჩერქეზეთში გადასახლების შემდეგ ბჟედუხებმა შეითვისეს ჩერქეზული ენა, მაგრამ გარკვეულ ხანს მაინც, შეინარჩუნეს საკუთარიც. რაც შეეხება ჩრდ. კავკასიაში განსახლებულ აბაზებს, შავიზღვისპირეთიდან მათი გადასახლება XIV-XVII სს. ფაქტია. ეს არ იყო ეპიზოდური და ჩქარი პროცესი, ის თანდათანობით ხორციელდებოდა[183] .

ამრიგად, აფხაზეთის მოსაზღვრე მხარე, მის ჩრდილო-დასავლეთით, დასახლებული იყო აფხაზთა მონათესავე აბაზა ტომებით. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზები (აფსუა) და აბაზები ერთი მოდგმის ხალხია და ერთი ენის დიალექტებზეც მეტყველებენ, მათი სრული გაიგივება არასწორია*. საგულისხმოა, რომ ჩერქეზები მკვეთრად ანსხვავებენ აბაზებს, რომლთაც ისინი "აბაზა"-ს ეესხდნენ, აფხაზებისაგან, რომლთაც "აზეკა"-ს უწოდებდნენ. ძველი ქართული წყაროებიც ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში აფხაზების გარდა, მათ მეზობლად ასახელებენ ჩერქეზებსა და ჯიქებს. ძველი ქართული წყაროების ჯიქებში აბაზები იგულისხმება[184] .

აფხაზების ჩრდილო-დასავლეთით ცხოვრობდა აბაზა ტომი, რომლის თვითსახელწოდებაც იყო "ხალწის". აფხაზებში ისინი ცნობილი იყვნენ საძების (ქართ. წყაროების ჯიქები), მათი ქვეყანა კი საძენის (ქართ. წყაროების ჯიქეთი) სახელწოდებით[185] . ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, "აფხაზეთის იქით, კაპეტის წყლის დასავლეთს ბაგრატიონთა ჟამს აქეთ აქამომდე უწოდებენ ჯიქეთს, არამედ გორგასლის ცხოვრება უწოდებს ჯიქეთს ამ ჯიქეთის ჩრდილო კერძოს, კავკასიის მთის იქითს კერძს ზღუამდე. და ამ აწინდელს ჯიქეთს მზღვრის: აღმოსავლით კაპე-

---

181 Л. Лавров, "Обезы" русских летописей, გვ. 165.

182 ეელია ჩელები, I, გვ. 103; Л. Лавров, იქვე.

183 Л. Лавров, იქვე, გვ. 168, 169-170.

* ასევე არასწორია თეორია, თითქოს აბაზები ჩრდ. კავკასიაში გადასახლებული აფხაზები. ამ თეორიის განსაკუთრებით აფხაზი მეცნიერები იცავენ. მათ არ სურთ იმის აღიარება, რომ თანამედროვე აფხაზური (აფსუა) ეთნოსი ჩამოყალიბდა აფხაზეთში ნაძალადევი აბაზური ტომების აფსუებთან (ელენურ-ოსურ-ადიგეელ-ქართველებ) შერწყმის შედეგად.

184 Л. Лавров, იქვე, გვ. 165; З. В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии, გვ. 206.

185 С. Эланба, Абхазские этнографические этюды, გვ. 6.

ტის წყლ; დასავლით შუი ზღუა, სამკრით ოფუ ზღუა, ჩრდილოი კავკასი"[186].

ამრიგად, ვახუშტის მიხედვით, უწინ ჯიქები უფრო ჩრდილო-დასავლეთით ყოფილან განსახლებული. მაგრამ, მოგვიანებით ("ბაგრატიონთა ჟამს აქეთ"), მათი მიწა-წყალი ამ მხარეს შეკვეცილა. მართლაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, როცა ჯიქები შავიზღვისპირეთში ჩამოსახლდნენ, ისინი დამკვიდრებულან მდ. აქეენტსა (შახე) და მდ. ნიკოფსიას (ნეჩეფსუხო) შორის. შემდეგ მათ გაუფართოებიათ თავიანთი მიწა-წყალი მდ. ყუბანის ქვემო წელამდე. XIII–XIV სს. იწყება ადიღეური ტომების ექსპანსია აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. XVII ს. ე. ჩელები კიდევაც აღნიშნავს, რომ ამ ადგილებში მცხოვრები აბაზები მშობლიური ენის გარდა ჩერქეზულადაც კარგად ლაპარაკობდნენ[187], რაც აბაზების თანდათან გაჩერქეზებაზე მიუთითებს. ადიღეური ტომების მოწოლით, ჯიქები თანდათან კარგავენ ტერიტორიებს ჩრდილო-დასავლეთით, სამაგიეროდ, ისინი აფართოებენ თავიანთ მიწა-წყალს სამხრეთ-აღმოსავლეთით, ჯერ გაგრის ვიწროებამდე, შემდეგ მდ. ბზიფამდე. იმის შესახებ, თუ როგორ გახდა მდ. ბზიფი ჯიქეთ-აფხაზეთის საზღვარი, ს. ზვანბა წერდა: "აფხაზეთის მიწა-წყალი იწყება მდ. ჟუაძეხიდან (ეოეკვარა,-ბ.ხ.), მაგრამ აფხაზთა სოფლები არ არის მდ. ბზიფის მარჯვენა მხარეს, ვინაიდან მათ საშიშროება ემუქრებოდა მეზობლების გამუდმებული თავდასხმების გამო. უწინ იქ იყო სოფლები, მაგრამ აფხაზებსა და ჯიქებს შორის მტრობის გაძლიერების დროიდან, ამ სოფლების მცხოვრებნი გადავიდნენ მდ. ბზიფის მარცხენა ნაპირზე... ამჟამად მდ. ბზიფი წარმოადგენს ბუნებრივ საზღვარს აფხაზეთსა და ჯიქებს შორის"[188].

XVIII ს. ჯიქებს ეკავათ ტერიტორია მდ. ბზიფიდან მდ. ხოსტამდე (ხამიში). ჩრდილოეთით მათი საზღვარი კავკასიონის მთავარ ქედზე გადიოდა. ჯიქების განსახლების ტერიტორია დაყოფილი იყო მთისა და სანაპირო თემებად. მთის თემები: ახჩიფსოუ, აიბგა, ფსხუ, ცხოვრობდნენ მდინარეების — მზიმთას, ფსოუსა და ბზიფის ზემო წელში; წაბალ (წებელდა) და მისი განაყარი დალ (დალი), — მდ. კოდორის ზემო წელში. ჯიქების მთის თემებში ბატონობდნენ მარშანიები (მარშან), ხოლო სანაპირო თემები თავადთა საგვარეულო სახელების მიხედვით იწოდებოდა: ცან (ცანდრიფშ), ცხოვრობდა მდ. ბზიფსა და მდ. ხაშუფსეს (ცანდრიფშ) შორის; გეჩ — მდ. ხაშუფსესა და მდ. მზიმთას შორის; არდ (არტ, არედ) — მდ. მზიმთასა და მდ. ხამიშს (ხოსტა) შორის და სხვ[189].

---

[186] ვახუშტი. აღწერა..., გვ. 786-787.

[187] ეკლა ჩელები. I, გვ. 102, 105.

[188] С. Званба, Абхазские этнографические этюды, გვ. 5. მდ. ბზიფსა და გაგრას შორის მდებარე აფხაზეთის სამთავროს მიწა-წყლის ჯიქების მიერ მიტაცებაზე XIX ს. სხვა ავტორებიც წერენ (იხ.Торнау, Воспоминания...,ч.1,გვ. 42; П.Д. Краевич, Очерк устройства...,გვ. 10).

[189] Торнау, იქვე, გვ. 56; А. Берже,Краткий обзор..., გვ 274-275; П.К.Услар, Этнография

ჯიქები და აფხაზები (აფსუა) ერთი ენის დიალექტებზე მოლაპარაკე უახლოესი ეთნიკური ჯგუფები იყო. XIX ს. რუსი ავტორები მათ ერთ ტომად (აზეგა) მიიჩნევენ, ხოლო ჯიქეთს "მცირე აფხაზეთს" უწოდებენ[190]. ჩრდ. დასავლეთიდან ადიღეველების მოწოლასთან ერთად, XVIII ს. ჯიქების მიწა-წყლის ერთ ნაწილზე მიიდან ჩამოსახლებული, თითქმის გაჩერებულებული, უბიხების აბაზური ტომი* მკვიდრდება. გენერალი გ. ფილიპსონი, რომელიც დიდხანს მსახურობდა კავკასიის არმიაში და კარგად იცნობდა ადეებს (ჯიქები), წერდა: "ამ ხალხს, რომელიც ლაპარაკობს წმინდა აფხაზურ ენაზე, აქვს განსაკუთრებული კილოც, ასაძიფსუა, რომელიც არ ჰგავს აფხაზურ და ადიღეურ ენებს. თანდათან ის დავიწყების ეძლევა; ამ ენაზე ლაპარაკობს მდაბიო ხალხი და ისიც თითქოს სხვათაგან მალულად... ეს მიწები ადრე აფხაზებს ეკუთვნოდა, შემდეგ ეს ტერიტორია უბიხებმა დაიკავეს და აქ არცთუ შორეული დაპყრობის კვალი ძალზე შესამჩნევია... ჯიქებთან უახლოესი ხამიშის საზოგადოება შედგება ნარევი აფხაზური და ადიღეური მოსახლეობისაგან. უფრო მეტიც, უბიხების მთელ მიწა-წყალზე მდაბიო ხალხმა იცის ასაძიფსუა"[191].

გ. ფილიპსონის მიერ მოხსენიებული ენა, ასაძიფსუა, რომელზეც უბიხების მიერ დაპყრობილ მიწა-წყალზე "მდაბიო" მოსახლეობა (ეთ. ჯიქები) ლაპარაკობდა, მკვლევართა აზრით, აბაზური ენის ადური დიალექტია[192]. ესაა, სწორედ ის ადეების (ჯიქები) ენა, რომლის მასალებიც ე. ჩელების მოაქვს "მოგზაურობის წიგნში".

აფხაზი (აფსუა) უხუცესებიც ადეებს თვისტომებად მიიჩნევდნენ, თუმცა თვლიდნენ, რომ მათი ენა "წამხდარია", რაშიც დიალექტურ განსხვავებას გულისხმობდნენ (ამასთან, ისინი მწუსარებით იხსენებდნენ ადეების თავდასხმებს აფხაზეთზე). ადეებისა და აფხაზების (აფსუა) ივიერობას აღიარებდნენ ადი შუამავლებიც[193]. საგულისხმოა, რომ თურქეთში გადასახლებულ მუჰაჯირებს კარგად ახსოვთ თავიანთი წარმოშვლობა და

Кавказа. Языкознание, I. Абхазский язык, გვ. 75; З. В. Анчабадзе, Очерк этнической истории..., გვ. 69; Г. А. Дзидария, Махаджиратство... გვ. 87 (ციტატა); Х. С. Бгажба, Об абхазских племенах и диалектах, გვ. 123. ანბანური, ესენი და ამბავ რუსულ წყაროებში და ნარკვევებში ცნობილი იყო ბეჟიტელების (ტლეფა) სახელით. ხალხი წერდა, ხერეხი (ხარეხი). ხერეხოლოგების (ხარეხოლეს) ადგილ სახელებიანი, ამ ოდის ამამოიკრების ნერეხეი ძარმანის სახელის ნიშნავს.

* П. Дубровин, История войны и владычества русских на Кавказе, т. I, кн. II, С.Пб. 1872, გვ. 1-2; А. П. Лячков-Тарасов, Горцы и их окраинности, გვ. 32.

XVIII-XIX სს. უბიხების ტომს აბაზა და ადიღეველებს შორის შეალიტერ, რეგიონ ბიბლიოგრ. სწორედ მათ ეკუთვნიან ეგრეთ.

[190] Г. И. Филипсон, Черкесы, адыги и адыхе (ხელნაწერი, შედგენილი 1854 წ. ინახება მოსკოვის ეროვნულ ბიბლიოთეკაში). ციტირებულია ხ. ბიჭიკას ნაშრომიდან: Об абхазских племенах и диалектах, გვ. 125.

[192] Х. С. Бгажба, იქვე, გვ. 125; З.В. Анчабадзе, იქვე.

[193] Х. С. Бгажба, იქვე, გვ. 126-127.

ამის მიხედვით იყოფიან ადიღედ (ჩერქეზები) და აბაზად (აფხაზები, ჯიქები, უბიხები)[194]. ამასთან, მდ. ბზიფსა და მდ. ხოსტის შორის მდებარე მხარიდან (საძენი) გადასახლებული მუჰაჯირები "ჩერქეზ აფხაზებად" (ჩერქეზ აფსუაა) იწოდებიან, ხოლო აფხაზეთიდან (მდ. ბზიფის მარცხენა მხარე) გადასახლებულები – "ბზიფის აფხაზებად" (ბზიფაა აფსუა). გარდა ამისა, ყველა ისინი თავიანთ თავს უწოდებენ როგორც აბაზას, ასევე ჩერქეზს. საგულისხმოა ისიც, რომ "ბზიფის" აფხაზების მეტყველება ახლოსაა აფხაზური ენის აბეუურ დიალექტთან, ხოლო "ჩერქეზ აფსუებისა", აფხაზური ენის ბზიფურ დიალექტთან[195].

ადიღეური ტომების აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ექსპანსიის დროს აბაზა ტომების, მათ შორის ჯიქებისა და უბიხების გაჩერქეზებასთან ერთად, მიმდინარეობს მათი აფხაზეთში ჩამოსახლების ინტენსიური პროცესი[196]. პროფ. ზ. ანჩაბაძეც საკმაოდ ფრთხილად, მაგრამ მაინც აღნიშნავდა აფხაზეთის ჩრდ.-დას. ნაწილის გაჩერქეზებაზე[197]. ამ პროცესებში პოულობს ახსნას თანამედროვე აფხაზური (აფსუა) ენის აბეუური და ბზიფური დიალექტების არსებობაც. XVIII ს. მიწურულისა და XIX ს. ავტორები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში აბაზა ტომების განსახლების ადგილზე უკვე მრავალრიცხოვან ადიღეელებს ასახელებენ. ამ პერიოდში, ადიღეელებთან, თითქმის გაჩერქეზებულ უბიხებთან და აფხაზებთან ურთიერთობაში, სანაპირო ჯიქებმა სრული დეეთნიზაცია განიცადეს, დაკარგეს ეთნიკური თავისთავადობა და ამ ტომებში გაერიენენ. ჯიქების მთის თემები კი XIX ს. II ნახევარში რუსეთის ხელისუფლებამ თურქეთში გადაასახლა რუსული მმართველობისადმი შეურიგებელი წინააღმდეგობის გამო[198]. ყოველივე ამის შედეგად ჯიქების ეთნოსი ისტორიის არენიდან ქრება.

XVIII-XIX სს. მკვლევარები აშკარად აღნიშნავენ მომიჯნავე მთის ეთნოსის ჩამოსახლების ფაქტს აფხაზეთში. ვ. ნ. ტატიშევი (1686-1750) წერდა, აფხაზეთი სამეგრელოს ჩრდილოეთი ნაწილია, რომელიც ამჟამად მეტწილად ყუბანელებითაა დასახლებულიო[199]. ავტორი ყუბანელებში აბაზურ-ადიღეურ ტომებს გულისხმობს, რომელთა ექსპანსიაც სწორედ ყუბანისპირეთიდან იწყება. თურქი ავტორი აბუ ბექრი (XVIIIს.) ჩერქეზებზე და აბაზებზე წერდა: "ამბობენ, რომ ესენი ისრაილელებისაგან წარმოიშვნენ. ამ მხარეში სამი ებრაული ტომი მოვიდა და დასახლდა. ჩერქეზები და აბაზები ამ სამი ტომისაგან გავრცელდნენ"-ო[200], და იქვე

---

194 С.Басария, Горцы Кавказа в Турции.- Избранные сочинения, Сухуми, 1967, გვ. 25.

195 თ. ჩაჩუბა, აფხაზთა დასახლება აჭარაში, ბათუმი, 1988.

196 მ. ცინცაძე, საქართველო-ადიღეს ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1982, გვ. 13 და შმდ.

197 З. В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии, გვ. 299, 304.

198 იქვე, გვ. 209; გ. ანჩაბაძე, ეროვნული ბელების ცნობები..., გვ. 82; მ. ცინცაძე, იქვე, გვ. 21-22.

199 В.Н.Татищев, История Российская, I, გვ. 171, 202, 418.

200 გ. ალასანია, ქართველ ბელების ცნობები..., გვ. 132.

აღნიშნავს: "აბაზაი ძირითადი ტომის სახელია. ეს ტომი, რომელსაც ჩვენ დროში ისლამის ქვეყნებში აბაზას უწოდებენ, ყარა აედაპინის მაცხოვრებლებიდან წარმოდგება"[201]. ე.ი. აბუ ბექრიც აფხაზებს საიდანაც გადმოსახლებულებად მიიჩნევს შავიზღვისპირეთში.

მკვლევართა აზრით, აბაზები აქტიურად მონაწილეობდნენ იმ ეთნიკურ პროცესებში, რომელიც თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა[202]. რუსეთის მეცნ. აკად. ნამდვილი წევრი პალასი (1741-1811) წერდა: "აბაზები თავიანთ თავს უწოდებენ აბსნეს... ეს ხალხი, უთუოდ, კავკასიონის მთების ჩრდილო-დასავლეთი ნაწილიდანაა წარმოშობით"[203]. იგივეს აღნიშნავდა უფრო დარწმუნებით, ცნობილი ორიენტალისტი ი. კლაპროტი (1783-1835), რუსეთის მეცნ. აკად. ნამდვილი წევრი: "აბაზები თავიანთ თავს უწოდებენ აბსნეს, ხოლო თათრები და ჩერქეზები მათ აბაზას უწოდებენ, ქართველები მათ ქვეყანას აფხაზეთს ეძახიან... ისინი მთელი ანტიკური პერიოდის მანძილზე ცხოვრობდნენ კავკასიონის ქედის ჩრდილო-დასავლეთით, ჩერქეზების მიერ მთებში მათი შევიწროების დაწყებამდე"[204]. აფხაზთა ისტორიული გადმოცემების, ზნე-ჩვეულებების, ლინგვისტური და მრავალი ისტორიული მონაცემის გათვალისწინებით, XIX ს. მიწურულისა და XX ს. დასაწყისის მთელი რიგი მკვლევარები ფიქრობდნენ, რომ აფხაზეთი დასახლებული იყო დასავლურქართული ტომებით. ჩრდ. კავკასიაში ადიღეური ტომების მიერ შევიწროებულმა აბასკებმა (აფხაზ-აბაზათა წინაპრები) ქედი გადმოლახეს და თავის მხრივ შეავიწროვეს ეს ტომები, რომლებიც სამხრეთისაკენ დასწიეს[205].

თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზთა (აფსუა)* მოსვლის შესახებ ცნობა აფხაზურმა (აფსუურმა) ფოლკლორმაც შეინახა. მკვლევართა აზრით, ალბათ, სწორედ ეს პროცესი ასახა ლეგენდებში ნარიების, ბითიურ მთის ტომთა და მათი გმირების მოსვლისა და აქ მცხოვრები კაციჭამია გოლიათების, ხოლო მეორე ვერსიით ჯუჯა აწანების განადგურების შესახებ; ერთი ლეგენდის მიხედვით, აფხაზების წინაპრები გამოსულან არაპთა ქვეყნიდან (არაბეთი) და სომხეთზე გაცლით ჯერ ყუბანში დასახლებულან. მაგრამ, რადგან იქაური სიცივეები ვერ აუტანია, აფხაზეთში გადმოსახლებულან. მათი ერთი ნაწილი დარჩენილა ჩრდილოეთში.

---

[201] ვ. ალასანია, ქართ ჩელების ცნობები..., გვ. 133.

[202] Г.В. Новицкий, Топографическое описание северной покатости Кавказского хребта от крепости Анапа до реки Кубани. 15 сентября 1830 г.- "Кавказские областные ведомости", 1884, № 34, ის. ბ ([illegible]) [illegible] [illegible] [illegible], გვ. 12

[203] Voyages entrepris dans les gouvernements meridionaux de l'empire de Russie, dans les annees 1793 et 1794, par M. le professeur Pallas. Paris, 1805. v. 1, გვ. 417.

[204] M. Klaproth. Voyage.... t.1. გვ. 201.

[205] ფ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსა. ტფ., 1889. გვ. 271-273; А.С.Хаханов. Древнейшие предели расселения грузин до Малой Азии. Тифлис, 1903. გვ.61-62; А.Н.Лекиков-Тарасов. Гагры и их окрестности. გვ. 36; Ивлер Бзыбская Абхазия, გვ. 55.

*-აა ხუფიენ აფხაზურ ენაში მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელია.

ესენი არიან აბაზები[206]. აკად. ს. ჯანაშიას აზრით, აფხაზურ თქმულებაში აწანებზე ჩანს, რომ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზების განსახლებას წინ უსწრებდა სვანებისა და ზეგრელ-ჭანების ცხოვრება. წანები (აწანები) ერთ-ერთი მეგრულ-ჭანური ტომი უნდა ყოფილიყო[207]. შ. ინალ-იფა, რომელმაც საგანგებოდ შეისწავლა აფხაზური ეთნოგენეტიკური გადმოცემები, აღნიშნავს, რომ მათში ასახულია ისტორია[208], თუმცა კონკრეტულად არ უთითებს მათთან დაკავშირებულ რომელიმე ფაქტს. საგულისხმოა, რომ აფხაზურ (აფსუურ) ფოლკლორში, საქართველოს სხვა კუთხეთა ფოლკლორისაგან განსხვავებით, არავითარი კვალი არ ჩანს თამარ მეფის, სხვა ქართველი მეფეების. არც "აფხაზთა" სამეფოს შემქმნელს ლეონ II-ს, ან აფხაზთა სამეფოს რომელიმე მეფეს დაუტოვებია კვალი აფხაზურ ფოლკლორში. აქ სულ სხვა სამყაროა, სულ სხვა ცხოვრებისა და ყოფის რეალიებია, რაც გასაოცარი სულაც არ არის. თვალშისაცემია, რომ აფხაზური ფოლკლორული მასალები გვიანი შუასაუკუნეების ისტორიის ანარეკლია მეტწილად (ისტორიულ-ჰეროიკული სიმღერები და თქმულებები), ან შორეული წარსულისა (ნართები, აირგის სიმღერა, აყვეიფშა და სხვ.). უფრო სწორად, ისინი, მთის ტომთა პრიმიტიული ყოფისა და რწმენა-წარმოდგენების ამსახველია.

საინტერესოა რომ ნართების აფხაზური ეპოსის მიხედვით, ნართები (ოგიე აფხაზები, აფსუები) მდ. ყუბანის სანაპიროზე ცხოვრობენ*. მართალია, ნართების შესახებ ზოგიერთ თქმულებაში იხსენიება მდ. ბზიფიც, მაგრამ ეს, აშკარად, გვიანდელი რეალიების ასახვაა.

ბ. ონომასტიკა

აფხაზური ონომასტიკა — საკუთარი სახელები და გვარები, მათი წარმოშობის საკითხი, ეტიმოლოგია, — ჯერ კიდევ არ არის საკმარისად შესწავლილი. არადა, კვლევა-ძიებას ამ სფეროში (თუ რომელი საკუთარი სახელები და გვარებია ადგილობრივი, რომელია ნასესხები) დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეთნო-კულტურული საკითხების შესწავლისას. ამ საკითხებს ეხებიან ცნობილი აფხაზი მკვლევარები: ხ. ბლაუბა, შ. ინალ-იფა, ს. ზუხბა, მაგრამ, როგორც იტყვიან, "სამკალი ფრიად არს" და ამ მიმართულებით კვლევა-ძიება კვლავაც უნდა გაგრძელდეს.

---

206 Ш.Д. Инал-Ипа, Абхазы, გვ. 103-105; ს. ზუხბა, აფხაზური ზეპირსიტყვიერება, თბ., 1988, გვ. 201-202.

207 ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალი..., გვ. 14-15.

208 Ш.Д.Инал-Ипа. იქვე. გვ. 201-212.

* აფხაზეთში სამეცნიერო ექსპედიციის დროს, ცნობილ მკვლევარს ვ. აბაევს ასეც უთხრა ერთმა აფხაზმა მოხუცმა: "Нарты родом из Кубани", -იხ. В.И. Абаев, Осетинский язык и фольклор, I, გვ. 321.

აფხაზური გვარების შესახებ არსებულ გადმოცემებში ლაპარაკია მათ გადმოსახლებაზე აფხაზეთის ჩრდ.-დას. მხარიდან, ანდა დას.კავკასიის აბაზურ-ადიღურ ტომებთან ნათესაობაზე. ს. ბასარიას ჩაუწერია 145 წლის მაუგე ადლეიბას ნათქმი: "აფხაზეთის პირველ მოსახლეებს განეკუთვნებიან გვარები — აგრბა, ადლეიბა, ინაუშბა_ ყველა ისინი გამოვიდნენ "ყირიმიდან" (მხედველობაში აქვს ყარაჩაი)... ჩვენი წინაპრები გადმოსახლდნენ, როცა გაიგეს, რომ აფხაზეთის მოსახლეობა გაიუანტა და იგი უდაბნოდ იქცა"[209]. გენეალოგიური გადმოცემები, რომლებშიც მოითხრობილია, თუ როგორ გადმოსახლდნენ ოდესღაც ჩრდ. კავკასიიდან ან სოჩას ახლომდებარე მიწებიდან (ჯიქეთი,-ბ.ხ.) მათი წინაპრები, აქვთ — ავიძბებს, კვიწინიებს, აშუკებს და სხვა გვარების წარმომადგენლებს[210]. ცნობილი აფხაზი მეცნიერი, ისტორიკოსი, ეთნოგრაფი შ. ინალ-იფა თვლის, რომ ჩრდ. კავკასიიდან მოსული გვარებს ეკუთვნიან: აჩბა, მარშანი, კაბა, ადლეიბა, ინაუშბა და სხვ[211].

მარშანიები წარმოშობით მარუშიანები იყვნენ, სვანეთის ერისთავების — ფარჯანიან-ვარდანიძეების ჩამომავლები. ისინი უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე. წებელდელი მარშანიები ბოლოს გააფხაზდნენ, აფხაზ ფეოდალებად იქცნენ[212]. ის ფაქტი, რომ მარშანები ჩრდ. კავკასიიდან ჩამოდიოდნენ აფხაზეთში, ან ამჟამადაც არიან იქ მარშანოვები (ყაბარდ. მერშენ), იმით აიხსნება, რომ ანტიკური ხანიდან თვით გვიან შუასაუკუნეებამდე, ამჟამინდელი ყარაჩაისა და ბალყარეთის ტერიტორიაზე გავრცელებული იყო სვანური მოსახლეობა, რომელმაც შემდეგ დაკარგა ეთნიკური ინდივიდუალობა და შეერწყა ყარაჩაელებსა და ბალყარელებს[213].

არსებობს გადმოცემა, რომლის მიხედვითაც, აბაზური ფეოდალური სახლი ლაუ (ლოო) და აფხაზი აჩბები მონათესავენი არიან. ამ ნათესაობას ორივე საგვარეულო აღიარებდა. თვით აჩბები, თითქოს, ჩრდ. კავკასიიდან გადმოსახლდნენ აფხაზეთში[214]. როგორც ჩანს, გარდა გაქრისტიანებული ანჩაბაძეებისა, რომლებიც აფხაზეთში ცხოვრობდნენ, აბაზებშიც იყო აჩბების ფეოდალური საგვარეულო. საერთოდ, აფხაზებში, აბაზებში, ადიღეელებში და ყაბარდოელებში დასტურდება მთელი რიგი საერთო გვარსახელებისა და სავსებით ერთნაირი საკუთარი სახელების არსებობა[215].

ამ გვარების გადმოცემით, მათი წინაპრები ძველად აფხაზეთში,

---

[209] С. Басария, Редкие случаи долголетия в Абхазии, - Труды АбНИИ, II, Сухум, 1934,გვ. 108.

[210] ს. ზუბა, აფხაზური ზეპირსიტყვიერება, გვ. 214.

[211] Ш. Д.Инал-Ипа, Вопросы этно-культурной истории абхазов, გვ. 175.

[212] გ. გასეანი, ნარკვევები შუა საუკუნეების სვანეთის ისტორიიდან, გვ. 210.

[213] თ. მიქნუანი, მეგობრობის სათავეებთან, თბ., 1986.

[214] Л. И. Лавров, Историко-этнографические очерки Кавказа, გვ. 45.

[215] Д.Гулиа, История Абхазии, გვ. 268; Ш. Д. Инал-Ипа, Абхазо-кабардинские этнографические параллели, გვ. 76; Л. И. Лавров, იქვე. გვ. 127, 128.

კალდახვარის მახლობლად გადმოსულან ზღვიდან. ზღვის ღვთაებისადმი მადლობის ნიშნად, რომელიც მათ მგზავრობისას წყალობდა, ამფარები ყოველწლიურად იკრიბებოდნენ იმ ადგილას, სადაც გადმოცემით მათი წინაპრები გადმოვიდნენ ნაპირზე, საკლავს კლავდნენ და ლოცულობდნენ[216]. მთელ აფხაზეთში გაფანტული ზუბრები ამბობენ, რომ ისინი გენეტიკურად ენათესაებიან ჩრდილოკავკასიურ "აზახუ"-ს (ზიხები) და ოდესღაც გადმოსახლდნენ აფხაზეთში, როგორც მრავალი მათი მონათესავე ჯგუფები და მათი წინაპრები[217]. თავისი წარმოშობით, ზოგიერთი აფხაზური გვარი დაკავშირებულია სატიმო სახელთან. ჩრდილოკავკასიურ სამყაროსთანა დაკავშირებული შარმტი* (ე. ი. სარმტი) და ალანი (ალანთა ტომთან); აბაზურ-ადიღეურ სამყაროსთან — საძბა (საძების ტომთან), თამბია (ადიღ. ტომი თამ, თამოველები), თრაფში (ადიღ. ტომი თრამ. სიტყვასიტყვით: "თრამების თავადი"), ძაფშოფა (ადიღ. "ლაშქრის წინამძღოლი")[218]. ჩაბალურხვა და მსგავსი დაბოლოების მქონე სხვა გვარები უკავშირდება ადიღეურ სამყაროს, რაზეც აშკარად მიუთითებს გვარის დაბოლოება -"ხვა", ოგიეგ "ყვა", რაც ჩერქეზულად -"ძე"-ს აღნიშნავს[219]. აფხაზებში გავრცელებული გვარი ხაკბა დასტურდება ადიღეელებში, შუბუსთა ტომში[220]. აფხაზეთში მცხოვრები შინჭუბები აღნიშნავენ, რომ მათი სისხლით მონათესავენი, მოგვარეები, მრავლად არიან ჩრდ. კავკასიაში. ასევე შეიძლება ითქვას გვარსახელ არღუნზე. აფხაზური გვარსახელი აყარაჩ**, აშკარად ყარაჩაელთა ეთნოსთანაა დაკავშირებული.

ქართულ სამყაროსთანა დაკავშირებული აფხაზური გვარსახელები: ასვანუა (აფხ. სვანი), აგრბა (აფხ. გვარებში დაბოლოება - ბა, როგორც ცნობილია, ქართული შვილის, ძეს ტოლფასია. "აგრუა", "მეკრელის" ნიშნავს აფხაზურად. აგრბა გიგება როგორც მეგრელიშვილი)***, ლაზბა (ლაზი), აქირთავა (აფხ. "აქირთუა" ქართველს ნიშნავს), ჭანბა (ჭანი) და სხვ[221].

მიგრაციის ამსახველი გენეალოგიური გადმოცემები და ისტორიული ჭეშმარიტება ზოგჯერ ერთმანეთს არ ემთხვევა, ზოგჯერ კიდევ, ისტორიული სიმართლე უცვლელადაა შენახული ფოლკლორში. ბრავალგვარი ეთნოგენეტიკური გადმოცემები მიუთითებენ აფხაზური ეთნოსის ფორმირების

---

216 ხ. ზუბა, აფხაზური ზეპირსიტყვიერება. გვ. 214-215.

217 Х.С.Бгажба, Бзыбский диалект абхазского языка,გვ. 246; მისივე, Некоторые вопросы абхазской топонимики,-Труды, кн. I, გვ. 145.

ეს გვარსახელი დასტურდება აბაზებშიც (იხ. С.Басария, Абазинский аул..., გვ. 9; Ш.Д. Инал-Ипа,Абхазы, გვ. 225).

218 Х.С.Бгажба, Бзыбский диалект абхазского языка,გვ. 245-246.

219 ხ. ჯანაია, ეგნატე ინგოროყვა ; ჩრდილოეთისათვის, — შრომები, II, გვ. 485-486.

220 იხ. Л.И.Лавров, Этнография Кавказа, გვ. 26.

* გვარსახელები აყარაჩ და ყარაჩ დადასტურებული 1867 წელს წებელდიხა და ოალის ხეობიდან გადასახლებულ მუსაჯირთა სიაში, იხ. გაზ. "აფსნი ყაუშ", 1990 წ. 31 მაისი, 1 და 2 იუნისი (აფხ. ენაზე).

** ეთნონიმი აგრუა აფხაზურ ენაში გვარის მნიშვნელობითაც იხმარებოდა (იხ. იქვე).

221 Х.С.Бгажба, Бзыбский диалект абхазского языка, გვ. 246.

რთულ და ხანგრძლივ პროცესზე, რომელშიც მონაწილეობდნენ როგორც ადგილობრივი, აბორიგენული, ისე, სხვადასხვა მხრიდან მოსული გაერთიანებული ჯგუფები[222] .

აბაზა-ადიღეელთა ჩამოსახლება აფხაზეთში ყოველთვის საოჯახო გზით როდი ხდებოდა. გარდა იმისა, რომ გაჩერებულ აბაზებს, თუ საკუთრივ აბაზა ტომების (ჯიქები, უბიხები და სხვ.) ფაქტობრივად მიტაცებული ჰქონდათ აფხაზეთის მიწა-წყალი გაგრიდან მდ. ბზიფამდე, ისინი უმთავრესად მაინც აფხაზთა მთავრებისა და თავად-აზნაურების, მიწის მეპატრონეთა ნებით ესახლებოდნენ აფხაზეთში, როგორც უმწაწყლო მთიელები. თავადაზნაურობა ხელს უწყობდა მათ ჩამოსახლებას თავიანთ მამულებში. არამარტო აფხაზეთში, არამედ, საერთოდ, გვიანფეოდალურ საქართველოში, ფართოდ იყო გავრცელებული მწარმოებელი მოსახლეობის გადმობირება-გადმოსახლება, და არა მარტო ახლო ადგილებიდან. იბირებდნენ და მოჰყავდათ მთიდან, იმერეთიდან[223] . მთის აბაზურ-ადიღური თემებიდან აფხაზეთში ჩამოსულთ, მთავარი და ადგილობრივი თავად-აზნაურები ასასის სტატუსით ასახლებდნენ. მოხსენებით ბარათში გიორგი შარვაშიძის მამულების შესახებ, ა. პახომოვს სრდ. კავკასიიდან ჩამოსულთა აფხაზეთში ასასად დასახლების მრავალი ფაქტი მოჰყავს: ჯიქეთია შარვაშიძესთან მოსულა ყბარდოელი უზდენი (თავისუფალი გლეხი) ედიგ მარშანი* და აფხაზეთში დასახლების ნება უთხოვია. შარვაშიძეს მარშანი ახჩიფსოუში დაუსახლებია და მისთვისვე დაუმორჩილებია ფსხუ და აიბგაც. მარშანს დაევალა მეზობელი მთის თემების შემოსევებისაგან აფხაზეთის ამ სასაზღვრო თემების დაცვა[224] . ჯიქეთის შემკედრის, არზაკანის დროს მოსულა ომარ მარშანი, ედიგ მარშანის ნათესავი, რომელსაც ზღვის სანაპიროზე დასახლების ნება უთხოვია, მაგრამ მთავარს ის წებელდაში დაუსახლებია. შემდეგ მარშანები ასასის სტატუსით განსახლებულან აფხაზეთის სხვა ადგილებშიც (სოფლებში: ნაა, ჯგერდა, გერზეული, ამხალე, აკაფი, გუმა და სხვ.)[225] . იმავე ა. პახომოვის ცნობით, ჩირიკებში ყბარდოდან ჩამოსახლებულან ჯერ სოჩაში და, შემდეგ, აფხაზეთში — იაშთხვაში, ასლან-ბეი გეჩის მმართველობის დროს; ანჩაიუ (თავისუფალი გლეხი) არძინბები იაშთხვაში მოსულან ბზიფის აფხაზეთიდან; ანჩაიუ არღუნები ჩამოსულან წებელდიდან[226] . გადმოცემით, გუნბას, ტვანბასა და ტანიას

---

[222] Х.С.Бгажба, Бзыбский диалект абхазского языка, გვ. 249; Ш.Д.Инал-Ипа, Вопросы этно-культурной истории абхазов, გვ. 175; ს. ზუბა, აფხაზური ზეპირსიტყვიერება, გვ. 215.

[223] ნ. ბერძენიშვილი, ბორჯომის ხეობა, გვ. 238.

* ტორნაუს ცნობით, მარშანი აბაზებშიც თავადური გვარი იყო, მაგრამ შავიზღვისპირეთიდან მოებში გადასახლებული მარშანები მოეკვეთენ ჩერქეზი თავადების გაელვების ქვეშ, რომელთაც აიძულეს ისინი წოდებულიყვნენ არა თავადად, არამედ უზდენად (იქვე).

[224] А. Пахомов, Записка..., გვ. 277.

[225] იქვე, გვ. 283.

[226] იქვე, გვ. 253, 257-25.

გვარის წარმომადგენლები პირველად დურიფშში დამკიდრებულან აზნაურ ლაკრბასთან ერთად, რომლისათვისაც მთავარს უბოძებია ეს სოფელი[227]. XVII ს. ბოლოს, სოფ. ზვანდრიფშში დასახლებულა ახჩიფსოუდან ჩამოსახლებული ფჩკულ ანბა ერთ დუუისთან და სამ პაპასთან ერთად. მთ მიუყენია დამოკიდებული გლეხების 18 კომლი, გვარად — კიასალაა. მთავარს ანბასთვის თავისი ვენახისა და მარნის მოლიპტრონობა დაუვალებია[228].

აფხაზეთში ჩამოსახლებულ მთიელებს, მთავრები უმთავრესად მოლაშქრეებად იყენებდნენ თავიანთი მიწა-წყლის გაფართოებისათვის ბრძოლაში. აბაზები და ადიღეელები ხომ ცნობილი იყვნენ როგორც მამაცი მეომრები: "უკეთუ დასჭირდეთ ვინმეს, ეხმარებიან ესენი ჯარად"[229]. თავის დროზე, ოდიშის მთავრებიც ხშირად იყენებდნენ XVI ს. და XVII ს. დასაწყისში აფხაზ-ჯიქთა დაქირავებულ ლაშქარს.

აფხაზეთში ჩამოსახლებულ აბაზა-ადიღეელებს მთლიანად შეერწყა ადგილობრივი მოსახლეობა. ეს პროცესი ყველაზე ადრე აფხაზეთის მთის თემებში (ახჩიფსოუ, ფსხუ, წებელდა, დალი) დაიწყო. მასზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის წებელდისა და დალის ხეობიდან 1867 წელს გადასახლებულ აფხაზ მუჰაჯირთა სია, სადაც გარდა აბაზა-ადიღეური გვარსახელებისა: აბუხბა, ამჭბა, არლუნ, აძინბა, აყარაჩ, აყუსბა, აშხარუა (აფხ. მთიელი), ახბა, ბარჩან, გუნბა, თარბა, თრაფშ, იაშბა, კაბბა (კაპბა), კუაძბა, ლაცვიშბა, პაპბა, ფალბა, შარმათ, შლარბა, ჰაგბა და სხვ. მოხსენიებულია მეგრულ-ჭანური წარმოშობის გვარსახელებიც: აგრუა, აგირბა, ბიგუა (ბიგვავა), გაბლია, კუარჭია, ლაზბა, მატუა, მიხალია, საბუა, საღარია, საჭინაა (სიჭინავა?), ჩიტაია (ჩიტაია?), ჭოლია, ხუარაა (ხორავა), ჯინჯალ (ჯინჯოლია), ჭალუაშ (ხალვაში) და სხვ. რაც განსაკუთრებით საინტერესოა, ისინი ატარებენ როგორც აბაზურ-ადიღეურ და მუსულმანურ საკუთარ სახელებს (ბესლან, გედლაჩ, გიდ, დანაყი, დაუთ, დუს, კიაგუა, კუატაშ, მამსირ, სასრიყვა, სოსრან, ტაშ, ფათ, ქუაბზაჩ, ქუფაჩ, შკუაკუა, ალი, ასლანგირეი, ასლან, რაჯაბ, სეიდ, ანასან, ჰუსეინ და სხვ.), ასევე მეგრულ სახელებსაც (ანჩა, მაც, გუაჯალა, ქუთა, ტაგუ და სხვ.)[230].

აბაზა-ადიღეელთა აფხაზეთის* მოსახლეობასთან შერწყმის პროცესი თითქმის უმტკივნეულოდ წარიმართა, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ შუა საუკუნეების აფხაზები ეთნიკურად ჩამოსახლებულ ტომთა მინათესავენი იყვნენ. მიუხედავად გაქართველებისა, რაც უფრო მეტად

---

227 Ш.Инал-Ипа, Дурипш, გვ. 82.

228 И.Г.Антелава, Очерки по истории Абхазии XVII-XVIII веков. გვ. 109; Очерки истории Абхазской АССР, ч.I, გვ. 103.

229 "ზერქეზთ სამფლობელო...". — ხელნაწერთა ინსტიტუტი, H — 607.

230 იხ. გაზ. "აფსნი ყაფშ", 1990 წ. 31 მაისი, 1 და 2 ივნისი.

* მხედველობაში გვაქვს როგორც აფხაზეთის საერისთავოს (მდ. შახესა და მდ. ფსირცხას შორის), ასევე აფხაზეთის სამთავროს (მდ. ბზიფსა და მდ. ღალიძგას შორის) ტერიტორია.

გაბატონებულ კლასს შეეხებოდა, მოსახლეობის ძირითადი მასა უფრო მტკიცედ ინარჩუნებდა ეთნიკურ თავისთავადობას, ინარჩუნებდა საკუთარ ენას[231]. აფხაზეთის წარჩინებული ფენებიც "გააფხაზდნენ", თუმცა მათ მეტწილად შეინარჩუნეს ქართულად გაფორმებული გვარები: შარვაშიძე (ჩაჩბა), ანჩაბაძე (აჩბა), მარშანია (მარშან), ემუხვარი (ემხა), მარღანია (მაან) და სხვ. საერთოდ, ფეოდალურ საქართველოში არ არსებობდა აფხაზი თავადი და აზნაური როგორც ასეთი, ისევე, როგორც მეგრელი ან კახელი თავად-აზნაური[232]. არსებობდა ქართველი თავადაზნაურობა. ამიტომაცაა, რომ ოდიშში, ისევე, როგორც აფხაზეთში, თავადაზნაურთა გვარები გაფორმებულია საერთო-ქართული დაბოლოებით (ძე, იანი). მაგ. აფაქიძე (აფაქია), გოშაძე (გოშუა), დგებუაძე (დგებია), მხეიძე (ხეცია), ქორთოძე (ქორთუა), ჭილაძე, ჯაიანი და სხვ. გააფხაზების მიუხედავად, აფხაზეთის თავადაზნაურობამ მეტწილად შეინარჩუნა ქართული თვითშეგნება და ქართული ენის ცოდნა. ვახუშტი ბატონიშვილი თავისი დროის აფხაზების შესახებ აღნიშნავდა: "ენა საკუთარი თვისი აქუსთ, არამედ უწყიან წარჩინებულთა ქართული"[233]. გააფხაზებულ თავადაზნაურობას შეემატა ჩამოსახლებულთა წარჩინებული საგვარეულოები: აჩბა, მარშანი, ინალ-იფა, ძაფშ-იფა, მაქანა, ზვანა, ჩაჩალურხუა და სხვ. თუმცა, მათაც განიცადეს გარკვეულწილად ქართული კულტურის გავლენა.

აფხაზთა მიერ მიტაცებული ოდიშის სამთავროს ჩრდ.-და. ნაწილის (ტერიტორია მდ. ფსირცხასა და მდ. ღალიძგას შორის) მკვიდრი მოსახლეობა, მთიელი ტომების სისასტიკისაგან თავის გადარჩენის საშველს გააფხაზებაში ხედავდა, რაც მათი ენის, რელიგიისა და ზნე-ჩვეულებების გათავისებით გამოიხატა. ამ მხარის მკვიდრი მოსახლეობის უმეტესი ნაწილი, დაბალი ფენები, მოისპო, ტყვედ დაიყდა, ან მონებად აქციეს. საინტერესოა, რომ ტყვეებისაგან შემდგარ უუფლებო ადამიანთა კატეგორიის, მონის, აღსანიშნავად აფხაზურ ენაში დამკვიდრდა ეთნონიმი "აგრუა", რაც მეგრელს ნიშნავს აფხაზურად[234]. აფხაზეთში ჩამოსახლებულ მთიელთა მიერ მოტანილი სოციალური თავისუფლება (ის ფაქტი, რომ აქ ბატონყმობა ფაქტობრივად არ არსებობდა) მიმზიდველი ჩანდა ბატონყმურ უღელქვეშ მყოფი საქართველოს სხვა კუთხეთა, უმთავრესად სამეგრელოს გლეხებისათვის. ბატონყმობაში სულამოხდილი სამეგრელოს (და არა მარტო სამეგრელოს, არმედ იმერეთისა და გურიისაც) გლეხობა, შიშველოვანი როდენობით, გადადის XIX ს. აფხაზეთში და იქ "აფხაზდება"

---

231 ნ. ბერძენიშვილი, მასალები..., გვ. 616; ჯ. გრიგოლია, ზოგიერთი მოსაზრება..., გვ. 131.

232 გაიხსენოთ ალექსანდრე შარვაშიძის ნათქვამი: "Я не абхазский, а грузинский князь" (ნ. ბერძენიშვილი, იქვე, გვ. 611).

233 ვახუშტი, აღწერა..., გვ. 786.

234 თ. გვანცელაძე, ქართველთა აღმნიშვნელი ტერმინები აფხაზურსა და ადაზურ ენებში, — კრ.: საქართველოსა და ქართველების..., გვ. 317. საგულისხმოა, რომ ლეკებშიც ტერმინი "გურჯი" ასევე ტყვეს აღნიშნავდა.

მხოლოდ, იმიტომ, რომ მას ეს სოციალურად პირად თავისუფლების ანიჭებს[235]. იმიტომაც არის, რომ აფხაზთა [illegible] ნაწილი დღეს მეგრულ გვარსახელებს ატარებს. ამრიგად, აბაზა-ადიღეველთა აფხაზეთის საბჭოთა საოლქოს ადგილობრივ მოსახლეობასთან შერწყმის შედეგად ყალიბდება თანამედროვე აფხაზური (აფსუა) ეთნოსი.

აფხაზთა მიერ მიტაცებული ოდიშის სამთავროს ჩრდ.-დას. ნაწილისა (ტერიტორია მდ. კელასურსა და მდ. ღალიძგას შორის) და მერმინდელი სამურზაყანოს მოსახლეობის ეთნიკური ვინაობის შესახებ შეგვიძლია ვიმსჯელოთ, უპირველეს ყოვლისა, ძველი ქართული საეკლესიო საბუთების მიხედვით. ამ რიგის საბუთებიდან ყველაზე უადრესია ჩვენს მიერ უკვე ნახსენები "ბიჭვინტის იადგარი" (1525-1550), სადაც ნათქვამია: "... კუალადცა გკადრეთ და მოგაკსენეთ ჩუენ დადიანმან პატრონმან მამიამან და ძემან ჩუენმან პატრონმან ლეონ დადიანმან და ძეთა ჩუენთა დადიანმან პატრონმა გიორგი და დადიანმან პატრონმან მამია თქუენ, საშინელსა ბიჭვინტისა ღმრთისმშობელსა... ეგურისპირს ნაყანეო სამოცის კუამლის კაცითა; ხორის წმიდის გიორგის ეკლესია ოცდახუთის კუამლის კაცითა. წამჩარის გამკერვალია; სასახლე სუბეში; სოფელი ძუხური აზნაურის შვილებითა ოცდაათის კუამლის კაცითა; ტყაურუს მეთევზე და მენავტე შამიგია ჭუჭურია და დათია; მარმარის კარს ეგ'ყებტია და ჩხუნბურია, აგრეთვე ბიჭვინტის გარეკი სოფელი აითარნე, არუხა და რაბიწა, აითარნეს მთა ზეთის ხილოვანი"[236].

სიგელში დასახელებული გლეხები, უეჭველად, ქართველები (ეთნიკურად მეგრელები) არიან.

ბედიის გულანის (XVI ს.) ერთ-ერთ მინაწერში ნათქვამია: "ესა შენ ბედიისა და ელიკონისა ღვთისმშობელო. მარადის ქალწულო მარიამ, გეუდრები მე ცუ-ფარეთა შენთა მინდობილი ბედელ მიტროპოლიტი მსეიმ ნიკოლოზ. შემოგწირე კნინი და მცირე ესე შესაწირავი თავს უკამიში ბოკუნავა მისი ცოლ-შვილითა და ყმითა და რისაც მქონებელი იყოს. ამას ვარეთ ბაბუა ფელანგუა, ამას გარეთ ბაბაკოჩი დადალია... ამას გარეთ ერთი კვამლი კაცი ტყეიშს დაკარგული ამოვიღე შარია ხვიჩაშათი ლომათი და ხუხუ მისის ცოლ-შვილითა და სახლ-კარითა; მეორე კვამლი კაცი ანტონია მამულიში და ბაბაკოჩი მის ცოლ-შვილითა, ერთი ცოლ-ქმარი კაცი გუდავას ბიძღუ ბაიდია შემომწირავს სულის სოხად..."[237].

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ბედიელის სამწყსო იყო დადისწყალსა (მდ. ოქემი) და მოქვისწყალს შორის[238]. ბედიის გულანის ამ მინაწერში მოხსენიებული გლეხებიც ამ ტერიტორიის მცხოვრებნი არიან, ეთნიკურად ქართველები.

ნაფუნეულის [illegible]-გლეხების ბეგარის ნუსხაში (XVI ს. ბოლო) დასახელებულია ამ სოფელში მცხოვრები გლეხები: "ბუშანია,

---

235 ნ. ბერძენიშვილი. მასალები..., გვ. 610, 616.

236 ი. ლოლიძე. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 179-180.

237 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (ა კოლექცია), ტ. I2, თბ., 1976, №187, გვ. 319.

238 ვახუშტი. აღწერა..., გვ. 780.

ჯვავიბურია თოლიოქრო, სუბუქია თეძნა, ჯაკობია გუგუტია. მჭიშია კაკური. ვარსიმა უჩია, ხვარაშია უჩია, მაზისშერო უჩია. სოხერდია უჩია. თოლსკუამია უჩია. გაბრიელა დიდია, კაციბაი კოდუა, თომიხილა ელიშია, გულაბა ელიშია, რუსაია მარცვალია. მატუფია შურითოლი, მამისმამა გოგილავა, შურითოლი გოგილავა. სამელია. მამისმამა ღრუბელაია. მამასფერი. ჭუჭა გურუა, ცისტარია მამისმამა, ინალი კოდია. ივანე კოდია, თოლიბედი კოდია. დეისმამა ქაჯაია, კურცხი ლოგუა. გაბელია. შია ქაჯაია, გუტია ხუხუშია, ჯგუბურია ნიკოლაა, სახლობს ოთხი კვამლი მსახური ძაძუა, კონჯარია ოთხი კვამლი მსახური. სამი კვამლი ფიოლია. ივანე დავითია; არის ხოირს საკათათალიკოზო გლეხნი ოცდარვა კვამლი"[239] .

"ბიჭვინტის იადგარის" (1525-1550 წწ.) ძირითადი ტექსტის მინაწერში (დაახლ. 1611-1614 წწ.), რომელიც ლევან II დადიანის მცირეწლოვნობის პერიოდს ეკუთვნის (ამ დროს ოდიშის სამთავროს გიორგი ლიპარტიანი განაგებდა), ნათქვამია: "...ბიჭვინტია ღვთისმშობელო... ჩვენ დადიანმან ბატონმან ლეონ და ტკბილის მამის სანაცვლომან ბატონმან ბიძამ ჩვენმან ბატონმან გიორგი ლიპარტიანმან გაადრეთ და შეოგწირეთ ... ჭალა კაკა ჯაიანისეული მამული და მისის შვილის ხუტუსეული მამული, ორი მონასტერი — ერთი ჯვარის პატიოსნისა და მეორე წმიდის გიორგისა მისის სასახლითა, მამულითა, საფლავითა, სათევზითა, საყანითა, სანადირითა, სახოსნითა, სათივითა, ბელღლითა და მარნითა, ჭურითა, შესავლითა და გამოსავლითა, როგორაცა ხუტუ ჯაიანსა ეხმაროს, ისე თქვენ იხმარეთ. აწე არის ამის შემავალი გლეხი ხუტუ ჯაიანი რომ იხმარებდა ერთი კუამლი კაცი გრიგოლ გოგოლდაჲ, მეორე მოსახლე ლომინია გოგოლდა, მესამე მოსახლე მიხლია ჩანგელია, მეოთხე მოსახლე ქვაქვალია შანტაი, მეხუთე მოსახლე მიკალანდი ფივლია, მეექუსე მოსახლე ვაგიჭორდი კეიკაჲ, მეშვიდე მოსახლე ობიშხუაჲ ფელიაჲ, მერვე მოსახლე მაჭიხოლი ჭანიაჲ, მეცხრე მოსახლე ფშიას ბიბილიაჲ ხუტუს ჯაიანის სეული..."[240] .

მალაქია კათალიკოსის ბიჭვინტისადმი შეწირულობის წიგნში (1616-1639 წწ.) ნათქვამია: "... ხაუელს სასახლე აოხრებული იყო და მომცრო ადგილი იყო და გარეშემო სხვისი ადგილები იყო და ჩემის თეთრითა მიყიდია და გამიმეტებია და სასახლე ამიშენებია და ქვეყირისა საყდარი და ქვეყირისა ჯიხური ამიშენებია, დარბაზი დამიდგამს... ამას გარეთ თილითს სასახლე გამიკეთებია ... ამას გარეთ ღალიბგას სასახლე არ იყო და ბატონის დადიანისა ძველი გაოხრებული სასახლე იყო და ჩუენცა შეეხვეწეთ და ვსთხოვეთ და თუითან ხატსა შესწირა და ჩუენცა დაგვამადლა... ამას გარეთ ილორს ჩხოხოძისაგან ერთი პარტახი მიყიდია და ადგილი წინამძღვრისაგანცა მიყიდია და ერთი კვამლი კაცი მიმიყვანია იქ მეთევზეთ და დამისახლებია. ამას გარეთ სუბეიშს სასახლე გამიკეთებია... ხოირს სოფელი იყო და სასახლე არ იყო. მერმე ჩემის თეთრითა სასახლე ადგილ ვიყიდე მეგრელებისაგან და დარბაზი ვიყიდე და დავადგმევინე. ჯიხური დავადგმევინე და გარდავაჭედინე; და რაც სახლები დგას, ყველა ჩემის თეთრითა მიყიდია და სხვა საყანეები, საკრეფი მამულები და ჭურები მიყიდია და შემიმატებია,

---

[239] ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 382-386.

[240] ს. კაკაბაძე, აფხაზეთის საკათალიკოზო დიდი იადგარი. — "საისტორიო მოამბე", წ. II, ტფ., 1925, გვ. 187.

მოსახლეები დაბასახლეობა... ამის გარეთ ნაჟურის ერთი დიდი სახლი ამიშენებია..."[241].

ლევან II დადიანის ბიჭვინტის ტაძრისადმი შეწირულობის სიგელში (1628 წ.) ნათქვამია: "ჩვენ ხელმწიფე დადიანი ლევან და თანამეტხელერე მისი დედოფალთ-დედოფალი ჭილაძის ასული ნესტან-დარეჯან... შემოგვიწირავს ღალიძგას ძველი ჩვენი სახასლე მისის კარის ეკლესიითა მოსახლე კაცი ერთი პარასქა ალესანდრია და მისი კაცი, მეორე მოსახლე ხახუტაჲ კომარეკასა, მესამე მოსახლე თილითს ელოკარი ჩანგელა, მეოთხე მოსახლე კამულეთს გურამხილი კუბეცა, მეხუთე მოსახლე გურამხილი ესესა მარცხეულს თხალარი, მეექვსე მოსახლე თხალარი გალრითი გაბრა, მეშვიდე მოსახლე ზეგანს მუთაგილენ ხუბილავა, მერვე მოსახლე სიქანდარა გოგუა მეფოსტნე არის, მეცხრე მოსახლე სქვამიშა ნადარაია, მეათე მოსახლე ილორს გოზიძულა წაწულუა, მეთერთმეტე მოსახლე ანაკლიას კოჩილაჲ ჩოდა, მეთორმეტე მოსახლე კოდეგ ანაკლიას ფაცულაი წაწულუა..."[242].

აფხაზეთის საკათალიკოზო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთარში (1621 წ.) ჩამოთვლილია გლეხები სოფლების მიხედვით, რომელთაც გარკვეული გამოსავალი მართებთ. ნაჟანეულში: მიხილია უჩია, ზაქარია უჩაია, თოლიოქრო ჯაკობა, გურამხილი უჩაია, მირჩილია უჩაია, ჯვეკორი დიდია, ორქოლეი კოდია, ჯგუბურია გურამია, ჯგუბურია ნაკალმელიუ, ბუბუტია სუბუქია, სოხერდია შუშანია, იანე შუშანია, ივანე შუშანია, კოჩიკარა კუტარა, ბახუტა დიდია, კოჩილეი დიდია, მჭითანაა ჩარაჩუ, აბრამის შვილი, გაბრიელ ძაძუა, აბრამ ძაძუა, ირდაშელა ძაძუა, ინგარია ძაძუა, მარსალია სამელია, თოლიოქრო გოგილაა, სუსურია გოგილა, მატოფია, მესტუმრია ქაჯაია, კოჩილა მარკოზია, თოთიბია ჯოჩ`ნია, მიძირუდა ციკუტია, გვანიშაჲ ბაგუძლა, კოჭოლა ღრუბლაია, გვარ ღრუბლაია, გეჩეშია გურუა, თოლიმაფუ ხისტარია, მესტუმრია დათია, კოჩია ცისტარია, თოლიშია ლოგუა, მაჭიხოლა კოდია, სოლერდია კოდია, ბუბუტია კოდია, მიხილია კოდია, მ`რსალია რუსაია, კოჩილა ელიშია, თოლმიხილა ელიშია, უსკუამადა ელიშია, მამალეი კონჯარია, გიორგი კონჯარია, ხახუტა კონჯარია, თოსკუამია კონჯარია, გუანიშა კონჯარია, ჯ`ეიტიშია თოლიოქრო, მირჩილია ფიოლია, გოროშია კოტარია, ჭუჭუ კონტარია.

ხოირში: ხახუტა დიდია, კაკაია ჩაგუა, გოგია ჩაგუა, უკულაში ლასურია, უსკუამა ლასურია, მიხილია მეზურგ`ნია, მამულია წებელარა, ჯგერგეშია ჩაგუა, გურამხილი ჩაგუა, ხუხული ჩაგუა, ქაქალია ჩაგუა, ბაბადია ქუნია, ჯიტა, ჯუარია ჯიტა, გრიგოლია ვაჟობა, გოკურცხია გრიგოლია, სკუამილეი ჯიქია, გამიგონა ბიჭვა, მაშუტია დიდია, თოლიოქრო დიდია, გაეშელ დამაკონია, ხუხულია ამბალია, ხუცეს ამბალია, ივანე ამბალია, გამიგონა ჯომნია, ვაჟიკონა ჯომნია, მხიარულა კაკუა, იშამორთა კაკუა, მოირდინა კაკუა, ქურია, ხუხინია ჯაკობია, კოსტაია, ხახუტა გამკერვალია, ხერგუა.

მუხურში: თაიმაზ კიტია, ქუაქუალია კიტია, ქერაბინ კიტია, მამულია კიტია, ბაბაკა კიტია, შურიმიდგი კიტია, პერტია, ჯგერგეკონი კიტია, ძღირუა, ელიჯარ კიტია, გაეშელ კიტია, ამულაბარ კიტია, გაეშელი ამილდამბარი, ქორჩოლეა ყელგრძელი, მამაში ქორჩოლეა, კაკა ჯაკონია, ვაჟობა ჯაკონია, პაპიშია

---

[241] ი. ლოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 500-501.

[242] ხ. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, გვ. 40-41.

ჯაკონია, მაჭაჭვა ჯაკონია, თენა ჯაკონია, ბაბალიში ჯაკონია, სკუაძილი ჯაკონია, ქოძირა ჯაკონია, სანატრელ ღუაჯაგია, გომთინირია მახუტია, მაჩულია არტონია, გაგო არტონია, კუერკუეშია კიტია, მიხილია კიტია, ხვისგია უწყარარა, მიქა მიქელია, შურიმიდგი მიქელია, უბალეი ბიგუა, ქ შია (ქრისტეშია.-ბ.ხ.) არტონია, მიქა არტონია, გუგურია ჯიმია, სუბეი ღუაჯაგია, თოსკუამია პეტრია, დემეტრე კიტია, პირნათე კიტია.

თილითში: თიფშხუა ხუცესი, ირ ტიშია (მარტიშია.-ბ.ხ.) თიფშხუა, იესე თიფშხუა, ნანარტია თიფშხუა, ჯგეკორი ცქურია, ლორდი ცქურია, მიხილია შუნია, შორდა გულუა, თუთაშხია გულუა, მიხილია სოფეფანესკირი, ბაბაური ყვანესკირია, ბადა მოშარდია, მორდილია ბულია, თუთაშხია ქუეჩა, თოლისკეში ფაჯა, თოლისკეში კირჩხელა.. ქალარა ყვანესკირია, თოსკუამია ხუხუა, ხუხულია ზარქუა, უჩაკორი შანტია, ხუნუა ტორიოკია, გუაგულა შარინგა, ბართიე შარინგა, ლომნია ციასკარავა, შურითიანი მალურავა, მამა შუნია, თოსკუამია მარხალია, შურიმიდგი ჩხირუა, ბებ ლი შუნია, ირქია გირგოლავა, ვარგია გირგოლა, თაუზარ გირგოლა, პინაფე გირგოლა.

ხაუკულში: ხუცესი ვარდანია, ქაქალია ვარდანია, ვართანგია, ვარსიმანია, ბაგია მითანიჯი, გინია, ოოქუა, კუკა, ოკა კუკა, ოალაბერ წებელარია, დალაბა ხალიბესშვილი, გაჭირდია წებლარია, გუგურიში წებლარია, ქაქალია წებლარია, გაწირელ წებლარია, დასკელ წებლარია, ზარგელარ წებლარია, გირდია, გაირჩქენდი სალატია, უჩარდია სალატია, თოსკუამია დუშია, ძუკა დუშია, მამია დუშია.

გუფუში: მახუ ვარდანია, გიორგი ვარდანია, საბელო ვარდანია, მიხილია ვარდანია, თენა შონია, სკუმიშია ვარდანია, ხვიტია მისერია, მამიყორდი ნისერია, კახაბერ ნისერია, უჩარდია შონია, უწყინარ ნისერია, ქაქალია ნისერია, ასანდელი შარინა, მაჭიხოლია, წიწა ნისერია.

ტყაურუში: თავაზა შამბია, მაშუტუ შამბია, ქუქუალია შამბია, უჩაკორი ჭუჭურია, გავაშელი დათია.

ჭალაში: ხუცესი გოგორდავა, გვატა გოგორდავა, მიხილია ჩაგლია, ბიშხუელია, მაჭიხოლი ჭანია, შურიმიდგი ფალია, გიჭორდი ჰკა, მარღია ქვაცხა, ლორთელი ბიბილია"[243].

წარწერა წმ. ონოფრეს ხატზე გვაუწყებს, რომ ნესტან-დარეჯან ჭილაძის გარდაცვალების (1639 წ.)გამო, ლევან II დადიანს დაუწესებია ალაპის გადახდა ღალიძგის სასახლის კარის ეკლესიაში ყოველწლიურად წმ. ონოფრეს დღეობაზე, 12 ივნისს. მთავარს მოალაპედ დაუყენებია ღალიძგის მცხოვრებნი: მორდი კურკელა, უსკამა კურკელა, გვანიში ჩაგალოსკირი, ბერუსუა ჩაგალოსკირი[244]. პირველი ჭოღის* მთავარანგელოზის ხატზე წარწერა გვაუწყებს, რომ 1640 წ. ლევან II დადიანს ნესტან-დარეჯან ჭილაძის სულის მოსახსენებლად ორი ალაპის გადახდა დაუწესებია კვიტაულის სასახლეში. მოალაპედ ოდიშის მთავარს დაუდგენია კვიტაულელები: ტოტოჯი დავითია, გაიზარდი აფია, ანჩიბუხუ ჩხანგუა; მეორე ალაპის გადახდა მართებდა ბებელია ბაგათელიას ცოლს აფაქიძის ქალსა და მის შვილს

---

[243] ი. ლოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 419-435.

[244] M. Brosset, Rapports..., Huitieme rapport, გვ. 106-107.

* პირველი ჭოღა — სოფ. ჩხორონწყუს რაიონში, მდ. ოჩხომურის ხეობაში.

მასი ბაგათელიას[245].

სახეობისა და ხატების წარწერებში დასახელებული პირები სახელითაც და გვარითაც ქართველები არიან. რაც შეეხება აქ მოხსენიებულ გლეხია სახელების "უცნაურობას", მაკარი ანტიოქიელი აღნიშნავდა: "ქართველთა უმრავლესობას წმანდანთა (კაცთა თუ ქალთა) სახელი როდი ჰქვია, არამედ ნაირ-ნაირ უმაქნის სახელებს ირქმევს"-ო[246]. ანტიოქიის პატრიარქი "უმაქნის" სახელებში არაქრისტიანულ სახელებს გულისხმობდა.

3. ტოპონიმიკა

აფხაზთა მიერ მიტაცებულ ოდიშის სამთავროს ჩრდ.-დას ნაწილში და საკუთრივ აფხაზეთში ეთნიკურად განსხვავებული მასის ჩამოსახლებამ და გაბატონებამ ადგილობრივი ტოპონიმიკის შეცვლა გამოიწვია. როგორც ცნობილია, ტოპონიმიკა, რომელსაც ხატოვნად "მიწის ენას" უწოდებენ, ყველაზე მგრძნობიარეა ეთნიკური ცვლილებებისადმი. ამდენად, ის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ამ მხარის ისტორიის, ისტორიული გეოგრაფიისა და ეთნო-კულტურული საკითხების შესასწავლად.

ოდიშის სამთავროს ჩრდ.-დას. ნაწილის ადრინდელი ტოპონიმიკის შესახებ ცნობებს გვაწვდიან XVI-XVIII სს. ქართული საეკლესიო საბუთები, სიგელები და სხვა დოკუმენტები; ა. ლამბერტისა და კასტელის რუკები; ვახუშტი ბატონიშვილის "აღწერა სამეფოსა საქართველოსა". ყველა ამ ცნობის შედარება XIX ს. მასალებთან, საშუალებას გვაძლევს, ნაწილობრივ მაინც, თვალი გავადევნოთ იმ ცვლილებებს, რომელიც ადგილობრივ ტოპონიმიკაში მოხდა.

ზემოთ განხილულ XVI-XVII სს. საეკლესიო საბუთებსა და ხატების წარწერებში იხსენიება ოდიშის სამთავროს ჩრდ.-დას ნაწილის სოფლები: ნაჯანეო (ნაჯანეული), წამხარი, სუბეში(სუბეიში), მუხური, ტყაურუ, ხოირი, გუდავ, თილითი, ილორი, ღალიძგა, კამულეთი, მარცხეული თხალარი, რეკა, ზეგანი, ჭალა, ხაუჟელი, გუფუ, კვიტაული, მარმარისკარი. აგრეთვე, საკუთრივ აფხაზეთის სოფლები: აითარნე, არუხა და რაბიწა, რომლებიც ბიჭვინტის მახლობლად მდებარეობდნენ. ამ სოფლების უმრავლესობა აღნიშნულია კასტელისა და ლამბერტის რუკებზე, რაც მათ ლოკალიზაციას აადვილებს.

კასტელის "კოლხეთის, ანუ დღევანდელი სამეგრელოს რუკაზე", რომელიც 1654 წელსაა შედგენილი, მდ. კოდორსა და მდ. მარმარისწყალს შორის აღნიშნულია: სათამაშია (ტამიში), წყურგილი, მარმარისკარი, ფშია, აგუ, ტკვარა (ტკვაჯა, ტკვარჩელი); მარმარისწყალსა და მოქვისწყალს

---

245 შ. ბურჯანაძე. ისტორიული დოკუმენტები..., გვ. 151-152.

246 მაკარი ანტიოქიელი. ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 101.

შორის: ისკურია, დღვანა, პიტაური (კვიტაული), ჯგერდა; მოქვისწყალსა და ღალიძგას შორის: ილორი, მერკულა, ღალიძგა, მოქვი, თილითი; ღალიძგასა და ოქუმს შორის: ლეგეონი, სუბეიში, ნაუგილერი, აპერზოლი, ლიმორი, ფუუწყური, მარცხული, ოლუშე; ოქუმსა და ერთისწყალს (ერისწყალი) შორის: გუდა (გუდავა), გაგიდა, პაპათი, არმენი, წარსე, არკამა (აკარმარა), ჩხორთოლი; ერთისწყალსა და ენგურს შორის: ლეთა, ბარლები, ნაბაკი, ანარკია (ანაკლია), სიდა, კადარი, წიფურია, წამხარი, გენათი, ქვითი, შეშელეთი, სათანჯო, გოგიელი, თნეი.

ლამბერტის რუკაზე აღნიშნულია — ენგურსა და ერთისწყალს შორის: ანარგია, წიფურია, კადარა, გოგიელი, ფარჯინი, სათანჯო, შეშელეთი, ქვითი, სიდა, ბარლები, წამხარი, ლეთა, სუგეონა; ერთისწყალსა და ოქუმს შორის: ჩხორთოლი, აკვასკე, ბედა,არკამა, წარსე, პაპათი, გაგიდა, სიამური, გუდა, არმენი; მდინარეებს — ოქუმსა და ღალიძგას შორის: სანინო, სანარდო, აპერზოლი, ლეგეონი, მარცხული, ოლუმე, ფუუწყური, სუბეიში; ღალიძგასა და მოქვისწყალს შორის: ეხალიძგა (ღალიძგა), ილორი, მერკულა, მოქვი, თილითი; მოქვისწყალსა და მარმარისწყალს შორის: პიტაური, დღვანა, ისკურია; მარმარისწყალსა და კოდორს შორის: სათამაშია, წყურგილი, აგუ, ფშია (ფშაური), მარმარისკარი, ტკუჯა.

კასტელისა და ლამბერტის რუკების მონაცემები მკირედ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ორივე რუკაზე და XVI-XVII სს. საეკლესიო საბუთებში აღნიშნული პუნქტების სახელწოდებები აშკარად ქართულია*. მრავალი მათგანი დღეისათვის გამქრალია, ნაწილს კი, სახელწოდება შეცვლილი აქვს. ასე, მაგალითად: მარმარისკარს დღეს მარმალ აბაა (აბაა, იხ. ციხე) ეწოდება[247]; შდის ამუბეას სასოფლო საბჭოში. აქ იყო მცირე ეკლესია, მდიდრულად გაფორმებული მარმარილოთი. აქედან მომდინარეობს გეოგრაფიული სახელწოდებაც[248]. მდ. მარმარისწყლის (მეგრ. მარმარილოს წყალი) სახელწოდება დღესაცაა შემორჩენილი ადგილობრივი ფორმით — მარმარა, მარმარწყარი. მდინარეს მეორე სახელიცა აქვს — სკურჩა[249].

წყურგილი (მეგრ. ცოუწყარო) ამჟამად შდის ამუბეას სასოფლო საბჭოში. სოფ. თილითი მდებარეობდა მდ. მოქვისწყლის მარცხენა ნაპირზე, დღევანდელი სოფ. თხინას მიდამოებში, სადაც დღესაცაა შემორჩენილი ტოპონიმი "თლით აბაა" (იხ. თილითის ციხე)[250]. "ბიჭვინტის იადგარში" მოხსენიებული სოფ. წამხარი თანამედროვე სოფ. თაგილონის ერთ-ერთი უბანია[251]. ცნობილი მხარეთმცოდნის, პროფ. ვ. ზუბბაიას

---

* აღსანიშნავია, რომ კასტელისა და ლამბერტის რუკებზე ვეოგრაფიული სახელწოდებები მეგრული ფორმით არის მოცემული.

[247] თ. ბერაძე, ოდიშის სამთავროს რუკა არქანჯელო ლამბერტის მიხედვით, გვ. 154.

[248] И. Адзинба, Архитектурные памятники Абхазии, Сухуми, 1958, გვ. 75.

[249] ვ. ბერძენიშვილი, გიორგი მერჩულე, გვ. 173.

[250] თ. ბერაძე, იქვე.

[251] იქვე, გვ. 152.

დაკვირვებით, ნაკინეო დღევანდელი სოფ. ოტობაია, მუხური — თანამედროვე გალის რ-ნის სოფ. მუხურია; სუბერში (სუბეში), მდ. ოქუმის მარჯვენა ნაპირზე, თანამედროვე სოფ. ანიგვარა[252]. "ანიგვარა" აფხაზურად ნიშნავს შემოღობილ ადგილს (აგუარა) ცხენისათვის (ანი); ხოირი, ამჟამინდელი ოხური უნდა იყოს მეოთობის აღნიშნული მეგრ. -ო პრეფიქსის დართვით.

"ბიჭვინტის იდგარის" ძირითადი ტექსტის მინაწერში მოიხსენიება თავად ჯაიანების კუთვნილი სოფ. ჭალა, სადაც ყოფილა ორი მონასტერი: ჯვარი პატიოსნისა და წმ. გიორგის სახელობის. როცა აქ აფხაზები დამკვიდრდნენ, ჭალას ჭლოუ ეწოდა, თუმცა სოფლის ერთ-ერთ უბანს დღემდე შემორჩა სახელწოდება ჭალოუ, ჭალოუ-აიმარა[253]. მდინარეების — სკურჩასა და ლაგუაშის სათავეებთან, ამჟამინდელ სოფ. ათარასთან, მდებარეობდა სოფ. ფშია[254]. მალაქია კათალიკოსის ბიჭვინტისადმი შეწირულობის წიგნში (1616-1639) მოხსენიებული სოფ. ხაუეელი მდებარეობდა მდინარეების — მოქვისა და ღალიძგის აუზში; XVII ს.-დან კარგად ცნობილ სოფ. ღალიძგას, ილორის ჩრდილოეთით, მდ. ღალიძგის მარჯვენა ნაპირზე, სადაც ლევან II დადიანის ერთ-ერთი სასახლე იდგა, დღეს ბესლახუბა ეწოდება; სოფ. ილორი მდებარეობს მდ. ღალიძგის შესართავთან, მის მარცხენა ნაპირზე. ადრე კი, სოფელი მდინარის ორივე ნაპირზე იყო გაშლილი[255].

ლამბერტისა და კასტელის რუკების ტკვაჩა, ტკუაჯა (მეგრ. ხის კიბე), მდ. ღალიძგის ზემო წელში, არის მომდევნო ხანის ტკვარჩელი (მეგრ. დაწოლილი კიბე). მას დღეს ოფიციალურად ეწოდება "ტკვარჩალ". ლევან II დადიანის "ბიჭვინტის ტაძრისადმი შეწირულობის სიგელში" (1628) მოხსენიებული სოფელი რეკა მდებარეობდა მდ. ღალიძგის ზემო წელში, მის მარცხენა ნაპირზე, ტკვარჩელის მახლობლად. ეს სოფელი დღესაც არსებობს; სოფ. კამულეთი მდებარეობდა მდ. კუმარჩაზე (კამურჩა), რომელიც მდ. მოქვს ერთვის; მარცხეული (მარცხული) მდებარეობდა ღალიძგის ხეობის შუა წელში, მდინარის მარცხენა ნაპირზე; თხილარი (თხალარი) არის თანამედროვე სოფ. თხინა; სოფ. მარცხეული-თხალარი მდებარეობდა მდ. ღალიძგასა და მდ. მოქვს შორის; აქვე იყო სოფ. ზეგანიც (ეს სოფელი დღესაც არსებობს)[256]. "აფხაზეთის საკათალიკოზო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთარში" (1621) მოხსენიებული სოფ. ტყაურუ არის XVI-XVII სს. ოდიშის ცნობილი სავაჭრო პუნქტი ისკურია (სკურჩა) მდ. კოდორის მარცხენა ნაპირზე[257]. "ტყაურუ",

---

[252] ვ. ზუბბაია, ხ. ზანთარაია, გალი გვ. 67; გაზ. "ოქროს საწმისი", 1990 წ. №2.
[253] ჰ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 174.
[254] იქვე. გვ. 173.
[255] იქვე. გვ. 176.
[256] იქვე. გვ. 174-175.
[257] Т. Н. Бердзе, Мореплавание..., გვ. 23.

მგრულად. პირდაპირი მნიშვნელობით "ერუ ტყეს" ნიშნავს; სოფ. გუფუ (გუფი), მდ. ღალიძგის ზემო წელში, მის მარჯვენა ნაპირზე, ამჟამადაც არსებობს.

XVII ს.-დან კარგად ცნობილი სოფ. კვიტაული, სადაც ლევან II დადიანის ერთ-ერთი სასახლე იყო, ლამბერტისა და კასტელის რუკებზე აღნიშნულია სახელწოდებით პიტაური. რუსი დესპანი ფ. ელჩინი მას კვეტოულის სახელწოდებით იხსენიებს[258]. ამჟამად, სოფელს 1967 წლიდან ოფიციალურად ჰქვია "კუტოლ", თუმცა, ადგილობრივი მოსახლეობა მას მაინც კვიტაულს ეძახის. აქვე, მოქვისწყლის დასაყლეთით, მდებარეობდა ქიაჩის მონასტერი. სოფ ჯგერდას ერთ-ერთ უბანში დღესაც შემორჩენილი სალოცავი "ქიაჩ-ნიხ"[259]. დღეს აგუბადა ჰქვია სოფელს, რომელიც XIV-XV სს. საზღვაო რუკებზე აღნიშნულია როგორც Corcbendia//Corclendia. სოფლის როგორც ლათინური, ასევე აფხაზური სახელწოდებაც ქართული "შუა ბედის" თარგმნს წარმოადგენს[260].

ოდიშის სამთავროს ჩრდ.-დას ნაწილს ვახუშტი ბატონიშვილი ასე აღწერს: "დადის-წყლის ჩრდილოთ დის ეგრისის წყალი... მიერთვის ზღუას ილორს... ხოლო ამ ეგრისის მდინარესა ზედა, მთასა შინა, არს ეგრი... არამედ ამას შემდგომად უწოდეს ბედია... ხოლო ამ ეგრისის მდინარის დასავლით დის მოქვს მდინარე... ამ მდინარესა ზედა, მთაში, არს მოქვს ეკლესია გუმბათიანი, დიდნაგები... ხოლო მოქვს მდინარის დასავლით დის კოდორის მდინარე. ამ წყალზედ არს ეკლესია დრანდას, მთაში, გუმბათიანი, შუენიერი, დიდშენი... მოიგო (მდინარემ,-ბ.ხ.) სახელი დაბის კოდორისაგან, რომელიც არს დრანდას ზეით, ამ წყალზედ მთაში. ხოლო ამ კოდორის დასავლეთად დის მდინარე ცხომისა.. ამ წყალზედ, მთაში, არს ცხომი, და ისახელების მდინარე ესე ამისგან... ამ ცხომის დასავლით არს ანაკოფია და მდინარე მისი მცირე..."[261].

დადისწყალი ამჟამინდელი მდ. ოქუმია* ; ეგრისის მდინარე – მდ. ღალიძგა; დაბა კოდორს 1955 წლიდან ოფიციალურად ელბედიჩრიოვკა ჰქვია; მდ. ცხომისა – ამჟამინდელი მდ. ბესლეთია, ცხომი – ქ. სოხუმი, აფხაზურად – აყუა; ანაკოფიას ამჟამად ახალი აითნი (ოფიციალურად ნოვი აფონ) ეწოდება, ხოლო ანაკოფიის მდინარეს – ფსირცხა.

სახელწოდება ცხუმი მომდინარეობს რცხილას სვანური სახელიდან – ცხომი[262]. ანაკოფიის ძველი ქართული სახელწოდებაა ულაღი,

---

[258] იხ. ჰ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 169-170.

[259] Ш. Д. Инал-Ипа, Абхазы, გვ. 527.

[260] Т. И. Беразде, Мореплавание..., გვ. 27.

[261] ვახუშტი, აღწერა..., გვ. 779-781.

* მდ. ოქუმის მაღალი შენაკადის მდ. წარჩისწყლის (მდ. ოქუმის ძველი სახელწოდება, ანტიკ. წყაროების "ტარჩერ") ერთ-ერთ შენაკადს ამჟამად ღაღლიხი (ადრ. ღადის წყალი) ეწოდება (იხ. რ. ხუსკინი, ერთი გეოგრაფიული სახელწოდების ეტიმოლოგიისთვის, - "ძველის მეცნიერ", 70, 1985).

[262] გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., გვ. 65.

რაც "ძველ სავალს" ნიშნავს. ძველი ბერძნები მას ტრახეას უწოდებდნენ. ეს სახელწოდება ქართული "ულაღის" პირდაპირ თარგმანს წარმოადგენს. თ. ბერაძე თვლის, რომ ანაკოფიაც ქართული სახელწოდების აფხაზური შესატყვისია[263]. კ. ბერულავას აზრით, "ანაკოფია" მომდინარეობს მთის სახელიდან — ანაკვა, რომელზეც მდებარეობდა ანაკოფია[264]. მდინარის სახელწოდება ფსირცხა მომდინარეობს ჩერქ. სიტყვიდან — ფსირტსხა, რაც მდინარის სათავეს ნიშნავს[265].

ვახუშტი ბაგრატიონი აფხაზეთის ადგილებს ასე აღწერს: "ანაკოფიის დასავლით დის აღაცოს წყალი... აღაცოს წყლის დასავლით დის ზუფუს მდინარე... არს ზუფუ მცირე ქალაქისაებრი, სახლი და საყოფელი შარვაშიძისა... ამ ზუფუს დასავლით დის მუწის წყალი... ბიჭვინტის დასავლით დის კაპპეტის მდინარე"[266].

აღაცოს წყალს დღეს ააფსთა (ბაკლანოვკა) ჰქვია; ზუფუს მდინარე დღევანდელი ხიფსთაა (ბელაია რეჩკა); მუწის წყალს ამჟამად მჭიშთა (ჩორნაია რეჩკა) ჰქვია; ზუფუ ლიხნია, ხოლო კაპპეტის მდინარე (ძვ. ქართ. წყაროების "კაპოეტი") კი, — დღევანდელი ბზიფი[267].

მდინარის სახელწოდება აღაცო მოადინარეობს ამავე სახელწოდების სოფლის სახელიდან[268]. სოფ. აღაცო აღნიშნულია: "ჯიპან ნუმას" კავკასიის რუკაზე (XVII ს. II ნახ.) სახელწოდებით — აღჩა[269]. პ. ინგოროყვას განმარტებით, "მუწის წყალი" (მიწის წყალი) დიდ მანძილზე მიწის ქვეშ მოედინება და შემდეგ გამოდის მიწის ზედაპირზე. აქედან მომდინარეობს მისი სახელწოდებაც[270]. მდინარის სახელწოდება — კაპოეტი მომდინარეობს ამავე სახელწოდების თევზის სახელიდან[271]. აშკარად ქართულია სახელწოდებები — ზუფუ (აფხაზეთის ძვ. მეგრ. სახელწოდება) და ლიხნიც (შდრ. ლიხის ქედი)[272]. ბიჭვინთის როგორც ქართული, ისე ძველი ბერძნული სახელი პიტიუნტი მომდინარეობს "ფიჭვიდან"(ძვ. ქართ. "ბიჭვი", ბერძნ. "პიტიოს")[273]. 1955 წლიდან, მას ოფიციალურად, პიცუნდა ჰქვია. რაც შეეხება გაგრას, სახელწოდება მომდინარეობს ქართული სიტყვიდან "გაგარი" (XIV-XV სს. იტალიურ და კატალონიურ რუკებზე იგი აღნიშნულია კაკრ, კაკარი, ხაკარი — ფორმით), რაც

---

263 თ. ბერაძე. "გაგარი" და "ულაღის" განმარტებისათვის, გვ. 122-123.

264 კ. ბერულავა, აფხაზეთის ისტორიული აღგილები, გვ. 33.

265 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის.., გვ. 46.

266 ვახუშტი, აღწერა..., გვ. 784-785.

267 პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 148-149; ს. ჯანაშია, შავიზღვისპირეთის საისტორიო გეოგრაფია, გვ. 287.

268 პ. ინგოროყვა, იქვე. გვ. 180.

269 იხ. გ. ალასანია, ქათიბ ჩელების ცნობები..., გვ. 57.

270 პ. ინგოროყვა, იქვე. გვ. 181.

271 იქვე.

272 იქვე. გვ. 151-152.

273 იქვე. გვ. 147-148.

"გასასვლელის" ნიშნავს[271].

ჰ. ინგოროყვას განმარტებით, ქართულია მდინარის სახელი ბზიფიც. იგი მიუდინარეობს მცენარის სახელიდან ბზა. აფხაზეთის მთავარ მდინარეს, რომელიც ბზების ხეობაზე მოედინებოდა, ბზიბის (ბზების) წყალი ეწოდება[275]. მუწის წყლის შესართავთან მდებარეობდა აფხაზეთის მთავარი ნავსადგური. XIV-XV სს. საზღვაო რუკების Cavo de Buxo – "ბზის ნავსადგური"[276].

აკად. ქ. ლომთათიძე არ იზიარებს ბზიფის ჰ. ინგოროყვასეულ ეტიმოლოგიას და ფიქრობს, რომ ბზიფი უბიხური სიტყვაა და წყალს ნიშნავს. უბიხური ენის ("ბზი" – წყალი, მდინარე) საფუძველზე ხსნის ბზიფის სახელწოდებას ხ. ბლაუბაც და თვლის, რომ "ბზიფი" ნიშნავს "მდინარის შესართავს". გ. ახვლედიანი არ იზიარებს ბზიფის ქ. ლომთათიძისეულ ეტიმოლოგიას. მისი აზრით, უცხოური რუკების "ბზის ნავსადგური" ჰ. ინგოროყვას მოსაზრების ამაგრებს[277].

საინტერესოა, რომ საძების (ჯიქების) ენაზე, რომლის მასალებიც ე. ჩელების მოაქვს, "ბზი" წყალს ნიშნავს[278]. საფიქრებელია, რომ, როცა ჯიქებმა აფხაზეთის მიწა-წყალი მდ. კაპოეტამდე მიიტაცეს, სასაზღვრო მდინარეს, უბრალოდ წყალი – "ბზი" უწოდეს*, ხოლო ქვეყნის უცხო სახელი "ზუფე" გაიაზრეს როგორც "ბზიფ"**. მოგვიანებით, საძების განსახლების ტერიტორია შავიზღვისპირეთში, მთიდან ჩამოსულმა უბიხებმა დაიკავეს. აქ მცხოვრები საძები უბიხებს შეერწყნენ. თუ უფრო ადრეც არ აღნიშნავდა უბიხურში "ბზი" წყალს, შესაძლოა, ის საძური ენიდან ამ დროს იყოს შესული***.

თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ახალი გეოგრაფიული

---

[271] თ. ბერაძე, "გაგარი" და "ულაღის" განმარტებისათვის, გვ. 122-123.

[275] ჰ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 148.

[276] იქვე.

[277] ქ. ლომთათიძე, აფხაზთა ვინაობისა და განლაგების ზოგიერთი საკითხის შესახებ, – ჟურნ. "მნათობი", 1956, №12, გვ. 133; Х.С.Бгажба, Языкский диалект абхазского языка, გვ. 255; გ. ახვლედიანი, აფხაზეთის ისტორიული ტოპონიმიკის ზოგიერთი საკითხისათვის, – ჟურნ. "მნათობი", 1957, №2, გვ. 110.

[278] ეკლია ჩელები, I, გვ. 107.

* ასევე წყალს ნიშნავს ადიღეურ ენაზე მდინარის სახელწოდება – ფსიუ.

** ტორნაუ აღნიშნავდა, რომ მდ. ბზიფის მარჯვენა ნაპირის აფხაზეთის მოსახლეობას "ბზიფს" ეძახდნენ (შდრ. ზუფე და ზუფური), ისინიც თავს თავს უწოდებენენ როგორც "ბზიფს", ასევე - "აფსუს" (იხ.Г.А.Дзидария, Ф.Ф.Торнау и его кавказские материалы XIX века, გვ. 119).

*** საინტერესოა, რომ საძების ენაში აშკარად ჩანს აფხაზეთის ტოპონიმიკაში, განსაკუთრებით, – გაგრასა და მდ. ბზიფს შორის ტერიტორიაზე. ესენია: მდ. საძაფე, ასაძიფრა (საძების გადასასვლელი), ზაჩუფხარა (ზიხების ღამის გასათევი), ასაძრაშა (საძების მთა), ცანდიშა (ცანდების მთა), ცანდიკუარა (ცანდების მდინარე) და – "ბაფშ" ფორმით წარმოებული გეოგრაფიული სახელწოდებები: ცანდრიფში, გაგრიფში, მიქელრიფში და სხვა (З. В. Анчабадзе, История и культура древней Абхазии, გვ. 174; Х. С. Бгажба, Некоторые вопросы абхазской топонимики, გვ. 137–141).

სახელწოდებების დამკვიდრების საკითხის შესასწავლად, საინტერესოა ა. პახომოვისა და პ. ზუბოვის (XIXს.) ტოპონიმიკური მასალები, საიდანაც ჩანს, რომ მდ. ღალიძგასა და მდ. გუმისთას შორის დამკვიდრებულია ახალი გეოგრაფიული სახელწოდებები. ასე, მაგალითად: ჭლიოუ (ჭალა), დოპუაქით (აფხ. დოპუების სოფელი), გულრიფშ (გულთა საბეღლობელო), უარჩა, აკაფა, აბჟაყვა (აფხ. შუა აყუა), ბირც, აიბარა, გუმა და სხვ[279]. XIX ს. 70-იან წლებში ჯერ კიდევ იხსენიება სოფ. შქა წყარი (მეგრ. შუა წყალი) მდ. კოდორის დელტაზე. მოგვიანებით, მას აძიუბჟა ეწოდა, რაც ქართული სახელწოდების პირდაპირი თარგმანია აფხაზურად[280]. აფხაზეთში ჩამოსახლებული აბაზა-ადიღეელები გვაროვნულ თემებად (აქითა) ესახლებოდნენ. ცალკეულ გვარებს ეკავათ მთელი სოფლები. ასე, მაგალითად: სოფ. დოპუაქით (ამჟ. სოფ აძიუბჟას ერთ-ერთი უბანი), დასახლებული იყო გვარით — დოპუა; ეშბებით იყო დასახლებული სოფ. ბედიას ერთი ნაწილი — ეშქით; შოუებით — შოუაა-რუხცა (სოფ. ჯგერდაში). ბზიფის აფხაზეთში: სოფ. ბაზაარქით (ამჟ. სოფ. აბგარჰუკის ერთ-ერთი უბანი), დასახლებული იყო გვარით ბაზბა; ბაღაარქით (სოფ. აბგარჰუკში) — გვარით ბაღბა; კულანურხვა (კულანების მაღლობი) — გვარით კულანბა; ზვანდრიფში (ზვანბების სამფლობელო) — გვარით ზვანბა; ბლაბურხვა (ბლაბების მაღლობი) — გვარით ბლაბბა; ჩაბალურხვა (ჩაბალების მაღლობი) — გვარით ჩააბალ[281]. თარკილაარჰაბლა (სოფ. დურიფშში) — გვარით თარკილ და სხვ.

როგორც წყაროებიდან ჩანს, XVII ს.-მდე, მდ. კელასურსა და მდ. ენგურს შორის მოსახლეობა მთლიანად ქართული (მეგრული) იყო. ქართულია ამ მხარის ტოპონიმიკაც და, ეს ბუნებრივია, — ეს მხარე ოდიშია არამარტო პოლიტიკურად, არამედ ეთნიკურადაც მეგრელებით არის დასახლებული. ეთნიკურმა ცვლილებებმა აფხაზეთში (ტერიტორია მდ. ჟოეკვარასა და მდ. ფსირცხას შორის) და XVI-XVII სს. აფხაზების მიერ მიტაცებულ ოდიშის ჩრდ.-დას. ნაწილში (ტერიტორია მდ. ფსირცხასა და მდ. ღალიძგას შორის) ადგილობრივი სახელწოდებების შეცვლა გამოიწვია. ნაწილი ტოპონიმებისა საერთოდ გაქრა, ნაწილს კი ფორმა შეეცვალა და დამახინჯებული სახით მოაღწია ჩვენამდე*. ამჟამად, აფხაზეთის ჩრდ.-დას. ნაწილის ტოპონიმიკა უმთავრესად აფხაზურ-ადიღეურია, ხოლო მდ. კოდორსა და მდ. ენგურს შორის — ქართულ-ზანური,

---

[279] А. Пахомов, Записка..., გვ. 242; П. Зубов, Картина кавказского края, ч. II, გვ. 265-269.

[280] Акты, V, გვ. 505; ნ.ჯანაშია, წერილი აფხაზეთიდან, - გაზ. "ცნობის ფურცელი", 1903, 19 თებერვალი; კ. ბერულავა, აფხაზეთის ისტორიული ადგილები, გვ. 75-76.

[281] И. Анжинджал, Из этнографии Абхазии, გვ. 171.

* აფხაზეთში ქართული გეოგრაფიული სახელწოდებები არაქართულით (აფხაზური, რუსული) შეიცვალა უკანასკნელ ხანებში. სახელდობრ: 1955, 1967 და 1978 წლებში, აფსუა სეპარატისტთა მითხოვნით.

თუმცა. მიაჩია მასალებისა და მდინარეების სახელწოდებებში აქაც გამოიყოფა აფხაზური ელემენტი[282]

დ. რელიგია და ეკლესია

გვიან შუასაუკუნეებში აფხაზეთში მიმდინარე ეთნო-პოლიტიკურმა პროცესებმა (მთის ჩამოწოლა, გარეშე მტრების შემოსევები, ფეოდალური შინაომები და სხვ.), შეაფერხა ქვეყნის კულტურული განვითარება და ქართული სამყაროსაგან აფხაზთა გარკვეული "გაუცხოება" გამოიწვია. ეს, უპირველეს ყოვლისა, ქრისტიანობის მისუსტებასა და წარმართობის აღორძინებაში გამოიხატა. დს. საქართველოში შექმნილი ძნელ პოლიტიკური ვითარების პირობებში ქართულმა ეკლესიამ ფაქტობრივად მხოლოდ აფხაზეთს დასცა პოზიციები.

XVIIIს. აფხაზეთში ქრისტიანობა სულს ღაფავს, აღორძინებულია წარმართობა, ფეხს იკიდებს მაჰმადიანობაც. სულხან-საბა ორბელიანის მიერ საფრანგეთის მეფის ლუი XIV-ის სახელზე შედგენილ მემორანდუმში (1714 წ.) აფხაზეთის (დს. საქართველოს) კათოლიკოსის გრიგოლ ლორთქიფანიძის თხოვნით შეეიდა პუნქტი კათოლიკე მისიონერების გაგზავნის შესახებ ჩერქეზეთსა და აფხაზეთში, დს. კავკასიაში ქრისტიანობის ასაღორძინებლად: "ამ პატრიარქის განზრახვაა შეეერთდეს პაპის წმინდა ტახტს და იმუშაოს ამ მისიონერებიან ერთად აბაზების მოქცევასთვის"[283] . კათალიკოს ანტონ I-ის რედაქციის "სადღესასწაულო" (XVIIIს.) გვაუწყებს: "სადამე დავით (დავით აღმაშენებელი,-ბ.ხ.) არა მოეელინა ღმერთსა ჩუენდა, სრულიად ალიხოცამცა ჩუენ შორის ბილწ ჰსჯულთა მახმედიანთა მიერ სახელი ქრისტესი, ვითარცა არს დღეს აღკოცილ ყაბარდიასა შინა და ავაზგიასა (აბაზგია, აფხაზეთი,-ბ.ხ.), რომელნი ჩუენთანა იგინიცა ქრისტეანენი იყუნეს"[284] თავისი დროის აფხაზების შესახებ, ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავდა, რომ ისინი "სარწმუნოებით არიან ქრისტეანენი, არამედ არღარა რისა მეცნიერნი და ირიცხვიოთან ვითარცა კერპნი"[285] . ვახუშტი აღწერს დაკრძალვის - ისევსავე წესს აფხაზებში, როგორსაც — ჯ. ლუკა და ალ.ამბერტი აღწერენ ერთი საუკუნით ადრე: აფხაზები "არა დაჰფლვენ მკუდარსა თვისსა, არამედ მისითვე სამკაულ იარაღითა და შესამოსლითა შთასდებენ კუბოთა შინა და შესდგმენ ხეთა ზედა,..[286] ". მიუხედავად წარმართული წეს-ჩვეულების

---

[282] Х.С. Бгажба, Некоторые вопросы абхазской топонимики. გვ. 130,145.

[283] იხ. ი. ტაბაღუა, სულხან-საბა ორბელიანის ელჩობა საფრანგეთში.- "მაცნე", ისტორიის... სერია, 1965, №3, გვ. 84.

[284] ხელნაწერთა აღწერილობა (А.ჯოლუკია), ტ. I, თბ., 1985, №386, გვ. 144.

[285] ვახუშტი, აღწერა..., გვ. 786.

[286] იქვე.

დამკვიდრებისა, აფხაზეთში ქრისტიანობა საკმაოდ არ აღმოფხვრილა და მისი ნაკვალევი დარჩა აფხაზთა რწმენასა და ყოფაში. აფხაზეთში შეჭრილა ილორის (ელერ-ნიხ), ჯანის (ქიან-ნიხ), ლიხნის (ლიხ-ნიხ), ბიჭვინთის, ლამკუნდარის თაყვანისცემა[287]. ა. ლამბერტი და ჟ.-ბ. ძაბი აღნიშნავენ აფხაზების ლად პატივისცემას ილორის წმ. გიორგისადმი. ფაქტობრივად, ესაა შიში სასწაულთმოქმედი ილორის წმ. გიორგისა და სხვა ქრისტიანული სალოცავებისადმი. ჟ. შარდენი აღწერს შემთხვევას, როცა ერთხელ მათ -ვეშე მიუდგა აფხაზი წარჩინებული თავისი ამალით. მრავალნაირ საქონელს შორის, რომელიც მათ გასაყიდად მოიტანეს, იყო ხატის ვერცხლის ჩარჩო. შეკითხვაზე, თუ სად იყო თვით ხატი, მათ თქვეს, რომ ხატი ეკლესიაში დაჩოქეს, რადგან შეეშინდათ ხატის რისხვისა და ვერ გაბედეს მისი წამოღება[288].

ამავე დროს, აფხაზეთში მკვიდრდება ახალი სალოცავები: ინალ-კუბა (ინალის საფლავი ფსხუში), დიდრიფში (სოფ. აჭანდარა), ლაპირ-ნიხ (სოფ. ბლაბურხვა), ნიგურ-ნიხ (სოფ. ჯირხვა), აიც-ნიხ (სოფ. აიცი), ეშერ-ნიხ (სოფ. ეშერა), ანან-ლიძაა-ნიხ (სოფ. ლიძავა), აგა-ნიხა (სოფ. მარმარისკარი) და სხვ. აღსანიშნავია, რომ მათი ერთი ნაწილი ქრისტიანული ეკლესიების ადგილას იყო, ნაწილი კი, აშკარად შემოტანილია აფხაზეთში ჩამოსახლებული ტომების მიერ. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა ნ. ჯანაშიას ცნობა, რომ თავადი მარშანიები და ყველა აფხაზი, ვინც ჩამოსული იყო მიიდან (წაბალი, დალი, ფსხუ და სხვ.) თაყვანს სცემდნენ ინალ-კუბას[289] როგორც ცნობილია, წაბალი (წებელდა), დალი და ფსხუ თავისუფალი აბაზური (ჯიქების) თემები იყო. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ სალოცავი ნიგურ-ნიხ გარდა ჯირხვისა, იყო მდ. ჩუგურზე, გაგრის დასავლეთით 15 კმ-ზე (ჯიქეთი), სადაც საუკუნოვანი მუხა იდგა. დიდრიფშიც, სოფ. აჭანდარასთან, თავიდან ჯიქების (საძები) სალოცავი ყოფილა, რაზეც მიუთითებს ის ფაქტი, რომ გადმოცემით დიდრიფშის პირველი ქურუმები საძები, ე.ი. წარმოშობით საძები (ჯიქები) იყვნენ[290].

XVIII ს.დან აფხაზეთში ვრცელდება ისლამი, მაგრამ ამ საუკუნის პირველ ნახევარში მას ფართო მასშტაბებისათვის არ მიუღწევია. პირველად მხოლოდ მოსახლეობის ზედაფენა — ფეოდალური წრეები გამაჰმადიანდნენ, პირველ რიგში, — სამთავრო სახლი. მიუხედავად გამაჰმადიანებისა, აფხაზეთის სამთავრო სახლი კვლავ ინარჩუნებდა კავშირს ქართულ სამყაროსთან. სამთავრო სახლი და წარჩინებულთა წრე პირად ნათესაურ ურთიერთობაში იყვნენ ოდიშის, იმერეთის, გურიის მმართველ სახლებთან და წარჩინებულ საგვარეულოებთან. ამ პერიოდში შარეაშიძეთა

---

[287] Г. Ф. Чурсин. Материалы по этнографии Абхазии, გვ 27-36; Ш. Д. Инал-Ипа, Абхазы, გვ 527.

[288] შარდენ ჟან, გვ 212.

[289] Н.С. Джанашия. Статьи по этнографии Абхазии, გვ 43.

[290] Г. Ф. Чурсин, იქვე, გვ 39; З. В. Анчабадзе, История и культура древней Абхазии, გვ 174.

ასულები შერიოეს იმერეთის მეფემ სოლომონ I-მა (1752-1784), ალაბა II დადიანმა (1758-1788) და გურიის თავადმა გიორგი თავდგირიძემ[291]. როგორც ვნახეთ, აფხაზთა მთავრები XVIII-ს. თავიანთ თავს არ გამიჯნავდნენ საქართველოდან და საქართველოს (ქართლის, იმერეთის) მეფეთა უზენაესობას აღიარებდნენ. ასევეთ ვითარება ყოველისმბეველი XVIII-ს. I ნახევარშიც. ეკლესიურად აფხაზეთის სამთავრო, ოდიშ-იმერეთ-გურიასთან ერთად, ერთ მთლიანობას შეადგენდა ერთი საეკლესიო (ქართული) ენით. თუმცა გვიან შუასაუკუნეებში ქართული ენა აფხაზეთში რამდენადმე თმობს პოზიციებს. 1714 წ. ევროპიდან მობრუნებულმა სულხან-საბა ორბელიანმა კ. მალტაზე ბევრი ქართველი ნახა — "ზოგი აფხაზი, ზოგი იმერელი, გურული, მეგრელი"[292], რომლებიც თურქებისათვის წაერთმიათ მალტელებს. მათ ქართული ისევ კარგად სცოდნოდათ, მაგრამ საბას ის გაუკვირდა, "თუ რატომ იცოდა აფხაზმა ქართული"[293]. სულხან-საბა, რომელსაც აფხაზისგან გუკვირდა ქართულის ცოდნა, აფხაზებს მაინც ქართველებად თვლის (ბევრი ქართველი ენახეო, — წერს საბა, — ზოგი აფხაზი, ზოგი იმერელი...). ქართველი მოღვაწენი ქართველებად აღიქვამენ აფხაზებს უფრო გვიანაც. სულხან-საბას შემოხვევიდან ჩანს, რომ ქართული ენის ცოდნა, საერთოდ, გავრცელებული ყოფილა აფხაზეთში. მაგრამ ქართულის ცოდნა ძირითადად თავადაზნაურობისათვის იყო დამახასიათებელი, რადგან ქართული იყო კულტურის ენა, კულტურა კი ფეოდალური საზოგადოების პირობებში უპირატესად საზოგადოების ზედაფენისათვის არის მისაწვდომი. ვახუშტი ბატონიშვილი თავისი დროის აფხაზების შესახებ წერდა: "ენა საკუთარი თესი აქუსი, არამედ უწყიან წარჩინებულთა ქართული"[294]. ქართული ენაზე მუშაობდა კელავაც მთავრის კანცელარია. როგორც აკად. ს. ჯანაშია აღნიშნავდა, "ქართული ენის ასეთი ფუნქცია აფხაზეთში ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი კულტურულ-ისტორიული განვითარების ნაყოფი იყო... სათანადო ტრადიციები გადადიოდა თაობიდან თაობაში, ისტორიულ პირობებთან შეფარდებით... რაკი რეალური ინტერესების სფეროში აფხაზეთის მიზიდულობა საქართველოს დანარჩენი ნაწილებისადმი საბოლოოდ არასოდეს არ გაწყვეტილა"[295].

---

[291] სოლომონ I-ის პირველი ცოლი იყო აფხაზთა მთავრის, შარვაშიძის ასული თინათინი (იხ. ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 174; იხ. იქვე, ეროვნული N430, გვ. 240; მ. ბურჭულაძე, სოლომონ I-ის მეფობის პირველი პერიოდი, გვ. 82). ალაბა II დადიანს (ცოლად ჰყავდა შარვაშიძის ასული დარეჯანი (იხ. ს. ჯაჯანიძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო სამეფოები, II, გვ. 15). გიორგი თავდგირიძის ცოლი იყო გიორგი შარვაშიძის ასული (იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტი S-1700, გვ. 1). საგულისხმოა ისიც, რომ აფხაზეთის სამთავრო სახლის წევრებს ქართული სახელები (ბაგრატი, მანუჩარი, გიორგი, ზურაბი, თინათინი, დარეჯანი და სხვ.) აქვთ.

[292] ს.-ს. ორბელიანი, მოგზაურობა ევროპაში. ს. ორბელიანი, თხზულებანი, ტ.I, თბ., 1959, გვ. 231.

[293] იქვე

[294] ვახუშტი. აღწერა..., გვ. 786. ქართული ენა და ქართული დამწერლობა გავრცელებული იყო ჩრდ.კავკასიის ხალხებშიც (ადიღეელები, ოსები და სხვ.), რასაც "ზერეტში" მუსაჯირებიც აღნიშნავდნენ (იხ. Х.С.Бгажба, Из истории письменности в Абхазии, Тб.,1967, გვ. 35).

[295] ს. ჯანაშია, გიორგი შარვაშიძე. გვ. 35.

XVIII ს. II ნახევარში დას. საქართველოში გააქტიურდა ოსმალო დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლა, რასაც მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი იმ გარემოებამ, რომ იმერეთ-ოდიშ-გურიის მესვეურნი ერთად გამოდიოდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ.

1752 წ. იმერეთის მეფე ალექსანდრე V გარდაიცვალა და ტახტზე ავიდა სოლომონ I (1752-1784). იმერეთის ახალ მეფეს მძიმე მემკვიდრეობა ერგო წილად. უმთავრესი ციხეები ოსმალებს ეპყრათ. არ ცხრებოდა ბრძოლა სამეფო ტახტისათვის. სოლომონ I ოდიშის მთავრის მხარდაჭერის მოსაპოვებლად გაეყარა აფხაზთა მთავრის ასულს და ოტია დადიანის ასული მარიამ შეირთო[296]. იმერეთის მეფემ, პირველ რიგში, თურქთა განდევნა გადაწყვიტა და დახმარება სთხოვა თავის სიმამრს, ოტია დადიანსა და მამია IV გურიელს. რადგან ოდიშის მთავარი მოხუცებული იყო, ტახტის მემკვიდრე კაცია გაგზავნა სიძის დასახმარებლად "სპითა ოდიშ-ლეჩხუმ-აფხაზითა"[297]. კაცია "აფხაზთა" (სამურზაყანოელთა) ლაშქრით ახლდა სამურზაყანოს მფლობელი, ხუტუნია შარვაშიძე. მეფეს მოუვიდა გურიის სამთავროს რაზმიც[298].

1757 წ. 14 დეკემბერს, გამთენიისას, მეფის ლაშქარი თავს დაესხა ხრესილის მინდორზე დაბანაკებული ოსმალებსა და რენეგატ იმერელ დიდებულებს. ქართველებმა მტრის უმრავლესობა ამოწყვიტეს, ნაწილი ტყვედ ნავარდა. 22 წლის მეფემ ხმლით მოკლა ოსმალთა სარდალი ალი-ფაშა, ბრძოლაში მოკლეს აგრეთვე ოსმალთა ჯარის სხვა სარდლებიც. იმერეთის ლაშქარმა შედარებით ნაკლები, მაგრამ მნიშვნელოვანი ზარალი განიცადა[299]. ბრძოლაში დაცემულთა შორის იყო სამურზაყანოელი ხუტუნია შარვაშიძეც. როგორც ნ. დადიანი გვაუწყებს, "გარნა ძე დადიანისა მწუხარე იყო, ვინათგან მხლე მისი შარვაშიძე ხუტუნია მოჰკლეს ბრძოლასა ამას შინა, რომელმანცა სამაგალითოდ წარმოაჩინა მამაცობა და სიმხნე მისი, სადა სხვათა სახელოვანთა ბრძოლათა შორის ხრმლითა განჰკვეთა თექვსმეტი ოსმალი და შემდგომად ოსმალთ რაზმთა შუაგულობასა მყოფი მოჰკლეს შარვაშიძე ხუტუნია"[300].

ხრესილის ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, სოლომონმა აქტიურად შეუტია იმერეთის ციხეებში მსხდომ ოსმალებს, მაგრამ

---

[296] ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 178; შ. ბურჭულაძე, სოლომონ I-ის მეფობის პირველი პერიოდი (1752-1768), გვ. 73; მ. რეხვიაშვილი, იმერეთი XVIII საუკუნეში, გვ. 42.

[297] ნ. დადიანი, იქვე.

[298] იქვე

[299] იქვე; იხ. იქვე; ლომბერიძე, გვ. 240; ა. ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, გვ. 473; მ. რეხვიაშვილი, იქვე, გვ. 58-62.

[300] ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 178.

მან კარგად იცოდა, რომ საბოლოო გამარჯვების მისაღწევად საკუთარი ძალები საკმარისი არ იყო. ამიტომ, როგორც ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II (1762-1798), სოლომონიც რუსეთთან კავშირს ეძებდა. 1768 წ. რუსეთ-თურქეთის ახალი ომი (1768-1774) დაწყო. ომის ოპერაციებიც მოიცვა. ერეკლე II და სოლომონ I რუსეთის მხარეზე იბრძოდნენ ამ ომში და მისი დახმარებით ფიქრობდნენ თურქეთა განდევნას საქართველოდან. 1770-1771 წწ. და. საქართველოში მეორე რუსეთის საექსპედიციო კორპუსისა და იმერეთის ლაშქარს თურქეთა წინააღმდეგ ბრძოლაში ეხმარებოდა კეთილ II დედაც (1758-1788). თუმცა მას საკმად ორეული პოზიცია ეჭირა[301]. საქმე ის გახლდათ, რომ 60-ათი წლებიდან იმერეთის მეფესა და ოდიშის მთავარს შორის საკმად დაძაბული ურთიერთობა იყო და მათ შორის ბრძოლასაც ქონია ადგილი[302]. სოლომონ I და. საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას ცდილობდა და, ამიტომაც, დადგინს რუსეთის ძალებით იმერეთის მეფის გაძლიერებისა ეშინოდა.

რუსეთის კორპუსის სამეგრელოში შემოსვლისას, ოსმალებმა ფიქრობენ რუხისა და ანაკლიის ციხეები, რომლებიც შემდეგ დადგინმა [illegible][303]. 1771 წ. ოდიშის ლაშქრის შემადგენლობაში ფოთთან იბრძოდა სამურზაყანოს მფლობელი ლევან შარვაშიძეც თავისი რაზმით. ისევ ერთულად. აფხაზები აკანყდნენ თურქების წინააღმდეგ. აფხაზთა მთავარმა ზურაბ შარვაშიძემ და სამურზაყანოს მფლობელმა ლევან შარვაშიძემ შეუპოვარი ბრძოლის შედეგად დაიკავეს სოხუმის ციხე და თურქი მეციხოვნეები განდევნეს. მაგრამ, მალე, უთანხმოები ჩამოყარდა ზურაბ და ლევან შარვაშიძეებს შორის და ამ უკანასკნელმა ციხე თურქებს მიჰყიდა. ოღონდ, ისინი ძლივს უმკლავდებოდნენ აფხაზთა გამუდმებულ თავდასხმებს[304]. ამ ამბების შემდეგ, ბრწყინვალე პორტა უკვე აღარ ენდობოდა ზურაბ შარვაშიძეს და ყოველმხრივ უჭერდა მხარს ქილეშ-ბეის, თუმცა ამჯერად, მაინც ვერ გაბედა მოპაერობა ჩამოერიცა ზურაბისათვის[305].

სოლომონ I-ის ბრძნული მმართველობის შედეგად ოსმალეთს იმერეთიდან ფეხი ამოეკვეთა — იმერეთის ციხეებიდან თურქები განდევნეს. რუსეთთან ჭუჩუკ-კაინარჯის ზავის (1774 წ. 10 ივლისი) დადების შემდეგ, ოსმალეთი კარგად ხედავდა, რომ იმერეთი ხელიდან იცლებოდა, ამიტომ ოდიშის სამთავროში ცდილობდა პოზიციების განმტკიცებას. ასევე კოლარებაში, ბრწყინვალე პორტამ ხელი შეუწყო აფხაზი "ბატონების", ლაშქრობას

---

[301] А. Цагарели. Грамоты ...,I, გვ. 176, 276.

[302] იქვე. გვ. 70, 100.

[303] იქვე. გვ. 261, 382.

[304] J. Reineggs. Allgemeine ..., II, გვ. 8; Дюбуа де Монперэ. Путешествие..., გვ. 117; Ф. Торнау, Воспоминания..., ч.1, გვ. 6; Г.А. Дзидзария, Присоединение Абхазии к России, გვ. 16-17.

[305] Н. Г. Антелава, Очерки по истории Абхазии XVII-XVIII веков, გვ. 80.

ოდიშზე[306]. ოსმალები შეუთანხმდნენ აფხაზებს ("აფხაზნი და თურქნი ურთიერთას შეითქვნენ") აფხაზთა მთავარი ზურაბ შარვაშიძე, სამთავრო ტახტის მემკვიდრე, სიხუმის (აფუს ციხე) მფლობელი ქელეშ-ბეი და აბეფუას მფლობელი ბექარ-ბეი შეკავშირდნენ; ოდიშის მთავარს განუდგა სამურზაყანოს მფლობელი ლევან შარვაშიძეც და ისიც ხსენებულ შარვაშიძეს შეუერთდა[307]. "შეიყარა სრულიად აფხაზეთი თავისის ბატონებით შარვაშიძეები, ჯიქი, ალანი და ჩერქეზი, სხვანი კიდევ უცხო ჯარები იყო... ცხენოსანი და ქვეითი... ჯაბახანით, თოფხანით, ზარბაზნებით" და ოდიშისაკენ დაიძრნენ[308]. ზოგიერთი ლიტერატურული წყაროს ცნობით, ოდიშის სამთავროზე ამ ლაშქრობას აფხაზთა მთავარი ზურაბ შარვაშიძე კი არ სარდლობს, არამედ ქელეშ-ბეი[309]. საფიქრებელია, რომ თურქები სწორედ ქელეშ-ბეის შეუთანხმდნენ ლაშქრობაზე და ზურაბს ჩაბრეკის ჩაფლა ამჯობინა.

კაცია II დადიანმა დახმარებისათვის იმერეთის მეფეს მიმართა. სოლომონმა სწორად შეიცნო მტრის ზრახვები და ლაშქრის შეყრა ბრძანა. მეფემ თავის ლაშქარს ცხენისწყალთან, სოფ. ბანძაში უბრძანა თავმოყრა, აქვე დაიბარა გურიელიც. ბანძიდან მეფე თავად წარუძღვა ჯარს და "ერითი ასმითი" მივიდა რუხის ციხემდე[310].

ბრძოლა გაიმართა 1780 წლის მარტში[311] ზუგდიდის მახლობლად, რუხში, რის გამოც იგი ისტორიაში რუხის ბრძოლის სახელითაა ცნობილი. ნ. დადიანი ბრძოლის სურათს ასე გადმოგვცემს: "შემდგომად რაოდენისამე ჟამისა მოვიდენ აფხაზნი და მოურიდებლად გამოვიდენ ენგურს და დასდგენ პირისპირ მათსა. მეორესა დღესა ამოყრიდენ აფხაზნი და წარმოემართენ ზარბაზან-არტილერიითა და დიდძალითა მხედრებითა მეფესა და დადიანსა ზედა. აქთ მიეგებნენ სპანი მეფისა და დადიანისანი და შეიქმნა საშინელი ბრძოლანი. მაშინ მეფე ამოკლდა ხვეულითა კისკასითა გულითა და წარუძღვა რამოდენსამე გუნდსა მხედრობასა იმერეთ-ოდიშართასა და მიუხთა მარჯვენით კერძო მამაცად და მრავლისა ურთიერთისა განგლეჯა რაზმს, და შეკედენ სპანი მეფისა და დადიანისანი რაზმსა შუა და მხილველი ამისი აფხაზნი ვერ წინაღუდგენ, და იცლტოდენ აფხაზნი და გაემარჯვეთ სახელოვნად მეფესა და დადიანსა"[312].

---

[306] ო. სალაღაია, ნარკვევები..., II, გვ. 106.

[307] ნ. დადიანი, ქრონიკული ცხოვრება, გვ. 180; ქ. ჩხატარაიშვილი, დასავლეთ საქართველო XVIII ს. 70-80-იან წლებში, გვ. 665.

[308] ქ. ჩხატარაიშვილი, იქვე.

[309] ი. ბერიძე, რუხის ბრძოლა, გვ. 4, 6, 8-12; დ. დადიანი, რუხის ომი, გვ. 12 დ. დადიანის მიხედვით ზურაბ შარვაშიძე ფარულად ეხმარება ქართველთა საწინააღმდეგოს.

[310] ე. თავაიშვილი, ძველი საქართველო, ტ. II, გვ. 42; შ. ბერდიანაძე, იმერეთის სამეფო 1768-1784 წლებში, გვ. 134-135.

[311] ნ. დადიანი, იქვე, გვ. 180; შდრ. მ. ნიკოლაიშვილი, ისტორიული მასალები, — მასალები III, — ნ. ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის ისტორიული-ეთნოგრაფიული მუზეუმის კრებული, თბ., 1978, №34, გვ. 102-103.

[312] ნ. დადიანი, იქვე, გვ. 180.

რუხის ბრძოლამ, რომელიც ქართველთა ლაშქრის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა, ბოლო მიუღო აფხაზების შემოტევას ოდიშის სამხაკრზე. ეს ბრძოლა ქართველის საზოგადოებრიობამ თავდაპირველ ალიქა, როგორც ბრძოლა ქრისტიანობასა და მაჰმადიანობას შორის. მაშინათვე აშკარა იყო, რომ აფხაზ-ჯიქ-ნერქეზთა ზურგს უკან თურქეთი და მისი ვასალი ყირიმის ხანი იდგნენ. ამიტომ, ქართველთა სიმამაცე და მხნეობა ამ ბრძოლაში, რამაც გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ოდიში "სჯულის ძმობით" შეკავშირებულ აფხაზ-ჯიქ-ნერქეზთა ("ქრისტიანობას დამკვლელთა") მიერ წალეკვისაგან იხსნა, ქართველ მწერალთა შთაგონების წყაროდ იქცა. პირველად, ამ ბრძოლის მონაწილე ბესარიონ გაბაშვილმა, იმ დროს იმერეთის მეფის კარზე მყოფმა, უძღვნა ოდა რუხის ბრძოლას. ბესიკი ბრწყინვალედ აღწერს ბატალიურ სცენებს და ხოტბას უძღვნის როგორც სოლომონ I-სა და კაცია II დადიანს, ისე ბრძოლის ხელმძღვანელებსა თუ შედარებით რიგით მონაწილეებს: სარდალ წერეთელს, გიორგი დადიანის ძეს, გიორგი წულუკიძეს, ელიზბარ ერისთავს, დეისმა ჩიჩუას. ბესიკის შემდეგ, რუხის ბრძოლას უფრო ვრცელი და სიუჟეტიანი პოემა უძღვნა გრიგოლ დადიანმა (კოლხიდელი). ეს პოემა იოანე გეგეჭკორის ფსევდონიმით გამოქვეყნდა. XIX ს. მიწურულს დავით დადიანი (ნოღელი) ისევ შეეხო ამ თემას და პირველი ორისაგან განსხვავებული სიუჟეტზე აგებული ვრცელი პოემა უძღვნა მას. ეს უკანასკნელი, ლიტერატურულ-მხატვრული დონითაც უფრო მაღლა დგას, ვიდრე ბესიკისა და გრ. დადიანის აღნიშნული პოემები.

1913 წ. ე. თაყაიშვილმა კრებულში "ძველი საქართველო" (ტ. II), გამოაქვეყნა "ზეპირთქმულებანი იმერეთის მეფის სოლომონ დიდის დროიდან". ზეპირთქმულებანი "ხრესილის ომ" და "რუხის ომ" კომპილირებული ტექსტია თ. მაგმაძის (ილია ჭყონია) მიერ შედგენილი ვრ. გურიელის, ასლან წულუკიძის, მაჰა გურიელის, გიორგი ბარგამაძის, ალიან წულუკიძის, იაკინთე ყიფიანის ნაამბობთა მიხედვით. მათში რეალისტურადაა მოთხრობილი ხრესილისა და რუხის ბრძოლის ამბავი. ეს "ზეპირთქმულებანი" დაედო საფუძვლად ცნობილი ქართველი მწერლის ნიკო ლორთქიფანიძის ბრწყინვალე მოთხრობას "რაინდები", რომელშიც აღწერილია იმერეთის მეფის სოლომონ I-ის დახმარება ოდიშის მთავრისადმი რუხის ბრძოლაში.

§ 6. ფეოდალური შინაომები დასავლეთ საქართველოში XVIII ს. მიწურულსა და XIX ს. დასაწყისს. ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროს რუსეთის მფარველობაში შესვლა

რუხის ბრძოლის შემდეგ, მალე აფხაზეთის სამთავრო კარზე დაიწყო აშლილობა და ახლა ოდიშის მთავარი ჩაერია აფხაზეთის სამთავრო სახლის საქმეებში. ოსმალთა წაქეზებით ქელეშ-ბეი შეეცადა ზურაბ

შარვაშიძის ტახტიდან ჩამოგდებას. "დრეისა ამას, — წერს ნ. დადიანი, — შეიტყვეს ურთიერთისადმი შარვაშიძე ზურაბ, რომელი ფლობდა ზუ ფეს, და ძმისწული მისი ქელაშ-აჰმედ-ბეგ, რომელი ფლობდა აფუს და მიმდგომსა მისსა. ამისთვის წარმოვიდა ზურაბ შარვაშიძე და მოვიდა კაცია დადიანისა თანა და სიხოვა შეწევნა. უსმინა დადიანმა, შეიკრიბა სპანი თვისნი, ანინა მხედართმძღვანად ძმა თვისი გიორგი და წარგზავნა აფხაზეთად. მივიდნენ რა აფხაზეთს, ურჩნი ზურაბისანი მოსწვეს, მოსწყვიტეს და შემდგომად მოადგენ ცხოვის ციხეს". მეცხოვნეების მეფგარი წინააღმდეგობის მიუხედავად, გიორგი დადიანის ძემ "სიმხნე-მამაცობითა" საქებელითა აიღო ციხე, ურჩნი ისევ დაუმორჩილა ზურაბ შარვაშიძეს და გამარჯვებული დაბრუნდა ოდიშში[313]. ამრიგად, ზურაბმა, კაცია II დადიანის დახმარებით, შეინარჩუნა ხელისუფლება. დადიანისაოვის, რა თქმა უნდა, აფხაზეთის სამთავრო ტახტზე სასურველი იყო პროქართული ორიენტაციის ზურაბ შარვაშიძე, ვიდრე თურქოფილი ქელეშ-ბეი. ამაკე ხანებში, კაცია II დადიანი დაუმყარდა ლევან შარვაშიძეს. დადიანის ძემ მანუჩარმა შეირთო ლევან შარვაშიძის ასული ელისაბედი[314]. ამით ოდიშის მთავარს სამურზაყანოს მფლობელის შემომტკიცება სურდა.

ამ პერიოდში, აფხაზეთის სამთავროს მხარეებიდან შუა სოფელს ანუ აბჟუას, — ტერიტორიას მდ. ღალიძგასა და კოდორს შორის, — ფლობს ზურაბ შარვაშიძის ძმისწული ბექირ-ბეი; სოხუმის ციხესა (აყუ) და მის მიმდებარე ტერიტორიას, გუმის აფხაზეთს, — მდ. კოდორსა და მდ. გუმისთას შორის, — ქელეშ-ბეი; ბზიფის აფხაზეთს — ტერიტორიას მდ. გუმისთასა და მდ. ბზიფს შორის, — ზურაბ შარვაშიძე, რომელიც აფხაზეთის დანარჩენ მხარეთა სიუზერენია[315].

80-იანი წლების დასაწყისში ქელეშ-ბეიმ ოსმალთა დახმარებით ტახტიდან ჩამოაგდო ზურაბ შარვაშიძე და თვითონ გამთავრდა. ამავე დროს, პოლიტიკური მიზნებით, მთავრის რეზიდენცია ლიხნიდან, სამთავროს ძველი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრიდან, სოხუმის ციხეში გადმოიტანა, სადაც თურქი მეცხოვნეები იდგნენ[316]. როცა მთავარი გახდა, ქელეშ-ბეი გაშორდა ცოლს — ძიაფშ-იფების ასულს, რომელიც

---

* როგორც წესი, XIX ს.-ამდე დადიანად იწოდებოდა მხოლოდ ის, ვინც ოდიშის მთავრად იჯდა, ხოლო მთავრის შვილებსა და ძმებს "დადიანის ძე ბატონიშვილს" ეძახდნენ, მათ შვილებს კი — "დადიანის ძის ძეს" ან "ბატონიშვილს". XIX ს. დამდეგიდან ეს წესი თანდათან ირღვევა და სამთავრო სახლის ყველა შთამომავალი დადიანად იწოდება. ე.ი. ოდიშის მთავრის წოდების აღმნიშვნელი ტერმინი "დადიანი" გვარად იქცევა (ო. სოსელია, ნარკვევები..., III, გვ. 102-103).

[313] ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 181.

[314] იხ. ვ. მაჭარაძე, ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე, თბ., 1968, გვ. 277-278; ო. სოსელია, ნარკვევები..., III, გვ. 93.

[315] ნ. დადიანი, იქვე, გვ. 183-184; А. Пахомов, Записка..., გვ. 244.

[316] И. Г. Апелава, Очерки по истории Абхазии XVII-XVIII веков, გვ. 82; Г. А. Дзиджария, Присоединение Абхазии к России, გვ. 22.

პოლიტიკური გარიგებით შერთეს და არ უყურადღა. ამის შემდეგ, მან ცოლად მოიყვანა დიდი წარჩინების (ვლეხი ამბავი) ქალი, გვარად ლეკა, მეგობარ ხუდან, ტომით ჯიქი[317]. თაყისი ნახევარი ქელეშ-ბეი დაუპირისპირდა ძიაფშოების გავლენიან და ძლიერ საგვარეულოს. ტრადიციით, ცოლის გაშკება დიდი სირცხვილი იყო ამ ქალის გვარისათვის და მისი ზღვება მხოლოდ სისხლით შეიძლებოდა.

ქელეშ-ბეი მტკიცე მმართველი გამოდგა. მან შეძლო დაემორჩილებინა ურჩი ფეოდალები: თავისი მეტოქე ბიძაშვილი ბექირ-ბეი, წებელდელი მარშანიები და აბუელი ანჩაბაძე. დაქუცმაცებული სამთავროს გაერთიანებისა და ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლაში მან მაქსიმალურად გამოიყენა თურქეთის მხარდაჭერა. ამასთან ქელეშ-ბეიმ მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა ჯიქებთან და უბიხებთან[318].

XVIII ს. მიწურულს მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილებები მოხდა იმერეთის სამეფო კარზე, რაც, შემდეგ, მრავალი შინაომისა და სისხლისღვრის მიზეზი გახდა. 1784 წლის 23 აპრილს სოლომონ I უეცრად გარდაიცვალა. მისი დაკარგვა მძიმე დანაკლისი იყო ალირეზინების გზაზე შემდგარი ქეყნისათვის. სოლომონ მეორე ისე გარდაიცვალა, რომ მემკვიდრე არ დაუტოვებია. ტახტის პრეტენდენტებად გამოდიოდნენ სოლომონ მეფის ძმისშვილი, დედის მხრივ ერეკლე II-ის შვილიშვილი, 12 წლის დავით არჩილის ძე და სოლომონ მეფის ბიძაშვილი დავით გიორგის ძე. იმერეთის გავლენიანი ფეოდალებისა და დადიან-გურიელის მხარდაჭერით, ტახტზე ეს უკანასკნელი ავიდა და იმერეთის ფეოდალთა წინაშე დაიფიცა, რომ სოლომონ I-ის საშინაო და საგარეო პოლიტიკურ ხაზს გაატარებდა[319]. მალე, 1788 წ. 6 დეკემბერს, კაცია II დადიანიც გარდაიცვალა და ოდიშის ტახტზე ავიდა მისი უფროსი ვაჟი გრიგოლი[320]. როგორც ჩანს, გრიგოლ დადიანი არ იყო სასურველი კანდიდატი იმერეთის მეფისათვის ოდიშის ტახტზე, ამასთან, სამურზაყანოს ანუ "ზემო აფხაზეთის" მფლობელს, ლევან შარვაშიძეს დავით გიორგის ძისათვის უთხოვია, მისი სიძე — მანუჩარი გაემთავრებინა, რის შემდეგაც ის მზად იყო ეცნო იმერეთის მეფის უზენაესობა[321]. იმერეთის მეფემ, გრიგოლ დადიანს გამოაერებდან ორი თვის თავზე ოდიში დალაშქრა, მრავალი გავლენიანი ოდიშარი გადაიბირა და მიაყრად დასვა მანუჩარ დადიანი. გრიგოლ დადიანს ლეჩხუმს შეუყარა თავი[322].

---

[317] А. Пахомов, Записка..., გვ. 231, 244.

[318] А.Фадеев, Краткий очерк...,ч.I, გვ. 143; Г. А. Дзидзария, Присоединение Абхазии к России, გვ.22,27-28.

[319] შ. ბურჭულაძე, იმერეთის სამეფოს პოლიტიკური ისტორიისათვის 1784-1789 წწ., გვ. 81-82; ბ. რეხიაშვილი, იმერეთი XVIII საუკუნეში, გვ. 177-180.

[320] ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 184; ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, გვ. 193.

[321] ვ. მაჭარაძე, ბესიკი დიპლომატიურ სარბელზე, გვ. 277-278.

[322] ნ. დადიანი, იქვე, გვ. 184.

ეს ლაშქრობა დაკით გიორგის ძისათვის საბედისწერო აღმოჩნდა. მეფეს ქვეყნის შიგნით ბევრი მტერი ჰყავდა იმერეთის წარჩინებული ფეოდალების სახით; საზღვრებთან თურქები იდგნენ და ახალციხის ფაშაც უარყოფითად იყო განწყობილი მის მიმართ; ერეკლე II-ის კარზე მყოფი იმერეთის ტახტის პრეტენდენტი დავით არჩილის ძეც ხელსაყრელ შემოხვევას უცდიდა. ოდიშის წარჩინებულების — ლეჩხუმის სარდლის ქაიხოსრო გელოვანის, სამთავროს სახლთუხუცესის გიორგი ჩიქოვანის (გრიგოლ დადიანის ბიძაშვილები) და სამთავრო სახლის სხვა წევრების რჩევით, გრიგოლ დადიანმა ქართლიდან გამოიწვია დავით არჩილის ძე, რომელიც ჯერ იმერეთში, ხოლო შემდეგ, ლეჩხუმში ჩაიყვანეს. მურის სასახლეში დავით ბატონიშვილს შერთეს გრიგოლ დადიანის და მარიამი. ქორწილის შემდეგ გრიგოლ დადიანის ერთგული ოდიშ-ლეჩხუმის ლაშქარი გამოემართა და ხუნწში დაბანაკდა. ძალია თანაფარდობა აშკარად არ იყო იმერეთის მეფის სასარგებლოდ. ერეკლე მეფემაც ქართლ-კახეთის ლაშქარი იმერეთის საზღვარს მოაყენა. ბრძოლა მოხდა 1789 წ. 10 ივლისს ხუნწში. დავით გიორგის ძე დამარცხდა და ახალციხეში გაიქცა. იმერეთის ტახტზე ავიდა დავით არჩილის ძე, რომელმაც ბიძის პატივსაცემად სოლომონ II დაარქვა[323]. ოდიშში ისევ გრიგოლ დადიანი გაბატონდა. 1791 წ. ოდიშის სამთავრო სახლი დაუმოყვრდა ქართლ-კახეთის სამეფო სახლს. გრიგოლ დადიანმა (1788-1804) შეირთო ერეკლე მეფის შვილიშვილი, გიორგი ბატონიშვილის (შემდეგში ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII) ასული ნინო ბატონიშვილი[324].

1790 და 1792 წლების სიგელებში გრიგოლ დადიანი ოდიშის, აფხაზეთის, სვანეთის, თაკვერის მეულობელად იწოდება[325]. ამ დროს ოდიშის მთავარი მართლაც ფლობდა თაკვერს (ლეჩხუმი), რომელსაც სარდალ-მოურავი გელოვანები განაგებდნენ; დადიანს ეჭირჩილებოდა, აგრეთვე, სვანეთის ის ნაწილი, რომელიც ლეჩხუმს ესაზღვრებოდა — ცხენისწყლის ხეობის სვანეთი. ამ მხარეს ოდიშის მთავარი მართავდა ლეჩხუმელი ჩიქოვანების მეშვეობით, რომლებიც მოურავებად ინიშნებოდნენ[326]. რაც შეეხება "აფხაზეთს", აქ სამურზაყანო იგულისხმება, რომელსაც დადიანის ვასალი შარვაშიძეები განაგებდნენ.

XVIII ს. 90-იან წლებში დადიანსა და იმერეთის მეფეს შორის შეურიგებელმა წინააღმდეგობებმა ინინეს თავი. სოლომონ II (1789-1810)

---

[323] დავით ბატონიშვილი, მასალები საქართველოს ისტორიისათვის, გვ. 36; ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, გვ. 63; თ. ბაგრატიონი, ახალი ისტორია, გვ. 60-61; ნ. დადიანი, ქართველი ცხოვრება, გვ. 184; ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, გვ. 193; შ. ბერუჩიანაძე, იმერეთის სამეფოს პოლიტიკური ისტორიისათვის 1784-1789 წწ., გვ. 98; ბ. რეხვიაშვილი, იმერეთი XVIII საუკუნეში, გვ. 208-209.

[324] ბაგრატ ბატონიშვილი, იქვე, გვ. 61; ნ. დადიანი, იქვე, გვ. 184.

[325] Акты, VI, ч. II, გვ. 814.

[326] შ. ბერუჩიანაძე, იმერეთის სამეფოს საშინაო პოლიტიკა 1789-1802 წლებში, გვ. 243-244.

სოლომონ I-ის პოლიტიკის გამტარებელი აღმოჩნდა, რომელიც მიზნად ისახავდა დას. საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას. ამის ხელს უწყობდა საგარეო-პოლიტიკური ვითარებაც. თურქეთის ომერა, რომელიც ცენტრიდანულ ძალებს უჭერდა მხარს, ამ დროს საკმაოდ დასუსტებულია და სათანადო კონტროლს ვერ უწევს დას. საქართველოში მიმდინარე მოვლენებს. ამით სარგებლობს სოლომონ II და დას. საქართველოს ხელმწიფის პრეტენზიებით გამოდის. იგი თავს "ქუსტიოსა ოვერთისა და სხუათა მეფეს" უწოდებს. მეფის მარჯვენა ხელი სოლომონ ლიონიძე წერდა, რომ "აფხაზეთი უძველესი დროიდანვე იმერეთისა იყო". მასვე ეკუთვნოდა ფოთის ციხეც. მეფე დადიანს უეურებდა როგორც ურჩ ყმას. მისი აზრით, მართალია, დადიანი "მიაკრად დაიდგინა, მაგრამ მას მეფის წინააღმდეგობის უფლება არ ჰქონდა", იგი მეფის მორჩილი უნდა ყოფილიყო[127]. გრიგოლ დადიანს კი სრულიად დამოუკიდებელ მიაკრად ეჭირა თავი და იმერეთის მეფის უზენაესობას არ ცნობდა. მეფემ ოდიშის მიაკარს მისი ძმა მანუჩარი* და ლეჩხუმის მფლობელი ქიხოსრო გელოვანი დაუპირისპირა. გრიგოლ დადიანის საწინააღმდეგო დაჯგუფების მხარი დაუჭირა ანა დედოფალმაც*. 1792 წ. შეიქმენებმა გადაყენეს გრიგოლ დადიანი და მიაკრად დასვეს მანუჩარი. გრიგოლ დადიანს სამურზაყანოს შეუერთა თავი[128].

1794 წ. დავით გიორგის ძე იმერეთში შეიჭრა და ქუთაისის ახლოს დაბანაკდა. იმერეთის მეფეს დასახმარებლად მანუჩარ დადიანი მოეფინა ოდიშ-ლეჩხუმის ლაშქრით. მას ახლდა ქიხოსრო გელოვანიც. ამავე დროს, სამურზაყანოდან გრიგოლ დადიანიც გამოემართა. — "ეამია ამის, — წერს ნ. დადიანი, — შეკრბენ სამურზაყანო აფხაზნი შესაწყენელად გრიგოლ დადიანისა, ვინაოგან იხილეს მფლობელი მათი განძეული უსამართლოდ". — და ბანის მახლობლად, მარსილში დაბანაკდა. სოლომონმა დასწრება გადაწყვიტა, სანამ მისი მოწინააღმდეგენი გაერთიანდებოდნენ. ქიხოსრო გელოვანი და ქიხოსრო წერეთელი, მოუელოდნელად, დარტ. თავს დაესხნენ გრიგოლ დადიანს და დაამარცხეს იგი. როცა გრიგოლის დამარცხების ამბავი შეიტყო. დავით გიორგის ძემ ქუთაისიდან დაიხია და მათხოეკში დაბანაკდა. გრიგოლ დადიანმა აფხაზეთის მთავარს მიმართა დახმარების თხოვნით. ქელეშ-ბეი აფხაზთა ლაშქრით ოდიშში გადავიდა და ხიბულაში დაბანაკდა. ამ დროს სოლომონს მოუდგა ერეკლე მეფის გამოგზავნილი დამხმარე ჯარი ალექსანდრე ბატონიშვილის სარდლობით. სოლომონი 24 ოქტომბერს შეტევაზე გადავიდა და დამარცხა დავით გიორგის ძე, რომელიც, ამის შემდეგ, გრიგოლ დადიანისა და ქელეშ-ბეის ბანაკში მიეიდა. ქელეშ-ბეიმ თავი აარიდა იმერეთის მეფესთან ბრძოლას და აფხაზეთში

---

[127] იხ. მ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, გვ. 134-135.

* ანა წელიწად ორ ჯერ II ოდიშის შესაბ ცოლად რომელიც მას ჰ და ასევე მეფეა — მანუჩარ და ოთარ (იხ. ე. თაყაიშვილი, არქიოლოგიური მოგზაურობანი ხევსურეთში, გვ. 70, 193).

[128] ნ. დადიანი ქრონიკა ცხოვრება, გვ. 186; მ. რეხიაშვილი ომერეთი XVIII საუკუნეში, გვ. 220.

1

2



3

1. დადიანების ძველი შტოს გერბი

2. დადიანთა ახალი შტოს გერბი

3. შარვაშიძეების, აფხაზეთის მთავაროთა გერბი

გაბრუნდა. დავითი და გრიგოლი ფოთის წავიდნენ, გრიგოლი იქ დარჩა, ხოლო დავითი ახალციხეში გადავიდა. 1795 წ. 11 იანვარს დავით გიორგის ძე ახალციხეში გარდაიცვალა[329].

გრიგოლ დადიანი ახალციხის ფაშას დახმარებით შეეცადა ტანტის დაბრუნებას. მაგრამ ეს ცდა უშედეგოდ დამთავრდა, ვერც ერეკლე მეფის შუამდგომლობამ გასჭრა სოლომონთან — იმერეთის მეფემ თავის პაპას უარი აკადრა. მაშინ გრიგოლმა თავისი ერთგული ბიძის გიორგი დადიანის ძის დახმარებით გადმოიბირა ლეჩხუმის მოურავი ქაიხოსრო გელოვანი და მათი შუამდგომლობით შეურიგდა იმერეთის მეფეს. 1798 წ. მათ შორის საშშვიდობო

---

[329] Акты, I, გვ. 553–554; ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 186-188; შ. ბურჯანაძე, იმერეთის სამეფოს საშინაო პოლიტიკა 1789-1802 წლებში, გვ. 246.

ხელშეკრულება დაიდო სოფ. ოჯოლაში. გრიგოლ დადიანი კვლავ დაეუფლა ოდიშსა და ლეჩხუმს, ხოლო მანუჩარს სალიპარტიანო უბოძა[330].

სოლომონს ამის შემდეგაც არ აუღია ხელი ოდიშ-ლეჩხუმის იმერეთთან შეერთების განზრახვაზე. მალე, იმერთა და დაქირაველებულ ლეკთა ლაშქრით, მეფე კვლავ შეიჭრა ოდიშში და მთავრად ისევ მანუჩარი დასვა, მაგრამ გრიგოლ დადიანის ოდიშიდან განდევნა მაინც ვერ შეძლო. ხორგის, ხეთის, ჭაქვინჯისა და ნოლის ციხეების პატრონები გრიგოლ დადიანს უჭერდნენ მხარს. როგორც კი იმერეთის მეფე გაიდევნა ოდიშიდან, გრიგოლ დადიანი კვლავ იპყრობდა სამთავროს. რადგან გრიგოლი ვერ განდევნა ოდიშიდან და მიზანს ვერ მიაღწია, სოლომონი "განძვინდა და აქცევდა ოდიშსა ყოველ წელ და აოხრებდა სპითა იმერელ-ლეკთა და სტყვევნიდა მრავალსა ქრისტიანთა ტყვეთა, სწვიდა და აოხრებდა ოდიშსა. და მიეცა ოდიში დიდსა მწუხარებასა, სადა ურწმუნოთა ლეკთა მრავალნი ეკლესიანი შებღალნეს"[331]. 1802 წ. ზაფხულში იმერეთის მეფემ ისევ დაამარცხა გრიგოლ დადიანი და ლეჩხუმი დაიკავა. ოდიშის მთავარმა დახმარება ითხოვა ქელეშ-ბეი შარვაშიძეს, "რომელსა ეპყრა ყოველი აფხაზეთი ვიდრე ღალიძგამდე და მძლავრებდაცა დადიანის სამფლობელო სამურზაყანო აფხაზეთსა"[332]. აფხაზეთის მთავარმა მძევალი მოითხოვა. დადიანმა ტახტის მემკვიდრე ლევანი გაუგზავნა მძევლად. ამის შემდეგ, ქელეშ-ბეი თავისი ლაშქრით — 20 ათასი მეომრითა და 3 ზარბაზნით — ოდიშში გადმოვიდა და აბედათში დაბანაკდა. შემოდგომაზე სოლომონ II ოდიშში შეიჭრა და ქვეყნის შემომტკიცებას შეუდგა. ქელეშ-ბეიმ მეფესთან შებძოლება ვერ გაბედა, დაუზავდა მას და აფხაზეთში დაბრუნდა. გრიგოლ დადიანი გორდისა და მურის ციხეებში გამაგრდა, რომელთა აღებაც მეფემ ვერ შეძლო. სოლომონმა ოდიშის მთავრად გრიგოლ დადიანის უმცროსი ძმა ტარიელი (ოტია) დასვა და იმერეთში დაბრუნდა[333].

გრიგოლ დადიანისათვის, რომელიც ოდიშის გარკვეულ ტერიტორიაზე მაინც ბატონობდა, ცხადი შეიქნა, რომ საკუთარი ძალებით იმერეთის მეფის მძლავრობას წინ ვერ აღუდგებოდა. ამიტომ რუსეთის მფარველობაში შესვლა გადწყვიტა და შესაბამისი თხოვნით მიმართა აღმ. საქართველოში რუსეთის ადმინისტრაციას[334]. როგორც ვიცით, რუსეთიან მფარველობითი კავშირის ძიება ქართლ-კახეთის ინკორპორაციით დამთავრდა. ამის შემდეგ, საქართველოს დასარჩენი პოლიტიკური ერთეულების რუსეთიან შეერთება მხოლოდ დროის საქმე იყო. აღმ. საქართველოში გაბატონებისთანავე

---

330 ნ. დადიანი, ქართველი ცხოვრება, გვ. 188-190; შ. ბერდაანაძე, იმერეთის სამეფოს საშინაო პოლიტიკა 1789-1802 წლებში, გვ. 246-247.

331 ნ. დადიანი, იქვე, გვ. 190.

332 იქვე, გვ. 192.

333 Акты, I, გვ. 577, №752; II, გვ. 340, №688; ნ. დადიანი, იქვე; ლევან ბატონიშვილი, მასალები საქართველოს ისტორიისათვის, გვ. 65; ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, გვ. 80.

334 ნ. დადიანი, იქვე, გვ. 192-193; ბაგრატ ბატონიშვილი, იქვე.

რუსეთის მთავრობა ფრთხილად შეუდგა დას. საქართველოში დამკვიდრებისათვის ზრუნვას, ლიხთ-იმერეთის სამეფო-სამთავროებს შორის არსებული მძაფრი დაპირისპირება რუსეთის მიზნების განხორციელებისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა. სოლომონ II ახლა უკვე მიხვდა რა დიდი საშიშროების წინაშეც იდგა და მორიგების წინადადებით მიმართა გრიგოლ დადიანს, მაგრამ მისგან უარი მიიღო. მაშინ, მან გადაწყვიტა ,ველავ ძალის მეშვეობით დაეპორჩილებინა დადიანი, მაგრამ მთავარმართველი პ. ციციანოვი (1802-1806) გამოექომაგა ოდიშის მთავარს და იგი იმერეთის მეფის ხელყოფისაგან დაიცვა[335].

1803 წ. 2 დეკემბერს გრიგოლ დადიანმა სოფ. ჭალადიდში ხელი მოაწერა სამოვარველო ხელშეკრულებას, ხოლო 4 დეკემბერს კი, ცაიშელისა და ოდიშის წარჩინებულთა თანდასწრებით საზეიმოდ დაიფიცა რუსეთის ხელმწიფის ერთგულებაზე. ამ აქტით ოდიშის (სამეგრელოს) სამთავრო შეზღუდული ავტონომიის უფლებით რუსეთის მფარველობაში შევიდა[336]. ამრიგად, ცარიზმმა ისარგებლა ოდიშ-იმერეთს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოებით და ადვილად ჩაიგდო ხელში ოდიშის სამთავრო, რაც შემდგ მთელი დას. საქართველოს დაპყრობა გაუადვილა. ეს იყო სოლომონ II-ის მიერ ოდიშის სამთავროს წინააღმდეგ მიმართული არაშორსმჭვრეტელური პოლიტიკის შედეგი.

ოდიშის სამთავროს შესვლამ რუსეთის მფარველობაში, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დას. საქართველოს ფეოდალურ საზოგადოებაზე. ოდიშისა და ლეჩხუმის გავლენიანი წრეები, რომლებიც აქამდე იმერეთის მეფეს უჭერდნენ მხარს, დადიანის მხარეზე გადავიდნენ. ოდიშის მთავარს მიემხრო სოლომონ მეფის მიერ ლეჩხუმის მოურავად დადგენილი ბერი გელოვანიც. 1804 წ., უკვე მთელი ოდიში და ლეჩხუმი გრიგოლ დადიანის ხელში იყო[337].

ოდიშის სამთავროს სახით რუსეთის ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი დასაყრდენი გაიჩინა დას. საქართველოში და ყოველმხრივ ცდილობდა დადიანის გაძლიერებას. 1804 წ. მაისში პ. ციციანოვმა გრიგოლ დადიანს რუსთა მხედრობის ერთი ასეული გამოუგზავნა გენერალ ი. რიკჰოფის მეთაურობით, რომელიც ოდიშის მთავარმა ხობისწყლის შესართავთან, ყულევში დააბანაკა[338]. ამავე პერიოდში გრიგოლი ავად გახდა. იმავე წლის 23 ოქტომბერს იგი გარდაიცვალა. მაშინვე გავრცელებულა ხმა გრიგოლ დადიანის მოწამლის შესახებ: "იტყვიან გრიგოლისათვის სამსალით სიკვდილსა"[339], თუმცა ძნელია გადაჭრით ამის შესახებ რაიმეს თქმა.

---

335 ნ. ბერძენიშვილი, საქართველო XIX ს. პირველ მეოთხედში, გვ. 293; მ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, გვ. 151.

336 Акты, II, გვ. 464; ნ. ბერძენიშვილი, იქვე. გვ. 293-295. მ. დუმბაძე, იქვე. გვ. 144-156.

337 ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 193.

338 ნ. დადიანი, იქვე; Г.А. Дзидзария, Присоединение Абхазии к России, გვ. 25.

339 ნ. დადიანი, იქვე.

ოდიში მთავრის გარეშე დარჩა მცირე ხანს, რადგან ტახტის მემკვიდრე – 12 წლის ლევანი აფხაზეთის მთავარს ჰყავდა მძეულად. ნ. დადიანის ცნობით, გარდაცვლილი მთავრის ძმებს განუზრახავთ გაძთავრება, "გარნა ერთგულთა გრიგოლისთა არა ინებეს და უჩვენეს ერთგულება მეუღლესა მისსა"[340]. სამთავროს მესვეურებმა ქელეშ-ბეის სთხოვეს წარმოეგზავნა ტახტის მემკვიდრე, მაგრამ მან ლევანის გათავისუფლების საფასურად დიდი თანხა მოითხოვა. როცა აღნიშნული ფაქტი ცნობილი გახდა პ. ციციანოვისათვის, განრისხებულმა უბრძანა გენერალ რიკჰოფს, თუ ქელეშ-ბეი ლევანს არ გაათავისუფლებდა, "წარვიდეს თვისითა რწმუნებულითა მხედრობითა აყუს და შემუსროს, რათა არა დაშთეს ქვა ქვასა ზედა, რომელ არა დაირღვეს, და გამოიყვანოს ლეონ და ქმნას თვისსა სამკვიდროსა ზედა მთავრად"[341]. 1805 წ. მარტში, რიკჰოფმა თავისი ასეულით სამ საათში აიღო ძლიერ გამაგრებული ანაკლიის ციხე და ზღვით სოხუმზე იერიშის მისატანად ემზადებოდა, როცა რუსების საომარი მოქმედებით შეშინებულმა ქელეშ-ბეიმ ლევანი გაათავისუფლა, 8 მძეულიც გამოგზავნა და საომარი მოქმედებების შეწყვეტა ითხოვა[342]. რუსეთის იმპერატორის ბრძანებით სამეგრელოს (ოდიში) მთავრად დაინიშნა ლევან V დადიანი, ხოლო მისი მცირეწლოვნობის გამო რეგენტად დანიშნა ოდიშის დედოფალი ნინო ბაგრატიონი[343]. 1805 წ. 16 აპრილს გენერალი რიკჰოფი პ. ციციანოვს აცნობებდა, რომ აფხაზი თავადები, ვისგანაც მძევლები მიიღო, და ასევე ისინიც, ვინც წინათ დადიანის მორჩილებაში იყვნენ მდ. ღალიძგამდე, გარდა ბეჟან შარვაშიძისა, რომელიც ვერაფერმა დაარწმუნა და მთებში გაიქცა, კვლავ სამეგრელოს სამთავროს მფლობელობაში შემოვიდნენ, რაზეც ფიცი მისცეს ლევან დადიანს, და სურთ რუსეთის მფარველობაში შესვლა[344]. უფრო ადრე, 1804 წ. 26 ნოემბერს მანუჩარ შარვაშიძემ, როგორც ოდიშის "ზედმოკიდებულ" მხარის – სამურზაყანოს მფლობელმა, რუსეთის მფარველობაში შესვლა ითხოვა "თანა დადიანისა სამფლობელოსა"[345].

1805 წ. 9 ივლისს სამეგრელოს ახალმა მთავარმა ლევან V დადიანმა (1805-1840) სოფ. ბანძაში რუსეთის ერთგულებაზე დაიფიცა. ფიცი დადეს, აგრეთვე, მანუჩარ და ლევან შარვაშიძეებმა[346], როგორც ოდითგან სამეგრელოს სამთავროს კუთვნილი სამფლობელოს მფლობელებმა: "ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი, აფხაზის თავადნი, სამურზა-

---

[340] ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 193.
[341] იქვე, გვ. 194.
[342] იქვე; Утверждение ..., т. I, Тифлис, 1902, გვ. 124.
[343] ნ. დადიანი, იქვე, გვ. 195-196.
[344] Акты, II, გვ. 514.
[345] იქვე, გვ. 537.
[346] Утверждение ..., т. I, გვ. 125.

ყანოს მფლობელნი, შემოვედით ყმად ჩვენის ქვეყნით და თაყადაზნაურებით მისს იმპერატორობის დიდებულებისა ყოვლად უმოწყალესისა რუსთა ხელმწიფისა, ვფიცავთ ყოვლად ძლიერ ღმერთს და წმინდა საჯარებას, რომ ვიყვნეთ ერთგულნი მონა და ყმანი სამუდამოდ და მის დიდებულობის ურჩობაში და ღალატობაში არასდროს არ შეკიდეთ და აგრეთვე თუ სხვათაგან ღალატი ანუ ურჩობა შეეტყვეთ, დიახ სწრაფად შეეატყობინოთ საცა მართებული იყოს და როგორც ზემო სწერია ის არ აღვასრულო, ღვთისაგან და წმინდა საჯარებისაგან შერყენებული ვიყვნეთ, და აგრეთვე ყოვლად უმოწყალესი ხელმწიფისაგან განრისხებულნი ვიყვნეთ. როგორც რომ ყოვლად უმოწყალესი ხელმწიფის ყმა ვიმყოფებით, აგრეთვე სამეგრელოს თვითმპყრობელი ლევან დადიანისა, რადგანაც ჩვენ ჩვენის ქვეყნით ვყოფილვართ სამეგრელოს თვითმპყრობელის თავადი დადიანისა"[347].

საბურზაყანოს მფლობელი შარვაშიძეების მიერ დადებული ფიცი ნათელი მოწმობაა იმისა, რომ ეს მხარე ოდიშის სამთავროში შედიოდა, რასაც ზოგიერთი აფხაზი მკვლევარი სადავოდ ხდის. მართალია, გრიგოლ დადიანის მთავრობის ბოლო პერიოდში, სახელდობრ, XVIII ს. 90-იანი წლების მიწურულიდან, საბურზაყანოზე ქელეშ-ბეი შარვაშიძის გავლენა ვრცელდება[348], მაგრამ ეს იყო დროებითი მოვლენა.

§ 7. აფხაზეთის სამთავროს შესვლა რუსეთის მფარველობაში

XVIII ს. მეორე ნახევარში დიდი იყო ოსმალეთის პოლიტიკური გავლენა აფხაზეთში, სადაც მას მნიშვნელოვანი დასაყრდენი ჰყავდა სამთავრო სახლის წევრთა და ფეოდალთა ერთ ნაწილში. 80-იანი წლების დასაწყისში ოსმალთა ხელშეწყობით აფხაზეთის მთავარი გახდა პროთურქული ორიენტაციის ქელეშ-ბეი შარვაშიძე. ამ ფაქტორებმა გამოიწვიეს ის, რომ არცერთ იმ პროგრესულ აქტში, რომელიც XVIII ს. II ნახ. განხორციელდა დას. საქართველოში (ტყვის სყიდვის აკრძალვა, საეკლესიო საქმეების მოწესრიგება, ქართველ მეფე-მთავართა 1790 წლის ტრაქტატის დადება), აფხაზეთის სამთავროს მონაწილეობა არ მიუღია[349]. ოსმალთა მრავალწლიანმა ბატონობამ მაინც ვერ შეძლო აფხაზეთის

---

[347] Акты. II. გვ. 527.

[348] ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ გრიგოლ დადიანმა მდ. ენგურის მარცხენა ნაპირზე მდებარე ანაკლიის ციხე ქელეშ-ბეის გადასცა სოლომონ მეფესთან ბრძოლაში დახმარების სანაცვლოდ.

[349] ქ. ჩხაკარაიშვილი, დასავლეთ საქართველო XVIII ს. 80-90-იან წლებში. — სინ., ტ. IV. გვ. 753.

საბოლოო მოწყვეტა საქართველოსაგან. ამის დასტურია ქრისტიანული კულტურული ტრადიციების, ქართული ენისა და ქართული ქრისტიანობის შენარჩუნება ამ მხარეში. ქართული ენა რჩებოდა საქრისტიანოს სხვა პოლიტიკურ ერთეულებთან ურთიერთობის ენად. კვლავაც ქართული ენაზე მუშაობდა მთავრის კანცელარია.

მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთში ამ დროს მჭეედრობის წარმართობა და ისლამი (XVIII ს. სოხუმში ორი მეჩეთი იყო), აფხაზები კრძალვით ეპყრობოდნენ ქრისტიანულ საკულტო ძეგლებსა და რელიკვიებს. გამბას ცნობით, აფხაზები ეთაყვანებიან ქვის ჯვრებსა და ეკლესიებს, რომლებიც მრავლადაა მათ ქვეყანაში. ქრისტიანული ტაძრები სადაც მაინ წინაპრები საუკუნეების განმავლობაში ქრისტიანულ რიტუალებს ასრულებდნენ. აფხაზებს არ შეუბღალავთ. აფხაზები და მეგრელები განსაკუთრებულ თაყვანს სცემენ ილორის ეკლესიას, რომელიც სამეგრელო-აფხაზეთის საზღვარზეა და დაუსრულებლად შეუძლიათ ლაპარაკი აქ მომხდარი სასწაულების შესახებ[350]. აფხაზების შიშისა და თაყვანისცემის ობიექტი იყო, აგრეთვე, ბიჭვინთის ტაძარიც. ისინი ვერ ბედავდნენ ხელი ეხლოთ ტაძარში შემორჩენილი საეკლესიო ჭურჭლისა და წიგნებისათვის[351].

აფხაზეთში ქრისტიანობა უმაყურესად შემორჩენილი იყო სამეგრელოს მომიჯნავე-ნაწილში — მდ. ღალიძგასა და მდ. კოდორს შორის (ბეჟუა). მდ. კოდორიდან სოხუმამდე, და იქით მცხოვრებნი, მეტწილად მაჰმადიანები იყვნენ[352]. ე.ი. მაჰმადიანობა, ანუ, თურქული პოლიტიკური გავლენა ჩრდილო-დასავლეთიდან იკაფავდა გზას. ნინო ბაგრატიონი 1805 წ. წერდა: აფხაზეთში "გლეხნი... უმეტესნი ქრისტიანობენ და სწამთ ჯვარი და ხატი ჩვენი"-ო[353]. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა გამბას ცნობა, რომ "ბევრმა აფხაზურმა ოჯახმა შემოინახა ქრისტიანობა. მათ წინაპრებად მეგრელები ითვლებიან"-ო[354]. ფაქტობრივად ეს ასეც იქნებოდა. აფხაზების მიერ მიტაცებული ოდიშის ჩრდ.-და. ნაწილის გაფხაზებულმა მოსახლეობამ (უმთავრესად გლეხობა), შეინარჩუნა თავისი სარწმუნოება — ქრისტიანობა. ნინო ბაგრატიონი ასევე აღნიშნავდა, რომ მოქვის (აფხაზეთი), ილორისა და ბედიის (ოდიში, სამურზაყანო) მონასტრებში ღვთისმსახურება სრულდებოდა[355]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამურზაყანოს მოსახლეობა ამ დროს (1805 წ.) მთლიანად ქრისტიანულია და ცაიშელის სამწყსოში შედის[356]. ბედიის კათედრა ამ დროს უკვე მოშლილია. იგი დაცარიელდა XVIII ს. ბოლოს და ამის მიზეზი იყო

---

350 ჟ. გამბა. მოგზაურობა ამერიკაკავკასიაში, ტ. I. გვ. 88.
351 იქვე. გვ. 79.
352 Акты, II. გვ. 528.
353 იქვე.
354 ჟ. გამბა, იქვე. გვ. 88.
355 Акты. II. გვ. 528.
356 იქვე.

აფხაზთა მოწოლა[357]. როგორც ცნობილია, ესაა აფხაზთა მთავრის, ქელეშ-ბეი შარვაშიძის სამურზაყანოზე "მძლავრობის" პერიოდი.

XIX ს. დასაწყისში რადიკალურად იცვლება აფხაზეთის მთავრის პოლიტიკური ორიენტაცია. ქელეშ-ბეი შარვაშიძემ თურქეთის მხარდაჭერით მიაღწია თავისი პოლიტიკური მიზნების განხორციელებას (აფხაზეთში გაბატონება, მოწინააღმდეგე ფეოდალთა დამორჩილება, ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცება და სხვ.), მაგრამ ვასალური დამოკიდებულება დესპოტურ იმპერიასთან მას უკვე სულს უხუთავს. აფხაზეთის მთავარი კარგად ხედავდა, რომ საქართველოში თანდათან მტკიცდებოდა რუსეთის პოზიციები, ამასთან ერმა კრიზისს განიცდიდა ოსმალეთის იმპერია. ასეთ პირობებში ქელეშ-ბეი რუსეთთან დაახლოებისაკენ ისწრაფვის[358]. სამეგრელოს მთავრის რწმუნებულებმა, ქაიხოსრო და როსტომ კვინიხიძეებმა 1803 წ. გენერალ პ. ციციანოვს აცნობეს, რომ ქელეშ-ბეი შარვაშიძეს რუსეთის მფარველობის მიღება და ოსმალთა ბატონობისაგან თავის დაღწევა სურდა[359]. მაგრამ, მიუხედავად ქელეშ-ბეის სურვილისა, დაახლოებოდა რუსეთს, ცარიზმი რთული საერთაშორისო პირობების გამო, სიფრთხილეს ინენდა. თუმცა, თავის მხრივ, რუსეთიც დიდად იყო დაინტერესებული შეეერთებინა აფხაზეთი, რომელსაც შეეძლო პლაცდარმის როლი შეესრულებინა დს. კავკასიაში. თანდათან იკვეთება ქელეშ-ბეის დაპირისპირება თურქეთთან და, მიუხედავად კავკასიაში რუსეთის სამხედრო სარდლობასთან კონფლიქტისა (ქელეშ-ბეისთან მძეელად მყოფი ოდიშის ტახტის მემკვიდრის გამო), მან უკვე აშკარად გადაწყვიტა ჩამოშორებოდა ოსმალეთს და მხოლოდ საბაბს ეძებდა. ჯერ კიდევ 1803 წ. კვინიხიძეებმა პ. ციციანოვს აცნობეს, რომ ქელეშ-ბეი "არაფრით არ იყო დამოკიდებული ოტომანის ბრწყინვალე პორტაზე"[360], მაგრამ, ოფიციალურად, 1805 წელსაც, აფხაზეთის მთავარი ჯერ კიდევ თურქეთის ვასალად ითვლება[361].

ამ პერიოდში, 1806 წ. მარტის ბოლოს, ქელეშ-ბეისთან თავშესაფარი ჰპოვა ტრაპეზუნდელმა თაირ-ფაშამ, რომელსაც სახელმწიფო ღალატში ედებოდა ბრალი და გადაწყვიტა რუსეთისათვის შეეფარებინა თავი. სოხუმიდან თაიარ-ფაშამ მოლაპარაკებები გამართა რუსეთის ხელისუფლებასთან, ამასთან თავისი სამსახური შესთავაზა აფხაზეთის სამთავროს რუსეთის მფარველობაში შესვლის საქმეში, რაც, ფაქტობრივად, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე რუსეთის გაბატონებას მოასწავებდა[362].

---

[357] Ф. Жордания, Абхазские католикоси, Краснодар, 1927, გვ. 21-22; ა. ხელაია, ბედის ტაძარი, გვ. 44.

[358] История Абхазии, გვ. 74.

[359] Акты, II, გვ. 536.

[360] იქვე.

[361] იქვე. გვ. 539.

[362] იქვე. გვ. 872; Очерки истории Абхазской АССР, ч. I, გვ. 132; Г. А. Дзидзария, Присоединение Абхазии к России, გვ. 32-33.

ბრწყინვალე პორტამ ქელეშ-ბეის მოსთხოვა თავი მოეკვეთა მეამბოხე ფაშასათვის, მაგრამ აფხაზეთის მთავარმა ბრძანება არ შეასრულა. მაშინ, სულთანმა, თაიარ-ფაშას გადაცემის მოთხოვნით მიმართა აფხაზ ფეოდალებს (ძიაფშ-იფა, მაან და სხვ.) და შესთავაზა ვაელენა მოეხდინათ ქელეშ-ბეიზე. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ომით იმუქრებოდა[363].

ამავე ხანებში ქელეშ-ბეი მეგობრულ ურთიერთობას ამყარებს მეზობელ სამეგრელოს სამთავროსთან. 1806 წ. მაისში, რუსეთის მთავრობის წარეკეთ, აფხაზეთისა და სამეგრელოს მთავრები, რომლებიც XIX ს. დასაწყისში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, შერიგდნენ. 1806 წ. მაისში ნინო ბაგრატიონისადმი გაგზავნილ წერილში ქელეშ-ბეი წერს: "ჩვენ შენი კარგის მდომი ვიქმნეთ და თქვენს საზიანოსა და დასაბრალებელ საქმეშიდ არ შევიდე და არც შემეძლოს; შენი კარგის მდომი ვიქმნე და შენი მტრის მტერი ვიქმნე, მოყვარისა მოყვარე ვიქმნე"[364]. საგულისხმოა, რომ აფხაზეთის სამთავრო სახლი დაუმოყვრდა სამეგრელოს სამთავრო სახლს. ქელეშ-ბეის ვაჟი საფარ-ბეი მოინათლა (ნათლობის სახელი – გიორგი) და შეირთო გრიგოლ დადიანის ასული, ლევან V დადიანის და, თამარი[365]. ეს ფაქტი მოასწავებდა აფხაზეთის სამთავროს პოლიტიკურ კავშირს რუსეთის მფარველობაში მყოფ სამეგრელოს სამთავროსთან და ნათლად მეტყველებდა ქელეშ-ბეის პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლაზე.

ბრწყინვალე პორტა სამხედრო ძალის გამოყენებით შეეცადა დაემორჩილებინა ურჩი ვასალი. აფხაზეთის სანაპიროსაკენ დაიძრა თურქეთის ესკადრა 11 ხომალდის შემადგენლობით. საომარ ოპერაციაში მონაწილეობა უნდა მიეღო ახალციხისა და არზრუმის საფაშოების ჯარსაც. ქელეშ-ბეიმ რუსეთის ხელისუფლებას მიმართა დახმარებისათვის, მაგრამ რუსეთი აფხაზეთის საკითხში ისევ საფრთხილეს იჩენდა. მიუხედავად ამისა, რუსეთის არმიის კავკასიის სარდლობამ მიიღო იმპერატორ ალექსანდრე I-ის ბრძანება, რომ თუ თურქეთის არმია დაიძრებოდა სამეგრელოს გაელით აფხაზეთისაკენ, მისთვის გზა მოეჭრათ[366]. თურქეთის აგრესიის მოსაგერიებლად ქელეშ-ბეიმ შეძლო 25 ათასი მებრძოლის დარაზმვა. აქედან, 10-12 ათასი იყო მხოლოდ აფხაზი, დანარჩენი, – დაქირავებული ჩერქეზები. კაპუდან-ფაშა* როცა დარწმუნდა, რომ სოხუმი მტკიცედ იყო დაცული და ქელეშ-ბეის განზრახული აქონდა მედგარი წინააღმდეგობა გაეწია, იძულებული გახდა, უკან გაბრუნებულიყო. ახალციხისა და არზრუმის ფაშებმაც თავი შეიკავეს აფხაზეთში ლაშქრობისაგან[367].

---

[363] Г.А. Дзидзария, Присоединение Абхазии к России, გვ. 33.

[364] Акты, III, გვ. 190.

[365] იქვე, გვ. 202, 209; Утверждение..., т. III, ч. II, გვ. 541.

[366] Акты, III, გვ. 192, 193; Очерки истории Абхазской АССР, ч.I, გვ. 33-134.

* თურქ. საზღვაო ესკადრის მეთაური.

[367] Акты, იქვე, გვ. 192-193; 519-520.

ამ გამარჯვების მიუხედავად, ქელეშ-ბეის კარგად ესმოდა, რომ ბრწყინვალე პორტას ყოველთვის შეეძლო დაეძრა დიდი ძალები აფხაზეთის წინააღმდეგ. ამიტომ, მან რუსეთის მფარველობაში შესვლა გადაწყვიტა და ეს საკითხი 1806 წ. ივნისში სახალხო ყრილობაზე გაიტანა განსახილველად. სახალხო ყრილობამ მხარი დაუჭირა მთავრის წინადადებას. ამის შემდეგ, ქელეშ-ბეიმ რუსეთის ხელისუფლებას სთხოვა მიეღო აფხაზეთი მფარველობაში[368]. ამ პერიოდში აფხაზეთში გართულდა პოლიტიკური სიტუაცია. თურქეთმა გამოიყენა აფხაზეთის სამთავრო კარზე არსებული უთანხმოებანი და ქელეშ-ბეის მისი უფროსი ვაჟი ასლან-ბეი დაუპირისპირა. ცოტა ხნით ადრე, ქელეშ-ბეიმ სამთავრო ტახტის მემკვიდრეობის უფლება ჩამოართვა ასლან-ბეის, რომელიც მას პირველი ქორწინებიდან, ძიაფშ-იფას ქალისგან ჰყავდა და ეს უფლება გადასცა სიფარ-ბეის, რომელსაც, როგორც დაბალი წარმოშობის ქალის შვილს (ქელეშ-ბეის მეორე ცოლისანხაიუ ლეიბასაგან) ეს არ ეკუთვნოდა. ოსმალოფილური დაჯგუფების მიერ, რომელშიც შედიოდნენ ეშერელი ძიაფშ-იფები და ასლან-ბეი, თურქეთის მხარდაჭერით, მომზადდა შეთქმულება აფხაზეთის მთავრის წინააღმდეგ, მაგრამ იგი გამჟღავნდა და ქელეშ-ბეი სასტიკად გაუსწორდა შეთქმულთ. მთავარმა თავის სასახლეში ვითომცდა მოსალაპარაკებლად მიიწვია სამი ძმა ძიაფშ-იფა და მოაკვლევინა. ამ საგვარეულოს დანარჩენი წარმომადგენლები წებელდაში გაიქცნენ. მათი საგვარეულო მამული მდ. შიკუარასა და მდ. აძაფშს (დამპალა) შორის ქელეშ-ბეიმ უშუალოდ თავის მამულს შეუერთა. ადათით, ძიაფშ-იფებმა, როგორც აბრაგად გავარდნილებმა, ყოველგვარი უფლება დაკარგეს საკუთრებაზე[369].

1806 წ. ბოლოს რუსეთ-თურქეთის ახალი ომის (1806-1812) დაწყებამ, ხელ-ფეხი გაუხსნა რუსეთს აფხაზეთის საკითხის მოსაგვარებლად. ომის დაწყებისას ქელეშ-ბეიმ აცნობა რუსეთის სარდლობას, რომ თურქებს განზრახული ჰქონდათ თავს დასხმოდნენ ყულევს. ამავე დროს, აფხაზეთის მთავარი საჭირო შემთხვევაში ჯარის მოშველიებას თხოულობდა[370]. მთავარსარდალი გუდოვიჩი ქელეშ-ბეისაგან მოითხოვდა რუსეთისადმი ერთგულების დამტკიცებას თურქეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმით. გუდოვიჩი აშინებდა ქელეშ-ბეის, რომ, თუ იგი მაშველ ჯარებს არ გამოიყენდა ყულევთან, მაშინ "დიდ წყალობას", ანუ რუსეთის მფარველობას ვერ მიიღებდა[371]. აფხაზეთის მთავარს მომლოდინე პოზიცია ეკავა და ამიტომ იყო, რომ გუდოვიჩი მისგან აქტიურ მოქმედებას მოითხოვდა. ქელეშ-ბეი ომში არ ჩაბმულა, მაგრამ მან საშუალება არ მისცა თურქებს

---

[368] Акты, III, გვ. 191-192, 574.

[369] А. Пахомов, Записка..., გვ. 231; Г. А. Дзидзария, Присоединение Абхазии к России, გვ. 38-39.

[370] Акты, III, გვ. 196.

[371] იქვე, გვ. 197.

დესანტი გადმოესხათ აფხაზეთის სანაპიროზე და ეს მხარე საომარი ოპერაციების პლაცდარმად ექციათ[372].

ბრწყინვალე პორტასათვის მძიმე შეიქნა მეამბოხე ვასალის დამორჩილება და მის წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყო. 1808 წ. 2 მაისის ღამეს, ასლან-ბეიმ სოხუმის სასახლეში ქელეშ-ბეი და თავისი ორი უმცროსი ძმა სიცოცხლეს გამოასალმა. ასლან-ბეი დაეუფლა სოხუმის ციხეს და თავი აფხაზეთის მთავრად და თურქეთის ქვეშევრდომად გამოაცხადა[373]. ბრწყინვალე პორტამ სასწრაფოდ მოახდინა რეაგირება აფხაზეთში მიმდინარე ამბებზე და ასლან-ბეის სამხედრო და მატერიალური დახმარება გაუწია[374]. გიორგი, რომელიც ქელეშ-ბეის სიცოცხლეშივე იყო გამოცხადებული მემკვიდრედ, ზუფუში (ლიხნი) იმყოფებოდა. იგი შეეცადა საკუთარი ძალებით აეღო სოხუმის ციხე, მაგრამ ვერ შეძლო და სამეგრელოში წავიდა, საიდანაც დაუკავშირდა რუსეთის ხელისუფლებას და აცნობა თავისი მტკიცე გადაწყვეტილება, შესულიყო რუსეთის მფარველობაში[375]. 1808 წ. აგვისტოში სამეგრელოსა და აფხაზეთის სამთავროს გაერთიანებული ძალები შეეცადნენ დაეკავებინათ სოხუმი. ლაშქრობას ნ. დადიანი სარდლობდა. სოხუმის ციხის აღება ვერ მოხერხდა,- მაგრამ ასლან-ბეის გაათავისუფლებინეს ქელეშ-ბეის მეუღლე (მესამე ცოლი) რებია მარშანია და მისი ვაჟიშვილი ბათალ-ბეი, რომელიც ქელეშ-ბეიზე თავდასხმისას დაიჭრა. "და დავმძევლეთ ყოველი აფხაზეთი, — წერს ნ. დადიანი, — ჯიქეთის საზღვრიდამ ვიდრე ღალიძგა — დადიანის საზღვრამდე და მივათვალეთ საფარ-ბეგს და ესრეთ მშვიდობით წამოვედით ოდიშამდე"[376]. ამავე ხანებში, ასლან-ბეის დასახმარებლად, სოხუმში სამი ხომალდით ჩავიდა ფოთის კომენდანტი ქუჩუკ-ბეი შარვაშიძე, ხოლო მთიდან ჩამოვიდა სამასი ჩერქეზი. ასლან-ბეისთანვე იყო ქელეშ-ბეიზე თავდასხმის მონაწილე, რუსეთის სასტიკი მოწინააღმდეგე ბეჟან შარვაშიძე, რომელიც სამურზაყანოს რუსეთის მფარველობაში შესვლის დროიდან მთებში იყო გაქცეული[377].

1810 წ. 17 თებერვალს, იმპერატორმა ალექსანდრე I-მა გიორგი შარვაშიძე დაამტკიცა აფხაზეთის მთავრად, რუსეთის უმაღლესი ძალაუფლების აღიარებითა და შინაგანი ავტონომიის ცნობით. იმავე წლის ივლისის დამდეგს, რუსეთის საზღვაო ესკადრა სოხუმს მიადგა. 9 ივლისს,

---

[372] Акты, III, გვ. 199.

[373] იქვე, გვ. 200; Утверждение ... , т. II, Тифлис, 1902, გვ. 41; ნ. დადიანი, ქრონიკული ცხოვრება, გვ. 197.

[374] Очерки истории Абхазской АССР, ч.I, გვ. 137.

[375] Акты, III, გვ. 200, 201, 203, 205, 206; ნ. დადიანი, იქვე; Очерки истории Абхазской АССР, ч.I, გვ. 137.

[376] ნ. დადიანი, იქვე.

[377] Акты, III, გვ. 207; Очерки истории Абхазской АССР, ч.I, გვ. 138; История Абхазии, გვ. 75.

4 საათზე. დაიწყო შეტევა სოხუმზე. მეორე დღეს რუსეთის საზღვაო დესანტმა სოხუმის ციხე აიღო. ასლან-ბეი თავის მომხრეებთან ერთად მთებში გაიქცა[378]. იმავე წლის ოქტომბერში, სოხუმში, გიორგი შარვაშიძეს სამთავრო ნიშნები გადაეცა. მთავარმა თავადაზნაურობასთან ერთად რუსეთის ერთგულებაზე დაფიცა, რითაც ოფიციალურად გაფორმდა აფხაზეთის სამთავროს ავტონომიური უფლებით შესვლა რუსეთის მფარველობაში[379].

როგორც აღნიშნეთ, აფხაზეთის სამთავროს ისტორიული საზღვარი ჩრდილო-დასავლეთით, გაგრასთან, მდ. ყოეკვარაზე გადიოდა, მაგრამ, მდ. ბზიფამდე მიწა-წყალი ჯიქებს ჰქონდათ მიტაცებული, ამიტომ აფხაზეთის სამთავროს პოლიტიკურ საზღვრად ჩრდილო-დასავლეთით მდ. ბზიფი ითვლებოდა[380].

აფხაზეთის სამთავრო, რუსეთის მფარველობაში შესვლის დროისათვის, მთლიან პოლიტიკურ ერთეულს არ წარმოადგენდა. იგი შემდეგ მხარეებად იყოფოდა: ბზიფი — მდ. ბზიფსა და მდ. შიკუარას შორის; გუმა — მდ. შიკუარასა და მდ. კოდორს შორის; აბეჟუა — მდ. კოდორსა და მდ. ღალიძგას შორის. მასთან ნომინალურად იყო დაკავშირებული მოიანი მხარეები: წებელდა, დალი და ფსხუ — კოდორისა და ბზიფის ზემო წელში[381]. ბზიფს, გუმასა და აბეჟუას შარვაშიძეები განაგებდნენ; წებელდას, დალსა და ფსხუს — მარშანიები. მარშანიებმა არ სცნეს გიორგი შარვაშიძის (1810-1821) ხელისუფლება და არც რუსეთის მფარველობაში შეეიდნენ[382]. იმავე 1810 წ. აფხაზეთის მთავრის მაგალითისამებრ და მისი გავლენით, ჯიქების მთავარი ლეკან ცანბა (ცანუბაია) შეეიდა რუსეთის მფარველობაში[383].

---

[378] Очерки истории Абхазской АССР, ч.I, გვ. 138-140; Г.А. Дзидзария, Присоединение Абхазии к России, გვ. 48-51.

[379] Акты, IV, გვ. 425; მღებრიშვილი, დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, გვ. 222.

[380] იხ. Карта военных действий в закавказском крае с 1809 по 1817г., - წგნ.: Утверждение..., т. II; ე. გაბა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, ტ. I, გვ. 78; Н. Дубровин, История войны и владычества...,გვ. 1-2; Ф. Ф. Торнау, Воспоминания..., ч. I, გვ. 42,56; А. Берже, Краткий обзор..., გვ. 8; П. Краевич, Очерк устроиства..., გვ. 10; С. Званба, Абхазские этнографические этюды, გვ. 5; Г. А. Дзидзария, Махаджирство..., გვ. 87 (ხელნაწ.); მისივე, Присоединение Абхазии к России, გვ. 61. მღვიმარეობა შეიცვალა 1830 წელს, როცა რუსეთის ჯარებმა დაიკავეს ბომბორა, ბიჭვინთა, გაგრა და იქ სიმაგრეები ააგეს. გაგრა წარმოადგენდა აფხაზეთის კარიბჭეს, საიდანაც მოიელები იჭრებოდნენ და ჭალანას აოხრებდნენ. გაგრის სიმაგრის აგებით "შოუსვენარი" სიერკეზ მტკიცედ შეეყრდა აფხაზეთს (М. Селезнев, Руководство к познанию Кавказа, кн. II, გვ. 187; Г. А. Дзидзария, იქვე, გვ. 57, 62).

[381] Г. А. Дзидзария, იქვე, გვ. 61.

[382] Акты, IV, გვ. 425.

[383] იქვე, გვ. 426.

§ 8. სამურზაყანოს საკითხი სამეგრელო-აფხაზეთის საერთაშორისო ურთიერთობაში

XVII ს. 80-იანი წლებიდან, როდესაც ჩამოყალიბდა სამურზაყანო, როგორც ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული, ის ოდიშის სამთავროს შემადგენლობაში შედიოდა, თუმცა ამ მხარეს აფხაზეთის სამთავრო სახლის გვერდითი შტო განაგებდა. 1805 წ. სამურზაყანო, როგორც სამეგრელოს (ოდიში) შემადგენელი ნაწილი, რუსეთის იმპერიის მფარველობაში შევიდა. სამურზაყანოს ერთ-ერთმა მფლობელმა მანუჩარ შარვაშიძემ, რომელსაც ლევან V დადიანის და ჰყავდა ცოლად და ამიტომ მისი მხარდაჭერით სარგებლობდა, მოახერხა თავისი ძმების — ბეჟან და ლევან შარვაშიძეების მამულების ხელში ჩაგდება და სამურზაყანოს უცილობელი მფლობელი გახდა. 1810 წ. ოდიშის დედოფალმა ნინომ მანუჩარ შარვაშიძეს სამურზაყანოს მოურავობა უბოძა მემკვიდრეობის უფლებით[384].

1813 წ. ბედიის ციხის მფლობელმა ხუტუნია ლევანის ძე შარვაშიძემ, შურისძიების მიზნით, მოაკვლევინა მანუჩარ შარვაშიძე, თვითონ კი, სამეგრელოს მთავრის შიშით, იძულებული გახდა წებელდაში გაქცეულიყო. ოდიშის მთავარმა ბედიის ციხე ჩამოართვა ხუტუნიას მამას ლევანს და "გამოსაზრდელად" დაუმკვიდრა სოფ. ფახულანი, ხოლო როცა შეიწყნარა ხუტუნია შარვაშიძე, მას და მის ძმებს მისცა ნახევარი ბედია, ხოლო ფახულანი მისცა თავის დას, მანუჩარ შარვაშიძის ქვრივს[385]. სამეგრელოს მთავარმა, როგორც მანუჩარ შარვაშიძის უახლოესმა ნათესავმა, მისი შვილების — ალექსანდრესა და დიმიტრის აღზრდა იკისრა. ამ დროიდან, ლევან V დადიანი სამურზაყანოს უშუალო მფლობელი გახდა[386].

სამურზაყანოში ბატონობის განმტკიცების მიზნით, ლევან V დადიანმა მანუჩარ შარვაშიძის შვილები გზიდან ჩამოიცილა და 1832 წლი-

---

384 სცია, ფ. 4, საქმე 384, გვ. 247; ზ. ციცაძე, საქართველოს (ოდიშის) სამთავროს საზღვრების საკითხისათვის XIX საუკუნის I ნახევარში, — სიტ., VII, თბ., 1989, გვ. 97.

385 ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 204-206.

386 ზ. ციცაძე, იქვე. 1815 წ. "სამურზაყანოს აფხაზეთისა მთავარს" ლევან V დადიანმა გამოსცა დადგენილება, რომლითაც მოითხოვა სამურზაყანოში ქურდობის, ავაზაკობის, ტყვეთა სყიდვის აღკვეთა; "ოხრებისა მის მომხრეულისა სენისა და სიყმილისა მიერ გარდმოცვენულნი იმერელნი და ოდიშარნი" გლეხების დაბრუნება ადრინდელ საცხოვრებელ ადგილებში და სხვ. ამ დოკუმენტს ერთვის სამურზაყანოს თავადაზნაურთა ფიცი, რომ შეასრულებენ მთავრის დადგენილებას, რაც დადასტურებულია ხელმოწერებით (დადიანთა სახუთები, — ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad-2252 ლგ, გვ. 94-98). 1815 წ. 29 ნოემბერს, წებელდის თემის ბატონები: მისოსტ, სარალუფუ და ზერეფხუ მარშანიები ფიცს აძლევენ ლევან V დადიანს: "ეფეფეფეფ კეთილითა მეზობლობითა სამთავროსა თქვენისა სამურზაყანოდ წოდებულს აფხაზეთსა ნაწილსა თანა და ოდიშისა და მასთა მცხოვრებთა..." (Акты, V, გვ. 507).

დან ამ მხარის უცილობელი მფლობელი გახდა. მართალია, აფხაზეთის მთავარმა გიორგი შარვაშიძემ 1818 წ. სამურზაყანო დადიანისად სცნო, მაგრამ ამ ფაქტს არ ურიგდებოდა აფხაზეთის მთავარი მიხეილ შარვაშიძე (1823-1864) და სამურზაყანოზე პრეტენზიებს აცხადებდა. ასეთი გაურკვევლობა და ფარული ბრძოლა დადიანსა და შარვაშიძეს შორის, დაძაბულობასა და არეულობას იწვევდა სამურზაყანოში[387]. სამურზაყანო რომ სამეგრელოს ეკუთვნოდა, რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმაც კარგად იცოდნენ და არაერთხელ აღნიშნავდნენ ამას. ასე მაგალითად, 1834 წ., როცა მიხეილ შარვაშიძემ მითვისა სოფ. ილორი და სოფლის მცხოვრებთაგან ერთგულების ფიციც მოითხოვა, ამის თაობაზე მთავარმართებელმა ბარონმა როზენმა აფხაზეთის მთავარს მისწერა: "ასეთი მოქმედება ემსახურება აფხაზეთში უწესრიგობის გაძრავლებას და არ შემიძლია გაკვირვება არ გამოვთქვა სხვის სამფლობელოში თქვენი ასეთი თვითნებობის გამო. ხელისუფლებისათვის ცნობილია, რომ ცოცხალი საზღვარი სამეგრელოსა და აფხაზეთის შორის არის მდინარე ღალიძგა და რამდენადაც სოფელი ილორი მდებარეობს მდინარის მარცხენა ნაპირზე, ის არ შეიძლება ეკუთვნოდეს აფხაზეთს. ამიტომ მე ვალდებული ვარ გთხოვოთ... გამოუცხადოთ წერილობით ყველა ილორელს, რომ მათ მიერ მიცემული ფიცი თქვენდამი ერთგულებაზე უსაფუძვლოა და, ისინი ეკუთვნიან არა თქვენს უმაღლესობას, არამედ სამეგრელოს მფლობელს"[388].

1839 წ. მიხეილ შარვაშიძემ თხოვნით მიმართა რუსეთის ხელისუფლებას, რომ სამურზაყანო, როგორც ადრე აფხაზეთის კუთვნილი ქვეყანა, ჩამორთმეოდა დადიანს და აფხაზეთის სამთავროს გადასცემოდა. შარვაშიძეს სამურზაყანოს გადაცემაზე უარი ეთქვა, მაგრამ ის არც სამეგრელოს შემადგენლობაში დატოვეს[389]. რუსეთის ხელისუფლებას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა ახლად შეძენილ ტერიტორიებზე, სადაც შესაძლებელი იქნებოდა, უმტკივნეულოდ შემოყოლ რუსული მმართველობა. აფხაზეთისა და სამეგრელოს მთავრებს შორის ატეხილი დავა კი ამის განხორციელების საშუალებას აძლევდა. 1840 წ. სამურზაყანო ჩამოერთვა დადიანს და სახაზინო უწყებას გადაეცა. მისგან შეიქმნა რუსული ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული სამურზაყანოს საბოქაულო, რომლის ცენტრი გახდა სოფ. ოქუმი[390]. 1840 წ. დეკემბრიდან 1847 წ. დეკემბრამდე დადგინდა სამეგრელოს სამთავროსა და სამურზაყანოს გამყოფი სადემარკაციო ხაზი. საზღვრად მიჩნეულ იქნა მდ. ენგურის

---

[387] Акты, VII, გვ. 396-397; იქვე, X, გვ. 248.

[388] იქვე, VIII, გვ. 449. ბარონი როზენი სხვა დოკუმენტებშიც არაერთხელ აღნიშნავს, რომ სამურზაყანო სამეგრელოს ეკუთვნის (იხ. იქვე, გვ. 453, № 338, № 339).

[389] ზ. ცინცაძე. სამეგრელოს (ოდიშის) სამთავროს..., გვ. 97-98.

[390] იქვე.

ახალი კალაპოტის მარჯვენა ტოტი. ამის შესაბამისად, 1849 წ. 4 იანვარს, სოფლები: დიდი კოკი და პატარა კოკი, განარჯიან მუხური, ორსანტია, შამგონა, რომლებიც მდინარის მარჯვენა ტოტის მარცხენა ნაპირზე მდებარეობდნენ, სამეგრელოს კუთვნილად ცნეს. სამეგრელოს სამთავროს შემადგენლობაში რჩებოდა სოფ. ფახულანიც მდ. ენგურის მარჯვენა ნაპირზე[391].

1846 წ. ქუთაისის გუბერნიის შექმნის დროიდან, სამურზაყანოს საბოქაულო მის შემადგენლობაში შედის, ხოლო 1857 წ. სამეგრელოს სამთავროს გაუქმებისა და რუსული მმართველობის შემოღების შემდეგ, სამურზაყანოს ბოქაული მაზრის უფროსის უფლებებით ამ რეგიონის მმართველს დაუქვემდებარეს[392]. მალე, 1864 წ. ცარიზმმა აფხაზეთის სამთავროც გააუქმა და რუსული მმართველობა შემოიღო, შეიქმნა სოხუმის ოლქი. 1866 წ. აგვისტოში, საკუთრივ აფხაზეთის (სოხუმის ოლქი), წებელდისა* და სამურზაყანოს (ოქუმის ოლქის სახელწოდებით) გაერთიანების შედეგად, შეიქმნა სოხუმის სამხედრო განყოფილება. 1868 წ. მისი ადმინისტრაციული დაყოფის რეორგანიზაცია განხორციელდა. შეიქმნა ორი ოლქი: ბიჭვინთის ოლქი, რომელიც შედგებოდა გუდაუთისა და გუმისთის უბნებისაგან, და ოჩამჩირის ოლქი, რომელიც შედგებოდა კოდორის (მდ. კოდორსა და მდ. ღალიძგას შორის) და სამურზაყანოს (მდ. ღალიძგასა და მდ. ენგურს შორის) უბნებისაგან. ასეთმა ადმინისტრაციულმა დაყოფამ 1883 წლამდე იარსება, როცა სოხუმის სამხედრო განყოფილება, კავკასიაში სამხედრო მმართველობის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, სამოქალაქო უწყებაში გადავიდა და სოხუმის ოლქად გარდაიქმნა. ცარიზმმა სოხუმის ოლქი მაინც არ ჩამოაშორა საქართველოს და ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში დატოვა. სოხუმის ოლქი დაიყო გუმისთის (ცენტრი — ქ. სოხუმი), გუდაუთის (დ. გუდაუთა), კოდორის (დ. ოჩამჩირე), სამურზაყანოს (დ. ოქუმი) უბნებად[393]. შეიცვალა ოლქის შიდა ადმინისტრაციული საზღვრებიც. სამურზაყანოს კუთვნილი სოფ. ილორი, მდ. ღალიძგის მარცხენა ნაპირზე, კოდორის უბანს შეუერთეს და საზღვარი კოდორისა და სამურზაყანოს უბნებს შორის მდ. ღალიძგიდან მდ. ოხურეიზე გადაიტანეს[394].

---

[391] ზ. ციხაძე. სამეგრელოს (ოდიშის) სამთავროს..., გვ. 98-101.

[392] Г. А. Дзидзария. Присоединение Абхазии к России, გვ. 64.

* წებელდაში რუსული მმართველობა 1837 წ. დამყარდა. შეიქმნა წებელდის საბოქაულო ადმინისტრაციული ცენტრით სოფ. მრამბაში (Г. А. Дзидзария, იქვე. გვ. 63).

[393] В. Маевский, Кутаисская губерния. Военно-статистическое описание, Тифлис, 1896, приложение №2, გვ. 66; Г. А. Дзидзария, იქვე. გვ. 68-70.

[394] იხ. В.Маевский, იქვე. приложение №27, გვ. 43; ამბერი (ამბროსი ხელია), ილორის ბედი, — გაზ. "საქართველო", 1918 წ., 31 იანვარი, №25.

შემოკლებათა განმარტება

ენიმკის მოამბე — აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე

თსუ შრომები — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები

მაცნე, ისტორიის... სერია —საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია

მსკი — მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის

სიგკ — საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული

სინ — საქართველოს ისტორიის ნარკვევები

სცია — საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი

ქსე — ქართული საბჭოთა ენციკლოპედია

ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე — აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე

Акты - Акты Кавказской Археографической Комиссии

ВДИ - Вестник древней истории

ЗКОИРГО - Записки Кавказского отдела Императорского Русского Географического Общества

ЗИНУ - Записки Императорского Новороссийского Университета

ИАНО - Известия Абхазского Научного Общества

Известия АИЯЛИ - Известия Абхазского Института Языка, Литературы и Истории имени Д. И. Гулиа

МАК - Материалы по археологии Кавказа

СА - Советская археология

СМОМПК - Сборник сведений для описания местностей и племен Кавказа

ССКГ - Сборник сведений о кавказских горцах

СЭ - Советская этнография

ТАИЯЛИ - Труды Абхазского Института Языка, Литературы и Истории имени Д. И. Гулиа

Труды АбНИИ - Труды Абхазского Научно-Исследовательского Института

Труды АГМ - Труды Абхазского Государственного Музея

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი 3
თავი I. ოდიში და აფხაზეთი XII-XV საუკუნეებში 19
თავი II. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XVI საუკუნეში და XVII ს. I ნახევარში 59
§1. ჯიქების ექსპანსია აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში 59
§2. ოდიშის სამთავროს ჩამოყალიბების დასასრული. ბრძოლა დასავლეთ საქართველოში ჰეგემონობისათვის 64
§3. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XVII ს. I ნახევარში. ლევან II დადიანი 71
§4. აფხაზეთის სამთავროს სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ვითარება გვიან შუასაუკუნეებში 78
§5. ოდიშ-აფხაზეთის საზღვარი XVII ს. I ნახევარში 91
თავი III. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XVII ს. II ნახევარსა და XVIII საუკუნეში 98
§1. შინაამბოხება დასავლეთ საქართველოში XVII ს. 50-60-იან წლებში 98
§2. აბხაზთა მიერ ოდიშის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის მიტაცება. ნიქვანთა გამთავრება ოდიშში 107
§3. ოდიშ-აფხაზეთის ბრძოლა ოსმალთა აგრესიის წინააღმდეგ XVIII ს. I ნახევარში 122
§4. აფხაზეთის ეთნო-კულტურული სახე გვიან შუასაუკუნეებში 132
ა. აფხაზები და აბაზურ-ადიღეური სამყარო 132
ბ. ონომასტიკა 140
გ. ტოპონიმია 150
დ. რელიგია და კულტურა 157
§5. რუხის ბრძოლა 160
§6. ფეოდალური შინაომები დასავლეთ საქართველოში XVIII ს. მიწურულსა და XIX ს. დამდეგს. ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროს რუსეთის მფარველობაში შესვლა 163
§7. აფხაზეთის სამთავროს შესვლა რუსეთის მფარველობაში 172
§8. სამურზაყანოს საკითხი სამეგრელო-აფხაზეთის სამთავროთა ურთიერთობაში 179
შემოკლებათა განმარტება 182

BEJAN KÇHORAVA
LES RELATIONES ENTRE ODICHI ET APHKHAZETHI EN XV-XVIII SIECLES

EDITION "KERA-XXI"
TBILISSI
1996

წიგნის გამოცემისას გაწეული დახმარებისათვის მადლობას ვუხდით საქართველოს პარლამენტის წევრს, ბატონ ავთანდილ ტყებუჩავასა და შპს "კერა-XXI"-ის დირექტორს, ბატონ ელგუჯა ჯიქიას

გამომცემლობის რედაქტორი ნინო დურგლიშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა ივანე კეჭაყმაძის

ფასი სახელშეკრულებო

ტირაჟი 500